

114  
1952 1/2

საქართველოს  
ბიბლიოთეკა

# მნათობი

10

მეცხრე წიგნი



1952

# მნათობი



ქრველთვეური ღიბეკაბერულ-მხებვკული  
და სჯოსგადმობრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლები კავშირის ოჯახის

წელიწადი ოცდამეცხვი

10




★

ოქტომბერი

19

სახელგანი  
თვილისი

52



3119

155664



მ. ბ. სტალინი — სიტყვა პარტიის XIX ყრილობაზე . . . . . 3  
 ნათელი ზნა კომუნისტიკისათვის — მოწინავე წერილი . . . . . 6

---

შალვა ამისულაშვილი — ქართველ დელეგატ ქალს, ლექსი . . . . . 14  
 მარლამ შურული — დელეგატის სიტყვა, ლექსი . . . . . 15  
 ილია ხოშბარია — მშობლიურ პარტიას, ლექსი . . . . . 16  
 ლადო ამალიანი — ახალი პორიზონტი, რომანი. დასასრული . . . . . 17  
 აღმასწავლებელი ტვარდოვსკი — ვასილ ტოროკინი, თარგმანი ოთარ ქელიძისა . . . . . 39  
 ილიჯბარ ჯიღბინიძე — ჯიღდო, მოთხრობა . . . . . 62  
 ვ. ბილ-ბელოვსკი — უბრალო პაციენტი, მოთხრობა. თარგმანი ე. ტორო-  
 ტაძისა . . . . . 78  
 დ. ლომიძე — შეჭი შეა ქალაქიდან, ნარკვევა . . . . . 83

პ. რაბრინი — ილია ქვეყანის პოლიტიკურ-ეკონომიურ შეხედულებათა შესახებ, წერილი . . . . . 92  
 მ. დუდუჩაძე — იაკობ ნიკოლაძე, წერილი . . . . . 117  
 ბეთან ლორთქიფანიძე — საცხოვრებელი სახლის ნაციონალური ფორმისათვის არქიტექტურაში, წერილი . . . . . 132

სიმონ წივირაძე — სიმღერები სამშობლოზე, მშვიდობაზე და მეგობრობაზე, ბიბლიო-  
 გრაფია . . . . . 142  
 ბ. მამარაძე — მ. ლებანიძე, საბავშვო ლექსები, ბიბლიოგრაფია . . . . . 145  
 ვლ. ჯიბუტი — მ. შვეცილიშვილის საბავშვო ლექსები, ბიბლიოგრაფია . . . . . 148  
 შ. სულაბერიძე — ე. თორდუა, „ომგადახდილის თვალით“, ბიბლიოგრაფია . . . . . 150  
 პროფ. დავით კობიძე — ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. III, ბიბლიოგრაფია . . . . . 152  
 ს. ხუციშვილი — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობანი, ტ. III, IV და V. ბიბლიოგრაფია . . . . . 155  
 ბ. შურაშვილი — „პათოლოგიურ-ანატომიური სექციის ტექნიკა“, ბიბლიოგრაფია . . . . . 158  
 ახალი წიგნები . . . . . გარეკანის მე-3-ზე

რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), დიმიტრი ბინაშვილი, ნიკო კაცხიშვილი, სანდრო შანშიაშვილი, ოთარ ჩხიძე, სერბი ბილაია.

ხელმოწერილია დასბედად 25/XI-52 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. ში 16047. შეკვეთის № 594. ტირაჟი 6.000

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამოცემლობისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат Печати Грузполиграфиздата при Совете Министров Грузинской ССР. Тбилиси, улица Марджанишвили, № 5.



## სიყვავე პარტიის XIX ყრილობაზე

★

14 ოქტომბერი, 1952 წ.

(ტრიბუნაზე ამხანაგ სტალინის გამოჩენას დელეგატები ხედებიან მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით, რომელიც ოვაციად იქცევა. ყველანი ფეხზე დგებიან. შეძახილები: «ამხანაგ სტალინს ვაშა!», «გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!», «დიდება დიდ სტალინს!»).

ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ ჩვენი ყრილობის სახელით მადლობა ვუძღვნა ყველა მოძმე პარტიასა და ჯგუფს, რომელთა წარმომადგენლებმაც პარტიე დასდეს ჩვენს ყრილობას თავიანთი დასწრებით ან რომლებმაც გამოუგზავნეს ყრილობას მისალმების მიმართევები, — მეგობრული მოსალმებისათვის, წარმატების სურვილისათვის, ნდობისათვის. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა).

ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია ეს ნდობა, რომელიც ნიშნავს მზადყოფნას — მხარი დაუჭირონ ჩვენს პარტიას მის ბრძოლაში ხალხთა ნათელი მომავლისათვის, მის ბრძოლაში ომის წინააღმდეგ, მის ბრძოლაში მშვიდობის შენარჩუნებისათვის. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენს პარტიას, რომელიც მძლავრი ძალა გახდა, მხარდაჭერა აღარ სჭირდება. ეს სწორი არ არის. ჩვენს პარტიას და ჩვენს ქვეყანას ყოველთვის სჭირდებოდათ და კვლავაც დასჭირდებათ საზღვარგარეთელი მოძმე ხალხების ნდობა, თანაგრძნობა და მხარდაჭერა.

ამ მხარდაჭერის თავისებურება ის არის, რომ ყოველი მოძმე პარტიის მიერ ჩვენი პარტიის მშვიდობისმოყვარული მისწრაფებებისათვის ყოველგვარი მხარდაჭერა ამავე დროს ნიშნავს იმას, რომ მხარი დაუჭირონ თავიანთ საკუთარ ხალხს მის ბრძოლაში მშვიდობის შენარჩუნებისათვის. როცა ინგლისის მუშებმა 1918 — 1919 წლებში, საბჭოთა კავშირზე ინგლისის ბურჟუაზიის შეიარაღებული თავდასხმის დროს, მოაწყვეს ომის წინააღმდეგ ბრძოლა ლოზუნგით «ხელები შორს რუსეთისაგან», ეს იყო მხარდაჭერა, მხარდაჭერა უწინარეს ყოვლისა თავისი ხალხის ბრძოლისა მშვიდობისათვის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირისთვის მხარდაჭერაც. როცა ამხანაგი ტორეზი ან ამხანაგი ტოლიატი აცხადებენ, რომ მათი ხალხები საბჭოთა კავშირის ხალხების წინააღმდეგ არ იომებენო (მქუხარე ტაში), ეს არის მხარდაჭერა, უწინარეს ყოვლისა მხარდაჭერა საფრანგეთისა და იტალიის მუშებისა და გლეხებისათვის, რომლებიც მშვიდობისათვის იბრძვიან, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული მისწრაფებებისათვის მხარდაჭერაც. ურთიერთმხარდაჭერის ეს თავისებურება იმით აიხსნება, რომ ჩვენი პარტიის ინტერესები არაა არ ეწინააღმდეგება, არამედ, პირიქით, უერთდება მშვიდობისმოყვარე ხალხთა ინტერესებს. (მქუხარე ტაში). რაც შეეხება საბჭოთა კავშირს,

მისი ინტერესები საერთოდ განუყოფელია მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისაგან.

გასაგებია, რომ ჩვენი პარტია ვალში ვერ დარჩება მოძმე მარტოებთან და მან თავის მხრივ მხარი უნდა დაუჭიროს მათ, აგრეთვე მათ ხალხებს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. როგორც ცნობილია, იგი სწორედ ასეც იქცევა: **(მქუხარე ტაში)**. მას შემდეგ, რაც ჩვენმა პარტიამ 1917 წელს ხელში აიღო ძალაუფლება, და მას შემდეგ, რაც პარტიამ მიიღო რევალუტორი ღონისძიებანი კაპიტალისტთა და მემამულეთა უღლის ლიკვიდაციისათვის, მოძმე პარტიების წარმომადგენლებმა, რომლებიც ალტაცებული იყვნენ ჩვენი პარტიის სიმამაცითა და წარმატებებით, მსოფლიო რევოლუტორი და მუშათა მოძრაობის «დამკვრელი ბრიგადა» უწოდეს მას. ამით ისინი იმედს გამოთქვამდნენ, რომ «დამკვრელი ბრიგადის» წარმატებანი მდგომარეობას შეუშლუბუჭებდნენ კაპიტალიზმის უღელქვეშ მგმინავ ხალხებს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენმა პარტიამ გაამართლა ეს იმედები, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როცა საბჭოთა კავშირმა გერმანიისა და იაპონიის ფაშისტური ტირანია გაანადგურა და ევროპისა და აზიის ხალხები იხსნა ფაშისტური მონობის საფრთხისაგან. **(მქუხარე ტაში)**.

რა თქმა უნდა, ამ საპატიო როლის შესრულება მეტად ძნელი იყო, სანამ «დამკვრელი ბრიგადა» ერთადერთი იყო და სანამ მას უხდებოდა თითქმის მარტოდმარტოს შეესრულებინა ეს მოწინავე როლი, მაგრამ ეს წარსული ამბავია. ახლა სულ სხვა საქმეა. ახლა, როცა ჩინეთიდან და კორეიდან ჩეხოსლოვაკიამდე და უნგრეთამდე გაჩნდა ახალი «დამკვრელი ბრიგადები» სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების სახით, — ახლა ჩვენს პარტიას ბრძოლა გაუადვილდა, და მუშაობაც უფრო სახალისო გახდა. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში)**.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსნი არიან ის კომუნისტური, დემოკრატიული თუ მუშურ-გლეხური პარტიები, რომლებსაც ჯერ კიდევ არ აუღიათ ძალაუფლება და რომლებიც მუშაობას განაგრძობენ ბურჟუაზიული დრაკონული კანონების პირობებში. მათთვის, რა თქმა უნდა, უფრო ძნელია მუშაობა. მაგრამ მათთვის იმდენად ძნელი როდია მუშაობა, რამდენადაც ძნელი იყო ჩვენთვის, რუსეთის კომუნისტებისათვის, ცარიზმის პერიოდში, როცა ოდნავ წინსვლით მოძრაობა უძძიმეს დანაშაულად ცხადდებოდა. მაგრამ რუსეთის კომუნისტებმა გამძლეობა გამოიჩინეს, სიძნელებს არ შეუშინდნენ და გამარჯვებას მიაღწიეს. ამასვე მიაღწევენ ეს პარტიებიც.

მაინც რატომ იმდენად არ გაუძნელებათ მუშაობა ამ პარტიებს მეფის პერიოდის რუსეთის კომუნისტებთან შედარებით?

ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ მათ თვალწინ აქვთ ბრძოლისა და წარმატებათა ისეთი მაგალითები, როგორიც საბჭოთა კავშირსა და სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებშია. მაშასადამე, მათ შეუძლიათ ისწავლონ ამ ქვეყნების შეცდომებსა და წარმატებებზე და ამით გაიადვილონ თავიანთი მუშაობა.

მეორე, იმიტომ, რომ თვით ბურჟუაზია, — განმათვისუფლებელ მოძრაობის მთავარი მტერი, — სხვა გახდა, სერიოზულად შეიცვალა, უფ-

რო რეაქციული ვახდა, დაკარგა კავშირი ხალხთან და ამით დაიხსრტა თავი. გასაგებია, რომ ამ გარემოებამაც უნდა გაუადვილოს მუშაკობა რევოლუციურ და დემოკრატიულ პარტიებს. (მჭუხარე ტაში).

წინათ ბურჟუაზია თავს ნებას აძლევდა ლიბერალობა გამოეჩინა, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თავისუფლებებს იცავდა და ამით პოპულარობას იქნინდა ხალხში. ახლა ლიბერალიზმისაგან კვალიც აღარ დარჩენილა. აღარ არის ეგრეთწოდებული «პიროვნების თავისუფლება», პიროვნების უფლებებს ახლა მხოლოდ იმათთვის ცნობენ, ვისაც კაპიტალი აქვს, ყველა დანარჩენი მოქალაქენი კი ითვლებიან ადამიანთა ნედლ მასალად, რომელიც გამოსადეგია მხოლოდ ექსპლოატაციისათვის. ვათელილია ადამიანთა და ერთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, იგი შეცვლილია ექსპლოატატორული უმცირესობის სრულუფლებიანობისა და მოქალაქეთა ექსპლოატირებული უმრავლესობის უფლებობის პრინციპით. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თავისუფლებათა დროშა გადაგდებულია. მე ვფიქრობ, რომ თქვენ, კომუნისტური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებს, მოგიხდებათ ამ დროშის აღმართვა და მისი წინ წაღება, თუ გსურთ ხალხის უმრავლესობა შემოიკრიბოთ. თქვენს მეტი ვერაინ აღმართავს მას. (მჭუხარე ტაში).

წინათ ბურჟუაზია ერის მეთაურად ითვლებოდა, იგი იცავდა ერის უფლებებსა და დამოუკიდებლობას, რასაც «ყველაფერზე მალლა» აყენებდა. ახლა «ეროვნული პრინციპისაგან» კვალიც აღარ დარჩენილა. ახლა ბურჟუაზია დოლარებზე ჰყიდის ერის უფლებებსა და დამოუკიდებლობას. ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის დროშა გადაგდებულია. ექვს გარეშეა, რომ თქვენ, კომუნისტური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებს, მოგიხდებათ ამ დროშის აღმართვა და მისი წინ წაღება, თუ გსურთ თქვენი ქვეყნის პატრიოტები იყოთ, თუ გსურთ ერის ხელმძღვანელი ძალა გახდეთ. თქვენს მეტი ვერაინ აღმართავს მას. (მჭუხარე ტაში).

ასეთია საქმის ვითარება ამჟამად.

გასაგებია, რომ ყველა ამ გარემოებამ მუშაობა უნდა გაუადვილოს კომუნისტურ და დემოკრატიულ პარტიებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ აუღიათ ძალაუფლება.

მაშასადამე, ყველა საფუძველი არსებობს გეჭონდეს იმედი მოძმე პარტიების წარმატებათა და გამარჯვებისა კაპიტალის ბატონობის ქვეყნებში. (მჭუხარე ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს მოძმე პარტიებს! (ხანგრძლივი ტაში).

სიცოცხლე და დღეგრძელობა მოძმე პარტიების ხელმძღვანელებს! (ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს ხალხთა შორის მშვიდობას! (ხანგრძლივი ტაში).

ძირს ომის გამწალებლები! (ყველანი ფეხზე დგებიან. მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა. გაისმის შეძახილები: «გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!», «ამხანაგ სტალინს ვაშა!», «გაუმარჯოს მხოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს!», «დიდ სტალინს ვაშა!», «გაუმარჯოს ხალხთა შორის მშვიდობას!». შეძახილები: «ვაშა!»).

## ნათელი გზა კომუნიზმისაკენ



პარტიის ახალ სახელწოდებაში გამოხატულებას პოულობს ის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი, რომ ლენინურ-სტალინურმა პრინციპებმა საბოლოოდ და სამუდამოდ გაიმარჯვეს ჩვენს პარტიაში. ამიერიდან ჩვენს პარტიას ეწოდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.

ჩვენი პარტია!

ასე ეძახიან დღეს ლენინ — სტალინის დიად პარტიას არა მარტო მისი წევრები, არამედ მთელი მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი, მთელი მსოფლიოს ხალხთა საუკეთესო შვილები.

ჩვენი პარტია!

დღეს ეს არის ჩვენი პლანეტის ყველაზე მოწინავე, ყველაზე უძლიერესი, ყველაზე შემქმნელობული საზოგადოებრივი ძალა.

ჩვენი პარტია!

ეს არის ის ახალი, უმაღლესი ტიპის რევოლუციური პარტია, რომელმაც განვლო თავისი გრძელი და სახელოვანი გზა პირველი პატარა მარქსისტული წრეებიდან და ჯგუფებიდან, რომლებიც რუსეთში გაჩნდნენ გასული საუკუნის 80-იან წლებში, — ლენინ — სტალინის დიად პარტიამდე, რომელიც დღეს ხელმძღვანელობს კომუნიზმის პრაქტიკულად მშენებლობას უდიდეს და უძლიერეს სოციალისტურ სახელმწიფოში — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

ჯერ კიდევ 1920 წლის 6 ნოემბერს, ბაქოს საბჭოს საზეიმო სხდომაზე, თავის მოხსენებაში ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„თვალს რომ გადავაგლებ საბჭოთა ხელისუფლების წარსულს, უნებლიეთ მაგონდება სამი წლის წინანდელი — 1917 წლის 25 ოქტომბრის საღამო. მაგონდება, თუ მაშინ ჩვენ, ბოლშევიკების პატარა ჯგუფმა, ამხანაგ ლენინის მეთაურობით, რომლებსაც ხელთ გვექონდა პეტროგრადის საბჭო (იგი მაშინ ბოლშევიკური იყო) და გვეყავდა უმნიშვნელო წითელი გვარდია, რომლებსაც განკარგულებაში გვეყავდა მხოლოდ და მხოლოდ მცირე, ჯერ კიდევ არა სავსებით ჩამოყალიბებული კომუნისტური პარტია — 200 — 250 ათასი კაცის შემადგენლობით, ჩვენ, ამ პატარა ჯგუფმა, როგორ მოვხსენით ხელისუფლების სათაეიდან ბურჟუაზიის წარმომადგენლები და ძალაუფლება გადავეცით მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დემუტატების საბჭოების 2 ყრილობას“<sup>1</sup>.

ახლა ჩვენი პარტია 6,882,245 კაცისაგან შედგება. მაგრამ საქმე მარტო რაოდენობაში როდია. ამ ხნის განმავლობაში პარტია გამდიდრდა უდიდესი ისტორიული გამოცდილებებით, გაასკეცდა მისი კავშირი ხალხთა მასებთან, განუზომლად გაიზარდა მისი ავტორიტეტი მთელი მსოფლიოს მშრომელი

მასების თვალში და, რაც მთავარია, მისმა გენიოსმა ბელადმა, შეცნობების უდიდესმა კორიფემ — დიდმა სტალინმა ახალ ისტორიულ ვითარებებთან შეფარდებით განავითარა და ახალ საფეხურზე აიყვანა პარტიის მოქმედება უდიდესი მნიშვნელობის საკითხებში.

აბა, ერთი წუთით თვალი გადაავლოთ ჩვენი პარტიის სახელოვან გზას: დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია.

კონტრრევოლუციის განადგურება სამოქალაქო ომში.

კაპიტალისტური ქვეყნების ინტერვენციის სრული ლიკვიდაცია.

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაცია.

პირველი სტალინური ხუთწლიელების განზორციელების საფუძველზე ჩვენს ქვეყანაში უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენება.

მეორე მსოფლიო ომში გერმანიისა და იაპონიის ფაშისტური ტირანიის განადგურება.

ომის შედეგად დანგრეული სახალხო მეურნეობის უსწრაფესად აღდგენა, მისი შემდგომი განვითარება და ქვეყნის მტკიცედ დაყენება სოციალიზმიდან კომუნისმში თანდათანობით გადასვლის ფართო გზაზე.

აი, ეს უბრალო ჩამოთვლაც კი იმ უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის აქტებისა, რომლებიც განზორციელდნენ ჩვენი პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, ცხადყოფს ამ პარტიის ძლიერებასა და უძლეველობას. სწორედ ამიტომ უწოდეს ჩვენს პარტიას, როგორც ამხანაგი სტალინი ამბობს, — „მომე პარტიების წარმომადგენლებმა, რომლებიც აღტაცებული იყვნენ ჩვენი პარტიის სიმამაცითა და წარმატებებით, მსოფლიო რევოლუციური და მუშათა მოძრაობის „დამკვრელი ბრიგადა...“

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე ეს „დამკვრელი ბრიგადა“ ერთადერთი იყო და მას თითქმის მარტოდმარტო უხდებოდა შეესრულებინა თავისი საპატიო როლი.

და აი, პირველად თავის ისტორიაში, ჩვენი პარტია მივიდა თავის XIX ყრილობაზე, როცა ის უკვე ერთადერთი „დამკვრელი ბრიგადა“ კი აღარ არის, არამედ მას გვერდში უდგანან სხვა „დამკვრელი ბრიგადებიც“, „როცა ჩინეთიდან და კორეიდან ჩეხოსლოვაკიამდე და უნგრეთამდე გაჩნდნენ ახალი „დამკვრელი ბრიგადები“ სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების სახით...“ (სტალინი).

XIX ყრილობას ლენინ — სტალინის პარტია შეხვდა ისე ძლიერი, ისე შემკიდრობებული და დარაზმული თავისი ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ, ბრძენი ბელადის — დიდი სტალინის ირგვლივ, როგორც არასდროს. XIX ყრილობამ შეაჯამა ჩვენი პარტიის უდიდეს ბრძოლათა და გამარჯვებათა შედეგები და დასაბა კომუნისმისაკენ შემდგომი ძლევა-მოსილი სვლის დიადი პროგრამა. XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი სახავენ სოციალიზმის ეკონომიკიდან კომუნისმის ეკონომიკაში გადასვლის გზებს.

ყრილობის მიერ მიღებულ პარტიის ახალ წესდებაში განსაზღვრულია პარტიის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე:

„ამჟამად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთავარი ამოცანები ის არის, რომ ააშენოს კომუნისტური საზოგადოება სოციალიზმიდან კომუნისმში თანდათანობით გადასვლის გზით, განუწყვეტლივ აამაღლოს საზო-

გადგომის მატერიალური და კულტურული დონე, ზარდოს ხაზოგადობების წყევრები ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური კავშირის დამყარების სულისკვეთებით, ყოველმხრივ განამტკიცოს საბჭოთა სემშობლოს აქტიური თავდაცვა მისი მტრების აგრესიული მოქმედებისაგან“.

პარტიის XIX ყრილობის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე გამოქვეყნდა ამხანაგ სტალინის ახალი გენიალური შრომა: „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“. ეს შრომა, რომლითაც ბრძენმა ბელადმა დიდად წასწია წინ მარქსისტულ-ლენინური თეორია, მეცნიერულ საძირკვლად დაედო XIX ყრილობის მთელ მუშაობას.

სტალინური მეცნიერების ნათელი შუქით არის განათებული ყრილობის მთელი მასალა დაწყებული ამხანაგ გ. მ. მალენკოვის ბრწყინვალე საანგარიშო მოხსენებიდან საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ — დამთავრებული სხვა მოხსენებებითა და ყოველი დელეგატის სიტყვით.

ამხანაგმა სტალინმა მთელი ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი და ყველა მომე კომუნისტური პარტია შეაიარაღა სოციალიზმისა და თანამედროვე კაპიტალიზმის ეკონომიკური განვითარების კანონთა ღრმა მეცნიერული ცოდნით. მან გენიალური სიცხადითა და სიზუსტით დაამუშავა სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები, განსაზღვრა სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი და დასახა სოციალიზმის ეკონომიკიდან კომუნისმის ეკონომიკაში თანდათანობით გადასვლის ნათელი გზა.

ამხანაგმა სტალინმა გვიჩვენა, რომ საზოგადოების ეკონომიკური განვითარების კანონებს, ისე როგორც ბუნების კანონებს, ადამიანები კი არ ქმნიან და კი არ იგონებენ, არამედ ეს კანონები არსებობენ ობიექტურად, ადამიანთა ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლად. ადამიანები მხოლოდ შეიცნობენ, დაეყრდნობიან და გამოიყენებენ ამ ობიექტურ კანონებს საზოგადოების სასარგებლოდ, ცხოვრების უკეთესად მოწყობის სასარგებლოდ.

განსაკუთრებით დიდია თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონისა, რომელიც აღმოაჩინა და ჩამოაყალიბა ამხანაგმა სტალინმა.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოს მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება — უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე, სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით.

ამრიგად, სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონიდან გამომდინარეობს ის, რომ სოციალისტური წარმოების მიზანია ადამიანი თავისი მზარდი მოთხოვნილებებით, ადამიანთა ბედნიერი ცხოვრების შექმნა, ხოლო ამ მიზნის მისაღწევი საშუალებაა თვით სოციალისტური წარმოება, მისი განუწყვეტელი ზრდა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე.

სულ სხვაა კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოს მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების მიღება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის გზით.

ამრიგად, კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონიდან გამომდინარეობს ის, რომ კაპიტალისტური წარმოების მიზანია მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების მიღება, ხოლო

ამ მიზნის მისაღწევი საშუალებაა მშრომელთა კლასტაცია წარმოების პროცესში.

აი, რა პოლარულად საწინააღმდეგო ძირითადი ეკონომიკური წარმართავენ, ერთის მხრივ, სოციალიზმისა და, მეორეს მხრივ, კაპიტალიზმის განვითარებას. ამ კანონთა დაპირისპირებიდან დღესავით ნათელია სოციალისტური საზოგადოების განუზომელი უპირატესობა დრომოკმულ, ლობად კაპიტალისტურ სისტემაზე.

ჩვენი პარტიის XIX ყრილობის მიერ მიღებულ დირექტივებში სსრ კავშირის განვითარების 1951 — 1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ნათლად მოჩანს ის, თუ როგორ ბრძნულად იყენებს ჩვენი პარტია სოციალიზმის ძირითად ეკონომიკურ კანონს ხალხის ინტერესებისათვის, კომუნისკამის მშენებლობის ინტერესებისათვის. ამ დირექტივებში ასახულია სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნები — ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის ქვეყნის სოციალისტური წარმოების გეგმიური ზრდისა და გაფართოების ამოცანები.

„მეხუთე ხუთწლიანი გეგმა, — ნათქვამია დირექტივებში, — განსაზღვრავს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას და უზრუნველყოფს ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომ მნიშვნელოვან ამაღლებას.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულება წინადადებული დიდი ნაბიჯი იქნება სოციალიზმიდან კომუნისკამისაკენ განვითარების გზაზე...

ეს (მეხუთე) ხუთწლიანი გეგმა კვლავ ცხადყოფს მთელი მსოფლიოს წინაშე სოციალიზმის დიდ სასიცოცხლო ძალას, მეურნეობის სოციალისტური სისტემის ძირეულ უპირატესობებს კაპიტალისტური სისტემის წინაშე. ეს ხუთწლიანი გეგმა წარმოადგენს მშვიდობიანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გეგმას“.

ამხანაგმა სტალინმა გენიალურად გააშუქა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური წარმოებისა და საკუთრების ორი ფორმის — საერთო-სახალხო საკუთრების და საკოლმეურნეო-ჯგუფური საკუთრების არსებობა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური მოვლენები.

ის პერსპექტივები და ამოცანები, გეგმები და მიზნები, მასშტაბები და მეთოდები, რომლებიც დასახა ჩვენი პარტიის XIX ყრილობამ, არსებითად მიმართული არიან სოციალიზმიდან კომუნისკამში თანდათანობით გადასვლის იმ სამი ძირითადი პირობის შემზადებისაკენ, რომლებიც ასე მკაფიოდ განსაზღვრა ამხანაგმა სტალინმა.

როგორია ეს სამი ძირითადი პირობა?

ჯერ ერთი, საჭიროა მტკიცედ უზრუნველყოთ მთელი საზოგადოებრივი წარმოების, უპირატესად კი წარმოების საშუალებათა წარმოების განუწყვეტელი ზრდა. წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა საჭიროა არა მარტო იმიტომ, რომ მან მოწყობილობებით უნდა უზრუნველყოს როგორც საკუთარი წარმოებანი, ისე სახალხო მეურნეობის ყველა დანარჩენი დარგის წარმოებანი, არამედ იმიტომაც, რომ უმისოდ საერთოდ შეუძლებელია გაფართოებული რეპროდუქციის განხორციელება.

მეორე, საჭიროა თანდათანობით გადასვლების გზით, რომლებიც განხორციელდება ისე, რომ სარგებლობას მოუტანს კოლმეურნეობებს და, მაშახალამე, მთელ საზოგადოებას, — ავიყვანოთ საკოლმეურნეო საკუთრება

საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე, ხოლო საქონლის მიმოქცევა ისევ თანდათანობითი გადასვლების გზით შეეცვალოთ პროდუქტების გაცვლის სისტემით, რათა ცენტრალურმა ხელისუფლებამ ან სხვა რომელიმე საზოგადოებრივ-ეკონომიკურმა ცენტრმა შესძლოს საზოგადოებრივი წარმოების მთელი პროდუქციის ხელში აღება საზოგადოების ინტერესებისათვის.

მესამე, საჭიროა მივალწიოთ საზოგადოების ისეთ კულტურულ ზრდას, რომელიც საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფს მათი ფიზიკური და გონებრივი უნარის განვითარებას, რათა საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა ჰქონდეთ მიიღონ საკმაო განათლება იმისათვის, რომ გახდნენ საზოგადოებრივი განვითარების აქტიური მოღვაწენი, რომ მათ ჰქონდეთ პროფესიათა თავისუფალი ამორჩევის შესაძლებლობა და შრომის არსებული განაწილების ძალით არ იყვნენ მთელ ცხოვრებაში მიჯაჭვულნი ერთ რომელიმე პროფესიაზე.

ამხანაგ სტალინის ამ გენიალური პროგრამიდან აშკარაა, რომ სოციალიზმიდან კომუნისმში გადასვლისათვის თანაბრად აუცილებელია საზოგადოების როგორც მატერიალური დოვლათის, ისე სულიერი დოვლათის სიუხვე.

რასაკვირველია, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, არასწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ შრომის არსებულ მდგომარეობაში სერიოზული ცვლილებების მოუხდენლად შეიძლება მივალწიოთ საზოგადოების ყველა წევრის ისეთ სერიოზულ კულტურულ ზრდას, რაც აუცილებელია კომუნისმში გადასასვლელად.

ამავე დროს კი სწორედ იმიტომ, რომ კომუნისტური საზოგადოების აშენების ერთ-ერთ ძირითად პირობას შეადგენს ჩვენი საზოგადოების ისეთი კულტურული ზრდა, რომ ყველა მისი წევრი გახდეს საზოგადოებრივი განვითარების აქტიური მოღვაწე და ჰქონდეს პროფესიათა თავისუფალი ამორჩევის შესაძლებლობა, — განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მთელს ჩვენს იდეოლოგიურ მუშაობას, ჩვენი კულტურული ფრონტის ყველა დარგის მუშაობას.

ჩვენი პარტიის XIX ყრილობამ უდიდესი ამოცანები დაუსაბა კომუნისტური კულტურის მშენებლობის ყველა დარგს, ყველა ბერკეტს. მათ შორის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ღირებულებებს სახალხო განათლების საქმის უდიდესი ფაფართოების შესახებ, კერძოდ — ათწლიანი სავალდებულო განათლებისა და პოლიტექნიკური განათლების განხორციელების შესახებ.



იმ მაღალ სულიერ ღირებულებათა შექმნის საქმეში, რაც ასე აუცილებელია სოციალიზმიდან კომუნისმში გადასვლისათვის, უდიდესი როლი ენიჭება საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებას. „საბჭოთა კულტურის უმნიშვნელოვანესი და განუყოფელი ნაწილია ლიტერატურა და ხელოვნება, — ამბობს თავის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგი გ. მ. მალენკოვი. — ჩვენ დიდი წარმატებები გვაქვს საბჭოთა ლიტერატურის, სახვითი ხელოვნების, თეატრის, კინოს განვითარებაში“. მაგრამ ამავე დროს ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა მთელი სიმკაცრით ამხილა ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების სერიოზული ნაკლოვანებანი. ეს მკაცრი და სამართლიანი კრიტიკა არის პარტიის უდიდესი და უაღრესად ქმედითი დახმარება საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი.

სამწუხაროდ, ჩვენ შორის აქა-იქ კვლავ მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომელთაც არ ესმით, რომ ნაკლოვანებათა კრიტიკა არის ყველაზე მახვილი იარაღი, ყველაზე აქტიური ფორმა დახმარებისა ამ ნაკლოვანებებში დისციპლინად. ასეთ ადამიანებს ლიტერატურასა და ხელოვნებაში, თუ ისინი არ გათავისუფლდებიან კრიტიკის მოუთმენლობის ავი სენისაგან, არ შეუძლიათ შექმნან რაიმე მნიშვნელოვანი.

პარტია, საბჭოთა ხალხი დიდ მოთხოვნებს უყენებენ საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებას. საბჭოთა ადამიანები, რომელთა იდეური და კულტურული დონე განუზომლად ამაღლდა, დღეს ყველაზე მოწინავე მკითხველები არიან. მთელ მსოფლიოში. ამიტომ მათ გულს ვერასგზით ვერ მოიგებს სუსტი და სქემატური მხატვრული ნაწარმოები. საბჭოთა ადამიანები ვერ ურიგდებიან ლიტერატურაში ჩაშრეტილ საღებავებს, აზრებისა და გრძნობების სიღარიბეს, სიტყვების რახარუხს, უფერულობას, უიდეობას და სიყალბეს. ამავე დროს კი ასეთ მომთხოვნ მკითხველებს ჩვენი ლიტერატურა აწვდის ბევრ ისეთ ნაწარმოებს, რომელთა მხატვრული და იდეური დონე ძლიერ დაბალია.

საბჭოთა მხატვრულმა ნაწარმოებმა მკითხველი უნდა გაამდიდროს ახალი აზრებითა და გრძნობებით, უნდა აღაფრთოვანოს იგი. მაგრამ ის მწერალი, რომელსაც თვით არ გააჩნია ფართო თვალსაწიერი და წერს მიშვებულად, წერს იმას, რაც კალმის წვერს მოჰყვება, უშეკვლად, ზიანს აყენებს დიდი ლიტერატურის განვითარების საქმეს. ნაწარმოები, რომელიც არ იწერება დიდი შემოქმედებითი დაძაბულობით, ღრმა იდეური გააზრებით და ცხოვრების მდიდარი ცოდნით, — ყოველთვის ყალბი და უსუსურია.

განა ჩვენში ჯერ კიდევ არ მოიპოვებიან ისეთი ლიტერატორები, რომლებიც სწორედ მზარდ იმისათვის, რომ სწერონ და თავისი გვარი მოაწერონ, სწერონ და პირადი სარგებლობა მიიღონ, ხოლო იმას კი არ დაეძებენ, თუ რა იდეურ-მხატვრული ღირებულებისაა მათი ნაწერები. იმის შედეგად, რომ ნაწარმოებში ყოველი ფრაზა, ყოველი სტრიქონი და ყოველი სახე არ არის შექმნილი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით ხალხის წინაშე, — ვღებულობთ ნაწარმოებს, რომელიც ამაზინჯებს ჩვენს სინამდვილეს. ასეთი ნაწარმოები კი ხალხურული ნაწარმოებია.

პარტია მოითხოვს გადამწყვეტი ბრძოლის გაჩაღებას ხალხურის წინააღმდეგ ჩვენი ლიტერატორებისა და მხატვრების მუშაობაში.

პარტია, დიდი სტალინი საბჭოთა ლიტერატურას ყოველთვის აძლევდნენ და აძლევენ ისეთ მახვილ თეორიულ იარაღს, რომლის სწორი მომარჯვებით მას შეუძლია ჩვენი დიადი ეპოქის შესაფერისი დიდი მხატვრული ტილოების შექმნა. ამის ერთ-ერთ ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენს XIX ყრილობის ბრძნული სიტყვა საბჭოთა ლიტერატურის განვითარების შესახებ.

მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პრობლემების გაშუქებაში, საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკების შემოქმედებითი მეთოდის გამახვილებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტიპიურობის საკითხის იმ შესანიშნავ გადაწყვეტას, რომელიც მოცემულია ამხანაგ გ. მ. მალენკოვის მოხსენებაში.

„ჩვენს მხატვრებს, ლიტერატორებს, ხელოვნების მუშაკებს, — ამბობს ამხანაგი მალენკოვი, — მხატვრული სახეების შესაქმნელად თავიანთ შემოქმედებითს მუშაობაში მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ ტიპიურია არა მარტო ის, რასაც ყველაზე ხშირად ვხვდებით, არამედ ის, რაც ყველაზე მეტი სისრულით

და სიმახვილით გამოხატავს მოცემული სოციალური ძალის არსს. მარქსის-ტულ-ლენინური გაგებით ტიპური სრულიადაც არ ნიშნავს რაღაც სტატისტიკურ საშუალოს. ტიპურობა შეესაბამება მოცემულ სოციალურ-ისტორიულ მოვლენის არსს, და მხოლოდ იმას როდი წარმოადგენს, რაც ყველაზე გავრცელებულია, ხშირად მეორდება, ჩვეულებრივია. შეგნებული გადამეტება, გამახვილება კი არ გამოორიხავს ტიპურობას, არამედ უფრო სრულად, უფრო მკაფიოდ გვიჩვენებს მას. ტიპურობა რეალისტურ ხელოვნებაში პარტიულობის გამოვლინების ძირითადი სფეროა. ტიპურობის პრობლემა ყოველთვის პოლიტიკური პრობლემაა“.

ტიპურობის ეს მეტად ღრმააზროვანი განსაზღვრა ეყრდნობა სტალინურ მოძღვრებას საზოგადოებრივი ცხოვრების დიალექტიკური განვითარების შესახებ. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ცხოვრებაში რაღაც ძველი ყოველთვის კვდება და რაღაც ახალი ყოველთვის იბადება. ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, მომავლადესა და დაბადების პროცესში მყოფს შორის შეადგენს განვითარების საფუძველს. რასაკვირველია, ცხოვრებაში მთავარს, ძირითადს, პროგრესულს, განვითარების არსის გამოხატველს წარმოადგენს ის ახალი, რაც იბადება და ვითარდება. მაგრამ ეს ახალი ყოველთვის როდია ფართოდ გავრცელებული, ხშირად იგი ცხოვრების ზედაპირზე არც კი ჩანს, იგი ზოგჯერ სინამდვილეში შემოსულია ნაწილობრივ, ხოლო სრული სახით იგი არსებობს შესაძლებლობაში. და როდესაც პროგრესული აზრი, პროგრესული შეგნება სწვდება ამ ახალს არა მარტო იმ ნაწილში, რომელიც უკვე გამოჩენილია სინამდვილეში, არამედ იმ ნაწილშიც, რომელიც მოცემულია შესაძლებლობაში, — ამით შეგნება კი არ შორდება მოვლენის რეალურ არსს, არამედ, პირიქით, უფრო ღრმად გამოხატავს მას. ის საბჭოთა მწერალი, რომელიც შეგნებულად აღიერებს, ამეტებს, ამახვილებს თავისი დადებითი გმირის, ვთქვათ, რომელიმე მაღალ მორალურ თვისებას, რაც, შესაძლოა, არცთუ ისე გავრცელებულია დღეს, მაგრამ საერთოდ მაინც არსებობს როგორც კომუნისტური მორალის არსებითი ელემენტი, — კი არ ლალატობს ცხოვრების სიმართლეს, არამედ, პირიქით, უფრო ღრმად გამოხატავს მას.

ხშირად არც ძველი, უარყოფითი და მავნე მოვლენების არსი ჩანს მკაფიოდ ცხოვრების ზედაპირზე. ამიტომ უარყოფითი მოვლენის არსის გამოსახატავადაც საჭიროა ღრმად ჩახედვა მის ფესვებში, მისი ტიპურობის მიგნება. რასაკვირველია, ეს უარყოფითი შეიძლება ტიპური იყოს მხოლოდ თავის წარმავლობაში, თავის კვდომაში, თავის შეურიგებელ წინააღმდეგობაში სოციალისტურ გარემოსთან.

შეგნებული, ღრმა იდეური დამოკიდებულება ცხოვრების სიმართლისადმი, სინამდვილის მოვლენის შინაგანი არსისადმი მოასწავებს შემოქმედლის პარტიული თვალსაზრისის გამოვლენას.

ის მწერალი კი, რომელიც რაიმე გარკვეული იდეური მიმართების გარეშე ჩვენი ცხოვრების ტიპურ ქმედით ძალად გვიხატავს, ვთქვათ, ისეთ ადამიანს, რომელიც არც თავისი ფსიქოლოგიური წყობით, არც აღზრდითა და განათლებით, არც ზნე-ჩვეულებებით არ მოდის ჩვენი ხალხის ცხოვრების სიღრმე-დან, — ლალატობს ცხოვრების სიმართლეს და ამახინჯებს ჩვენს სინამდვილეს.

პარტია მოითხოვს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნებისაგან ცხოვრების წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების გაბედულად ჩვენებას. კრიტიკის იარაღის გამოყენებას აღზრდის ქმედით საშუალებად. **სოციალისტური ხელოვნების ძალა და მნიშვნელობა**, — ამბობს ამხანაგი გ. მ. შალენკოვი, — ის არის, რომ მას შეუძლია და კიდევაც უნდა გამოავლინოს და გვიჩვენოს რიგითი ადამიანის მაღალი სულიერი თვისებები და მისი ხასიათის ტიპური დადებითი ნიშნები, შექმნას მისი მკაფიო მხატვრული სახე, რომელიც სამაგალითო და მისაბაძი იქნება ადამიანებისათვის“.

იმ გრანდიოზული ამოცანების შესრულების საქმეში, რომლებიც ჩვენი პარტიის XIX ყრილობამ, ჩვენმა ბრძენმა ბელადმა — დიდმა სტალინმა დასახეს, მცირე როლი როდი ენიჭება საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებას, როგორც მასების კომუნისტური აღზრდის, ადამიანთა კომუნისტური სულიერი სამყაროს ფორმირების მძლავრ იარაღს.

ამ როლის პირნათლად შესრულებას საბჭოთა ლიტერატურა შესძლებს მხოლოდ მაშინ, თუ იგი განუხრელად და მტკიცედ იხელმძღვანელებს შემოქმედების სტალინური მეთოდით — სოციალისტური რეალიზმის მეთოდით. სოციალისტური რეალიზმი კი, უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს ნათელ იდეურ მიზანდასახულებას და უსაზღვრო ერთგულებას პარტიისა და ხალხისადმი, ცხოვრების სიმართლისადმი.

ჩვენი პარტიის პოლიტიკა არის საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველი. იგი ყველაზე მკაფიო გამოხატულებაა პარტიისა და საბჭოთა ხალხის ინტერესთა განუყრელი ერთიანობისა. საბჭოთა ლიტერატურას კი არ შეიძლება ჰქონდეს სხვა ინტერესები, გარდა ხალხისა და პარტიის ინტერესებისა. საბჭოთა ლიტერატურა ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს წინ, თუ იგი არ იხელმძღვანელებს პარტიის პოლიტიკით, მისი დიადი პროგრამითა და მოძღვრებით.

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა უპირველესი მოვალეობაა ჩვენი პარტიის XIX ყრილობის შედეგების — კომუნისმის მშენებლობის ამ დიადი პროგრამის საფუძვლიანი შესწავლა. ეს მისცემს მათ იმ მთავარ იარაღს, რაც აუცილებელია ჩვენი დიადი ხალხის შესაფერისი დიდი მხატვრული ნაწარმოებების შესაქმნელად.

## ქართულ დღეებზე ქალს

★

არ დაელიოს თვალში ნათელი,  
ვინც შენ  
ნათელა დაგარქვა, ქალო;  
სახელოვანო, შენი სახელით  
მეც დამდგომია სიმღერის ალო...

მე კარგად მახსოვს შენი სოფელი,  
შენი ფანდური ლარებ-წყრიალა;  
სოფელს —  
შრილა ბინდით მოფენილს —  
შენ აშუქებდი, მთვარე კი არა...

მაგრამ ლამაზი ლამაზთა შორის  
ულამაზესად დაგსახე მაშინ,  
როცა გმირული  
ბრძოლით და შრომით  
დაიმორჩილე მდინარე მთაში;

როცა ცერებზე შემართულები  
ცეცხლად აქციე  
ცივი ჩქერები,  
როცა ციმციმა ელნათურებით  
მოხიბლე თვითონ  
თბილისელებიც...

გინდა ნათელი მოპფინო ყველგან,  
აკი ნათელა გქვია კიდევაც.  
შემოგპარვია ახალი დღევა, —

და აწმყო  
ახალ წინსვლას გპირდება...  
ილეღე ასე!  
ამ დიდ თაღებქვეშ  
გახშირდეს შენი გაციკროვნება;  
ილეღე ასე!  
ღელღის გარეშე  
უფერულია კაცის ცხოვრება...  
ან მშვიდად როგორ დარჩები, როცა —  
ტაშის გრაალში მიპყავთ ყრილობა;  
როცა  
ბელადი ღიმილით გმოსაეს, —  
და გრძნობ სამშობლოს  
მხრებგაშლილობას.

გიყვარს სინათლე,  
სიმართლევ  
გიყვარს  
და შენც ამიტომ უყვარხარ ყველას;  
გიბრძანონ,  
მჯერა — გაასწრებ გრიგალს  
და ყარა-ყუმში გაჩნდები ხელად...

არ დაელიოს თვალში ნათელი,  
ვინც შენ  
ნათელა დაგარქვა მართლა;  
სახელოვანო, შენი სახელით,  
ღე, იამაყოს საბჭოთა ხალხმა...

## დეკლარაცია

\*

გნახეთ მოსკოვში დიდი ბელადი,  
კრემლის დარბაზი შევძარივ ტაშით,  
ვამას ყიყინით ვქუხდით, ვლელავდით,  
ვგრგვინავდით, როგორც ჩანსქერი  
მთაში.

დინჯად გვისმენდა ბრძენი მლიმარი,  
ვინც შეგვისრულა, რაც გვინატრია,  
ვისი სარდლობით მუდამ წინ არი  
გმირი ხალხი და გმირი პარტია.

გულის სათქმელიც იმას ვუთხარით,  
ვინც მოგვიტანა დარი მზიანი:  
— შრომობს ამ ქვეყნად,  
როგორც ფუტკარი,  
ჩვენი ღროების ადამიანი.

— უწყლოდ იწვოდა წინათ სამგორი,  
მიწას თუთქავდა პაპანაქება,  
ახლა აცოცხლებს ივრის ამბორი,  
საშვილიშვილო არხის აგება.

— მორთო კოლხეთი ჩაის ხავერდმა,  
ორგელივ ნარინჯთა ოქრო ციმციმებს,  
ქართლიც განახლდა, გადასხვაფერდა,  
ადარ იგონებს ჟამთა სიმძიმეს.

— გზა შეეუცვალეთ დონსა და  
ვოლგას —  
პურის მოსავლის ნაცად ფალავნებს;  
ახლა ორივე კაშხალთან ბორგავს,  
ჩაბში ატარებს გემთა ქარავნებს.

— დნებრის ტალღებსაც ვუცვლით  
კალაპოტს,  
არ დავაცალეთ უქმად დინება.  
ყამირს მანქანით გულ-მკერდ განაპობს  
ჩვენ ვაგრძნობინეთ აღორძინება!

— მედგრად შევებით ზვიად  
მწვერვალებს,  
სადაც არწივთა საბუღარია.  
ჩვენი შეტევით შფოთავს, მღელვარებს  
წყალბობოქარი ამუ-ღარია.

— მალე შევბოქავთ გიყმაყ  
მდინარეს,  
მოვრწყავთ უდაბნოს მისი ჩქერებით;  
მინდვრად ხორშაკი ვერ იმძვინვარებს  
ტყეთა გალავნებს დანაძგერები.

— ჩვენ დავამარცხებთ სტიქიონს  
ქვეყნად,  
უნდა გარდაექმნათ ურჩი ბუნება,  
გვინდა პამირზეც სიცოცხლე შეექმნათ,  
ციტ რომ ქუხილი ეგუგუნება. —

ერთხმად ვუთხარით მშობლიურ  
ბელადს:  
— შენ შეგვისრულე, რაც გვინატრია,  
შენ გზას უნათებ კრემლიდან ყველას,  
ყველგან იმარჯვებს შენი პარტია.

იცოცხლე, ვიდრე ლიახვს და არავგს  
მტკვართან ბუტბუტი არ მოსწყინდება,  
ვიდრე მზის სხივი ცაფირუს ქარგავს,  
ხალხში ისმოდეს შენი დიდება.

## მომოხიერ პარტიას

★

როგორც ყოველთვის, მტერს ბრძოლის ველზე,  
კვლავ შევაგებებთ ჩვენ მკერდს ნატყვიარს,  
გზა გაუნათე კაცობრიობას,  
შენ, მშობლურო ჩვენო პარტიაე!

ხალხმა იწამა, ხალხი მიჰყვება  
ნათელით მოსილ დიად ქარტიას,  
შენი საქმენი მზესავით ბრწყინავს,  
გამარჯვებულო ჩვენო პარტიაე!

შენდამი დიდი ერთგულებისა  
ჩვენს გულში მუდამ ცეცხლი ანთია,  
ბელადი იყავ, ხარ და დარჩები,  
შენ, კომუნიზმის დილო პარტიაე!

დიად ეპოქას, ჯერ არსადნახულს,  
სტალინის ხელი ყველგან ატყვია,  
კვლავ მოგვიწოდებ გამარჯვებისკენ,  
გამობრძმედილო ჩვენო პარტიაე!

გვიახლოვდება შუქი ნათელი,  
მუდამ შევხარით დღეს ლაქვარდიანს,  
მტკიცედ მივყევართ კომუნიზმისკენ  
ლენინ — სტალინის დიად, პარტიას!

# ახალი კომიზომნი

რომანი \*



5119  
1937

რაიკომის მდივანმა შორიასლოს გაჩე-  
რებული შატბია და სულიკო რომ შენი-  
შნა, ცნობისმოყვარეობით ჰკითხა სა-  
ბას.

— ეს ჰაბუკები ვის ელოდებიან?  
— შენი ნახვა უნდათ, ამხანაგო  
ბეგლარი! თბილისელი მოქანდაკე ყოფი-  
ლა, მეშახტეთა კლუბისათვის ქანდაკე-  
ბის გაკეთება ჰქონია დაეალებული.  
მეორე კი ნიკო არაბიძის ვაჟია.

საბამ ხელით მოიხმო შატბია და  
სულიკო; თბილისელი სტუმარი ბეგ-  
ლარს გააცნო.

რაიკომის მდივანი ერთ-ორ წუთს  
ესაუბრა ყმაწვილებს, მერე ისევ საბას  
მიუბრუნდა.

— იმოდენა ხე-ტყე რომ დაგიღუპი-  
ათ, რას აპირებთ? მარტო ზარალი კი  
არა, ეს მარცხი დიდი სირცხვილიცაა.

რაიკომის მდივანი მოულოდნელად  
სულიკოსა და შატბიას მიუბრუნდა:


— ეხლა საით აპირებთ?

სულიკომ უმაღ დაუსახელა მასპინ-  
ძლის გვარი. აჰ, სოფელში სულიკოს  
ერთი ამხანაგის ნათესავი მართლაც  
ცხოვრობდა და იღბლად დროზე გააბ-  
სენდა იგი. რახან რაიკომის მდივანმა  
ქანდაკების შესახებ ახლა არ ისურვა  
მოლაპარაკება, სულიკომაც ისე მოაჩ-  
ვენა თავი, თითქო სოფელში დასახე-  
ლებული ნაცნობის სანახავად წამოსუ-  
ლიყოს.

— მაშ, კარგი, დამირეკეთ რაიკომ-  
ში და, თუ ამ საღამოს არა, ზვალ დი-  
ლით მაინც მეცლება, ყველაფერზე  
დაწერილებით მოვილაპარაკოთ. ესკი-  
ზების წამოღება არ დაგავიწყდეთ.

გამოემშვიდობა თუ არა ყმაწვილებს,  
ბეგლარმა სწრაფად გაუხვია მარჯვენა  
და დაქანებულ კლდოვან ფერდობზე  
გაჭრილი საცალფეხო ბილიკით დაემ-  
ვა ქვემოთ.

ბეგლარმა გულდასმით დაათვალიერა  
ის ადგილი მდინარის პირას, საიდანაც  
წყალმა ხე-ტყე გაიტაცა. იგი დარწმუნ-  
და, კოლმეურნეებს კიდევ რომ შეეტ-  
ყოთ მდინარის მოდიდება, ვერაფერს  
ელონებდნენ, რიყის ქვით მოფენილი,  
ციწრო ნაპირი, სადაც ხე-ტყე ეწყო,  
წყალს სწრაფად დაუფარავს, კლდოვან  
ქანობზე კი ფეხის მოკიდება და სტი-  
ქიასთან ბრძოლა წარმოუდგენელი იყო.  
რასაკვირველია, თუ ვინმე საბას ბრალს  
დასდებდა, მხოლოდ იმაში, რომ იმ  
საღამოსვე არ ამოზიდეს მდინარის  
პირას დაგროვილი მორები. საბას, მარ-  
თალია, გასამართლებელი საბუთი ჰქონ-  
და — მანქანებს ვერ მოუცლებოდათ.  
რემ მორების გამოზიდვა გუშინ დილი-  
თვე სდომებია.



XXI

შატბიამ სულიკოს სოფელი დაათვა-  
ლიერებინა;

მერე ჰაბუკები მზიარულად გაუყენენ  
შინისაკენ. გზაში ტირიფს ახალი

\* დასასრული. იხ. „მნათობი“  
2. „მნათობი“, № 10.

საქართველოში  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ნაყარო, ორ-ორი ტოტი ააჭრეს, ერთი ტოტის ტყავი მეორეს თავში მოაბეს და ორღობეში ამ მათრახის შხუილით, ხეხილის ფოთლებზე ცემით ირთობდნენ თავს. ტირიფის ტყავს ისეთი ტლაშენი გაუდიოდა, სროლა გეგონებოდათ; ძაღლებიც ამ ხმაზე ხან ერთი ეზოდან გამოგებებოდნენ გააფთრებული ყეფით, ხან მეორედან.

სულიკო ისე ბედნიერად გრძნობდა თავს, ისე აგონებდა თავის ბავშვობას ეს ორღობე, ეს ხეხილი, ბაღ-ბოსტანი, კრამიტით დახურული სახლები, ძაღლების ყეფა, გზადაგზა ღობის ჩრდილში ჯგუფ-ჯგუფად თავშეფარებული, შუადღის სიცხისაგან შეწუხებული ქათმების, ინდაურების, ორ-სამგან ეზოში ჭასთან დაგუბებულ მღვრიე ტბორში ბატების ქუყუქალაობა, ფრთების ფართქენი, რომ აქაურობის მიტოვება ეძნელებოდა.

ორღობე რომ უკან მოიტოვეს და გორაკის ფერდობიდან გაშლილ სივრცეს გახედეს, სულიკო ახლა სხვაგვარმა უნამა და ოცნებამ შეიპყრო. ერთგან გზის პირას შეჩერდა, ხეობის გაღმა მხარეს დაუწყო ცქერა. გაღმა მთის, ხეობისკენ მიქცეული კლდოვანი ფერდობი ისე აზიდულიყო, რომ სიდიადის და სიამაყის გრძნობას აღვიძებდა მაყურებელში.

ჭაბუკები ერთხანს მდუმარედ გასცქეროდნენ თვალწინ გადაშლილ სანახობას. შატბიასაც მოეწონა მოპირდაპირე მთის თითქმის შეუღლად ჩამოკვეთილი კლდოვანი მყერდი. მისი ფიქრით, ამ მთის პროფილს უეჭველად დაამშვენებდა მონუმენტური ორ-სამ ფიგურიანი კომპოზიცია.

ეს აზრი სულიკოსაც მოეწონა. იქვე, გზის პირას, ფერდობისაკენ წაქანებული ხის ჩრდილქვეშ დაჯდა, შარვლის წინა ჯიბიდან ცარცის ფერების კოლოფი ამოიღო, პატარა ალბომი გაშალა და იმ კლდის გადმოხატვას შეუდგა. როცა ამ

საქმეს მორჩა, ზედ ორი ფიგურაც მოათავსა, მაგრამ კლდისა და ფიგურების შეფარდება ვერ მოახა, ნახატის სანაცოლო გამოუვიდა. ფურცელი; ამოხია და გადააგდო, მეორედ შეუდგა ხატვას. ერთი შეხედვით, ამ კლდის გადმოხატვაზე ადვილი არაფერი იყო, მაგრამ ნახატში სულიკოს მაინც ვერ მიეღწია იმ პროპორციისა და მონუმენტურობასათვის, რაც ამ კლდისათვის ასე დამახასიათებელი იყო.

შატბია, აქამდე რომ თავზე ადგა სულიკოს და ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს მისი ხელის მოძრაობასაც და გაპირვებასაც, ახლა თვითონაც მოერია ეინი, თითქო კლდესთან შეკიდებდას აპირებდნო, ისე მიაპყრო მას თავისი მხერა, მერე თვითონაც სულიკოს შორიხლოს ჩამოჯდა, გადაგდებული ფურცელი აიღო და ფრჩხილით თავგადააჩიჩქნილი შავი ფანქარი მოიმარჯვა. ფურცლის სუფთა მხარეზე კლდის გამოხატვას შეუდგა. ის ხან კლდეს გასცქეროდა, ხანაც თავის ნახატს უბრუნდებოდა, ფანქრის წვერს დროდადრო მარჯვედ გაპყრავდა აქაიქ, უკვე საკმაოდ გამორკვეულ ნახატს.

შატბია შუა ხატვაში იყო გართული, როცა სულიკომ მესამე ფურცელიც ამოხია, გადააგდო და მაშინ პირველად მიაქცია ყურადღება, აღმაცერად გააპარა შატბიასაკენ მხერა. ამან უფრო გაუღვიძა ინტერესი, თითქო შეჯიბრებაში გამოუწვევით, უფრო მეტის მონდომებით და დაკვირვებით შეუდგა ფურცელზე კლდის გადმოხატვას, მაგრამ ახლა სულ დაიბნა, თითქო სხვაგან იყურებო, თვალი ერთს ხედავდა, ხელი მეორეს ხატავდა. სულიკომ მეოთხე ნახატსაც ბრახით დაუსვა ჯვარედინად ხაზები და ალბომი დახურა. შატბიას ნახატს ახლა უფრო თამამად გადახედა, მიუხედავად პრიმიტიული შესრულებისა, მაინც მოეწონა, რადგან ნახატი გემოვნებით იყო გაკეთებული.

შატბია ჯერ კიდევ იმ ერთ ნახატს ჩსციებოდა, ისე განიცდიდა რასაც აკეთებდა, არც კი შეუმჩნევია სულიკოს წამოდგომა. სულიკო შატბიას ზურგს უკან აეტუზა და მისი ხელის მოძრაობას დააკვირდა. შატბიას კარგად გადმოეცა კლდის ხასიათი. კლდის თავზე ფიგურებიც ისე მარჯვედ იყო მოთავსებული, სულიკოს ცოტა შურიც კი აღეძრა გულში. მან აშკარად იგრძნო, რომ შატბიას საგნის მხატვრულად დანახვის და გადმოცემის უნარი უხვად ჰქონდა მონიჭებული. სულიკო — აკადემიის მეორე კურსის წარჩინებული ფრიადოსანი სტუდენტი — უკვე მზად იყო თავისი ფარ-ხმალი იმ ქაბუჯის წინაშე დაეწყო, რომელმაც ჯერ არც მხატვრობის აკადემიური ანბანი იცოდა და არც სამხატვრო აკადემიის მისამართი.

როცა შატბიას ნახატს თავი ანება და გაიხედ-გამოიხედა, გაუკვირდა, სულიკოს რომ ვერსად მოჰყრა თვალი; ზურგიდან უცებ სულიკო სწედა მის ნახატს და ხელიდან გამოსტაცა.

შატბია მარდად წამოდგა.

შატბიამ ერთი კი გაუღიმა, მერე ნელა დახარა თავი.

სულიკო ერთხანს ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა ნახატს, მერე იგი აეტორს გაუწოდა, შატბიამაც უმაღლესად ნაოართვა იგი და ორად მოკეცვა დაუპირა, მაგრამ სულიკომ შეჰყვირა:

— ნელა, ბავო! გასაფუძვებლად კა არ დამიბრუნებია... აგერ, კუთხეში წამიწერე — სახსოვრად სულიკოს! სოფელი, თარიღი და შენი... გვარი.

შატბიამ ექვით ახედა და გაუღიმა, ხულიკოს ნათქვამი ხუმრობა ეგონა.

— დამცინი?

— შენ როგორც გინდა, ისე იფიქრე, როგორც რაც გითხარი, გარკვევით წამიწერე, არ მიჯღაბნო.

შატბიას მინც ვერ გაეძედა სულიკოს თხოვნის შესრულება. ხელი კრ-ემორჩილებოდა, ვიდრე სულიკომ დადგენა ძალით არ წააწერინა ფურცლის კუთხეში. შემდეგ შატბიას ნახატი ალბომის სუფთა ფურცლებს შორის ფრთხილად მოათავსა, ალბომი ილიაში ამოიღო და მეოცნებე კაცის კილოთი შენიშნა: — ვინ იცის, იქნებ ოდესმე ეს ესკიზი საფუძვლად დაედოს ჩვენ ოცნებას და იგი სინამდვილედ იქცეს...

მათ ისევ მხიარულად განაგრძეს გზა. ახლა შატბია ცოტა უფრო თამამად გამოსტქვამდა თავის აზრებს, რახან სამხატვრო აკადემიის სტუდენტი მას ასე ამხნეებდა.

სულიკო გარეგნულად კვლავაც მხიარული ჩანდა, მაგრამ რა წუთსაც მან შატბიას ნიჭის ძალა და აშკარა უპირატესობა იგრძნო, შატბიასთან ახლო რატომღაც ისე თავისუფლად ეელარ ეკვირა თავი; გვერდით რომ მიჰყვებოდა, ზედავდა, რომ არა თუ ტოლი, ცოტათი მასზე უფრო მაღალიც იყო, მაგრამ თავის სიმაღლეში უპირატესობის მაგივრად ახლა რაღაც სასაცილოს და არახელსაყრელ განსხვავებას ზედავდა.

## XXII

ბეგლარი და საბა ერთად გაემგზავრნენ შახტისაკენ. ნახევარი გზაც არა ჰქონდათ გავლილი, რომ ერთგან ძალაუნებურად მოუხდათ შეჩერება. ეიწრო, მაგრამ ღრმა ხეცზე გადებული ხის ხიდის შუა ბოძებისათვის მოვარდნილ წყალს საყრდენი გამოეთხარა; სიმძიმისაგან ხიდის ცალი კოჭი ჩაზნექილიყო. ნაპირსაც ისე დაეწია, ხიდზე გავლა აღარ შეიძლებოდა.

მოუერმა მანქანა ხიდის პირთან დააყენა: თვითონაც შენიშნა, მეორე მხრიდან მომდგარმა ხალხმაც ასტეხა ყვირილი: — ხიდი დაზიანებულია.

ბეგლარი და საბა უმალ მანქანიდან გადმოვიდნენ.

— როდის დაზიანდა ხიდი? — იკითხა ბეგლარმა, როცა ხიდი გულდასმით დაათვალიერა.

გარკვევით არავის შეეძლო რამე ეთქვა. ხიდი, უთუოდ, წუხელ მოვარდნილ წყალს უნდა დაეზიანებინა.

— რამდენი ხანი დასპირდება შავის აღდგენას? — კვლავ იკითხა რაიკომის მდივანმა.

— ამხანაგო ბეგლარ, რაც მალე იქნება, ჩვენთვისაც უკეთესია, მაგრამ... ხვალ ამ დრომდე მაგას, მგონია, არაფერი ეშველებათ! — უთხრა ერთერთმა კოლმეურნემ.

ბეგლარი ფერდობიდან კვლავ გზაზე ამოვიდა, მაჯის საათს აჩქარებით დახედა და გარსშემოკრებილ კოლმეურნეთ დინჯად ჩამოუთვალა, თუ რა უნდა გაეკეთებინა.

— მე აქედან არ წავალ, — განაგრძო მან, — სანამ ხიდს არ აღუადგენთ, ხიდი კი... — მან თვალი მოავლო ირგვლივ თავმოყრილ ხალხს, რომელსაც თითო-ოროლა კაცი დროდადრო ემატებოდა, — ხიდი კი ერთ საათში უნდა იქნეს აღდგენილი..

მართალია, რაიკომის მდივნის სიტყვები ბეჯითად იყო წარმოთქმულა, მაგრამ იქ მყოფთა სახეზე იმ სიტყვების გაგონების უმალ გავრცელება აღიბეჭდა.

— რას უპირებთ ჩაის ფოთლით დატვირთულ საბარგო მანქანებს, იმათი შეჩერება ხომ ერთი წუთითაც არ იქნება!.. — დინჯად შენიშნა ბეგლარმა და ამ შენიშვნამ უცებ ისე გამოაცოცხლა ყველა, გაგიკვირდებოდათ.

ბეგლარმა სწრაფად დარაზმა ხალხი, ყველას საქმე გაუჩინა, სწორედ ის დრო იყო, როცა კოლმეურნეთა ერთი ნაწილი სამუშაოდან სახლისაკენ ეშურებოდა. ვინც გაღმიდან მოადგებოდა ხიდს, ან გამოღმა გამოჩნდებოდა, ბეგლარი და საბა უმალ საქმეში აბამდნენ. ზოგს

თქმაც არა სპირდებოდა. დაინახვდნენ თუ არა გაცხარებულ მუშაობაში კოლმეურნეებთან ერთად ჩაბმულ რაიკომის მდივანსა და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, თვითონაც ხალხით ებმებოდნენ საქმეში.

ქვემოთ, ხევში, ხიდისკენ დიდ ქვებს ეზიდებოდნენ ბოძების საძირკვლის გასამაგრებლად. საყრდენისათვის საბარგო მანქანაზე გამოხმული დიდი მორიცი მოიტანეს. ბირდაბირი, ნაჯახები, თითო მტკაველა ლურსმნები, ბარები, წერაქვები ნანატრივით ერთბაშად განჩნდა. ცოტა ძელის საყრდენის აწევა და ხილქვეშ შეყენება გაუჭირდათ, მაგრამ ამ საქმესაც მალე გაართვეს თავი. ყველა ცხადად ხედავდა, რის შემძლეა ერთობა და სწორად წარმართული ძალა. ბეგლარი და საბა, სადაც მეტი გასაჭირი იყო, სწორედ იქ განდებოდნენ ზოლმე. როცა ხიდის ქვემოდან მესამე საყრდენი შეუყენეს, ჩაზნექილი ნაპირი ასწიეს და გამართეს, ღურგლები უმალ შეცვივდნენ ხიდზე, ახლადშედგმული საყრდენის ადგილას ორი ფიცარი ააძვრეს, თოკის კიბით ხიდის ქვეშ მოექცნენ და საყრდენის გულმოდგინედ გამაგრებას შეუდგნენ. ბოძის გამართვის უმალ კოლმეურნეთა ერთი ნაწილი, ზემოთ რომ მუშაობდა, მერე ქვემოთ საყრდენის გამაგრებლებს ჩაეშველა, მუხლებზემოთ შარვალაკარწახებული კაცები წყალში შევიდნენ. ახლა ბეგლარიც ქვემოთ იყო, ბერკეტებით ლოდების გადაგორებასა და საყრდენის გამაგრებაში ეშველებოდა დანარჩენებს.

საქმეს რომ მორჩნენ და შუბლზე ღვარად დადენილი ოფლი გადაიწმინდეს, ზოგს ჯერ კიდევ არა სჯეროდა, თუ ბეგლარის სიტყვა გამართლდა, ასე მალე საქმედ იქცა.

იმ ერთ საათს ხალხი ისე ვატაციებით და დაძაბული მუშაობდა, დალლა მართო მაშინ იგრძნეს, საქმეს რომ მორჩნენ და წელში გაიმართნენ.

წელან რომ ისე მარჯვედ და თავდადებით მუშაობდნენ, ბეგლარმა რამდენიმე ყმაწვილი ახლა თავისთან მოიხმო. სახელდახელოდ, სხვა რომ ვერაფერი მოიგონა მათი მუშაობის შესაქებად, უთხრა — თქვენისთანა მარჯვე ბიჭები შახტშიაც ივარგებდნენო.

ყმაწვილებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს.

— ამხანაგო ბეგლარ, ვივარგებდით და ზოგს კიდევ გვინდოდა შახტში მუშაობა, მაგრამ... ვინ გვიშვებს, — წყენით შენიშნა ერთმა.

ბეგლარმა საბას გადახედა, გაუცინა. მერე კვლავ ყმაწვილებს მიუბრუნდა.

— ყველას ვერა, მაგრამ როცა შესაძლებელი იქნება ზოგიერთს, ჩემი თხოვნით, ალბათ, გაგიშვებთ ამხანაგი საბა.

ახლა ხიდის თავსა და ბოლოში, ქვემოთ ზევშიაც იმდენი ხალხი მოგროვილიყო, ზემი გეგონებოდათ. აკი განცვიფრდნენ კიდევ შახტშია და სულიყო, როცა ამ ადგილს მიაღწიეს. შეიტყვეს თუ არა, რაშიაც იყო საქმე, გული დაწყდათ, რომ ამ ამბავში მონაწილეობა ვერ მიიღეს.

ხევიდან ბილიკით გზაზე ამოსულმა ბეგლარმა გადახედა შახტისასა და სულიკოს.

— დაიგვიანეთ! — შენიშნა ქაბუკებს. მერე ხალხს დაემშვიდობა, მანქანაში ჩაჯდა, შახტისასა და სულიკოსაც, თითქო უბრძანებსო, ისე ანიშნა ხელით — მანქანაში ჩასხედით, წაგიყვანათო. შახტშია და სულიკო საბასთან ერთად მანქანაში ჩასხდნენ. წვიმის დროს ურმის ბორბლებით გაკვალული ტალახი ახლა ვიწრო ლარებივით აჩნდა მიწას. გამხმარი, დაფშენილი ტალახის გორბეზებზე მანქანა ისე ხტოდა და ირწეოდა აქეთ-იქით, რომ ძალიან ძნელი იყო წონასწორობის შენარჩუნება; უკან მსხდომნი წამდაუნუმ ეხლებოდნენ ერთმანეთს.

რაიკომის მდივანი უკანა სავარძლისაკენ შებრუნდა, სადაც შახტშია და სულიკო ისხდნენ. მარცხენა ილიით

შოფრის სავარძლის სახურავს ეყრდნობოდა, ხელიც მაგრად ჩაეკვლო მისთვის.

— თქვენ თუ იცით, რომ აქ ჩვენცა გვყავს მოქანდაკე! — უთხრა რაიკომის მდივანმა სულიკოს.

— როგორ არა, — უბასუხა სულიკომ. — იგი უსათუოდ დიდი მოქანდაკე დადგება.

— ვინაა ასეთი?! — იკითხა გაკვირვებულმა საბამ.

— მართლა არ იცით?! — შეხედა სულიკომ საბას და შახტშიაზე ანიშნა.

— სამხატვრო აკადემიაში რომ ისწავლო, არ გინდა? — ჰკითხა ბეგლარმა შახტშიას.

— მინდა, მაგრამ...

— მერე რა გიშლის ხელს?

— მამა მისი სხვა აზრისაა, ამხანაგო ბეგლარ. — შახტშიას მაგივრად სულიკომ გასცა პასუხი მდივანს.

— რაო?

— სწორედ გუშინ გვეკამათებოდა... ჩემს გვარს შახტში მუშაობის ტრადიცია აქვს და შახტშიაც შახტში სამუშაოდ უნდა დარჩესო.

ერთხანს კრინტი აღარავის დაუძრავს. ყველანი ცნობისმოყვარეობით ელოდნენ, რას იტყოდა რაიკომის მდივანი.

— საბა, როგორ ფიქრობ, — დაადგვია ბოლოს სიჩუმე მდივანმა და ხუმრობის კილოთი განაგრძო. — ერთ კაცს, შახტშიას შემცველს როგორმე გამოვნახავთ, არა?

— რას, ბრძანებთ, ამხანაგო ბეგლარ! თუ საჭირო იქნება, ამ ერთში, — შახტშიას მხარზე ხელი გადახვია საბამ, — ხუთ კაცს მივცემ. გამოწერილივით სწორედ ახლა მსურველებიც რომ მყავს!

— თუ შენი ნამდვილი მოწოდება მოქანდაკეობაა, ნიკოს მე მოველაპარაკები. ხელს ვერაფერი შეგიშლის! — მიუბრუნდა კვლავ რაიკომის მდივანი შახტშიას.

შატბიამ ისე შეხედა რაიკომის მდივანს, რომ მან უმალ ამოიკითხა ქაბუჯის მხერაში მადლობა და სიხარული.

### XXIII

ბუნკერის მხრიდან ის იყო დაიძრა ნახშირით დატვირთული ეშელონი. რაიკომის მდივნის მანქანას თავისუფლად შეეძლო გადაესწრო ეშელონისათვის, ლიანდაგს ათიოდე მეტრით-ღა იყო დაშორებული, მაგრამ ბეგლარმა შოფერს მანქანა გააჩერებინა და ცნობისმოყვარეობით იწყო ცქერა იქით, საიდანაც მატარებელი მოდიოდა. რახან მანქანა შეჩერდა, სულიკომ და შატბიამ დრო იხელთეს, უმალ გადმოვიდნენ, ბეგლარს და საბას დაემშვიდობნენ და მატარებლის ჩამოვლას აღარ მოუცადეს, ლიანდაგზე გადაიბრინეს.

ნახშირით დატვირთული მატარებელი დაღმართზე ფრთხილად მოჰყავდა მემანქანეს, ორთქლმავლის რიტმული ქშენა ყურთასმენას ახშობდა, აფუშფუშებული ორთქლი კი ბორბლებში იბლანდებოდა და ქრებოდა, ვაგონები ტაბით, ბორბლების ხმაშეწყობილი რაკაკით, ნახშირით გამოტენილი ფერდების ქრაკუნით მისდევდა ორთქლმავალს.

ამ სურათით კმაყოფილ, მანქანის სახურგზე მიწოლილ ბეგლარს სახეზე ღიმილი მოჰფენოდა. ის კარგად იცნობდა მთელ მიწისქვეშა მეურნეობას და ცხადად ჰქონდა წარმოდგენილი, რა გმირული შრომით იყო მოპოვებული უოველი ტონა ნახშირი.

როცა ეშელონმა ჩაიარა, შოფერმა ერთი კი გადახედა რაიკომის მდივანს, მერე მანქანა უცებ შეტოკდა ადგილზე და წინ გაიქრა. გადაიარეს თუ არა ლიანდაგი, იქვე შატბისაკენ გაუხეიეს. მანქანას ხან გზის მარჯვენით წამოუფრინდებოდა ხოლმე ქათამი გაკაპასებული კაკანით და ფრთების ფართქუნით, ხან მარცხნივ. ერთ-ორგან ბატებიც შემოხვდათ, მანქანის ხმაურზე მათაც იკადრეს

ფრთების გაშლა და ფეხის აჩქარება, ქვანახშირის მტკრით გადაშვეებული ფრთები რომ გამალეს, ფეხებიც ხაჩხაქული აქესო, შიგნიდან ისე უქათქათებდათ იგი.

შატბისაკენ მიმავალი გზის მარცხნივ და მარჯვნივ აქა-იქ ეყარა გაუხეეწავი ძელები, ჭადრაკულად ნაწყობი რკინიგზის ლიანდაგის დასაგები ნამორები, საშახტო მანქანები და ვაგონების უვარგისი, დამტვრეული და წვიმაში მუქყვითელი ჟანგით დაფარული ნაწილები. მარცხნივ, მანქანების შესაკეთებელი სახელოსნოდან ისმოდა ჩაქურების რიტმული რაკუნის და რკინის გლრიალ-ზუზუნის. წინ, ბუნკერის უშველებელი კოშკი სადარაჯო ჯიხურით ამართულიყო ცაში, საიდანაც ისეთი ხრიალ-გრიალი ისმოდა, ქუხილი გეგონებოდათ. შტოლნიდან დროდადრო, პაწაწინა ბორბლების რაკაკით ქიასავით გამოიკლავებოდა ხოლმე ნახშირით დატვირთული ვაგონეტების წყება. აკუმულატორული ელმავალი ზარის გაბმული წყარუნით მისრიალებდა ვიწრო ლიანდაგზე, რომელიც მიწას ძლივს აჩნდა.

ბეგლარის მანქანა კომბინატის მთავარ შესასვლელთან გაჩერდა. ბეგლარმა ერთი კი მოავლო თვალი იქაურობას, შორი-ახლოს მდგარ მუშების ჯგუფს ხელის დაქნევით მიესალმა. მანქანიდან სწრაფად გადმოვიდა.

ბეგლარი ქვის კიბეზე ავიდა, პირველი სართულის კარებთან შეჯგუფული მუშა-გოგონები და თანამშრომლები უცებ აქეთ-იქით გაიფანტნენ, რაიკომის მდივანს გზა მისცეს.

ბეგლარი დინჯად აღიოდა კიბეზე. საბა გამთენაძე გვერდით მისდევდა. სართულიდან სართულამდე, კიბის გასწვრივ, კედელზე პარალელურად იყო გაკრული გრძელი, წითელი მატერია, რომელზედაც თეთრი ფერით ეწერა ლოზუნგი, ხოლო ბაქანს ზემოთ, კიბის პირდაპირ დერეფანში შესასვლელი

კარის თავზე ეყიდა პლაკატი — პნევმატურ ჩაქუნჩომარჯვებული მეშახტის გამოსატულებით.

ბეგლარი და საბა მესამე სართლის ღერეფნის ბოლოში, შახტის უფროსის კაბინეტის წინ, მოსაცდელ ოთახში შევიდნენ. ფანჯარასთან გოგონა-მდივანი მანქანაზე რალაცას ბეჭდავდა, შემოსულთათვის ყურადღება არ მიუქცევია, რადგან მომსვლელი დღის განმავლობაში იმდენი იყო, თუ არაფერს ჰკითხავდნენ, თავს არ აიღებდა.

ბეგლარმა სახელური მოსწია, მაგრამ კაბინეტის კარი დაკეტილი დაუხვდა. როცა მდივნისაკენ გაიხედა, ის უკვე ფეხზე წამომდგარიყო, კარის გასაღებიც ხელში ჰქონდა მომარჯვებული.

— ახლავე გავაღებ! — სწრაფად წამოიძახა მან და კარს მიაშურა. — თვითონ კი არ გახლავთ, შახტშია, — უთხრა ბეგლარს და კაბინეტის კარი ფართოდ გაუღო.

— მალე დაბრუნდება?

— ვერ მოგახსენებთ, კარგა ხანია წავიდა...

— მოხდა რამე? — კვლავ იკითხა ბეგლარმა.

— მე მგონია, — ყოყმანით დაიწყო მდივანმა, — მე მგონია, არაფერი.

ბეგლარმა პაპიროსს მოუკიდა და კაბინეტში შევიდა. მდივანი ქალიც შეჰყვა, სკამი შესთავაზა.

— ერთი, შემიტყე, რომელ ჰორიზონტზე იმყოფება ლუკა, — დაავალა ბეგლარმა მდივან ქალს და ფანჯრისაკენ გაემართა.

მდივანმა დარეკა. აცნობეს, შახტის უფროსი უკვე წამოვიდაო. ეს ამბავი ბეგლარს მოახსენა თუ არა, როგორც შევიდა, ისე სწრაფი ნაბიჯით გამოეშურა უკან, კაბინეტის კარი ფრთხილად გამოიხურა და კვლავ საბეჭდ მანქანას მიუჯდა. ერთი წუთის შემდეგ ისევ გაიღო მოსაცდელი ოთახის კარი. ძველი მეშახტე გერასიმე სოფრომაძე ფრთხილი ნაბიჯით შემოვიდა, კარის

ფრთხილად მიხურა და ბეჭდვით გართულ მდივან გოგონას ყურადღება რომ მიეპყრო, ერთი-ორჯერ დაიხედა. მდივანმა სწრაფად შეაღწო მას თვალი, მისალმებანედაც, თითქოს სხვათაშორის, სწრაფადვე უპასუხა და საბეჭდი მანქანის კლავიშზე კვლავ აათამაშა თითები.

— ლუკა მინდა ენახო, შეეალ! — უთხრა მან მდივანს.

— არ გახლავს, — სწრაფად, კლავირისათვის თვალის მოუშორებლად უპასუხა მდივანმა.

ამ პასუხზე უცებ საკვირველად შეეცვალა იერი ძველ მეშახტეს. მან ჯერ სასაცილოდ წაიგრძელა კისერი მდივან გოგონასაკენ, მერე ამაყად გასწორდა და მწყურალად სთქვა:

— თუ საქმე აქვს, მითხარი, თუ არა და, რას მატყუებს!.. ეზოდან, ფანჯარაში ჩემი თვალით რომ არ დამენახა... ა! ლაპარაკიც ისმის!

მდივნის პასუხს აღარ დაელოდა, სწრაფად სწვდა სახელურს, კარი გააღო და სახტად დარჩა. უკან გამობრუნება აღარ შეიძლებოდა, ბეგლარმა უკვე დაინახა გერასიმე, მიესალმა და თავისთან იხმო.

— ჩემთან გაქვს საქმე? — ჰკითხა ბეგლარმა შუა ოთახში შეგებებულ მეშახტეს.

— ჯერ არა, მაგრამ... მერე შეიძლება თქვენი შეწუხებაც დამკირდეს, ამხანაგო ბეგლარ!

— რაღა მერე, ახლა მითხარი, იქნებ არ შეეწუხებდე! — გაუღიმა, გაამხნევა. — ხომ არავინ გაწყენინა? მოხუცებს უბრალო რამეც კი სწყინთ ხოლმე!

— იქნებ მართლა... მაგრამ ჯერ თავს რომ ვერ ვატყობ მოხუცებას? არა, ამ საკითხზე ეჭიმსაც არ შეეაწუხებ, მე იმის მეშინია, ვაი თუ... ლუკასთან ჩხუბს ვერ ავცდე!

— ჩხუბსო?! რატომ, რისთვის, კაცო?.. როგორც ვიცი, ჩხუბის მომხრე არც შენ იყავი აქამდე, არც ლუკა!

— არ ვიყავი, მაგრამ... შე კაი კაცო, რიყის ქვა ზომ არა ვარ, წყლის ფსკერზე ვიქნები თუ ნაპირზე, სულ ერთი იყოს! ჩემი სიცოცხლე მიწის გულში გამიტარებია, ფრჩხილებით რომ ვპოტნიდი ქვანახშირს, მაშინ არ მიმიტოვებია იქაურობა და ახლა მივატოვო?

— ახლა ზომ დაგიფასდა!

— ძალიანაც დამიფასეთ, მაგრამ... ლუკა ნიორაძემ რომ გადაფასება მოინდომა, ეს როგორ იქნება?

ამ ლაპარაკში კაზინეტის კარი გაიღო და ლუკა შემოვიდა.

— ამხანაგ ბეგლარს გაუმარჯოს!

ბეგლარმა მოიხედა, მაგრამ სახე გამურული კაცი ვერ იცნო. ზრდილობისათვის თვითონაც უნასუხა, გაგიმარჯონო. მერე, რა იცნო, უცებ გაუცინა და ბუმბრობით ჰკითხა:

— გამდიდრებას აპირებ?

— ახლა მართლაც გამდიდრდით, ამხანაგო ბეგლარ, შახტი დიდის გადაჭარბებით ასრულებს გეგმას!

— თუ ამ წარმატებას შეინარჩუნებთ, გარდამავალი დროშები, იცოდეთ, თქვენს უბანში იფრიალებს!

— უნდა შევინარჩუნოთ!

— ამხანაგო ბეგლარ, ხუთმეტრიოდე წუთით თუ გამიშვებთ, ისე დავბრუნდები, თქვენს თვალს რომ ესიაშოვნოს!..

— არა, ვინ გითხრა, რომ შენი ცქერა ასე არ მესიაშოვნება?!. სწორედ ახლა გავხარ ქვანახშირის ფრონტზე გამარჯვებულ გმირს!

ლუკამ მეშახტის ქული მოიხადა, ფანჯრის რაფაზე დასდო. თავის რბილ სავარძელზე დაჯდომას რომ აპირებდა, უცებ გადაიფიქრა, ბეგლარისაკენ გადადგა ნაბიჯი.

— მაშ იქ, შენს დარბაზებში ზეი-მია — სოჭვა ბეგლარმა და ლუკას პაპიროსი შესთავაზა.

— ზეიმისა რა მოგახსენო, ძალიან მაგარი სიტყვაა!

თითქო პასუხით თავი მოსწონსო, ამ სიტყვებზე ისე გაუღიმა ლუკამ ბეგ-

ლარს და თმებზე დინჯად გადაისვა ხელი. ბეგლარის გამოხედვაზე და საბას შენიშვნაზე — „რას რღვევს ეს სახესო“, ლუკასაც უმაღლესი განკარგულება რომ ნახშირის მტვერით ჰქონდა გაშავებული, იქ მყოფთ ცალყბად გაუღიმა, დაიხედა, — კიდევ კარგი ხელის ჩამორთმევა მოვასწარიო, — იხუმრა და მყის სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

— ამხანაგო ბეგლარ, — დაიწყო მან საქმიანი კილოთი, — ამ თვეში ყველა უბანი ისე შეწყობილად მუშაობს, რომ გაგეხარდებათ. ყველა ბრიგადა, ყველა მწვრეველი, მტვირთაფი, მეზიგე გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებას. გადაჭარბებით სრულდება მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმებიც. გარდა იმისა, თქვენ რომ ერთი კვირის წინ ინახულეთ ორმოცდამეათე ჰორიზონტზე, უკვე მზად არის ახალი სამუშაო ლავი...

— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ... თქვენი მთავარი ინჟინრის სიტყვით შახტში ჯერაც თურმე არა ეკონომიურად ხარჯავენ მასალებს, ცუდად უვლიან მანქანა-იარაღებს.

— ჩვენ უკვე სასტიკად გააფრთხილეთ როგორც უბნის, ისე ცვლის უფროსები, ბრიგადირები და ახლა მასალის ხარჯვისა, თუ იარაღების მოვლის საქმე უკეთ არის მოგვარებული.

— ზოგან ძველ გამონამუშევარ უბნებში დასტოვეს რელსები, ახლად გახსნილ უბნებში კი რელსების დიდი ნაკლებობაა, — შენიშნა გერასიმემ.

— ახლა ნაწილობრივ ეგ შეცდომაც უკვე გამოსწორებულია, ჩემო გერასიმე.

— მოსკოვის ქვანახშირის ბასეინის შახტმშენებელთა მოწოდებას თუ გაეცანი? — ჰკითხა მდივანმა.

— როგორ არა!

— მაშინ შეგვიძლია პრაქტიკული ნაბიჯიც გადავდგათ, საჭიროა მოეწ-

ყოს შახტების მშენებელთა სოციალისტური შეჯიბრება.

— ვიფიქრებ და მოგახსენებთ, ამხანაგო ბეგლარ.

— ოღონდ მალე, — გაფრთხილების კილოთი შენიშნა ბეგლარმა ლუკას და მერე გერასიმესაც გადახედა.

გერასიმემ ბეგლარის შემოხედვაზე მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და თავი დახარა, მიხვდა რომ მისი საკითხის განხილვის ჯერიც დადგა.

— ლუკა, — კვლავ მიუბრუნდა ბეგლარი შახტის უფროსს, ბრევენტის კურტიკის ფოლაქზე ორი თითი მოსკიდა და ჯერ მოსწია, შემდეგ ნელა, მსუბუქად უბიძგა. — რა გინდა ამ კაცთან, ცუდი მეზობელია, ცუდი მუშაა, რომ არ ასვენებ?!

— კაცო, თუ მაგისტვის მოსვენება მეასე ჰორიზონტზე ყოფნაა, იყოს... შენ რომ სთავაზობ ნოლ ჰორიზონტს, იქნებ ეგეც დიდი თევზივით ზღვის სიღრმისაკენ ისწრაფვის, იქნებ არ უნდა ნაპირზე, თხელ წყალში ცერცეტი.

— ამხანაგო ბეგლარ, რასაც მე ვთავაზობ, მაგისტვის ახლა ისე სჯობია, — ლუკამ გერასიმესაც გადახედა, თავი დაუქნია, თითქო აფრთხილებდა, ურჩევდა დამიჯერეო, — გერასიმე ავადაა, გვერდი სტიკია.

— გვერდი? — გაოცებით, განგებ განვიადებული კილოთი იკითხა ბეგლარმა და თვითონაც გადახედა გერასიმეს.

— მაისობას ნაქიფარი ნოტიო მიწაზე წამოწოლილა და... მე რომ დავერთო ნება, ექიმი არ გაუშვებს!

— თუ ასეა, მაშინ... — ბეგლარმა ერთხელ კიდევ დახედა მაჯის საათს. — მაშინ, მოდით, ასე შევთანხმდეთ... ლუკა, შენ წინააღმდეგი ხომ არ იქნები? მივეცეთ ერთი თვით ამხანაგ გერასიმეს საგზური ზღვის კურორტზე. სწორედ კარგი დროა. დაისვენოს, იმკურნალოს და, მერე, ენახოს!..

— არ შემიძლია. — გადაკრით სთქვა ლუკამ.

— რატომ? — ცოტა არ იცინო, შეგვივირეებით იკითხა ბეგლარმა.

— ამხანაგო ბეგლარ, — გულმოსული კაცის კილოთი დაიწყო ლუკამ, — რამდენჯერაც მივეციოთ საგზური, იმდენჯერ, ხან ცოლი გაგზავნა, ხან ქალიშვილი, თვითონ კი აქედან ფეხი არ მოიცივლა!

ყველას გაეცინა.

— ალბათ, მაშინ ცოლ-შვილს ესაჭიროებოდა კურორტი, ახლა კი გერასიმე წავა. მივეცეთ, — სთქვა ბეგლარმა და გერასიმეს ბეჭზე ხელი დაჰკრა.

გერასიმე თავჩალუნული, დამუნჯებულივით იდგა, ლუკას და ბეგლარის ლაპარაკს უსმენდა, თან გუნებაში ფიქრობდა, — ახლა კი აღარ ამცდება კურორტზე წასვლაო.

— ერთი საკითხიც! — ბეგლარმა კვლავ მოსკიდა ლუკას ბრევენტის კურტიკის ფოლაქზე ორი თითი, — კაცო, შენს შემახტებებს გუშინ ძალიან უმარჯვენიათ, დიდძალი ხე-ტყე გამოუზიდავთ!..

— ამ წყალდიდობამ შეიძლება ვინმე დააქცია, მაგრამ... მე კი ამამშენა, უზომო ხე-ტყე გამოზიდეს ბიჭებმა... სულ ფიქვის ძელებია! ამხანაგო ბეგლარ, სასწაულოვითაა, საიდანაც არ მოველოდი, იქიდან მოვიდა!

ბეგლარმა ისე გადახედა საბახს, რომელიც ადგილზე უკვე ვეღარ ისვენებდა, რომ ლუკა უშალ ეპვით მიხვდა, რაშიაც იყო საქმე.

— შენ ხომ არ მოგტაცა წყალმა ის ხე-ტყე?..

— მე დამაქცია და შენ აუშენებხარ, ლუკა. — უთხრა საბამ შახტის უფროსს.

— არა, ჩემო კარგო, მე ასეთი აშენება არ მარგია, შენი ხე-ტყე შეგიძლია, როცა გინდა, მაშინ წაიღო.

— შენ როგორა გაქვს ხე-ტყის საქ-

მე? — ჰკითხა რაიკომის მდივანმა ლუკას.

— დამიგვიანეს მოწოდება.

— მერე, რას აპირებ?

— უკიდურეს შემთხვევაში, ძველი გამონამუშევრებიდან მოგვიხდება ხის მასალის გამოტანა.

— რამდენ დღეში მოელი ხე-ტყეს?

— გუშინაც ველოდით, დღესაც არა ჩანს. მე მგონია, ორ დღეს მაინც დააგვიანდება... ტრანსპორტს აბრალებენ!..

— როცა ვინმეს თავის გამართლება სწადია, მიზეზსაც ადვილად მონახავს, — დინჯად შენიშნა ბეგლარმა.

— ეგეც მართალია. — დამემოწმა ლუკა. — ამხანაგო ბეგლარ, თუ საბაბს ამით საქმე არ წაუბდება, ორი დღით მასესხოს ჩვენი მეშახტეებისაგან გადაჩენილი ხე-ტყე. ამასობაში მეც მომივია... ჩემი ფიჭვის ძელები, მაგის ხე-ტყეზე ნაკლები არ იქნება!

— ორი დღით? — ღიმილით იკითხა საბაბ, — სამით იყო.

— მეც მგონია, რომ აგრე აჯობებს, ამხანაგო საბა, — დამემოწმა ბეგლარი, — კლუბის აშენება დიდი ამბავია კოლმეურნეობისათვის, მაგრამ ორი დღით რომ ამ საქმეს დააგვიანდეს, არაფერია, ქვანახშირის გამოღება კი ორი წუთითაც ვერ შეჩერდება!.. მაშ, ამ საკითხშიაც შევთანხმდით, არა?..

— რასაკვირველია, შევთანხმდით, — უთხრა ლუკამ და ბეგლარის გამოწვდილ ხელს თავისი ხელი შეაგება.

— მარჯვედ იყავით! — დამშვიდობა ბეგლარი შახტის უფროსს, გერასიმეს და კაბინეტიდან ჩქარი ნაბიჯით გავიდა.

#### XXIV

ნიკო ამ კვირადღესაც ჩვეულებრივ აღიონზე გაეშურა შახტისაკენ: დასვენება სამშაბათობით უწევდა. ასმათი, ჩვეულებრივ, ქმარზე აღრე დგებოდა. საქმე სულაც რომ არა ყოფილიყო ოჯახში, მაინც რაღაცას გაიჩენდა.

მუშაობაში გართულს უყვარდა მავშვობაში ნასწავლი სიმღერების შესრულება, ღილინი.

გიმნაზიური

დღეს ნიკოს გული სხვაგვარად უძგერდა. გადასწყვიტა, ახალ უბანს დაბატონებოდა. ელიზბარის საუბრის შემდეგ საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ვალდებული იყო, ასე მოქცეულიყო. ელიზბარის სიტყვები ნუ გაგიტაცებს და თვალს ნუ აგიხვევს ის ამბავი, რომ შახტში ყველაზე მოწინავე უბნის უფროსი ხარ! იფიქრე შახტის სახელზედაც. რკინის ჯაჭვში ოქროს ერთი რგოლი დანარჩენებს ოქროდ ვერ აქცევსო, ახლაც ყურში ჩაესმოდა ნიკოს და მტკიცედ გადაეწყვიტა, რომ ახალ უბანშიაც თავი ესახელებინა.

შატბიასაც ჩვეულებრივ აღრე გაღვიძა, თავქვეშ ხელებზემოწყობილი ხან აივნის ქერს მისჩერებოდა, ხანაც ხის ტოტებს შორის ცის ლაქვარდს გასცქეროდა ოცნებით. ლაქვარდში ქარავანივით წაბმით მიზოზინებდნენ ათასნაირი ფორმის, ალაგ ბაცი, ალაგ მუქი ღრუბლის ქულები.

როცა სულიკომ გაიღვიძა, შატბია უმალ წამოიჭრა ზეზე, სტუმარს დილაშვიდობისა უთხრა, სწრაფად ჩაიკვა და ეზოში ჩავიდა. აივნის მოაჯირზე გადაყუდებული სულიკო შურით შეპყურებდა ცვარიან მდელიზე ფეხშველა მიმავალ შატბიას. თვითონაც ვერ გაუძლო ცდუნებას, პირსახოცს ხელი წამოავლო და ფეხშიშველა ჩავიდა ეზოში.

თითქო მიწაზე ფეხის დაბიჯება ვერ გაუბედიათ, კიბის ბოლო საფეხურზე შეჩერდა. მოულოდნელად შატბიამ სტაცა ხელი და ძალით გაიტაცა. სულიკომ უცებ ისე შეპყვირა, თითქო რამემ უჩხვლიტათ. სულიკოს მართლაც ეგონა, რაღაც შემესოთ, როცა მიწას შიშველი ფეხი დააბიჯა. შატბიამ მკლავში ხელი ჩასჭიდა, რამდენიმე ნაბიჯი ძალით გადაადგმევინა. სულიკო რომ კიჭყინებდა, თან სიმწრისა-

გან ეცინებოდა და კიდევ იმუქრებოდა, შატბიას ეს კიდევ უფრო ახალისებდა და ათამამებდა, სიცილს ვეღარ იკავებდა. ასმათიც სამზარეულოდან უთვალთვალებდა ამ სანახაობას, თან ცდილობდა, სტუმარს არ შეენიშნა.

უცებ ჩამოხვდნულა. გეგონებოდათ მზე სარკმელში იცქირებოდა და ფარდა ჩამოათარესო. შატბიამ სიცილი შესწყვიტა. ასმათმაც გააფრთხილა თავისი ვაჟი და სტუმარი, — შინ შედიეთო. ერთი-ორი წამის შემდეგ შორეული ქუჩილის ყრუ ხმაც ისე მოისმა, გეგონებოდათ ხის იატაკზე ცარიელ კასრს მიაგორებენო. შორს, ქედს ზემოთ, თითქო ზეცა გაიბზარაო, ერთის წამით ტეხილ ზაზივით გამოისახა ელვა და უშალ გაქრა. კვლავ მოისმა ყრუ გრგვინვა. გრგვინვის შორეული გამოძახილი ჯერ არ მიმწყდარიყო, რომ ერთხელაც ისე დაიბეჭა, კაცს ეგონებოდა, ცის თალი გასკდა და უნდა ჩამოქცესო. ცის გამოძახილმა თითქო მიწაც შეარყია, ყველაფერი გამოფხიზლდა, აფორიაქდა, მაგრამ წამსვე ისეთი სიწყნარე ჩამოვარდა, ისე გაყუჩდა მიდამო, იფიქრებდით, შიშმა ყველაფერს სული გააკმენდინა და ახლა ცის რისხვას უგდებს ყურსო. დუმილში კანტიკენტად გაისმა წვიმის წვეთების ფოთლებზე დაცემის ხმა. ქუჩილს მოჰყვა წვიმა. ალაგ-ალაგ ბალახით დაუფარავი, ეზოს ხროვი ადგილები და შარავზა მოყვითალო მიწა მსწრაფლ გაშავდა. ოღრიოლოებში წყალი ჩადგა. აივნის ქვეშ თავშეფარებული კბუტეები ცნობისმოყვარეობით გასცქეროდნენ ამ სანახაობას. წყლის გუბებში წვიმის წვეთები ციკვავდნენ.

როგორც მოულოდნელად დაიწყო, ისევე მოულოდნელად მისწყდა ქუჩილი, წვიმამაც თანდათან იკლო და ბოლოს გადაიღო; ცამაც თითქო გამურული პირი მოიწმინდა, გაიცრია მუქი ღრუბლები; აქ-იქ ლურჯად გამოანათა ცის თალი; მზის შუქიც ხან ერთ-

გან გამოაბყვებდა თვალს, ხან მერყე-გან. მზის შუქზე ბალახის ღრუბლებში და ხის ფოთლებში ლაპტანტანტანტანტან ახლა უკვე დაწმენდილი წვიმის წყლის გუბების სიღრმეში თავდაყირა მოჩანდა ცა და ღრუბლების მოზოზინე ფთილები.

აქამდე ხმაგაკმენდილმა ჩიტებმაც ფრთები შეიბერტყეს, თავშესაფრებიდან გამოფრინდნენ, ხის კეწეწებზე თამამად ჩამოსხდნენ და გამაყრუებელი ყიე-ყივი ასტეხეს.

შატბიამ ერთხელ კიდევ უყო ოინი სულიკოს; წვიმამ რომ გადაიღო, უცებ ხელი სტაცა მაჯაში, ღონიერად გასწია და გაიტაცა, ძალით გაარბენინა ეზოში სველ ბალახზე. შატბია თან ეწეოდა სულიკოს, თან ხარხარებდა, სულს არ ათქმევინებდა; სულიკოც იცინოდა და თან ყვიროდა — დაიცა, გეყოფაო, მაგრამ შატბიას არ ესმოდა მისი ხეწუნა-მუღარა. როცა მათ მუხას მიადწიეს და მის ტოტებს შეაფარეს თავი, შატბიამ აქაც არ მოახეხა სულიკო, შეუმჩნევლად მისწვდა ტოტს და უცებ დაარხია. ფოთლებზე შერჩენილი წვიმის წვეთები ღვარად წამოვიდა; სულიკომ ერთი ისე შეჰყვირა, მეზობლის ეზოში მედიდურად მოსვირნე, გაფხორილი ინდაური უშალ ისე გამოეხმარა ამ შეძახილს, თითქო წყრომით იკითხა, რა ამბავიაო!

სულიკო თან კისერს იმშრალებდა, სველ თმებს თითებით ივარცხნიდა, თან, ცერებაბზეკილ ფეხებს დასცქეროდა. მიუჩვეველს მალე შესცივროდა, ფეხის ფრჩხილები გალურჯებოდა. ეშინოდა არ გაციებულყო, მაგრამ ამის გამხელაც ესირცხვილებოდა, იღუმალ გული მოსდიოდა შატბიაზე. შატბია სრულებით არ უწევდა ანგარიშს სულიკოს გასაპირს, არხეინად გამოიყურებოდა.

— ცისარტყელა! — შეჰყვირა მან უცებ.

სულიკომ მოიხედა და აივანზე გამო-

სული მეგი რომ დაინახა, ეგონა შატბიამ ცისარტყელა ჩემს დას უწოდო. მაგრამ იმავე წამს მაღალ ხეთა კენჭებს ზემოთ ცის სიღრმეში ცისარტყელას ირიბ რკალს მოჰკრა თვალი.

— შენ მაინც რომელი ცისარტყელა უფრო მოგწონს? — იღუმალის ხმით ჰკითხა შატბიას.

შატბია ვერ მიხვდა, რას ეკითხებოდა სულიყო, მაგრამ ხელმოკრედ რომ გაიხედა სახლისაკენ და კიბის ბაქანზე გამოსული მეგი შენიშნა, სტუმარს ღიმილით გადახედა, ცალი მკლავი კისერსა და მხარზე გადახვია, ღონივრად მოხიდა, შეაჯღრია. სულიკოს წინააღმდეგობა არ გაუწევია, ესაიპოვნა, რის თქმაც ეწადა, რომ მიახვედრა. ერთხანს ასე იდგნენ ხელგადახვეულნი, მერე დინჯი ნაბიჯით გაეშურნენ სახლისაკენ.

მეგიმ ღრუბლიდან გამოსულ მზესავით შემოსცინა კიბის ბაქნიდან შატბიას, უცებ ისიც შენიშნა, რომ სულიყო ფეხშიშველა იყო, წარბები მწყურალად მოზიდა, მწყურალადვე ჩამოსძახა:

— შე სულელი... რომ გაცივდე?.. თმაბურდული, კრელი კაპოტით კიბის ბაქანზე გამოსული მეგი ისე გამოიყურებოდა, გაგიკვირდებოდათ, აგრე ყველაფერი როგორ უხდებოდა, როგორ იფერებდა. გრძელ კაპოტში ახლა უფრო მაღალიც ჩანდა, უფრო მიმზიდველიც.

შატბიას და სულიკოს დანახვაზე მეგიმაც მოისურვა ეზოში სველ ბალახზე გასეირნება. ტყავის ძირიანი ქოშები ჩაიკეა, ტანზე რომ მჭიდროდ შემოეკრა, უცებ მოურიდებლად გაშალა, გააფრიალა კაპოტის ფართო კალთები, მაგრამ ეს ისე მოხერხებულად მოიმოქმედა, რომ ქვემოთ, კიბის ძირას შეჩერებულ ვაეებს მისი, შავ საბანაო კოსტუმში გამოკვართული სხეული არ დაუნახავთ. როცა კიბეზე ჩამოდიოდა, მხოლოდ მაშინ დააკვირდა შატბია მჭიდროდ შემოხვეულ კაპოტში მის

მკაფიოდ გამოკვეთილ სხეულის ნაკვთებს და უნებლიეთ ეჩინებოდა ეს ქალიშვილი თინათს... გამამხმარე წინაო. ხელოვანის ალლოთი წინასწარვე ხვდებოდა შატბია, რომ მეგი მოქანდიკისათვის საუცხოო „მასალა“ იყო.

თუმცა მეგის ბალახში კაპოტის კალთის ბოლოები უსველდებოდა, მაგრამ ახლა ისე ესაიპოვნებოდა ბალახზე გავლა, რომ კაპოტისათვის აღარ ეცალა. ცალი ხელით კაპოტის კალთებს იმაგრებდა, მეორეთი დოინჯი შემოეყარა, ამაყად, უღარდელი აღამიანის თვალით შეჰხაროდა ცას, შორეულ მთებს, ბუნების აუწერელ მრავალფეროვანებას, აქეთ-იქით, შორიასლოს, ნორჩ თუ ბებერ ხეებს, რომელთა ფოთლები ახლა მზეზე ხალისიანად ლაპლაპებდნენ, აქიქ კი ფოთლების უხვ სიმწვანეში ამოწვილ, ცის ფონზე მკაფიოდ გამოკვეთილ ხმელ წიწვებზე, ერთმანეთის მიყოლებით ჩამწყრივებული წვიმის წვეთები აღმასის მარცვლებივით ციმციმებდნენ. ფართო ფოთლების საფარქვეშ შავ ლელვს უკვე სიმწიფის ფერი გადაჰკრავდა, ნამგლისებურ ფოთლებიან ატმის ხეს ჯერ ისევ მწვანე, კაკლისოდენა ნაყოფი ესხა. შავი ქლიავეები ისე დახუნძლულიყო ნახევრად მომწვანო, ნახევრადმოლურჯო ნაყოფით, ტოტები იზნიქებოდნენ.

კატა რომ ერიდებოდა ფეხის დასველებას, მეგი ახლა სწორედ ისე დააბიჯებდა ცერიან ბალახზე; ფოთლებს, ნაყოფს ხელს ფრთხილად შეახებდა და იტყოდა, რა ლამაზია.

ამ დილით მართლაც ყველაფერი ლამაზი და განსაკუთრებით მომხიბლავი იყო, მეგის სიხარული კი გულწრფელი. ცერიან ბალახზე სირბილით გული რომ იჯერა, კიბეს მიაშურა. შატბიამ სულიკოსთან თამაშს თავი ანება და ისიც კიბისაკენ გაემართა. გადაწყვეტილი ჰქონდა მეგის ახლო არ მიკარებოდა, მაგრამ გული მაინც მისკენ მიუწევდა, უიმისოდ გაძლება აღარ

შეეძლო, სულ ეწადა ექცირნა, მეგვი კი პირიქით, მას თითქოს სულაც არ აინტერესებდა, აქცევდა თუ არა შატბია მას ყურადღებას. მისკენ აღარც კი იცქირებოდა. სამაგიეროდ თავის გარეგნობის, თავის ჩაცმულობისადმი ახლა უფრო მეტ ყურადღებას იჩენდა, და ერთის მხრივ, თავისი გულგრილობით, მეორეს მხრივ თავისი კეკლუცობით, ჭაბუკს ახლა უფრო მეტად უფრო აღიზიანებდა და ახელებდა. მეგვი დღეს უკვე მასპინძელივით თამამი ჩანდა, შატბია კი სტუმარივით მორცხვი და მოკრძალებული.

შატბია ახლა გაშტერებული იყო ამ ქალიშვილის გულგრილობით, არ იცოდა, რით აეხსნა ეს ამბავი. თავისი გულისტკივილის გამხელა და გაზიარება არავისთვის შეეძლო. მეგვისაც, ცხადია, განმარტებას ვერ მოსთხოვდა, რადგან არავითარი ვალდებულება მათ ერთმანეთთან არ აკავშირებდა; ასეთ დაუფიქრებელ ნაბიჯს შეეძლო შატბია უფრო სასაცილო მდგომარეობაში ჩაეგდო.

— შატბია, ხედავ? — ჩამოსძახა ზემოდან მეგვი კიბის ძირას შეჩერებულ ვაჟს, ცალი ხელით დოინჯი შემოიყარა, მეორეთი სივრცე მოხაზა და ოცნებით განაგრძო, — რა დილა გაიყენდა, რა ლამაზია აქაურობა!

შატბიამ მოკრძალებით გაიღიმა, მეგვის მრავალმნიშვნელოვნად მიუტყო:

— ვინც თავისი სილამაზით ასე ბედნიერია, მისთვის რატომაც არ იქნება ლამაზი ყველაფერი?..

მეგვის ცისკენ ოცნებით მიეპყრო მზერა, მერე ვაჟს ერთი მომზიბლავად გადმოხედა ზემოდან და ჩქარი ნაბიჯით კიბეზე ჩავიდა. მხარზე ხელი მოსკიდა შატბიას.

— რა სთქვი? გაიმეორე!

— უკეთესს გეტყვი! — დიმილით, ფარული სიხარულით შენიშნა შატბიამ. მაგრამ ამ დროს ჭიშკრის კრიალზე მობრუნდა თუ არა, თვალი მოჰკრა

ეზოში შემოსულ ლელას და გაჩუმდა. ლელამ მეგვის ერთი პატარა ქალაქი ნიყვი მოართვა, რომელშიც ამ დღეებში მახლობელ ტყეში დაეკრიფა. მეგვის ამის მეტად არ ენახა სოკოების მეფე და დიდხანს ატრიალებდა ხელში ლამაზ ნაყოფს. შესაწევად და შესაქმეოდ ენანებოდა. ლელამ, შეატყო რა ამ მცირედი ძღვენით დიდად რომ ასიამოვნა სტუმარი, შეჰპირდა რახან ასე მოგეწონათ, კიდევ მოგიკრეფავთ და მოგართმევთ.

მეგვი ნიყვი დეიდა ასმათს მიუტანა, თან გააფრთხილა, როცა მის გაკეთებას შეუდგებოდა, დამიძახეთ, უნდა ვუცქიროო.

უცებ მათი ყურადღება ქალის კვილმა მიიქცია. ყველანი იქით გაიქცნენ, საიდანაც კივილი მოესმათ. შატბია წინ მიბრუნდა. მეგვის სირბილში ქოში წასძვრა და ძალაუნებურად სველ ბალახზე რომ დააბიჯა შიშველი ფეხი, მსუბუქად შეჰკივლა, მაგრამ უმალ განზე გადაეარდნო ქოში ფეხის წვერით ახლო მოსწია, ჩაიკვა და კვლავ სირბილით გაეშურა შემთხვევის ადგილისაკენ.

ასმათი, დარეჯანი, სულიკო და შატბია პატარა მარნის შორიხლოს შეჯგუფებულიყვნენ და რალაცაზე გამალებით ბჭობდნენ, თანაც მალიმალ შემფოთებით იმზირებოდნენ შენობისაკენ. მიუახლოვდა თუ არა მათ მეგვი, ასმათმა სულიკოს და შატბიას ხელი წაავლო, ძალით სცადა მათი მოშორება, მეგვისაც უმალ შესძახა, — ნუ მიღიხარ, საშიშიაო. თვითონ კი ისევ შენობისაკენ მიბრუნდა, თვალთვალი განაგრძო.

სახლის უკანა მხარეს, დარეჯან-ბეგბია აიეანზე ლოგინებს რომ ამხეურებდა, უცებ გაუგონია და კიდევ დაუნახავს, რომ ლობის გასწვრივ ჩიტი გამწარებით რალაცას თავს დასჰაპაპებდა და ასე, ფრენით, ფრთხილ-ფრთხილთ მიჰყვებოდა შორიხლოს. როცა ბოლოს, დარეჯან-ბეგბიას თვალი მოუკ-

რავს ყორის მხრიდან როგორ მოიკლაკნებოდა ქვეწარმავალი მარნისაკენ, როგორ შეძერა მარნის კარის კუთხის ხერელში. მაშინდა მიმხედარა, გველს უთუოდ სადმე ბუჩქში ჩიტის ბუდისათვის მიუგნია და ბარტყი შეუქამიო. მიტომაც ასე მოთქვამდა საბრალო დედა ჩიტი. ქვეწარმავლის დანახვის უმალ დარეჯანმა კვილი მორთო. ის სულ სჩიოდა, ახლოს ვერაფერს ვხედავ, ნემსში ძაფს ვეღარ ვუყრიო, მაგრამ ახლა დარწმუნდა, რომ შორს მხედველობა სინერეშიაც კი საჭირო ყოფილა.

საილენძის ქვაბით შუაცეცხლზე შემოდგმული ქათმის გასაფუფქი წყალი უკვე ხვარხვალედა, მაგრამ ასმათს ახლა ქათმისათვის აღარ ეცალა; რომ არაფერს მოეტაცნა, დაკლულ ქათამს ხის დიდი გობი წააფარა; მერე სადღაც გამდნარ გოგირდში ამოვლებული ქაღალდის გრძელი ნაჭრები გამონახა, ჯამში ჩასდო და ცეცხლი მოუკიდა, ნელა იწყო რხევა მოლურჯო ალმა. გოგირდის ჯამით ასმათი მარნისაკენ გაეშურა. კარებთან შატბია შეეგება, ჯამის გამორთმევა ეწადა, მაგრამ დედამ ხელისკერით მოიშორა იგი; მარნის კარი ფრთხილად გააღო და შიგ შევიდა; ჯამს დაბლა სწევდა, მკრთალ ალს რომ გზა გაენათებინა. წინ, ახლო-მახლო არაფერი ჩანდა. ასმათმა ფრთხილად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, აღმოდებულ გოგირდიანი ჯამი შუა მარანში დადგა, კიდევ გაიხედ-გამოიხედა, მერე, აუჩქარებლად, თითქო აქ არაფერიო, უკან გამობრუნდა.

ახლა ყველანი მარნის შორიახლოს იდგნენ და მოუთმენლად ელოდნენ გველის გამოჩენას; დრო გადიოდა, ის კი არა ჩანდა. ასმათი ფიქრობდა, რაკი ამდენხანს არა ჩანს, უსათუოდ კასრში, ან დაყირავებულ ჭურში შეძერებოდაო. თუ ასე იყო, ვიდრე გოგირდის სუნი ძალიან არ შეაწუხებდა, იქაურობას არ მიატოვებდა.

პირველად მეგიმ შენიშნა იგი და

თუმც ხიფათი არაფერი მოელოდა, მაინც უნებლიედ შეჰკივლა. უმელ, სახლის უკანა აიენის კიბეზე, შიგნით, საში საფეხური ისე აირბინა, ეტყობოდა, შიშისაგან ახლა არა მარტო ხმა, მუხლებიც უკანალედა; გულიც ისე უძგერდა, თვალელებიც ისე გაფართოვებოდა, შატბიამ რომ შეხედა, შეშინებული მეგი სასაცილოდაც ეჩვენა და შესაბრალისადაც.

ამასობაში გველი, ოდნავ მაღლა თავაწიეული, ასხმულ რგოლებივით შავად მბზინავ ტანის ელასტიური ჭიმვით და კუმშვით ძვრებოდა ხერელიდან. ჯერ ის ნელა, ფრთხილად მოიწევდა, მერე უეჭველად შენიშნა რა შორიახლოს აღამიანები, სწრაფად გამოცურდა, თავი ჯერ მაღლა ასწია, მზერა აქეთ-იქით მიმოატარა, მერე ტანთან ერთად თავიც მიწას გააკრა, ბალახბულახში მიმალული, კვლავ იქით გასრიალდა, საიდანაც წელან მოვიდა.

შატბიამ უცხად დედას მოჰკრა თვალი, რომელიც სარმომარჯვებული მოიწევდა უწმინდურისაკენ. შატბიამ დედას სარი უმალ გამოგლიჯა ხელიდან და ძირს ფრთხილად დადო. იცოდა, გამოცდილი იყო, ვიდრე ასმათი დაპკრავდა, ის შეიძლება ელვის სისწრაფით სარს შემოხვეოდა, ხელმეორედ მისი აწევის დროს თავზე დასცემოდა კაცს და დაეგესლა. უწმინდურს ამასობაში კიდევ მიედწია ყორემდე. შატბია ყორეში თავშეყოფილ გველს კულში სწევდა. უცებ რაღაც შავმა გაიელვა ჰაერში და თავით რიყის ქვებზე დათხლული გველი ახლა კუბრში ამოვლებული ბაწრის ნაგლეჯივით დაეცა მიწაზე.

შატბიამ უკან რომ მოიხედა, გაეციანა. ასმათს შიშისაგან თმებში ჩაველო ხელი. მეგი კიბის საფეხურზე იჯდა და გულშელონებულ აღამიანს გავდა, რომელიც ეს-ეს არის მობრუნებულიყო.

ასმათმა უცებ დარეჯანს ეზოს ტარიანი ცოცხი გამოსტაცა, შატბიას მია-

შურა, გაქცეულს რომ ვერ დაეწია, ცოცხი ფეხებში ესროლა, მაგრამ ვერ უწია. შატბია სიცილით გარბოდა, თან უკან იხედებოდა, დედაჩემი კიდეც ზომ არ მომდევსო. წინა ეზოში გასვლის უშვალ, შატბიამ თვალი მოჰკრა მამას. ნიკო ცალი ზელით მუხას მიბჯენოდა და ისე შეშფოთებული გამოიყურებოდა, ძალაუნებურად გაოცდებოდა.

შატბიამ ნიკოსთან მიიბრინა — რა დაგემართაო, ჰკითხა. ნიკომ არაფერი უპასუხა; შეიღს ზელი მხარზე გადახვია, თავისკენ მიიზიდა და მოულოდნელად საფეთქელთან აცოცა, მერე რადიოსაკენ ანიშნა, ყური უგდევო.

რეპროდუქტორი მოლოტოვის განცხადების ბოლო სიტყვებს გადმოსცემდა: „ჩვენი საქმე სამართლიანია, მტერი დამარცხებული იქნება. გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.“

— ომია?! — გაოცებით იკითხა შატბიამ და მამას თვალეებში შეაცქერდა. ნიკო უშვალ შატბისაკენ გაეშურა. ჯერ ერთი, მომხდარი ამბის დაწვრილებით შეტყობა სურდა, მეორეც, ახლა თავას სადარაჯოზე, თავისიანებთან ყოფნას საქმე ითხოვდა.

შატბიასაც ეწადა მამასთან ერთად წასვლა, მაგრამ ასმათმა არ გაუშვა, აცალე მამაშენს, ვნახოთ, რა ამბავს მოიტანსო.

სულიკო და მეგი უკვე თავიანთი ნივთების ჩალაგებას შესდგომოდნენ, თუმცა გარკვევით, საბოლოოდ ჯერ მაინც ვერაფერი გადაწყვიტათ, წასულიყვნენ, თუ რამდენიმე დღე კიდეც მოეცადათ.

შატბია ერთხანს მოუსვენრად წრიალებდა ეზოში დედის თვალწინ, სამზარეულოს ახლოს. ხან რას წამოჰკრავდა ხელს, ხან რას, მაგრამ გული ვერაფრისთვის დაედო. ერთხანს მუხის ძირას იჯდა და რადიოს უგდებდა ყურს. ხანგამოშვებით კვლავ გადმოსცემდნენ დილის ცნობას. უეცრად შატბია ზეზე წამოიჭრა და თითქო ვინმე ეძახისო,

სირბილით ჰიშკარს მიაშურა. ეზოდან რომ გავიდა, ერთხელ კი გაიხედა სამზარეულოსაკენ, სადაც უგდებდა მისი უშვალ ბოდა, და უშვალ თავქვე დაეშვა; სული კბილით ეჭირა, ვიდრე შატბის ცენტრალურ უბანში მივიდოდა, ამხანაგებს შეხვდებოდა, მათს აზრს და გადაწყვეტილებას შეიტყობდა. შატბიას გუნებაში უკვე მტკიცედ გადაეწყვიტა ფრონტზე წასვლა. ის დარწმუნებული იყო, რომ მისი ამხანაგებიც ამასვე ფიქრობდნენ. რამდენადაც უფრო მუხანათური იყო მტრის თავდასხმა, იმდენად უფრო ძლიერი იყო ჰაბუკის გულში სამშობლოს დაცვის წადილი.

ცენტრალური შატბის უბანში, კომბინატის წინ, თავი მოეყარა მეორე ცვლაში მიმავალ მეშახტეებს, მოსახურე პერსონალს, ახლო-მახლო მცხოვრებთ, დიასახლისებს, მოზარდებს. რადიოთი გადმოცემული განცხადების მოსმენის შემდეგ შეკრებილთ პირველი სიტყვით მიმართა შატბის პარტორგანიზაციის მდივანმა. შემდეგ გამოვიდნენ სტანანოველი მეშახტეები, ახლგაზრდები, ხნიერები. მათს სიტყვებში გაისმოდა უსაზღვრო ზიზღი მტრისადმი, რომელმაც მშვიდობიან შრომაში ჩაბმულ საბჭოთა ხალხს თავს მოახვია ომი. ყოველი გამოსული ორატორი პირობას სდებდა ხალხის, სტალინის წინაშე, რომ ღირსეულად მოიხდიდა თავის წმინდა ვალს, სადაც კი მოუწევდა ყოფნა, ზურგში თუ ფრონტზე.

შატბია სულგანაბული უსმენდა როგორც უფროსი ამხანაგების ისე ტოლებების მგზნებარე სიტყვებს. მასაც უნდოდა ეთქვა რამე, მასაც ეწადა ფიცი დაედო ხალხის წინაშე, რომ ჩვენი ხალხის მტერზე გამარჯვებისათვის თავის ძალღონეს არ დაიშურებდა. გუნებაში ის კიდეც მიმართავდა აღფრთოვანებით იქ მყოფთ, მაგრამ ამ ჰაბუკურ თავდავიწყებაში, კეთილშობილურ ფიქრებში გართული ვერც კი ამჩნევდა, როგორ გადიოდა დრო.

მიტინგი დასრულდა. მეორე ცვლა გაათქვამებული ენერგიით გაეშურა შახტისაკენ. შახტია თუმცა ისვენებდა, მაგრამ სწრაფად გადაიცვა საგარდირობოში სამუშაო ტანსაცმელი, საღამუფში ქალიშვილს აკუმულატორული ნათურა გამოსტაცა და არც კი გაუსინჯავს იგი, ისე გაეშურა ამხანაგებთან ერთად შახტისაკენ.

## XXV

არც ნიკო, არც შახტია ღამით შინ არ დაბრუნებულან. მათს ლოდინში ასმათმა ღამე ისე გაატარა, თვალი არ მოუხუტავს, თვალი ჭიშკრისაკენ ეჭირა, ყური ტელეფონისაკენ.

ღილით კი, როცა ნიკომ პირველი ცვლის გასტუმრების შემდეგ შინ ერთი წუთით შეიბრინა, უძილობით თვალგადაწითლებულ და გაფითრებულ ასმათს აუწყა, რომ წუხელ შახტიათ ღამე მასთან ერთად შახტში გაათია. ამხანაგებთან პირობა ჰქონდა დადებული, რომ ორ ცვლას ზედინედ იმუშაებდა. როგორც პირობა, ისე გეგმა ახალგაზრდებმა პირნათლად შეასრულეს, მაგრამ ამითაც არ დაკმაყოფილებულან და შახტიდან პირდაპირ სამხედრო კომისარიატში წასულან. ახალგაზრდების ერთ ნაწილს დაყენებით მოუთხოვია ფრონტზე გაგზავნა, ანგარიში არ გაუწევიათ უფროსი ამხანაგების სიტყვისათვის, რომ ახლა ქვეყანას თავდადებული ადამიანები ისევე ესაჭიროება შახტებში სამუშაოდ, როგორც უშიშარი მებრძოლები ფრონტზე, რადგან ერთნიც და მეორენიც მტერზე გამარჯვების საქმეს ემსახურებიან. შახტიაც ამ ახალგაზრდებს შორის ყოფილა.

ასმათს კრინტი არ დაუძრავს. ყურადღებით მოისმინა ჰმრის სიტყვები, ერთი კი შეხედა ნიკოს უძილობისაგან დაწითლებულ თვალებში, მერე სწრაფად დახარა თავი და სამზარეულოს მიაშურა. როგორც კი ნიკო ასაუბრა და გაისტუმრა, უმალ მზადებას შეუდგა. სულიყო

იხმო, ორი ქათამი დააკვლევინა. პურის მოზრდილი ცომი სწრაფად მოზილა, კეცებზე დააკრა. რამდენიმე წუთის შემდეგ ჰაერში ახალი გამომცხვარი პურის სუნე დატრიალდა.

## XXVI

შუადღემ მოატანა. ასმათი შახტიათთვის გასატანებელი საქმლის მზადებას მორჩა. ცეცხლში შეკეთებული, ნახევრად მომწვარი შემის ნაპობი ცოტა მოშორებით ბალახზე დაადგო და წყალი დაასხა. მუგუზალმა უცებ დაიშხივლა და თეთრი კვამლი ეზოს მოედო, ხის ტოტებსა და ფოთლებში გაიბლანდა; დიდი, თეთრი ბოლქვები, სადაც კი ხის ტოტებსა და ფოთლებს შორის მზის სხივი ატანდა, ნათელი ირიბი ზოლებით იყო დასერილი. ასმათი ახლა მარტო იმაზე სწუხდა, რომ შახტია ჯერ კიდევ არა სჩანდა. შინ ახლა მარტო ასმათი, დარეჯანი და სულიყოლა იყვნენ. მეგი ბარათის და დეპეშის ხელმეორედ გასაგზავნად წავიდა ფოსტაში.

დარეჯანი ეზოს გარეთ, ღობის ძირებში ძროხას ბალახს ამოვებდა, თან ჰინჯარს სჭრიდა ინდაურებისათვის. სულიყო მოუსვენრად სცემდა ბოლთას აივანზე.

ახლა, საქმეს რომ მორჩა და წელში გაიმართა, ასმათმა შებოლილ ეზოსა და ხეებს გახედა. უცებ მუხის ძირას წამოწოლილი კაცი შენიშნა. ის ჯერ შებლზე ხელმოჩრდილებული იცქირებოდა მუხისაკენ, მერე ნელი ნაბიჯით და ფარული გულისძვრით გაეშურა იქით.

ქილოფზე წამოწოლილ შახტიას ხელები თავქვეშ შემოეწყო; თვალები რომ დახუჭული არ ჰქონოდა, იფიქრებდით, ცას შესცინისო; მაგრამ მას ახლა ისე ეძინა, არც დედის მიახლოვება უგრძვნია და არც მისი უნებლიე ამოძახილი გაუგონია.

გუშინდელი საღამო და მთელი ღამე შახტიათ შახტში გაატარა. შახტიდან იმ

ამხანაგებთან ერთად, რომლებსაც გაწვევა არ უწევდათ, სამხედრო კომისარიატისავე გაემართა.

საწადელმიღწეული შატბია შინ რომ ბრუნდებოდა, უხაროდა, რომ ცხოვრებაში სხვის უკითხავად პირველად გადადგა ასე გაბედული ნაბიჯი.

ახლა კომარში კი არ შევიდა, სარებს მოეჭიდა, ბროწეულის ტოტებიც განზე გადასწია და ეზოში გადახტა. თვალი მოჰკრა დედას, რომელიც ღია სამზარეულოში საქმიანობდა. მუხას რომ გაუსწორდა, სულიკოც დაინახა. მუხის ძირას, ჩრდილში გაფენილ ქილოფის დანახვაზე შატბიას გულმა ვეღარ მოუთმინა, ერთი შესძახა „ეჰ-ო“ და უმაღლესად გაიშოტა, თავქვემ ხელები შემოიწყო. მუშაობის შემდეგ ასე ყოფნა ძალზე ეამა. ვინ იცის, როდის ეღირსება კიდევ ასე უღარდელად მუხის ძირას ქილოფზე წამოწოლა, ფოთლების ნელ შრიალში და ჩიტების ქიკიკიში ჩაძინება. ახლა მამის ამოჩემებული თქმაც მოაგონდა, შახტიდან დაბრუნებისას რომ იტყოდა ხოლმე, „რა გემოზე დავიღალე“, — და გაუტვირდა, რომ დღეს პირველად მიხვდა, თუ რას ნიშნავდა ეს მამისეული თქმა.

ვიღრე წამოწეებოდა, შატბია დაღლას არც კი გრძნობდა, კიდევ იმიტომ იფიქრა, რამდენიმე წუთის დავყოფ ასე და ხელახლა ფეხზე წამოვხტებიო. მაგრამ თქვესმეტ საათს შახტში მუშაობას, ღამის გათევას, დღევანდელ შთაბეჭდილებებსაც ისე მოექანცა ქაბუჯი, რომ მას სწრაფად ჩაეძინა.

შატბიას უეცრად გაეღვიძა, დაფეთებულივით წამოიჯდარმა თვალები მოიფშენიჭა და ხელი რომ წამოსადგომად ძირს დააბჯინა, ეოცა, ახლა იგი ნოხზე იწვა, თავქვემაც მუთაქა ედვა, ფეხზედაც ისე გაუხდიათ მისთვის, არაფერი გაუგია. წელამდე, თხელი, საზაფხულო საბანი ეფარა. შურგას უკან ფეხის ხმა მოესმა, როცა მოიხედა, დაინახა: შორი-ახლოს მაგიდასთან ისხდნენ ნიკო, მეგი

და სულიკო. დედა თავზე ადგა. შატბია სწრაფად წამოიჭრა ზეზე, დაქმუქვნილი ტანსაცმელი შეისწორა.

— რომელი საათი იქნება? — იკითხა შემფოთებით.

— სწორედ კარგ დროს გაიღვიძე, შვილო! გელოდებით, უშენოდ არც ჩვენ ვისადილეთ, სტუმრებიც დავაშვით.

— ექვსი საათია, შატბია.

შატბია სწრაფად მიბრუნდა მეგისაკენ. მათ უცებ ისე შეხედეს ერთმანეთს, თითქოს უცნობები არიანო. ასმათმა აღარ აცალა. ორივეს შემოხვია წელზე ხელი და ფრთხილად უბიძგა. მეგიმ ისარგებლა ასმათის ბიძგიტ, შატბიას მკლავში ხელი გაუყარა და მაგიდისაკენ წაიყვანა.

როცა სუფრაზე ყველამ კვლავ თავთავისი ადგილი დაიკავა, მეგიმ თითქოს სხვათაშორის იკითხა.

— შატბია, დავიჯერო, მართლად დღეს მიდიხარ?

— დიახ დღეს! — მიუგო შატბიამ.

— ჯერ გაწვევა არ უწევს, მაგრამ... ჰგონია რომ უმადისოდ ომს ვერ მოვიგებთ...

ნიკოს შენიშვნა სხვას შეიძლება დაცინეად მოსჩვენებოდა, მაგრამ მის გულში თუ ჩაიხედავდით, მიხვდებოდით, რომ შატბიათი ახლა უფრო მეტად ესახელებოდა თავი ძველ მეშახტეს, ვიდრე აქამდე.

— სამშვიდობო ხელშეკრულების შემდეგ უეცარი, მუხანათური თავდასხმა! — თავისი აღშფოთების გამოხატულება სულიკომ ჰაერში მკლავების აქნევით დაასრულა.

— მუხანათი მხოლოდ მუხანათურად დაგესხმის თავს, — დინჯად შენიშნა ძველმა მეშახტემ.

— რა ბედნიერად ვცხოვრობდით, რა სამაგალითო შრომა და ღონი გვექონდა... — გულისტკივილით თქვა სულიკომ.

— ნუ გეშინია! ბრძოლაც სამაგალი-

თო ვიცი, — ნიკომ თავი ოდნავ უკან გადასწია, თვალები მოკუტა და პაპიროსი ერთიორჯერ ნებიერად გააბოლა. — ჩვენს ხალხს ვერაფერს ასწავლის მოლხენას, კირში გაძლებას და ბრძოლაში შემართებას.

აქამდე რომ მოუსვენრობა ეტყობოდა, შატბია ნიკოს სიტყვის დასრულებისთანავე წამოდგა.

— დაჯექი, რა იყო?! — საყვედურის კილოთი გადასძახა ნიკომ.

— ჩემი წასვლის დრო დადგა!

მეგემ უცებ ასწია მკლავი, მაჯაზე ორი თითით შეეხო ოქროს საათის ჩარჩოს:

— ჯერ მხოლოდ შვიდის ათი წუთია.

— სრულ შვიდ საათზე ამხანაგები უკვე სადგურისაკენ დაიძვრებიან... საბარგო ავტოებით მიდიან.

— დაიცა, ბიჭო, რა ამბავია?... ამ წასვლის წინ მაინც ერთად აღარ ვისადილოთ? — ჩაერია ნიკოც, გუნებაში კი გაიფიქრა. „ნეტავ ესმის კი სად მიდის? მაგას ხომ არ ჰგონია, როცა მოესურვება, შინ შემოირბენს და ჩვენთან ერთად ლუქმას გატეხს, ჭაში ხელადით ჩაივებულ ღვინოს გადაჰკრავს?“

სადილიც და სადღეგრძელოებიც უფრო მალე დასრულდა, ვიდრე შატბიას ეგონა, მაგრამ მოულოდნელად, ახალმა „დაბრკოლებამ“ იჩინა თავი. როცა თითქო ყველაფერი მზად იყო, მეგემ განაცხადა, მეც უნდა გავაცილო შატბიას.

შატბია ახლა ისეთ გუნებაზე იყო, ლამის ყველანი მიეტოვებინა, გაცილებაზე უარი ეთქვა. წამდაუწუმ დიდი ოთახის კარისაკენ იქირებოდა, სადაც მეგი ახლა იქნებ თავისი შიფონის კაბის ნაოჭების ღამაზად დაყენებაზე უფრო მეტს ზრუნავდა, ვიდრე იმაზე, რომ შატბიას არ დაგვიანებოდა.

## XXVII

გორაკიდან დაბლა რომ ეშვებოდნენ, შატბიამ დაინახა, იმ შენობის წინ,

სადაც ომში მიმავალ ახალგაზრდებს უნდა მოეყარათ თავი, უსომეხ ხალხი ირეოდა. ცოტა გულუფრად შევიხედლა. იფიქრა, — ამხანაგებს თავი ჯერ კიდევ არ მოუყრიათო. გორაკის მიხვეულ-მიხვეული შარავნით მოასფალტებულ ფართო გზაზე რომ ჩავიდნენ, მოპირდაპირე მხრიდან ჯგუფ-ჯგუფად მომავალი ხალხი დაინახა. ხალხი ხმაძილდა, გატაცებით ლაპარაკობდა ომში მიმავალთა შესახებ. ნაცნობთაგან შატბიას ზოგმა შორიხლოდან შემოსცინა, ზოგმა ხელის გამამხნეველი ქნევით ჩაუარა, ზოგიც გიჟებით ეცა და გადაჰკოცნა, განშორებისას ბეჭუედაც მაგრად დაჰკრა ხელი და გზა დაულოცა. ყველა ერთი და იმავე სიტყვით ეგებებოდა, აცილებდა, მხნედ მისძახოდა მიმავალს, მალე გამარჯვებით დაბრუნებული გვენახეო!

შატბიას ახლო მეგობრები, ამხანაგები, ნაცნობები შინაურებითურთ სულ რამდენიმე წუთის წინ წასულიყვნენ სადგურისაკენ მანქანებით. გზაში შემოხვედრილი სირბილაძე შატბიას ამ გამოთხოვების ეამს გადასაკოცნელად რომ მოეხვია, ყურშიაც უჩურჩულა „ბიჭო, შენს გასაცილებლად თამარელა მოსულეიყო... სულ ბოლო მანქანაში იჯდა... ალბათ იმის იმედი ჰქონდა რომ იმ მანქანაში დარჩენილ თავისუფალ ადგილს შენ დაიკავედი, მაგრამ... რომ იცოდე, რა გულდაწყვეტილი იქირებოდა, მანქანა რომ დაიძრა... არა უშავს, სადგურზე ხომ შეხვდები!“

შატბიამ მაგრად ჩამოართვა ხელი სირბილაძეს და რამდენიმე ნაბიჯით გასწრებულ თავისიანებს დაედევნა.

მეგი ცოტა ჩამორჩა სხვებს და პირველად თვითონ შეეგება შატბიას, ერთი თავისებურად შესცინა, მკლავშიაც მოხდენილად გამოსდო ხელი და ასე ორივემ ერთად განაგრძეს გზა. შატბიას თუმც სიამოვნებდა მასთან ახლოს ყოფნა და ხელგაყრილი სიარული, მაგრამ თანაც დიდ უხერხულობას

გრძნობდა. ისედაც წარმოსადგე და ეშხიან ჭაბუკს, ახლა მეგის წყალობით ნაინობიც, უცნობიც, ყველა უცნაური ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა.

მეგი ახლა თეთრი შიფონის კაბაში მართლაც ძლიერ მიმზიდველი იყო. გულზე ერთი თავისი ულამაზესი სამკაულთაგანი — ბროწეულის ყვავილი დაებნია, რომლის კვირტი და ფურცლებიც მარჯნისა იყო, სამიოდე ფოთოლი ზურმუხტისა და ღერო ოქროსი.

მეგი რამეს ეტყოდა თუ არა, შატბია უმალ მისი შიფონის კაბის გულისპირზე დაბნეულ ხელოვნურ ყვავილს დააკვირდებოდა და იაე უსმენდა. მეგის ეგონა, ვაჟი ეშმაკობს, ჩემს უბეში ჩახედვას ცდილობსო. კაბის სამკუთხედივით ჩაჭრილი გულისპირი რამდენიმე ნაოჭით კიდევ შეამჭიდროვა და ბროწეულის ყვავილის ქინძისთავით დაამგრა. ამის შემდეგ, ყოველ გაღმობხედვაზე მეგი შატბიას თითქო იღუმალ, ნიშნის მოგებით გაუცინებდა ზოლმე. შატბიას ამ ღიმილის აზრი არ ესპოდა, მაგრამ თავს მოვალედ თვლიდა ქალიშვილისათვის თვითონაც ღიმილით ეპასუხა. ვაჟს, რასაკვირველია, თვალს სტაცებდა მოხდენილად მზირალი ქალიშვილის სხვა სამკაულებიც, მაგრამ ახლა მის ყურადღებას მარტო ბროწეულის ხელოვნური ყვავილისა და ფიფქით ქსოვილის გემოვნებით შეხამება იქცეოდა.

XXVIII

შატბიას თითქოს ეწყინა, როცა სადგურის შენობა დანახა. გაუკვირდა, მეგისთან ერთად ასე ხელიხელჩაკიდებულს შეუმჩნევლად გამოუვლია ოთხი კილომეტრი. ახლა შატბიას უნდოდა გზა, რაც გამოიარეს, ერთი იმდენით კიდევ გაგრძელებულიყო, მეგისთან ერთად ისევ ხელჩაკიდებული ევლო. ყოველი წუთი ელვის სისწრაფით აახლოვებდა მათი განშორების ეამს და ვაჟს სანატრელად ისღა დარჩენო-

და, რომ იქ, ბრძოლაშიაც მისი ხატება ლანდად მინც გაჰყოლოდნენ.   
 ბაქანი ხალხით იყო საგსტე. მისი უმალ შატბიამ გულდასმით ეძია თამარელა ბაქანზე მოფუსფუსე ხალხში, მაგრამ რახან თვალი ვერსად მოჰკრა, გულდაწყვეტილი, რომ მას ვეღარ გამოემშვიდობებოდა, წასვლის წინ სანუგეშო სიტყვებს ვერ ეტყოდა, კვლავ თავისიანებთან დაბრუნდა.

ახლაგაზრდები ვაგონში უკვე დაბინავებულიყვნენ. ზოგს ზედასაწოლი უკვე გაემართა, წამოწოლილიყო და ფანჯარასთან მისეულ ამხანაგებთან ერთად თვითონაც თავი გარეთ გაღმოეყო. მშობლები, ცოლები, დები, ძმები, ნაცნობები ვაგონის გასწვრივ ყოველ ფანჯარასთან ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და თავისიანებს ხმამაღლა, თითქმის ყვირილით ელაპარაკებოდნენ, რადგან ბაქანზე მოზღვავებული ხალხის ყაყანში ყურთასმენა აღარ იყო. ზოგი რას აბარებდა თავის შვილს, ქმარს, ძმას თუ ნათესავს, და ზოგი რას, ერთმანეთს არ აცლიდნენ. ერთნი ერთ მხარეს იკვლევდნენ გზას ხალხში ჯიკავ-ჯიკავით, მეორენი მეორე მხარეს. ზემოდან რომ დაგეხედათ, ხალხის ეს ვეებერთელა მასა წყნარი ზღვის ნელი ტალღებით ირწყვოდა.

როცა სასტევის ხმა გაისმა, შატბია ერთხელ კიდევ ჩაიკრა გულში ასმათმა, მაგრამ მისი თავი მოულოდნელად ნიკომ გამოსტაცა, აუჩქარებლად გადაჰკოცნა.

მეგომ, აქამდე რომ მოთმინებით ელოდა, ახლა ცალბეჭზე მოქიდიბულ ხელით შატბია თავისკენ შემოაბრუნა და, თითქო სახსოვრად ატანსო, ერთი ისე აკოცა, რომ შეუძლებელი იყო ეს კოცნა ვაჟს დაეიწყებოდა; მერე ორივე ხელი მკლავებში ჩასჭიდა, და ასე გამართული მკლავების მანძილზე, თვალი შეაელო, აღუთქვა, რომ მის საბუთებს, თბილისში ჩასვლის უმალ სამხატვრო აკადემიაში შეიტანდა, ვინ

იცის, იქნებ სწავლის დაწყებამდე, გაპარჯებული დაბრუნებულიყო შატბია ფრონტიდან და მაშინ ყველაფერი მზად დახვდებოდა.

— შატბია, წერილს არ მომწერ?.. — ჰკითხა უცებ და ამ სიტყვებზე მუტში მომწვედელი პატარა საფულე გახსნა, ქაღალდის პაწაწინა ფურცელი ამოიღო, თავისი მისამართი დაუწერა და ფურცელი ისე გადასცა.

შატბიამ ერთხელ კიდევ აკოცა დედას და უკვე დაძრული ვაგონის კიბეზე მსუბუქად შეხტა. ასე კიბეზე მდგარი ღიღხანს უქნევდა ხელს ბაქანზე დარჩენილთ. შატბიასთან ერთად სხვებიც კიბის საფეხურებზე ჩამომწკრივებულნი, თუ ვაგონების ფანჯრებში გადმოყუდებულნი, ხელის ქნევით, ძახილით ემშვიდობებოდნენ მათ, ვინც რჩებოდა. მატარებლის დაძვრასთან ერთად ბაქანზე ხალხიც მატარებლის მიმართულებით დაიძრა და ნელა, ტორტმანით მიიწედა წინ. ახლა ველარც მიმავალნი არჩევდნენ ხალხის ამ ნელა დაძრულ ვეებერთელა მასაში თავისიანებს და ვერც ხალხი არჩევდა მიმავალთა შორის საკუთარ შვილს, ქმარსა თუ ძმას. ყველანი აცილებდნენ მიმავალთ და ყველანი ემშვიდობებოდნენ მათ, ვინც რჩებოდა. ახლა, არა მარტო იმიტომ, რომ გარჩევა აღარ შეიძლებოდა, არამედ ერთად რომ მიდიოდნენ განსაცდელთან შესაკვიდებლად, მტერთან საბრძოლველად, ყველა უკვე თავისიანი და თანაბრად ძვირფასი იყო ხალხისათვის.

## XXIX

რა იღუმალის გულისძგერით ელოდა წელან თამარელა შატბიას გამოჩენას. სწორედ იმ იმედით, რომ შატბიასთან ერთად იმგზავრებდა სადგურამდე, სულ ბოლო მანქანაში ჩაჯდა; მანქანა რომ დაიძრა, ერთხანს თამარელა იმედს კიდევ არა ჰკარგავდა, ერთთავად სულ გზატკეცილს გასცქეროდა — აი ახლა გამოჩნდება ის, აი ახლაო, მაგრამ არ

გამოჩნდა მისი გულის სწორი. მერე სადგურში ელოდებოდა, ჩქარვით ნიღბით გული გადაეღია. შატბიას როგორც იყო, ეღირსა, მაგრამ ვაი იმ გამოჩენას... ის და მეგი კვლავ ერთად, ხელიხელ-გაყრილნი მოაბიჯებდნენ. სახე ორივეს ისე უცინოდა, თითქო მათზე ბედნიერი ქვეყნად აღარაიენ იყო. თამარელას ისე ეტკინა, ისე გაებზარა გული, აღარ ეგონა თუ იგი ოდესმე გამრთელდებოდა. მეგისთან ერთად მიმავალ შატბიას დანახვის უმალ თამარელამ შინ გაბრუნება დააპირა, მაგრამ განზრახვის შესასრულებლად ძალა არ იყო, ხედავდა რომ შატბია სხვას ეუთვნოდა, სხვისთვის ძვრდა მისი გული, მაგრამ შატბია, ამის შემდეგაც თითქო ვერ დაეთმო, ვერ გაემეტებინა. თამარელამ, როგორც იყო, ერთხელ კიდევ სძლია თავის ეჭვებს, თავი ინუგეშა, ახლა ყველაფერი განვიადებულად მიგვენებაო, და გადასწყვიტა შორს დახვედროდა მატარებელს. თამარელას ვარაუდით, შატბიაზე დიდ შთაბეჭდილებასაც მოახდენდა ასეთი გამოთხოვება და ვაჟის ცნობიერებაშიაც ამ სიყვარულისათვის თავგანწირული ქალწულის სახეც უკანასკნელად აღბეჭდილი თან გაჰყვებოდა, როგორც ძვირფასი და მფარველი ხატება. შატბია რომ მატარებლიდან უეჭველად შენიშნავდა მას, ამაში თამარელა ერთი წუთითაც არ დაეკვებულა.

საითაც მატარებელს უნდა გაეველო, ერთი კილომეტრით დაწინაურებული თამარელა ლიანდაგთან ახლოს, ბორცვზე ჩამოჯდა.

ჯერ კიდევ შორიდან შენიშნა თუ არა გორაკებს შორის მიხვეულ-მოხვეული ლიანდაგის გასწვრივ ხეების კეწეწებში გაბლანდული თეთრი კვამლი, თამარელას გული აუძგერდა, უნებლიეთ წამოიძახა, მოდისო. მატარებელი სწრაფად უახლოვდებოდა იმ ადგილს, სადაც თამარელა იდგა. უცებ ორთქლმავალიც გამოჩნდა მოსახვევში, შემდეგ ვაგონებიც — ერთი, მეორე და ისევ

ყველაფერი მიიმალა, მხოლოდ ჰაერში ავარდნილი კვამლის ახალ-ახალი ბოლქვები და ახლა უკვე მკაფიოდ გასაგონი ბორბლების ხმა მოწმობდა, რომ მატარებელი კვლავ წინ მოჰქროდა. მოდის! — ისევ გაიმეორა თამარელამ, როცა ბორბლების ხმა კიდევ უფრო მკაფიოდ მოესმა; შემდეგ უეცრად გამოიჭრა მოსახვევიდან ვეებერთელა თრთქლმავალი, რომელიც სალამოს ბინდ-ბუნდში სილუეტად ჩანდა მწვანით ალაგ-ალაგ დაფარული კლდოვანი ფერდობის ფონზე. თამარელამ სულის მოთქმაც ვეღარ მოასწრო, ისე სწრაფად გაუსწორდა მის ბორცვს ორთქლმავალი. თამარელას ცალი ხელით შუბლი მოეჩრდილებინა, მაგრამ სალამოს ბინდ-ბუნდში ახლა ვერაფერს არჩევდა, ორთქლმავლის ძალუმ დგანდგარსა, შიშინსა და ბორბლების ხმაურშიაც არაფერი ესმოდა. მის წინ საოცარის სისწრაფით ჩაიჭროლეს ვაგონებმა. თვალში ისე აერია ყველაფერი, გარკვევით ერთი სახეც არ დაუნახავს ფანჯრებზე მომდგარ თუ კიბეებზე გადმომდგარ მგზავრებისა; ისინი თითქოს რაღაც გაუგებარს გაჰყვიროდნენ და ხელსაც იქნევდნენ, მაგრამ თამარელას ვერ გაერკვია, ვის ეხებოდა ან ეს ძახილი, ან ხელის ქნევა; ყველაფერი ერთ წუთში გაქრა თვალიდან, როგორც მოჩვენება, მისწყდა ხმაურიც. ფანჯრებში გადმოყუდებული ადამიანების მაგივრად, გარდა ნათელი და ბნელი ლაქებისა თამარელას არაფერი დაუნახავს, ისე დაიბნა, — ისე აერია გონება, ისე ღელავდა. თამარელა სახტად დარჩა, როცა მატარებლის ბოლო ევაგონის სახურავის კუთხეში მიმავრებულ წითლად აკიაფებულ ნათურას მოჰქრა თვალი. ერთ წამში ყველაფერი გაათავდა. თამარელას ხელები უღონოდ დაეშვა ძირს, ცრემლმორეულ თვალებს კი დროდადრო უნებლიეთ კვლავ იქით მიაპყრობდა ხოლმე, საითაც მატარებელი მიჰქროდა. ბოლოს, რაკი დარწმუნ-

და, რომ აქ ყოფნა ვეღარაფერს უშველიდა, ნელა დაეშვა ბორცვიდან დაბლა, ერთხანს ლიანდაგის გასწვრივ დაიჭრებოდა, მერე გადაუხვია, ბილიკით გორაკზე გადავიდა, გზა მოკლედ მოსჭრა. ახლა ყანას ნაპირ-ნაპირ მისდევდა. გულმოკლული ტირილსაც ვეღარ ახერხებდა, მდულარე ცრემლებისათვის მაინც რომ გაეტანებინა დარდი და გულზე მოწოლილი ბოლმაც შეემსუბუქებინა. მიდიოდა და სულ იმის ფიქრში იყო, რა ელონა, რა გაეკეთებინა, რომ შატბიას თვალში კვლავ ამაღლებულიყო, რა საქმე უნდა ყოფილიყო ისეთი, რომ თამარელა შატბიას სახელით არ შეეკიდებოდა. აღარ იცოდა, რით გამოეხატა თავისი წმინდა სიყვარული ამ ვაეისადმი, რით დაემსახურებინა ხალხის პატივისცემა და ყურადღება, რით მოეგო ნიკოს გული, აქამდე ისე დაემსახურებოდა, აღმაცერად რომ უყურებდა მას.

თამარელა ახლა იმდენად დაღლას არა გრძნობდა, რამდენადაც შინაგანად დაღლილი და აფორიაქებული იყო. ათასი ფიქრი და ზრახვა უტრიალებდა თავში. ამ ფიქრებში იხატებოდა მისი წარსული, აწმყო და მომავალიც. თვალწინაც სულ ის სახე ელანდებოდა — ძვირფასი, ახლობელი, მარადის დაუვიწყარი — შატბიას სახე.

### XXX

შატბის ცენტრალურ უბანს რომ უახლოვდებოდა, ძალიან ეუცხოვა ის უჩვეულო მყუდროება, რომელიც ახლა იქ სუფევდა. არა თუ ამ დროს, არამედ სალამოხანს, ნაშუაღამევსაც ამ გზაზე ხალხი განუწყვეტლივ მიდი-მოდიოდა; ლაპარაკი, მანქანების ხმაური არც დღისით წყდებოდა, არც ღამით.

გორაკის ფერდობზე სწრაფად ავიდა, მეორე მხარეს ხევისაკენ რომ გადაიხედა, თვალწინ საოცარი სანახაობა გადაეშალა. კლუბის შენობიდან მოყოლებუ-

ლი მთელი სასეირნო მოედანი და გორაკის ფერდობის ტერასები ხალხით იყო გაქედილი. კლუბის ერთსართულიანი შენობის მთავარი შესასვლელის წინ სამასანთლიანი ნათურის შუქით განათებული ზღვა ხალხი, სალამოს ბინდში, ირგვლივ სილუეტებად გამოსახული შენობების, გორაკების თუ ასწლოვანი ხეების გარემოცვაში, მკაფიოდ ჩანდა. კიბის ბაქანზე რამდენიმე კაცი იდგა, ერთი მათგანი სიტყვით მიმართავდა ხალხს. ამ ზღვა ხალხში ქალები სკარბობდა, მამაკაცებს აქა-იქ თუ მოკრავდით თვალს; ნაწილი ცვლაში გასასვლელად ემზადებოდა, ნაწილი უკვე თავგანწირვით შრომობდა მიწისქვეშ, რაც შეიძლება მეტი ქვანახშირის მოსაპოვებლად.

თამარელა სულგანაბული უსმენდა ორატორს. რამდენიმე წუთში უკვე ყველაფერი გასაგები გახდა. წელან ასე დაღონებული და სასოწარკვეთილი ახლა აშკარად გრძნობდა, როგორ უბრუნდებოდა ჩვეული მხნეობა.

ორატორმა სიტყვა დაასრულა და ზღვა ხალხის გაცხარებული ტაშის ხმამ ერთბაშად შესძრა მოედანი. როცა

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა, მყუდროებაში ისევ გაისმა ორატორის ხმა: — ამხანაგო ქალებო! ვის სურს დაიკავოს ომში წასულ გმირ მეშახტეთა ადგილი?..

თამარელა მოუთმენლად ელოდა ამ მოწოდებას, და გაისმა თუ არა იგი, თითქო ყველას გულისთქმას გამოხატავსო, უცებ მთელი თავისი ხმით დაიძახა, — მე წავალა!

მოედანზე შეკრებილმა და ტერასებზე შეფენილმა ხალხმა, აქამდე ორატორს რომ მისჩერებოდა, გორაკის თავზე გადმომდგარი ქალიშვილისაყენ იბრუნა პირი.

თამარელას სიტყვებმა ხალხზე ისე იმოქმედა, რომ ახლა ყველა ცდილობდა სხვაზე ადრე და ხმამაღლა გამოეთქვა თავისი წადილი. სხვებთან ერთად ნიკოც გაოცებით უცქეროდა თამარელას, თვალს არ უჯერებდა. მერე რატომღაც გული ბავშვივით აუჩუყდა, შემკიდროვებულ, აქაქანებულ, ამოძრავებულ ხალხში ტერასები ჯიკავ-ჯიკავით ავლო, თამარელას მამაშვილურად გაუღიმა, ხელი მოხვია და საფეთქელზე აკოცა.

## პასილ გიორგიანი

★

დანიკაბის ბაბო

დაეკარგა მეტროპოლის ქისა,  
ვერ მოაგნო, ველარ ნახა  
— საწყენია, — იტყვის წყრომით  
განა ესლა მაკლდა ახლა?  
დამეკარგა კერა. კარგი.  
სინანულით რალას ვიზამ,  
ქისას ვეძებ, ვერ ვპოულობ,  
ოჯახის კვალს ვაძვავა ქისაც,  
დამეკარგავს სახლი, მაგრამ,  
ახლა ქისის კვალიც ვაქრა.  
განა მართო სიყრმის წლები  
დამეკარგავს ორმოც წლისას,  
დამეკარგავს მხარე ჩემი,  
ყველაფერი ქვეყნად, — ქისაც.  
წვეროსანმა ჯარისკაცმა  
მეგონავს მხერა ირგვლივ,  
— ვარ უქისოდ, ვით უხელოდ, —  
ნაღვლიანად იტყვის იგი.  
მოუწყობელ სკოლის სახლში  
ახლა განა ბაღებია,  
ჯარისკაცებს თივა ტანქვეშ  
ბეწვისდარად ვაძვავებია.  
ძინავს, ვინც კი მოიცალა,  
ჯარისკაცებს ამოდ ძინავთ,  
— უმიქისოდ წვეროსაც კი  
გემოც, ძალაც გამოსცლია.  
ვაყოლებდი დარდს და ვარამს,  
არხეინად ვაბოლებდი,  
აი, ბედი, ამხანაგო  
ტიორკინო,  
— რაო, ბედი?  
ასე ყველას ემართება,  
ტიორკინი სიტყვას უჭრის.

უარესი რამ შემემთხვა,  
მაგრამ ვზივარ, როგორც მუნჯი!  
დუმს ვასილი. მოღუშულა,  
გარეშემო ხალხი უცქერს.  
შან ტომრიდან ამოაძრო  
ჯარისკაცის ქუდი უცებ.  
ქუდი თბილი, ბეწვიანი,  
მეგობარი ომის დღეთა.  
თავზე ერთი ხომ ახურავს,  
რისთვის უნდა ორი ერთად?  
ტანკით როცა მიმიყვანეს  
ჰოსპიტალში, ვიგრძენ მაშინ,  
თავზე ქუდი აღარ მხურავს,  
გულს დამაკლდა, სახტად დავრჩი.  
არ მციოდა, მაგრამ ჩემმა  
სიამაყემ არ ითმინა.  
უქუდიოდ და უსარტყელოდ  
ჯარისკაცი რას მიქვიან.  
თავზე მედგა ქალიშვილი,  
მხარს მიხვევდა ფრთხილად, ნაზად.  
ეტყობოდა, ამ საქმეში  
იყო ძლიერ ახალგაზრდა.  
— ქუდი ჩემი, ქუდი, თორემ  
არ წამოვალ, ვთქვი გადაჭრით.  
გავეყიროდი, ლამის ცრემლი  
წამსკდა მაშინ მძიმედ დაჭრის.  
მამშვიდებდა ის გოგონა,  
თითქოს „ნანა“ შემომესმა:  
„დაეკარგულა თქვენი ქუდი  
და გაიუქმებთ ნაცვლად ჩემსას. —  
დაიხარა, დამახურა“.  
„ნულარ ლელავთ“, — მეტყვის ნაზი,  
დაეჩხვლიტა თეთრი ხელი, —  
წვერი მქონდა გასაპარსი.  
სიცოცხლეში მე რამდენი

ქული მქონდა. აღარც მახსოვს,  
მაგრამ ამ ქულს სურნელეზაც  
თითქოს მართლაც სულ სხვა აქვსო.  
— შენც ნიშანი გიპოვია.

— საქმე განა ნიშანია.

— მას ქულს ასე რად ინახავ?

— არ მეთმოდა, ძვირფასია.

როგორც წმინდა სახსოვარი  
ძვირფასია მებრძოლისთვის,  
ჩვენში დარჩეს, გეტყვი, ამ ქულს  
მე ვინახავ ერთი მიზნით.

ეთქვით შემომხვდა ის გოგონა,  
კოხტა, როგორც მტრედის ხენდი.

„ნება დამრთეთ, — მეტყვის იგი,  
ჩაგაბაროთ თქვენი ქული.“

ტიორკინი აღმა ზეზე

და ხარხარი ატყდა მაშინ,

თითქოს იღვეს ესტრადზე,

მედიდურად ხელებს გაშლის.

თითქოს ეტყვის იმ ქალიშვილს

მოკრძალებით ზეზე მდგომი:

„ჩემნაირი მოარჩინეთ

ალბათ, მთელი ლეგიონი“.

— რომელ პოლიტაუბრიდან

დაისწავლეთ ეს სიტყვები?

„ნება დამრთეთ შეხვედრისას...“

შენ კი ქისას ვერ სცილდები.

— მესმის, ძმავო, უცოლო ხარ,

უღარდელად მოხველ ომში,

არ გაწუხებს სახლზე ფიქრი,

არ შეეცნვის გული ცოლ-შვილს.

უცოლო ვარ? მართლაც მიხვდი,

აგრე არის, სწორედ აგრე.

რაც მელოდა, ეს ვიცოდი,

არ შევირთე ცოლი განგებ.

— რა იცოდი! ვინ იცოდა,

ვის უგრძნობდა გული მაშინ,

კაცი სახლს რომ დასტოვებდა,

მოვიდოდა ომი სახლში.

ვინ იცოდა, რომ შესძრავდა

მიწას ომი, როგორც წარღვნა

და თუ გაგვათხრევიწებდა

თვით მოსკოვის კართან სანგარს.

— ჯერ დამაცა, რისთვის ჩქარობ,

იქნებ თვალში გეცოტავე?

ამხანაგო, ქვეყნის საქმე

გამეგება მეც ოდნავად.

რა ვუყოთ, რომ კოლექტივში

განვლე კერსი, არსად მეტი?

ჰე, გარმონი თან რომ გქონდეს?

ჩემს ლექციას მოისმენდი.

ერთი მითხარ, მეზობელო,

რა ხნისა ვართ, დიდი ხნისა?

ოცდახუთის! შენ კი ისევე,

იმ დაქარგულს ჩივი ქისას.

ხალხი ისევე ხარხარებდა,

წვეროსანი ჩალას ქექდა, —

მიმოქექა ირგვლივ და თქვა:

— თითქოს მკლავი დამეკარგა...

ომში მებრძოლს უქისობა

უსათუოდ შეგაღონებს,

— რადგან ასე წუხარ, ძმავო,

ჩემი ქისა შენა გქონდეს.

ჰა, აიღე, გულკეთილი

ბიჭი ვარ და ამის გარდა

გეტყვი, ძმავო, ხუთ ცალ ქისას

მაჩუქებენ გაისადაც.

გაცრეცილი ქისა ვასილს

გამოართვა ჯარისკაცმა,

წვეროსანი, როგორც ბაღი,

სიხარულმა აიტაცა.

მაშინ უცბად გამირმა ჩემმა

თითქოს რალაც გაიხსენა.

უთხრა: — კერა თუ დაკარგე,

ბრაღი განა შენ მიგიძღვის?

თავს დაკარგავ, საწყენია,

ომმა უფრო მეტიც იცის.

იუ დაკარგე სავსე ქისა

და სანაცვლოს არცინ გაძღვეს,

მძიმე, არის არ გამტყუებ,

მაგრამ კაცი მაინც გაძღვებს.

ქირს და ვარამს გადაიტან,

თუთუნს მუჭით ზიდაც კარგად,

მაგრამ მოხუც ღვინა — რუსეთს

ვინ უმტყულებს, ვინ დაკარგავს!

პაპებს, შვილებს, შვილიშვილებს

რა პასუხი გაცევთ, მითხარ!

ჩვენ რამდენ ხანს ვცოცხლობთ

ქვეყნად?

ათასიო?.. უფრო მეტხანს.

კიდევ რამდენ წელს ვიცხოვრებთ,

წლებს არ ათელი მომავლისას?

პასუხს ვაგებთ ყველაფერზე,

შენ კი, ძმავო, ჩივი ქისას?

მტერი იყო მარჯვე, მძლავრი,  
 ჩამონაცვულ-ჩამოსხმული,—  
 შებმას განა გაურბოდა  
 ხაბროლველად გამოსული.  
 გაბარსული, გამაძლარი  
 სხვისი მადლით, სხვისი პურით,  
 სხვის ოჯახში, სხვის მიწაზე  
 თბილად გამოძინებული.  
 მოუქნია გაბედულად  
 და ვასილიც ეცა მაშინ.  
 მკერივი იყო, როგორც ძვალი,  
 ხელი რუსულ ხელთათმანში.  
 ჩხუბი თუა, ჩხუბი იყოს,  
 ჩხუბში მძლავრი მაჯა გინდა.  
 ეს იცოდა ტიორკინმა —  
 მტერი ღონით დასჯაბნინდა.  
 მოუქნია მუშტი ფრიცმა  
 და ყბა გვერდზე მოუღრიცა  
 ტიორკინმა მაშინ ზენეშით  
 ჩააფარა შიგ თვალეში.  
 ჯერ არ გადუფურთხებინა  
 ვასილს თოვლში სისხლი მლაშე  
 და ფაშისტმა უფრო მაგრად  
 მუშტი მისცხო ისევ ყბაში.  
 მტრები მკიდროდ ვადიჯაქვენენ, —  
 გადაპყრიან თოვლში ვაზნებს.  
 ამ დროს დანა თუ გიშველის, —  
 გადისვრიან თოფებს განზე.  
 იბრძვის ორი. ორთქლი ასდით  
 მტრებს პირისპირ შენარკინებს.  
 ტიორკინი დარტყმისაგან  
 უფრთხილდება ყბებს და კბილებს.  
 სანამ იგი ყბებს იცავდა,  
 გერმანელმა სწრაფად მაშინ  
 მუშტი ჩასცხო როგორც რკინა,  
 მკერდის ქვემოთ, განა ყბაში!  
 — ოს! შესძახა ტიორკინმა, —  
 ცუდად მიდის ახლა საქმე.  
 კიდევ კარგი მჩაბედ შევხვდო,  
 გამაქრობდა, ალბათ, აქვე.  
 შინაქამმა მთელი ძალით  
 მოუქნია ახლა თვითონ,  
 ისე მაგრად, რომ მარჯვენა  
 ლამის მხრიდან ამოიგდო.

კიდევ კარგი, რომ არ აცდა,  
 ვასილს გული უფართხალებს  
 და მარჯვენა თვალით ფრიცი  
 მებრძოლს ველარ უთვალთვალებს.  
 ჩხუბი თუა — ჩხუბი იყოს,  
 მოსდებია ლოყებს ცეცხლი  
 და ფაშისტის სახე წითლად  
 შეღებილა, როგორც კვერცი.  
 აი, ცხვირწინ დგას მეტოქე.  
 კაცი სუნით დაიბნინდა.  
 საზოზლარი მყრალი სუნნი  
 ამოუღის მტერს პირიდან.  
 გააფურთხა სისხლი ზიზლით  
 და ვასილმა მისცხო სწრაფად.  
 — მყრალი, ჯანმრთელობისათვის  
 მიირთმევედი ნიორს, ალბათ!  
 ბებიასკენ იჩქაროდი,  
 მოსტაცებდი კარაქს, კვერცხებს,  
 თუ პატივისცემა გსურდა,  
 რას თარეშობ, რას დაეძებ?  
 მითხარ, ვინ ხარ? მოხუც ქალთან  
 რად მისულხარ საყაჩაღოდ!..  
 შეგერგება — მურტალ შუბლზე  
 ცხელი ტყვია დაგაჯახო.  
 იქნებ მყავხარ სახიარო,  
 ან კეთილი ღამის მგზავრი.  
 დაღლილს გზა თუ გაგივრძელდა,  
 შეუხვევ მასპინძელთან.  
 ხალხს კეთილი ხალხი უყვარს,  
 განა ძარცვა, განა ომი.  
 ძლიერი ხარ, ჩვენში მოგაქვს  
 შენი წესი და კანონი.  
 მითხარ, ვინ ხარ, ვისთან მოხვევ,  
 ვისი შეილი, ვისი მამა?  
 ღირსი არ ხარ — კაცის გვარი  
 რომ ატარო სისხლიანმა!  
 ერთს მეორე ურბენს ირგვლივ,  
 თვალებიდან ცვივათ ცეცხლი,  
 თვალუბითვე ჰამენ ერთურთს,  
 ვით მტერს — მტერი, ვით მზეცს —  
 მზეცი.  
 როგორც ძველად ბრძოლის ველზე,  
 ფართით — ფარზე, მკერდით — მკერდზე,

ჯარის ნაცვლად ხაზის გასწვრივ იბრძვის ორი ჯარისკაცი. თითქოს მთვან გადაწყდება ათასების გამარჯვება. იქვე, სოფლის შორი-ასლოს, სად მოუსწროთ დილის შუქმა, ზარბაზნები და ტანკები დგას ორივეს ზურგის უკან. ჩაბნელებულ გომურებთან ერკინება რისხვით ნადირს, ფრონტს ამაგრებს ტიორკინი, ღრძილებიდან სისხლი დასდის. თავგანწირვით იბრძვის იგი, მალა აღის ორთქლი მათი. თითქოს მთელი მხარე უცქერს, თითქოს იყოს გოლიათი. მხარემ არა, ასეულმა გადმოხედოს, ნახოს შორით. შეაფასონ მებრძოლებმა მისი საქმე და ნაშრომი. თავგანწირვით იბრძვის იგი, მთელი ძალით ისარჯება, მაგრამ კარგად, ძველებურად ველარ იქნევს ის მარჯვენას. ძვალი ძველი ნატყვიარი კუნესის. ჩნდება მარცხის ლანდი, კარგი არის მარცხნიდანაც რომ მოარტყას ცაციათი. თავგანწირვით იბრძვის იგი, კაცი ოფლად გაიღვარა, დაიჭანცა ტიორკინი, გერმანელიც დაილალა. ველარ იდგა ძველებურად, დაებეგვა ფაშისტს სახე. ჩანდა, როგორც გასაკებჩად დაბევილი ვაშლი მკვახე. ამაყია ფრიციც, ისიც: — მწევარი ხარ? მე ვარ ძალდი, ვერ მაჯობებ ეშმაკობით! — ტიორკინი მტერს შესძახის. არ მიცნობდი? არ იცოდი როგორი მაქვს ხასიათი? არასოდეს გეტყვი: «გვეყოს!» მენზე მეტად ვარ ზვიადი. შენი ვისაც ეშინია, კინც აფურთხებს ათას სიკვდილს, —

დაგარწმუნებ, დაგანახებ, დაგაჯერებ განა სიტყვიდით თუ მომკალი... ნახე მწიფე საქმე გიყო საოცარი: ორთავ ხელით, როგორც გაზი მოგეჭობი ცოცხალს მკვდარი. ახ, ჩაჩქნებით გინდა ჩხუბი? მოიშველე ქული რკინის? უცებ მუშტში შემომიწყვედევს სიბრაზეს და მწარე ტკივილს, დაუტენავ ხელუშმბარას იძრობს მაშინ ტიორკინი, ფაშისტს ჩაპკრავს შიგ კელაში, დაეცემა მტერი გმინვით. მკერდს გადილეს ჯარისკაცი, თოვლს დალილი ყლაპავს ხარბად. მოღუშულა. მიძიედ სუნთქავს, იმუშავა ამხანაგმა. კარგი არის, ძმებო, კარგი გააკეთო ომში საქმე და დაბრუნდე დაზვერვიდან დილით — ლეგიონისაკენ! ისევ გაპყვე მშობელ მიწას, ფიქრებს გაპყვე, ძმებო, გზაზე, თან ნაშოვნი ავტომატი სხვათაშორის გედოს მხარზე. წინ მოენე მიგიძლოდეს აშალამდელ ღამის დაელა. კარგი არის, გაგითენდეს დღე ყოველთვის ამისთანა. იცი, არის შენიანი გზაზე, ვინც კი შემოგხვდება და უცნობსაც უხარია, როცა ცოცხალს შემოგხვდავს. ბოლოს უფროსს მოახსენებ, ჩააბარებ მშვიდად დავლას, ცხელ ულუფას მოგართმევენ, დაგისხამენ ჭიქა არაყს. დაგისხამენ და ზემდეგი ოვალით სასმელს აგიწონის. ბოლოს თბილად მიძინებ, ხვალ მოგელის დალილს ომი. ფრონტი მარჯვნივ, ფრონტი მარცხნივ და თებერვლის ქარიშხლისას ბრძოლა არის, ბრძოლა მკაცრი, ველზე თოვლი გაისისხლა.

სისხლიანი ბრძოლა გაკქუხს,  
 ბრძოლა არის რისხვით სავეს,  
 ბრძოლა განა სახელისთვის  
 სიცოცხლისთვის დიდ მიწაზე.

\* \*

მოვათავეთ ასი გვერდი,  
 საამბობი ჯერ გრძელია,  
 ძმაო, თუ არ შევიცვენეთ,  
 თბრობა შეუძლებელია.  
 სულისმოთქმა დამაცადე,  
 ძმაო, უნდა მოითმინო,  
 თუმცა ძლიერ ძნელი არის,  
 ომზე თქმული ეს ზღაპარი  
 მიყოლებით მოისმინო.  
 ცეცხლზე, თოვლზე და ტანკებზე,  
 ფეხსახვევზე და მიწურზე,  
 მიწურზე და ფეხსახვევზე  
 ცივ ზამთარზე და მიწურზე,  
 ამ საგნებზე ვწერ ისევე,  
 მხოლოდ წუთით შევისვენე.  
 დრო მკარანახობს ახლა ასე:  
 მეთევზეს ხომ სათევზაო  
 დარზე უყვარს სუჯა-ბაასი,  
 მელუმელეს ხომ თიხაზე,  
 ტყისმცველს — ხე-ტყის მასალაზე,  
 ნებურეს ხომ პურის ხაშზე,  
 მეჯინიბეს ნამდვილ რაშზე,  
 რიგით მებრძოლს თუ გენერალს —  
 ომზე, ომის ქარიშხალზე.  
 ომი — იცნობს მას მებრძოლი,  
 მაგრამ საქმე შემდეგშია:  
 დე, დაბრუნდეს ჯარისკაცი,  
 გამარჯვებულს შეხვდნენ შინა.  
 მტერს ასმაგად გადაუხადოს  
 და დაბრუნდეს შინ მშვიდობით,  
 მაშინ მისთვის ნამდვილ ზღაპრად  
 გადიქცევა დიდი ომი.  
 მაშინ იგი ისე ტბილად  
 მოისმენდა მიყოლებით,  
 მოისმენდა დაწვრილებით,  
 რა სიმძიმეც ზიდა ზურგით,  
 რა სავალიც განვლო ფეხით.  
 რაც მარჯვენით გამოსცადა,  
 რაც საკუთარ თვალით ნახა,  
 რასაც, ჩემო, მეგობრებო,

ვერ ჩამოვთელი ყველას ნხლა.  
 მაშ ნიჩაბმა თხაროს მიწა,  
 მიწა მკერივი და დამწვარი,  
 იმუშაოს ბასრმა ხიშტმა,  
 გუგუნებდეს ზარბაზანი,  
 მწვიდ და ლამაზ ზღაპარს ომში  
 არ ჯობია სხვა ზღაპარი.  
 არ ვარწმუნებ მკითხველს, თითქოს  
 ომში ყოფნა იყოს ტკბილი,  
 ომი ღმუის, დულს ზღვასავით  
 ფრონტის ჯებირის მიყრდნობილი.  
 ამას ვამბობ: ომის ბედი  
 ერთი კარგად გადავწყვიტოთ,  
 ეს ჯებირი ჩვენს მშობლიურ  
 მიწის იქით გადავწიოთ.  
 სანამ გმინავს ტყვეობაში  
 მშობლიური ჩვენი მხარე,  
 მანამ ომში ომზე ემღერი,  
 თუმც მშვიდობის ვარ მოყვარე.  
 რალა დაგვრჩა, რალა ითქმის,  
 არ ვეძიე ამ წიგნისთვის  
 სიუყუბი რალაც რთული,  
 არც თავი და დასასრული.  
 ომში არ გვაქვს სიუყუბი,  
 ცხადი არის და აშკარა.  
 — როგორ არა? — ვინმე მეტყვის,  
 როგორც ხედავთ, არ გვაქვს, არა.  
 ჯარში კანონს და ბრძანებას  
 უსმენ ღამით, უსმენ დღით,  
 ძილი ბრძანეს — ღრმად იძინე,  
 ბრძანეს — ახტი კურდღელივით.  
 ომი თუა — ჯარისკაცი  
 იბრძვის, ცეცხლით მტერს პასუხობს,  
 „წინ გასწიო — ბრძანეს — გასწევს,  
 ბრძანეს „მოკედი“, — კვდება უხმოდ-  
 უბრძანებოდ ომში ყოფნა  
 არ იქნება, ძმაო, იცი.  
 თუ უფროსმა არ გიბრძანა,  
 ვერც ფეხსახვევს გამოიცვლი,  
 ვერ გადახვალ სხვა ბინაში,  
 ცოლის შერთვის არ გაქვს ნება,  
 არ იქნება ნაბრძანების  
 შესრულების დაზარება,  
 არც ყოფილი გრაფის მსგავსად  
 გულში ტრფობის აზღვაება,  
 სიყვარულის ნიადაგზე

საზღვარგარეთ გამგზავრება.  
 ახლა გმირზე გეტყვით სიტყვას;  
 ცოცხლობს ცეცხლით სავსე გულით,  
 მაგრამ ჭურვის ნამსხვრევებისგან  
 ჯერ არ არის დაზღვეული.  
 არც ბრმად ნასროლ ტყვიისაგან,  
 რომ მოფრინავს ალაღბედზე —  
 ვის სიცოცხლეს უსევამს წერტილს,  
 ვის მოხედება — არ დაეძებს.  
 სიცოცხლეს კი ავი ქარი  
 ხის ტოტივით აქანავებს,

### „306 ისროლა“

ბრძოლის კვამლი დღესღა გაქრამ,  
 სურნელი სდის სანგარს ხხულის,  
 ოფლი გაშრა, რკინა დაცხრა,  
 თბილი დარი დგას ზაფხულის.  
 ჩანს ნახევარ კილომეტრზე  
 ბუჩქნარებში მტრის საფარი,  
 და საღამო ტრიალ ველზე  
 მოდის ამ დროს, ვით ზღაპარი.  
 მოდის ბრძოლის ნაკვალევზე,  
 ბილიკს მოსდევს, ტრიალს, უცნობს,  
 გადაჯევილ სათიბებზე  
 ცდილობს ნიავს წინ გაუსწროს.  
 გადმოივლის ბინდი მდელის —  
 ზარბაზნების ზათქით ნახნავს,  
 შავმოვლებულ ორმოვებით  
 გავს მინდორი ყვავილნახადს.  
 თხრილებს ახალ ნაყუმბარალს,  
 სიკედილის და ცეცხლის კვალი  
 გადარუჯულ ნაპირებზე  
 შემორტყმია, როგორც რკალი.  
 ამ დროს ისმის ხმა საამო,  
 გეგონებათ ხმა სიხმრისა,  
 ნაცნობი ხმით, საღამოს ხმით  
 ხოჭო ბზუის მაისისა.  
 მწველ აღერსით მან ამაოდ  
 შეუთრთოლა ვაჟკაცთ გული,  
 სანგრებში რომ ისხდნენ ჩუმად  
 რკინის ქუდებდაცვარულნი.  
 მშობლიური სევდა მწველი  
 აუჩქროლდათ მკერდში ხელად,  
 ერთსღა ნატრობს ფრონტზე ჭველა:  
 დამით ლხინში გასწი ცხენით

ყოველ წუთში იმუქრება,  
 რას აპირებს ბობოქარი  
 აბა ვინ რას მიუხვდებოდა  
 ხანგრძლივ განშორების შემდეგ,  
 რაც ომის დროს მუდამ ზღებდა,  
 მინდა გმირზე ამბის თხრობა,  
 მინდა თქვენი ყურადღება.  
 მოვეყვით ტყბილად, მწყობრად, ოღონდ  
 სხვანაირად, სხვაგვარ გზებით,  
 თქმულა: „ომში ზურგმუქცევით  
 მიიწვევენ ზარბაზნები“.

და სცვიოდეს ფლოქვებს ელეა.  
 რომ იცეკვებ, იქვე ტყეში  
 შედი შენი თვალის ჩინით, —  
 შინ ჭიშკრამდე მიაცილე,  
 არ იგლახო, უკონცელად  
 არ გაუშვა ქალიშვილი.  
 ბოლოს მარდად გამოქუსლე,  
 რადგან დედა გიცდის...

უცებ —

შორს გაისმა გაურკვეველად  
 ყრუ ხმაური, ყრუ გუგუნნი,  
 ამ ახალი ხმის გამგონე  
 მოუმატებს გუგუნს გული.  
 ყველამ წუთში იცნო ის ხმა,  
 ერთსანტელი რომ დაბადა  
 და მოფრები ფრონტის ახლო  
 შარაგზიდან შორს გაფანტა.  
 ერთ საზარელ ნოტზე გმინავს,  
 თითქოს ბუკის ხმა მძლავრდება,  
 რაგინდ ძლიერ მოისურვო  
 ვერ მოკურცხლავ, არ გაქვს ნება.  
 ლურსმანივით ჩასობილი  
 მიწას ეკერი განაბული —  
 ეს, თანახმად ნათქვამისა,  
 არის მცირე საბანტუი...  
 უცდის, დუმს და უშვებს ჯარი,  
 თრთოლვით კუმშავს ყველა ტუჩებს,  
 როგორც წესი და რიგია,  
 ორატორიკ ჩნდება უცებ.  
 მარჯვედ, სხარტად, მზრუნველობით  
 უკარნახებს იგი მებრძოლთ:  
 — ნახეთ შემობრუნებისას



სვავი როგორ ივრგვინებდსო.  
 თვითმფრინავი გრგვინავით, ზარით  
 ძირს წამოევა, მეხად დასკუქს  
 და ბრძანებად ისმის ამ დროს,  
 ყველა ბრძანებებზე მძღავრი,  
 ყველა ყვირის ერთხმად: — დაწექ!..  
 დე, მოვიდეს მოსასვლელი,  
 რაც მოხდება — მოხდეს ომში,  
 მაგრამ როდის ჯობს სიკვდილი,  
 წელიწადის რომელ დროში?  
 მზე აცხენებს ზაფხულობით,  
 ჩქეფს ხალისი მთა და ბარად  
 და სიცოცხლე უფრო ტკებება,  
 ო, ზაფხულში — არა, არა.  
 შემოდგომით, ძილს ეძლევა  
 დედამიწა წვიმით ღებება,  
 სანგრის ლაღში ამ დროს სიკვდილს  
 ვინ ინდომებს ვინ იქნება.  
 ზამთარში ხომ ქეას ჰგავს მიწა,  
 ვერ გაქრიან ნიჩბით საფლავს,  
 მკვდარს გორახებს დამაყრიან,  
 აბა, როგორ ვირჩევ ზამთარს.  
 გაზაფხულზე როგორ მოვეკვდე  
 ლურჯ იების უნახავი,  
 ზაფხული თუ უკუეაგდე,  
 შემოდგომაც უარეყავი.  
 ზამთარი თუ გულს მიწამღავს...  
 ეს ხუმრობა სულს აშფოთებს.  
 გაზაფხულზე ომში სიკვდილს  
 ნუ ინდომებ ნურასოდეს.  
 რა მორჩილი ჩანხარ ახლა,  
 გაწოლილხარ ძირს ჰაბუკი,  
 ეფარები პირშავ სიკვდილს  
 მხოლოდ საკუთარი ზურგით.  
 გაწოლილხარ, ძმაო, პირქვე,  
 ჯერ ოცისაც არ იქნები,  
 ეინ რა იცის, ახლა იქნებ  
 სამუდამოდ გაცივდები.  
 პირქვე წევხარ, მიგიღვია  
 საფეთქლებზე ორთაე ხელი,  
 გბხსოვს ბალახს როგორ ბღღენიდა,  
 ღამით როგორ ჰქროდა ცხენი.  
 კვლავ სიკვდილის ზარი რეკავს...  
 გაფრენილა როგორც ჩიტი,  
 ის საღამო, ის გოგონა,  
 რომ გიყვარდა შენად თელიდი.

მეგობრები, ახლობლები,  
 მშობლიური სახლი შენე,  
 სახლი კედლებზეურიახენე,  
 და ბევრი სხვა.. დანარჩენი...  
 მაგრამ ომში პირქვე ლოცვა  
 არას გარგებს, ჯარისკაცო,  
 შენ სიკვდილმა წინასწარვე  
 გული როგორ დაგამარცხოს.  
 ომის წესი ასეთია:  
 დაიცავი წმინდა მხარე,  
 თუ პირშავმა დაგცა ბოლოს, —  
 ლანძღვა პირში მიახალე.  
 უცებ... ეს რა ცვლილებაა?..  
 არ შემწყყდარა ცხარე ბრძოლა,  
 დაუმიზნა ერთმა თოფი  
 და შეაჯვრიან სვავს ესროლა.  
 სამშრიანი შაშხანაა  
 ზედ ბრეზენტის მაგარ თასმით,  
 მისი მასრის მომცრო თავი  
 ჯავშანს გახერტს ბასრზე ბასრი.  
 უთანაბრო და ხანმოკლე  
 ბრძოლა არის. მტრის მანქანა,  
 როგორც ნავი გვერდგამსკდარი  
 მძღავრმა ტალღამ შეაქანა.  
 წრეხაზი რომ შემოხაზა,  
 ჩრდილს ისროდნენ ფრთები რუხი,  
 რაღას უცდი, დედამიწას  
 შიგ ჩაერქვე, როგორც ბურღი.  
 ქანდაკევით იღვა წამით  
 თვით მსროლელი შიშნაკამი.  
 სწრაფი, შავი, საომარი,  
 ორძრავა და ტვიფრიანი,  
 ძირს აფეთქდა ყრუ გრუხუნით  
 ჯავშნიანი თვითმფრინავი.  
 გაჭრა სცადა მიწის ბურთის,  
 ამერიკის ნახვა სურდა,  
 — ჰე, ადგილი შეეშალა,  
 — დაინახეთ, სად გაცრუვდა!  
 — ვინ ისროლა? — რეკავს შტაბი,  
 მსროლელის კვალს ეძებს თვალი.  
 რბიან ადიუტანტები,  
 მიწას თხრიან.  
 იბახიან:  
 — გმირს კითხულობს გენერალი!..  
 ვინ ისროლა? ვინც სანგარში  
 არა თრთოდა სანთელსავით,

ვისაც არ გახსენებია  
იმ დროს ყველა ნათესავი.  
მეზენიტე არ გეგონოთ,  
რომ დაცხრილა ასე სეავი.  
გმირმა ძმობის ყადრი იცის,  
მაგარია საღ კლდესავით.  
აი, თვითონ დგას შამხანით,  
მიულოცეს, აი, კიდევ.  
სხვები შედგნენ უხერხულად,  
ხმა რატომღაც გაიკმინდეს.  
თავს გრძნობს ყველა დამნაშავედ.


### გმირის შესახებ

— ორიოდ სიტყვას გეტყვით,  
მეგობრებო, ახლა რაკი  
ხუმრობისთვის არ გეცალია,  
ჯილდოზეა ლაპარაკი.  
— პოსპიტალში ვიწექ მაშინ,  
ის დღე როგორ მივივიწყო,  
თავს ვილაცა დამაცქერდა,  
მივიხედე — გმირი იყო.  
ბიჭი იყო პირტიტველა,  
ახალგაზრდა ბევრად ჩემზე.  
გულში ფიქრმა გამოიღვა:  
რაც მან შესძლო, მე ვერ შევძელ...  
საუბარი ჩამოვარდა,  
მაშინ ვკითხე, რაც მენება  
— სადაური ხართ, მითხარით?  
ჩვენებური ხართ ეგება?  
გადმომხედა სიტყვაძვირმა,  
ვინაობა მკითხა თვითონ,  
ვუთხარ, რომ ვარ სმოლენსკელი.  
„იქნებ ჩვენი მხრის კაცია...“  
გულში ჩემთვის ასე ვფიქრობ.  
ზეზე აღვა მაშინ იგი,  
ამ აღგომით მე მანიშნა:  
ვინა ხარო, დამეხსენი,  
ხომ არ მიგდებ მასხარადო?  
რას ამბობთო, — ცივად მითხრა,  
თან შეაელო ორდენს ხელი,  
ტამბოველი გახლავართო.  
ნუ გგონივარ სმოლენსკელი.  
თქვა. გაჩუმდა, თითქოს ამით  
გაუსვავო გმირმა ხაზი,  
რომ სმოლენსკის ოლქში არსად

სერჟანტმა თქვა: — დავგასწარიო,  
აი, ბედი, ძმავო, ორდენს  
იღებ ნაპოვნ დანასაქონთ.  
სიტყვას უწრის ტიორკინი —  
კვიმატური სიტყვის თავი.  
— ნუ ინალვლებო, ეგ არ არის  
მტრების ბოლო თვითმფრინავი.  
ეს ნათქვამი, ეს ხუმრობა  
მთელს ნაწილში გახმურდა.  
გმირად იქცა ტიორკინი, —  
იგი იყო, რა თქმა უნდა!

არ იქნება მისი მსგავსი.  
რომ ოდითგან განსხვავდება  
სხვა კუთხისგან კუთხე მათი,  
რომ სარწყავით მდიდარ მიწას  
დაკყოლია სულ სხვა მადლი.  
განთქმულია გორაკებით,  
მინდვრებით და სხვა ათასით  
მისი კუთხის შვილობაში  
ნუ ეჩრები ახლა ვასილ.  
რალა უნდა მეპასუხნა,  
გულს მომაწვა ბოლმა მწარე,  
ობოლივით მომეჩვენა  
მშობლიური ჩემი მხარე.  
წინ დამიდგა ობოლივით,  
ვინც მიმღერა ტკბილი ნანა,  
ვერ გადმოგცემთ, ჩემი კუთხე.  
ძმებო, როგორ დამენანა.  
გულზევიადი არ ვარ, არა,  
მაგრამ იმ ბიჭს რომ შევხვდები,  
ორდენს როცა დავიკიდებ,  
ვუპასუხებ: ტყუი, ცდები!  
შენი კუთხის შვილობაში  
არ ვეჩრები, მეც მაქვს მიწა.  
ტამბოველი ხარ? იყავი,  
ძე ყოფილხარ კარგი მხარის!  
მაგრამ კეთილ ინებე და  
სმოლენსკელიც ღირსად მიცან.

არ ვარ ვილაც უმიწაწყო,  
უჯილაგო, უბადრუკი.  
ჩემი ფესვი სმოლენსკია,  
სადაც ძლიერ უყვართ ბუკი.



მშობელ მხარით არ ვტრიაბახობ, გინდ ქვეყანა მოვლე ვრცელი, ვინ დაუკრავს ბუკს ლამაზად, როგორც პაპა სმოლენსკელი. ჩაპბერს, ტკბილად დაამღერებს წვერებზეფუფუკი: — საით მიხვალ მშვენიერო, — დაუკრავს ბუკი. \* უსიტყვებოდ მღერის, მაგრამ ცრემლი ეღვრება,

ცრემლით უმღერს სიყვარულს და ბედნიერებას. მარტო ერთი სიმღერისთვის გულში რომ მაქვს ჩაყოლილი მშობელ მხარის გრძელ შარაზე ასჯერ ავიღლ-ჩამოვივლი. ნუ მივიღებ, ძმებო, ორდენს, ნურც დიდების გავხდე ღირსი, მე სამშობლო მხარეს ვიცავ, სატკივარი მტკივა მისი.

გენერალი

ეს მეორე ზაფხულია, — ხალხის ოხვრა, კენესა ისმის, ომის ცეცხლში გახვეულა \* ნახევარი დედამიწის. ფრონტი ქაბრად აკრავს მხარეს, სადღაც გაქუხს შორს ლადოგი, სადღაც დონი ხედება ღამეს, ჩემი გმირიც დონთან იბრძვის...

თითქოს თვედმდეს მთელი წლისას. ლურჯი, ცივი ნაკადული ტალღით მიწის პირს ეხება და დაცვარულ ბარძაბალას ფრთხილად არხევს მის ფეხებთან.

სადღაც კლდეებს ყინულოვანს ძლივს მოსყვება შმაგი ცხენი, სადღაც უკვე გაზაფხულდა, აყვავილდნენ ვაშლის ხენი, სადღაც გულზე მოდის მარტოდ მუღღვაური ტყვიამფრქვევით, სადღაც ქალაქს თავს აწყდება ყუმბარები მძვინვარებით, ხომალდები იძირება, ტანკებს უნდა ასვლა მთებზე, უკვე ფიქრობს დედა-ვოლგა მისკენ დაძრულ განსაცდელზე... სადღაც, თითქოს ეზოს გარეთ, წევს და არა ესმის რაო, მზის გულზე წევს ტიორკინი, ზედ სხივების ესხმის წყარო. წევს ტყისპირას ნაკადულთან, — რომ ჩქეტს ფრონტის ხაზის გასწვრივ. იქვე მოჩანს გარეცხილი, გასაშრობად გაფენილი ტანსაცმელი ჯარისკაცის. წევს მებრძოლი მხრივგაშლილი, ათრობს ნაზი ხმები წყლისა, წევს და თვალებს ისე ნაბავს,

მოიხრევა წყაროს წყალი ფსკერზე კენჭებს თავს ევლებს, როცა უსმენ, ხან ზღაპარი, ხან სიზმარი საოცარი, ხან სიმღერა გახსენდება: წყალზე წავალ, ფეხს დავიბან, საით მიხვალ, წყალო ცივო, ჩემს მშობლიურ მხარეშიაც იქნებ მოხდეს, დალოცვილო. იქნებ სადმე მოსახვევში ნახო ჩენი ნაფუძვრები, მენ ეკლიან მავთულხლართებს ქვეშ უვნებლად გაუძვრები. გერმანელთა სანგრებს შორის დგანან საგუშაგოები, ბორბლებჩაფლულ ზარბაზნებთან, ბუჩქნარებში გამოჩნდები. ნაკადულო, ძველ ბილიკით იქ ჩაივლი, როგორც ჩვენთან. ვერ შეგიპყრობს ფეხოსანი, ვერც მხედარი გერმანელთა. მიმოხლართულ გზით ჩაივლი, ჩემს სოფლადაც მიხვალ, ნახავ: ხილზე დგანან გუშაგები, ხილის ქვეშაც მშვიდად გახვალ. დარდი გაუნელებელი და ნალექელი რომ გაგანდოს,

აღბათ, დედა ჯარისკაცის  
შენს ნაპირთან მოვა ამ დროს.  
წყალო, დედა შენთან მოვა, —  
გული დარღით მოწამელია,  
ერთი სიტყვა მაინც უთხარ,  
რომ მისი ძე ცოცხალია.  
გაყინული, დავევილი  
ჩვენი გმირი წევს, ისვენებს.  
დაჭრილი და გალახული  
ცოცხალია დღეს ისევე.  
დიდხანს თელემდა ჯარისკაცი, —  
მშობელ მიწის მეკერძზე გათბა,  
უცებ ესმის: — ტიორკინო,  
გიბარებენ გენერალთან!  
მის წინ იდგა მეკავშირე,  
უნდა გაპყვეს უკამათოდ.  
მაგრამ შტაბში ხომ ვერ შევა,  
უშარველოდ და უხალათოდ?  
მორცხვობს, ქშინავს, ლაპარაკობს,  
კაცი ბალღის მსგავსად ღელავს,  
თან გაუმშრალ ტანისამოსს  
იცვამს იგი სწრაფად, ხელად.  
ააჩქარებს მეკავშირე:  
— ხუთი წუთი დაგრჩა, ძმაო!  
ის ჰასუხობს: ნუ მაშინებ,  
დედამიწას არ მომწყვიტონ,  
ფრონტზე შორს არ გამაგზავნონ.  
გამოეწყო ჩინებულად,  
მან წინასწარ კარგად იცის,  
რომ არ უხმობს გენერალი  
კოხტად ჩაცმულ ტანსაცმლისთვის.  
მაგრამ მთავარ შესასვლელთან,  
გენერალის ძელმიწორში,  
ღვთის ძალა რომ წამებოდა,  
დალოცავდა ღმერთს ის გულში.  
ხუმრობა რამ კი არ არის,  
გენერალთან მიდის იგი,  
ჯარისკაცი მისთვის ღელავს,  
გენერალი ერთი არის,  
მის ბრძანებას ელის ყველა  
ორმოც კილომეტრზე ირგველივ.  
გენერალი მალდა დგას და  
მის წინაშე თუ შეშინდა,  
ჩვენნაირი ახალგაზრდა, —  
ვერ გასწირავ გასაკიცხად.


განა მარტო ჩინით მეტი,  
ან საბრძოლო ორდენებით,  
გენერალი სუყველზე  
უფროსია ასაკითაც.

ენას ფაფა როცა გწავდა,  
მაგიდის ქვეშ რომ ტიროდი,  
ის ასეულს მიუძღვოდა,  
შეტყვებით გამოსცადა  
რაა ცეცხლი, ომი, ფრონტი.

ყველა უცდის მის ბრძანებას:  
წინა ხაზზე, ფრონტის ხაზზე.  
გახურებულ ომში, ამ დროს  
იგი არის შენი ცეცა,  
შენი მამაც, კალინინიც,  
კანონიც და სასამართლოც.

დიდ პატივად მიითვალე,  
თუ მოგიხმო მეომარი,  
თუ შეგაქო, თუ ასხენა  
გენერალმა შენი გვარი.  
საქმის კარგად გაძლოლისთვის  
ხელს მოგიპერს ხელზე მებრძოლს,  
გაგიღიმებს და გრძნობ, რისთვის  
გხედება, როგორც მეგობარი.  
გეტყვის: — შენ ხარ გოლიათი,  
არწივი და მეომარი!  
თუმცა წარმოსადგომით  
ასეთ ქების არ ხარ ღირსი,  
საპარადოდ არ გცალია, —  
სად გცალია პარადისთვის...  
არწივს როცა გიწოდებენ,  
გქონდეს ქცევა, გამოხედვა  
შენც არწივის საკადრისი.

ღირსეულად იდექ, ძმაო,  
გულში გქონდეს და გესმოდეს,  
თითქოს იხსნიის სამეკრდიდან  
იგი, ისე გაძლევს ორდენს.  
იგი ჯილდოს თვითონ გაბნევეს,  
გრძნობ მშობლიურ მზერას მისას.  
გეტყვის: ძმაო, ღირსი ხარო,  
თან უღვაშზე ხელს გადისვამს.  
აქვე უნდა აღინიშნოს,  
მუდამ გვმართებს თქმა სიმართლის.  
უღვაშები აქვს გენერალს



განა სილამაზისათვის?  
 პარადზე თუ ცხარე ომში  
 განა ცოტა რაქმს ნიშნავს.  
 — დიახ! — როცა იტყვის იგი  
 და უღვაშზე ხელს გადასვამს.  
 ჯართა მმართველს ეს საბრძოლო  
 ჩვეულებად გადაეცა...  
 ტყუილად არ ჰყვარებია  
 უღვაშები ჩაპაევსაც.  
 ერთი სიტყვით, გენერალმა  
 გაიფიქრა წამით, თითქოს  
 არც თუ ისე შეჰხაროდა  
 ჯარისკაცი თავის ჯილდოს.  
 გულნაკლული დარჩა ალბათ,  
 ორ წელიწადს ომში მყოფი.  
 მუდამ ხომ ვერ ჩამოაგდებს  
 მტრის თვითმფრინავს იგი თოფით.  
 კარგად უნდა დაფასება  
 ამნაირი ვეფხვის, გვირის,  
 — ტიორკინო, მავ ორდენით  
 შინ გაგიშვებ ერთი კვირით.  
 წუთით თითქოს ვერ მიხვდაო,  
 სიტყვა მას თუ შეეხება,  
 ვასილს ხელი გაჭიმული  
 უნებლიეთ შეერხევა.  
 უხმოდ ჩაკლა ოხვრა გულში  
 და მიმართა ტიორკინმა:  
 — ამხანაგო გენერალო,  
 ცოტა არის ერთი კვირა...  
 გულმოსული გენერალი,  
 — რატომ? — ჰკითხავს ვასილს  
 მკაცრად  
 — ძნელი გზაა ჩემს სოფლამდის,—  
 უპასუხა ჯარისკაცმა.  
 ჩემი სახლი აქვე არის,  
 მისი ნახვის ვარ ნატრული,  
 მაგრამ მისვლა ჰირს ძალიან,  
 მე ხომ არ ვარ ნაკადული.  
 დღისით წასვლა არ ივარგებს,  
 გზაზე მტერი დამინახავს,  
 ღამ-ღამობით ვივლი, მაგრამ  
 მოკლე არის ღამე ახლა.  
 — მივხვდი. — იტყვის გენერალი.  
 ღრსი კი ხარ შევებულების,  
 მაგრამ უკან როგორ მოხვალ?  
 — იმეუ გზით, ჩვეულებრივ.

განთქმულია ჩემი კუთხე  
 ბუჩქნარებით, ჩირგვნარებით.  
 გზებიც ვიცი, ვერ შემხედვარე  
 ისე გავუჩინარდები.  
 იმ კუთხეში სათითაოდ  
 ვიცნობ ყოველ კვალს და ნახნავს  
 ჩემს სმოლენსკთან, ჩემს ოჯახში  
 მტერი როგორ დამინახავს.  
 — მაშ მოიცა, არა ვხუმრობ,  
 ერთი გკითხო ახლა მინდა...  
 და იმ წუთში გენერალმა  
 თითქოს რაღაც გადასწყვიტა.  
 თქვა და თბილად გადახედა  
 გენერალმა მამაც მებრძოლს:  
 — აბა, იქნებ ამ რუკაზე  
 შენი სოფლის ნახვა შესალო.  
 ფრთხილად სუნთქავს ტიორკინი,  
 ღელავს სარდლის უკან მდგარი:  
 — როგორ არა, აი, დნებრი,  
 ჩემი სახლიც იქვე არის.  
 გენერალი წითელ ფანქრით  
 მის სოფელზე დასვამს წერტილს,  
 — ტიორკინო, არას გარგებს  
 ობლად წასვლა. ამას გეტყვი.  
 ერთად წავალთ, დაიცადე,  
 იმ სოფლისკენ გზა გვაქვს ერთი.  
 შენ მიიღებ ზუსტად დროზე  
 დაპირებულ შევებულებას.  
 — გასაგები არის, — სარდალს  
 ჯარისკაცი ეუბნება.  
 — არის! — ბოლოს დაუმატებს  
 და კარისკენ შებრუნდება.  
 იგი კოხტად შედგა ზღურბლთან,  
 წამს ჩაფიქრდა, გაინება.  
 გენერალი ხელს უღვაშზე  
 გადასვამს და ეტყვის: — აბა...  
 მას, რუკასთან მჯდარს, მრავალჯერ  
 წერილობით, სიტყვით ხშირად  
 ხალხი დღემდე უნახავი  
 სასიკედილოდ გაუშვია!  
 იგი ყველას ხომ ვერ ნახავს —  
 როცა გზავნის განსაცდელში,  
 სუყველას ხომ ვერ ჩახედავს,  
 ვით უფროსი ძმა თვალებში.  
 ყველას ძმურად გადახედოს,  
 ჩამოართვას ძმურად ხელი.


თბილი სიტყვით გაამხნევოს  
და მიმართოს ზოგს სახელით,  
გაიხუმროს ძველებურად,  
მხრებზე ხელი დაჰკრას მებრძოლს,  
ურთიერა რამ არ იქნება  
ყოველივე ეს რომ შესძლოს.  
გენერალი არის, მაგრამ  
ვერ აუვა ერთი — ყველას.  
იგი ახლა, მშობელივით,

რიგით მებრძოლს გადახვევა.  
გაღებვივინ ვაუკაცები, რკინის  
ტიორკინი გენერალმა, იმპერატორმა  
თბილად დამშვიდობებისას  
გადაჰკოცნა როგორც მამამ.  
წინ ელოდა გზა ჯარისკაცს,  
გზა ბრძოლისა — წმინდა ვალი,  
გზა მშობლიურ სოფლისაკენ  
ომის ცეცხლში მიმავალი.

### ჩემს შესახებ

მე ოდესღაც დავთმე კერა,  
გზამ ყმაწვილი წინ გამიხმო,  
მძიმე იყო დანაკლისი,  
მაგრამ დარდი წმინდა იყო.  
სხვა უამრავ ფიქრთა შორის,  
ნაზი სევდით, წლიდან — წლამდის,  
მშობელ კუთხეს, მის სიმშვიდეს  
სულში ასე ვინახავდი.  
და იმ დღეებს უზრუნველი  
ვიხსენებდი ალაღბედად;  
ტოლებს, როცა მივეყვებოდი  
ტყეში თხილის დასაკრეფად.  
ტყეში, სადაც არც ტყვისა,  
არც ჭურვების ჩანდა კვალი,  
არც ფუგასურ ყუმბარებით  
იყო დათხრილ-ნახანძრალი.  
არ ყოფილა აჩეხილი,  
მიშვებული უპატრონოდ,  
შიგ მასრები და ჩაჩქნები  
არ ეყარა უთავბოლოდ.  
დასერილი არ ყოფილა  
მიწურებით და სანგრებით,  
სიმაგრენი არ ჰქონია  
მიწის გულში ანაგები.  
ტყე უღრანი, სადაც ბაღი  
ქოხსა ვწნავდი ტოტებისას,  
სადაც ერთხელ ხბო დაეკარგე,  
ყველა კუთხე მოველე ტყისა...  
ივნისის თვის შუადღისას  
ტყეში ვიყავ, და ყოველი  
ხის ფოთოლი იყო თოთო,  
ცხელი, მაგრამ საღი, მთელი,  
შრიალბდნენ საამურად, —  
ერთმანეთზე გადასკვნილნი,

სახაფხულო პირველ წვიმით  
გალუმპულნი, გადათვლილნი.  
და მშობლიურ, ხშირ, დაბინდულ,  
ახალგაზრდა ტყის სიღრმეშიც  
სანატრელი სიცხე იდგა  
დღისა და ტყის სიმშვიდეში.  
წიწვოვანთა სურნელს სიცხე  
მიწის სურნელს უნელებდა,  
ძილსა მგერიდა, ლეინის მსგავსად,  
მათრობელი სურნელება.  
შეწყდა დაღლილ ფრინველთ სტვენა  
და ხის წებომ ოქროსფერმა,  
ვით სიზმარში, გამთბარ ქერქზე  
ჩამოყონა, როგორც ცრემლმა...  
მიწავ, ჩემო ღვიძლო დედავ,  
მკერდს გიფარავს ტყენი ხშირი,  
მანდ მეგულვის მე ბალობა,  
მხარევე ხმობს შენი შვილი.  
ბალობის დღე წმინდა სიზმრად  
საფლავამდის თან გამყვება,  
რა ადვილი იყო წყლის წინ  
ყოველივეს გახსენება.  
გახსენება წყლის ნაპირზე  
შუადღისას თამაშობის,  
ქის, ბილიკის, ოქრო-ქვიშის,  
მხარზე გადაგდებულ შოლტის.  
წიგნის — მინდვრად წაკითხულის,  
ლურჯ მდინარის — გაყინულის  
მასწავლებლის — წყნარ მოხუცის,  
მშობელ სკოლის და გლობუსის.  
იყიდიდი ბილეთს მგზავრი,  
განა იყო აკრძალული,  
რომ ათი წლის უნახავი  
გენახულა კაცს მამული.



განა უნდა გაგეხოზა  
 დაბრკოლება გერმანელთა,  
 რომ აღერსით ჩახვეოდი  
 მოხუცებულ მშობელ დედას.  
 რომ ჰაბუკის ტბილი სევდით  
 შენ შეხვედრის დღეს გელხინა,  
 განა ჩუმად და ჭურღულად  
 მშობლიური ტყეც გეხილა.  
 გლუხკაცებთან საუბარი  
 როცა მქონდა მე გულთბილი, —  
 რად მინდოდა, ჭურღის მსგავსად,  
 დამემალა ჩემი ჩრდილი.  
 მშობლიურო ჩემო მხარეც,  
 მხარეც, ხშირი ტყით განთქმულო,  
 ტყვედქმნილო და წამებულო,  
 მალე უნდა გინახულო.  
 გინახულებ უსათუოდ,  
 მაგრამ რა დღეს, ეს ვინ იცის...  
 ტყვეობიდან გამოგისხნი  
 ღვიძლი შვილი შენი მიწის.  
 მე ნადირის ფრთხილ ნაბიჯით  
 კი არ მოვალ. მწამს და მჯერა, —  
 გამარჯვებას შემოვყვები,  
 ჩვენი ქვეყნის გამარჯვებას.  
 მე მოვდივარ. შენსკენ არის  
 შენი შვილის მისამართი.  
 კვლავ შევხვდებით, შორს არ არის  
 ჩვენთვის ის დღე, ის საათი...  
 და, მკითხველო, მკითხავ ახლა,  
 გამოძებნი აღბათ მიზეზს:  
 — შენ საკუთარ თავზე ჰყვები  
 ამბავს ახლა, განა გმირზე!  
 სწორი არის სამდურავი,  
 შორს შევტოპე ასე წუთით.  
 მეც მეკუთვნის ერთი სიტყვა,

მეც მახურავს თავზე ქუდი.  
 კამათს აღარ გაგვარძლებ,  
 აქვს ყველაფერს დასასრული.  
 ერთი მტრისგან ვართ მე და შენ  
 დამცირებულ-გამარცულხი.  
 მე ვცახცახებ სიბრაზისგან,  
 ძლივს ვიკავებ ტირილს მწარეს,  
 დედა, მამა, ღვიძლი დები,  
 ყველა დარჩა იქით მხარეს.  
 ტკივილისგან ოხვრის, კვნესის,  
 ყვირილისაც მაქვს უფლება.  
 რაც მიყვარდა, რაც მიქია, —  
 ფრონტის გაღმა მეგულედა.  
 მეც შენსავით მიმძიმს, მშაო,  
 შეგვხვდა ეგზომ დიდი ტანჯვა.  
 რაც მალხენდა, მაკოცხლებდა,  
 ყველაფერი იქით დამრჩა.  
 იქით დარჩა, საზღვარს იქით,  
 უსაყვარლეს ქვეყნის განზე,  
 რაც ანთია, ზამთარ-ზაფხულ,  
 რაც ციაგობს, იწვის ასე.  
 გეტყვი, განა დაგიმაღავ, —  
 ალაგ-ალაგ ჩემს წიგნშიაც  
 გმირის სათქმელს, მოსათხობელს  
 მე თვითონვე ვყვები ხშირად.  
 ყველაფერზე ვაგებ პასუხს,  
 შეგინიშნავს წუთით იქნებ,  
 რომ გამოთქვამს ტიორკინი  
 ზოგჯერ ჩემი გულის ფიქრებს.  
 ჩემი მიწის მკვიდრი არის  
 გმირი ჩემი პოემისა.  
 მგონი მომგავს, თუმცა ვასილს  
 არა აქვს რა პოეტისა.  
 თუ არა მგავს, დაე, ნუ მგავს.  
 მიდის იგი, მივსდევ უკან.

ბრძოლა ბაოზში

იმ უკვალო მკაცრ ბრძოლაზე  
 მოგიყვებით ახლა ამბავს...  
 ქუხდა იგი, შეწყდა მალე,  
 აღარაგის ახსოვს აღბათ.  
 გზა გააგო ომმა ტყეში,  
 სადაც ბრძოლა ჰქუხდა მძაფრი,  
 სადაც წყალი მუხლს სწვდებოდა  
 და წელამდე იდგა ლავი.

წაკუზული მებრძოლები  
 ცილებობდნენ კუნძებს ღამით,  
 ქვემეხები ეფლობოდა,  
 ამოჰქონდათ მაშველ ძალით.  
 ომის სწორედ მეორე წელს  
 ყრუ ჰაოზში ჩადგა სისხლო,  
 ბრძოლა ქუხდა განა ჩვენს ერთ  
 უღიადეს ქალაქისთვის.

არც იმ ამაყ სიმაგრისთვის,  
რომ დარაჯობს დედა-ვოლგას  
მე ვიხსენებ დასახლებულ  
პუნქტს, რომელსაც ერქვა ბორკა.  
შორს, ქალაქის გარეა ჩანდა  
ტყის ბილიკთან ის ადგილი.  
ბრძოლის შემდეგ მისგან დარჩა  
შებოლილი სამი მილი.  
იქ ღია და გაუხსნელი  
ვის არ ახსოვს ცეცხლის წერტი.  
დაუხანძრავ-დაუწყველი  
აზა დარჩა კენჭის მეტი.  
დანაკუნდა ყველა ლოდი,  
დანაფოტდა ყველა კუნძი.  
დამწვარ ადგილს მაინც ბორკას  
ეძახიან, როგორც უწინ.  
კუთხე ხავსის და ჭაობის  
მოჩანს ქვეყნის განზე მდგარი.  
იქნებ ვინმემ აქ ბალღობა  
გაატარა სანუკვარი,  
აქ დაკაცდა, აქ იშრომა,  
იქნებ ომშიც აქვე არი.  
სად ხარ, სად ხარ, ფეხშიშველო,  
ამ სოფელელო მწყემსო ბაღლო,  
ცერიანში რომ გარეკავდი  
ხოლმე ხბორებს საბალახოდ.  
კავკასიის მთებთან იბრძვი  
თუ დაეცი სტალინგრადთან...  
ძმაო, მკვიდრო ჩემი მიწის,  
ერთგული ხარ წმინდა ფიცის.  
გამრჯე რუსო ჯარისკაცო,  
აღმართულხარ ბარიკადად.  
იქნებ ახლა აკვამლებულ  
სოფლის გამო გული ბორგავს,  
და გაჰყურებ შენს მშობლიურ  
პაპისეულ კუთხეს ბორკას.  
გადასცქერი დამწვარ მხარეს,  
რომ ინახავს შენს სიყვარულს,  
ტკბილი კუთხე გელის ვაკეაქს.  
მრავალტანჯულ და მწუხარე  
მიწის ოხერას, კენესას გაბმულს  
შეუერთე შენი „ვაშაც“?..

წარმატება რა მცირეა,  
საქმე ცუდად მიდის ბრძოლის,  
სცადოს ვინმემ დამნაშავის

პოვნა, აბა ვინ იპოვნის?...  
ზათქი არტილერიისა  
მარჯვედ გაჰქუხს, არც  
ტანკები რომ დგანან ტყეში,  
აი მართლაც ხათაბალა.

ტანკისტს წუთით რომ შეხედები,  
იწყებს სხვათა გაწბილებას:  
— კვლავ ვეიმტყუნა ფეხოსანმა,  
გაწვა, სანგრებს არ სცილდება.  
ფეხოსანი უტრებახოდ  
წევს და ზეზე არც კი დგება.  
ხელს ჩაიჭნევს: — გაგვაწბილეს,  
რა თქმა უნდა, ტანკისტებმა.  
განუწყვეტლივ ისმის ირგვლივ  
ერთმანეთზე თქმა ძვირისა.  
ერთდებიან, რომ იწყებენ  
ლანძღვას ავიაციისას.  
ყველა კარგი ბიჭი არის,  
შეხედავ და გული ილხენს.  
არცერთია დამნაშავე  
სოფელი თუ ვერ აიღეს.  
ჭაობს, ტორფში გაჭრილ სანგრებს  
ზუსტად ხედება კვლავ ნაღმები,  
ნაღმმტყორცნებით უშენს მტერი —  
რას გააწყობ, რას გახდები.  
მისამართებს არჩევს ზუსტად,  
მტერი გზავნის ამანათებს.  
ნაღმებს ფოსტით გზავნის უცბად,  
თხრილში წევხარ, უცდი ოხერს,  
და რა იცი, რას დაგმართებს, —  
იქნებ სწორედ უკან მოგხედეს.  
გალუმბული ფეხოსანი  
აგინებს და წყველის ჭაობს.  
— თუ მოვედები — მშრალზე

მოვეკვდე,

ტანი მაინც შევიმშრალო.

ვაიხსენებს ვინმე იმ დროს  
წყალში ნაწოლ-ნაწვალელები,  
სამი დღე რომ გერემდნენ მუცელს,  
დამშუული ნაწლავები.

წვიმს უემურად, წერილად წინწყლავს,  
მკერდს აწამებს ავი ხველა,  
ნატრობ ნახევს გაზეთისას  
მწარე წყოს გასახვევად.  
მაგრამ წყოც და ასანთიც

არ გაშრება ახალ წლამდის.  
 — დაგვეთანხმე, ტიორაკინო,  
 გაპირება ამას ჰქვია?  
 გუბის პირას წევს ვასილი  
 და პასუხობს ხალხს სიცილით:  
 — ასევერ მეტი დამმართენია.  
 — მეტი რაღა...  
 — ნუ კამათობთ,  
 ნურც ტყუილად შედავებით,  
 დამიჯერეთ, აგარაკზე  
 ვართ იმასთან შედარებით...  
 და ხუმარამ უდიდესმა  
 ხალხს გახედა გვერდზე მომდგარს,  
 მოცივისგან თუ სიცივისგან  
 მას ტუჩები შევლებოდა.  
 ბოლოს იტყვის:  
 — შენს ჭაობში  
 იმყოფები ძმომ ახლა,  
 ხარ ალყაში, გაქვს კავშირი,  
 თან ნაწილი შენი გახლავს.  
 უხერხულიც არის კმუნვა  
 ამნაირი რომ გაქვს ბედი,  
 სხვა რა გინდა, არ გაკლია  
 შამხანა და ყუმბარები.  
 შენ თუ იცი, რა ძლიერი  
 ხარ ზურგიითაც, ფლანგებითაც,  
 ჯავშანმხერებტნით, ქვეშეხებით,  
 ნალმმტყორცნებით, ტანკებითაც.  
 დივიზია, პოლკი, ფრონტი  
 და სამშობლო! როგორც ძმობილს  
 მოკლედ გეტყვი, გასაგებად,  
 შენ, ძმოსან, ხარ მებრძოლი.  
 მწყობრში ხარ და შეითვისე  
 იქნებ ერთი წლის წინ მართლაც  
 აქ იწვნიე ის ვაგლახი,  
 რაც ძმას თქვენსას დაემართა.  
 ვარამისგან მუხლმოკვეთილს  
 ერთი რამე მადარდებდა:  
 ფრონტი, ზღვარი რუსეთისა  
 სად იწყება, სად თავდება?  
 ერთხელ ასე დამემართა:  
 სოფლის ახლოს, გვიან ღამით  
 კოლექტივის თივის ზეინში  
 შევაფარე, შეეყავ თავი.

ამ დროს სულში ერთგვისმგერელი  
 გრძელი რკალი შეეკრა ნაღმსა  
 ატყდა სტენა სიკვდილისა,  
 ატყდა ფეთქვა ძირს თუ მაღლა.

ფეთქავს მოჰყვა ისევ ფეთქვა:  
 წყალში, მშრალზე, მარჯვნივ,  
 მარცხნივ.

— ისევ დასცხო. აღამიანს  
 ყურისგდებას აღარ აცლის.

და ყოველი ფეთქვის შემდეგ  
 გაუჩნებულ ბიჭებს წვიმად  
 ხის ყლორტები მოსხეპილი  
 და ფოთლები თავზე ცვივათ.  
 რაღაც ძალა უხმობს მებრძოლთ,  
 გასწი, გასცდი ხიფათს, სიკვდილს...  
 — გუუბნებით, არ მოგხედებათ, —  
 ტიორაკინი მშვიდად იტყვის.  
 თითქოს იჯდეს სავარძელში,  
 ყველას აზღვევს ცეცხლისაგან.  
 — რომ დაგვეცეს?..

— თუ გაბედა...  
 რას მიიღებს ცეცხლის გარდა!  
 ის სჯობია ყური მიგდო,  
 ომზე ვმსჯელობ, ხელს ნუ მიშლი.  
 ვთქვათ და წევხარ უპატრონოდ  
 შიტოვებულ თივის ზეინში.  
 მტერი ახლოს ჭოხში სახლობს,  
 ახლო-მახლო დადის, დაძრწის.  
 ამ დროს თივის შესაკრავად  
 მოდის ორი ჯარისკაცი.  
 იმ ზეინიდან კრავენ თივას,  
 სადაც ჰპოვე, ნახე ბინა  
 თან ტყეპნიან მუხლისთავით,  
 მღერიან და რას მღერიან.  
 არა ვტყუი. დამიჯერეთ,  
 ახლაც იმით ვიტანჯები,  
 მახსოვს: „ჩემო მოსკოვო...“  
 რომ მღეროდნენ ის ქაჯები.  
 მაშინ ვასილ ტიორაკინი  
 წამოდგება ზეზე ხელად,  
 ხელით კუნძზე მიყრდნობილი  
 გააჯავრებს ფრიცს სიმღერას.  
 ყოყონური მშერით, ბრეცით  
 მან მომართა ისე ყბები,

სიცილისგან ჯარისკაცებს  
 ლამის დასწყდათ თირკმელები.  
 — შენ იცინი ახლა, მაგრამ  
 ერთი მაშინ გეგდო ყური...  
 იტირებდი სირცხვილისგან  
 და დარდისგან გულმოკლული.  
 შენ იცინი დღეს, მებრძოლო,  
 არ გადარდებს, რადგან იცი, —  
 ამ სიმღერას, როგორც შარშან  
 ველარ მღერის ახლა ფრიცი.  
 — ველარ მღერის, ეს სწორია,  
 აღარ არის ახლა ის დროც...  
 — ამ სოფელს კი, მაგალითად,  
 ვიღებთ, მაგრამ — განა გვითმობს.  
 ამ დროს ნაღველს უსასრულოს  
 ალბათ გულში დიდხანს მოყრილს,  
 ვით სამკვდლოს საბერველი,  
 ღრმად აღმოსთქვამს ვიღაც ოხვრით.  
 — ჰოი, შეილო! იყო წრფელი  
 ჯარისკაცის ოხვრა ბოხი.  
 მას გახედა ტიორკინმა  
 — აბა, აბა! — გადასძახა —  
 და ხარხარი მებრძოლების  
 ახალ ძალით განაახლა.  
 — ტიორკინო, ვინ ჩაგსახა  
 ჩვენო კარგო და კვიმატო,  
 ალბათ ამის საიდუმლო  
 დედაშენმა იცის მარტო,  
 — დედის შვილი არ გეგონოთ,  
 გახლავართო დეიდისა.  
 — გაიხუმრე, ტიორკინო,  
 გული გასკდეს ჩვენი მტრისა.  
 — დაბომბვამდე ნიჰს ვიზოგავ  
 და პირობას გაძლევეთ, ძმებო,  
 რაც არ მითქვამს — ყველას გეტყვით,  
 აირჩიეთ, რაც გენებოთ.  
 — მადლობელი ვართ ამისიც,  
 — მაშ გაამოთ და შეგერგოთ.  
 ახლა დასკვნა შეიძლება  
 ანაირი მიეცეთ ამბავს,  
 თითქოს ბორკა მებრძოლებმა  
 ხელთ ჩაიგდეს ხელად, სწრაფად?  
 თითქოს გზაზე დაბრკოლება,  
 გაქირვება არ უნახავთ,  
 თითქოს მუდმივ წარმატებით

ყველა ზღუდე გადულახავთ.  
 ხის რუსული კოვზით თქმში  
 მტრები დასცა თითქოს გვირგვინი  
 რვა ფაშისტი ერთმანეთზე  
 მიილაგა ტიორკინმა.  
 არა, ძმებო, ვთქვათ პირდაპირ,  
 რომ ხანგრძლივი ბრძოლა ქუხდა,  
 საზაფხულო შერკინება  
 მოხდა დასახლებულ პუნქტთან.  
 იმის შემდეგ ბევრი მკაცრი,  
 ბევრი ცხარე დღე გავიდა.  
 — ნება დამრთეთ, კვლავ შეტყვიან:  
 თქვენ ამითი რის თქმა გინდათ?  
 — იმ ჰაობზე მოგახსენებთ,  
 სადაც ბრძოლა ქუხდა მძაფრი,  
 სადაც წყალი მუხლს უწვედა  
 და წელამდე იდგა ლაფი.  
 განგომოდებულ, ვამ ადგილას,  
 მოთმინებით ამ წრიალში  
 ტეხდა ღამეს, მიიწვედა,  
 მიხობხავდა ჯარი გაშლით.  
 ჯილდოდ — ჯილდო, რომლის გამო  
 ჯარმა დიდი ბრძოლა იწყო,  
 არც როსტოვი, არც ხარკოვი,  
 მხოლოდ პუნქტი ბორკა იყო.  
 განა განთქმულ ბრძოლის ველზე,  
 ყრუ ფიჭვნარში, სველ ბუჩქებთან  
 ბევრი დაწვა ვალმოხდილი,  
 გულისფეთქვა შეუჩერდათ.  
 იმ ბრძოლასაც ახსენებენ  
 ხვალ დიდების გრძელ სიაში.  
 დრო დადგება, ვინც დაეცა —  
 გაცოცხლდება ჩვენს ხსოვნაში.  
 და უკვდავი წიგნი მარად  
 გასწორებს ყველას ასე —  
 ვინც დაეცა დიდ ქალაქთან,  
 ერთი რომ გვაქვს ქვეყანაზე.  
 ვინც დაეცა სიმაგრესთან,  
 რომ გაჰყურებს დედა-ვოლგას,  
 ვინც შეაკვდა მივიწყებულ  
 დასახლებულ ადგილს ბორკას.  
 გაიხსენებს, პატივს დასდებს  
 მათ რუსეთი — დედა ტყვილი.  
 სხვა ბრძოლაა, სულ სხვა დროა,  
 ან სიცოცხლე, ან სიკვდილი.

სიყვარულის შესახებ



ომმა ვინც კი გაიხმო,  
 ყოველ მებრძოლს, ყოველ კაცს  
 ერთი ქალი მაინც ხომ  
 აცილებდა ოდესღაც.  
 სხვა ნივთს არა, თეთრეულს  
 გაატანდა ქალი მას.  
 მეტ ძვირფასად ჩასთვლიდა,  
 გავიდოდა ხანი რაც.  
 ძვირფასია წუთები  
 და მარადეამს ნათელი,  
 გულში რჩება იმ თვალთა  
 მწერა უკანასკნელი.  
 მოიარე დიდი გზა,  
 არ ეძიო დიდება,  
 სიყვარულზე დიდი რამ  
 ქვეყნად სხვა რა იქნება.  
 აგი ყველას გულში ზის,  
 ფასდაუდებელია,  
 საიდუმლო წყაროა,  
 ხელშეუხებელია.  
 მუდამ ფრთხილად ვინახავ,  
 წუთით არ მავიწყდება,  
 მისი გაზიარება  
 სხვებთან განა იქნება.  
 ის მთლიანად ჩემია,  
 მისთვის ბუდედ მაქვს მკერდი,  
 გაიხსენე, შენცა მაქვს  
 ძნაო, გრძნობა ასეთი.  
 ომმა ვინც კი გაიხმო,  
 ყოველ მებრძოლს, ყოველ კაცს  
 ერთი ქალი მაინც ხომ  
 აცილებდა ოდესღაც...  
 უნდა ითქვას, ქალების  
 გება როცა იწყება,  
 მშობელ დედის ხსენება  
 ხშირად რად გვაეწყვდება?...  
 ძნაო, როგორ იქნება  
 კმუნვა ტყუილ-უბრალოდ.  
 ერთ დროს დედამ ცოლობაც  
 გამოსცადა უდავოდ,  
 სიყვარულიც იწვნია  
 უმწყიელოდ და უზადოდ.

მეგობრებო, მეუღლის  
 სიყვარული, სიმტკიცე  
 ომში ომზე მძლავრია,  
 ალბათ, თვითონ სიკვდილზეც.  
 არ აღუდგე წინ გრძნობას,  
 იგი ყველგან დაგიცავს,  
 გაგამხნევეს, გადიდებს  
 და თუ შეცდი — გაგაიცხავს.  
 გადიკითხე ფურცელი  
 ჩაბნელებულ მიწურში,  
 გაიხსენე მეუღლე,  
 ჩაიხედე მის გულში.  
 გამოიცან ამ წერილს  
 როგორ შექმნე დაწერდა?  
 იქნებ მისი წერისას  
 ბაღის აკვანს არწვედა?  
 იქნებ თავი სტკიოდა  
 და წყუროდა ნუგეში?  
 იქნებ ცუდად იწვოდა  
 ნედლი შეშა ღუმელში.  
 ქანცავს საქმე მეუღლეს,  
 შებმულს მძიმე უღელში.  
 ცდილობს ყველა მეუღლე  
 ისეთი რამ მოგწეროს,  
 რომ წერილმა ცოცხლები  
 უფრო მალე მოგვებნოს.  
 დღეს ცოლები საერთოდ  
 გაბდნენ ქმრების ერთგულნი,  
 ისინიც კი, რომლებიც  
 იყვნენ გადარეულნი.  
 ვინდ იცინეთ, ვინდ არა,  
 ისეთი ყავს ბევრს ცოლი,  
 რომლის გამო კვლავ ომში  
 ყოფნას არჩევს მებრძოლი.  
 ასე ყოველდღიურად  
 გულის ხეთქვას მის ხელში  
 დაბომბვისას ხოხვა სჯობს,  
 ან მოხვედრა მტრის ცეცხლში.  
 შეტევაზე გადასვლა  
 სჯობს შეექვსედ ზედიზედ.  
 მხოლოდ ხუმრობისათვის  
 ვამბობ ამას დღეს, ისე...  
 არა, ძმებო, მეუღლის


სიყვარულიც, სიმტკიცეც  
 ომში — ომზე მძლავრია  
 და, ალბათ, თვით სიკვდილზეც.  
 ახლა შეგვეკითხები,  
 კითხვას პასუხს უპოვნი?  
 რომელია ხანგრძლივი —  
 სიყვარული თუ ომი?  
 თვალს სიმართლეს უშიშრად  
 გაუსწორებ არწივი,  
 მეტყვი: — სიყვარულია  
 ომზე უფრო ხანგრძლივი.  
 რადგან ომი სიცოცხლეს  
 ასე ერჩის, არ ინდობს.  
 მეტხანს იტანს განსაცდელს  
 სიყვარულიც ამიტომ.  
 მისთვის გვიყვარს წერილი  
 ძვირფას ხელით ნაწერი,  
 დაღლილ ხელით ნაწერი  
 კანდამსკდარი მარჯვენით.  
 და მე განა ამაოდ  
 მოვუწოდებ ჩვენს ცოლებს:  
 — კარგნო, ხშირად მოგვეწერეთ  
 წერილები მებრძოლებს!  
 წერეთ. მჯერა ყოველთვის  
 გამონახავთ მისთვის დროს.  
 გენერალიც, რიგითიც  
 წერილს ელის, ვით ჯილდოს.  
 ძმაო, არ დაივიწყო:  
 სასტიკ ომში, ნამდვილი  
 სიყვარული ყოფილა  
 ომზე უფრო ხანგრძლივი.  
 გათენდება დიდი დღეც,  
 ძლიერ ახლოს არის ის,  
 ასე რისთვის ესაუბრობ?  
 აი, კარგნო, ამისთვის.

### ტიორკინის შესვენება

ომის გზაზე, თბილ ადგილას,  
 ქოხში, სადაც შეჩერდებით,  
 ბლინდაქში თუ ბნელ სარდაფში,  
 სადაც მოხვედი დღეს შემთხვევით, —  
 უხლადფორთოდ, უსასთუმლოდ  
 ყოფნას რამე შეედრება?  
 კარგი ამის ძმებთან ერთად

ომმა ვინც კი გაიხმო,  
 ყოველ მებრძოლს, ყოველს წაეცხი  
 ერთი ქალი მაინც ხაზმზღინით  
 აცილებდა ოდესღაც.  
 თუმცა გული შემტკივია,  
 რით ვუშველო, რით ვისხნა?  
 კანზე დარჩა ვასილი —  
 გმირი ჩემი წიგნისა.  
 მას არეინ აცილებდა  
 ომში წასვლის დღეს არეინ...  
 შეიყვარეთ, ასულნო,  
 ღირსი არის ღმერთმანი.  
 თაყვანს სცემენ მფრინავებს,  
 პატივს სცემენ ცხენოსანს.  
 ყურადღება აღირსეთ  
 ჩვენს მშობლიურ ფეხოსანს.  
 ცაში დაფრენს მფრინავი,  
 თუ მხედარი ცხენზე ზის,  
 ომში მაინც პირველი  
 არის რიგი ფეხოსნის.  
 ჰე, ტანკისტო, ლამაზო,  
 მარჯვე ბიჭო, შენ როცა  
 ცეცხლში მიგყავს მანქანა,  
 მიესალმე ფეხოსანს.  
 ძმაო, არტილერიისტო,  
 რომ არ უშვებ მტერს ცოცხალს,  
 სროლის შემდეგ მადლობა  
 გადუხადე ფეხოსანს.  
 დამიჯერეთ, მისნაირს  
 ვერსად ნახავთ, დებო, სხვას.  
 გოგონებო, სიყვარულს  
 ნუ მოაკლებთ ფეხოსანს.  
 შეიყვარეთ ვაჟკაცი,  
 თქვენი გული უძღვევით.  
 ერთად შეხედით დიად დღეს  
 სიყვარულით გულწრფელით.

ექვსას წუთით შესვენება.  
 უფრო მეტიც არ გვაწყენდა,  
 დრო არ გვაძლევს მეტის ნებას.  
 ძილის ვადა ამნაირი  
 ომში მხოლოდ გვესიზმრება.  
 ვთქვათ და უცებ, ერთ მშვენიერ  
 დღეს დასტოვე ხაზი ცეცხლის



და პირდაპირ სამოთხეში  
გაპყევ აეტოს გზად შეხვედრილს.  
არ გესურს სიტყვით გაბრწყინება,  
ანდა ამას როგორ გეტყვით,  
თითქოს მართლა სამოთხეა  
ცეცხლის წინა ხაზის გვერდით.  
სამოთხეა: სახლი. კიბე.

ცოცხი — ფეხი გაიწმინდე.  
გაქვს ოთახი და ღუმელი.  
სხვა სამოთხე არის კიდევ?  
წიგნშიც კი ხარ აღნიშნული,  
გაიხადე, შედი რაღა...

თბილ ღუმელთან თავისუფლად  
შეარბიე მხრები ლაღად.  
მიმოაღლე მზერა ირგვლივ,  
გაუსწორე თვალი საწოლს,  
და იცოდე: ეს საძილე  
ოთახია, ჯარისკაცო:

სადაც მთელი კვირით ძეღის,  
მოსვენების დავრთვს ნება.  
მაშინ იგრძნობ ნეტარებას,  
თეთრ საცვლებით ჩაწექ თბილად,  
ვით სამოთხეს ეკადრება.

აჲ, თანახმად ბრძანებისა,  
ნებიერი ძილის გარდა,  
ღლეში ოთხჯერ უნდა ჭამო,  
წესი არის. არ გკითხავენ,  
— გაქვს თუ არ გაქვს დიდი მადა.

ძნელი არის ძველი ჩვევის  
უკუღდება სამ-ოთხ ღლეში.  
ძირს კი არა, მაგიდაზე  
უნდა ჭამო სამოთხეში.  
ქვაბით სამზარეულოსკენ  
სამოთხეში არ დარბიან,  
არა სხედან ფარაჯებით,  
პურს ხიშტებით არა ჭრიან.  
არის მკაცრი მითითება,  
თუ არ გინდა შერცხვე ხალხში,  
ფეხთან თოფი არ გინახონ  
არავითარ შემთხვევაში.  
არ გაქვს ნება: სამოთხეში  
მაგიდასთან დაჯდე თოფით,  
ან ხელთათმნით შეიწმინდო  
პირი, ანდა სახელოთი.  
კერძის ჭამას რომ მორჩები,

უნდა ერთიც დაგახსომდეს:  
შენი კოვზი ჩექმის ყელში  
არ ჩამალო არასოდეს.  
დინჯად, სწორედ გაარჩია  
თითქმის ყველა ნათქვამი და  
გადასწყვიტა ტიორკინმა:  
— არა უშავს, თავს გავეიტან.  
სადილის და ვახშმის შემდეგ  
ჰკითხვს ვასილს: — რაც მიირთვით,  
მოგეწონათ ყველაფერი?  
— არა უშავს, უფრო ცუდიც  
იყო ჩემი შესაფერი.

რომ მოსწია პაპიროსი,  
ეგი გვერდზე ქშენით დაწვა.  
სიამისგან მოითენთა.  
ერთ ზეწარსაც იკმარებდა. —  
გაუშლიათ ორი ერთად.

სისუფთავე სუფევს ირგვლივ  
და ჯანსაღი კაცი მაშინ  
თავს გრძნობს რაღაც უხერხულად,  
სითბო უვლის ერგოლვით კანში.  
ტიორკინი ფიქრობს, თითქოს  
მოხვდა ისევ პოსპიტალში.

შეუფუთნავს მხარი თბილად,  
გაურყველად წევს ვასილი.  
საწოლებთან ჩამოივლის  
თეთრხალათა ქალიშვილი.  
მასთან გაჩნდნენ მზვერაგები —  
სამი მარცხნივ, ორი მარჯვნივ.  
ჩანდა, როგორც დედოფალი,  
ერთი თეთრი გოგო მათში.  
ტიორკინიც ჰკერუტს ახლოდან:  
ენ კითხულობს სილამაზეს.  
კარგი არის, ერთი სიტყვით,  
ამ დროს, ფრონტისპირა ხაზზე.

სხვა თუ არ გყავს, მბეუტავ შექმნი  
კარგი არის ყოფნა მასთან,  
და ეტყობა ამ ბიჭებმა  
გაატარეს დრო ლამაზად.

ძილში ტუბილად სუნთქავს მკერდი,  
ნებიერობის მიღის ვადაც.  
ალბათ, ძლიერ ცივა გზაზე,  
სადარაჯო პუნქტთან სადღაც.

გაგმოსვალავს სხეულს ქარი,  
ვერ გაგათბობს ცივი მთვარე,  
შესაფერი არსად არი.  
რა ძნელია ქვეყანაზე  
სამსახური და ცხოვრება,  
მკაცრი ომი და ზამთარი.

ომში თბილი სასთუმალი  
მებრძოლს როგორ ენატრება!  
მაგრამ ახლა ვასილს ძილი  
სულაც აღარ ეკარება.

ბრუნავს იგი ციბრუტივით,  
პირქვე წივება, გვერდს ინაცვლებს.  
უშედეგოდ იტანჯება,  
უშზერს მხვრინავ ჯარისკაცებს.  
სცხელა, სცივა თუ რა მოსდის,  
რამ გაუკრთო ძილი უცებ,  
— ძმად ქული დაიხურე, —

ვილაც უხმობს, ვილაც ურჩევს.  
ვილაც უხსნის: — განა მარტო  
შენ ჩაეარდი ასეთ დღეში,  
თავპირველად ჭირს უქულოდ  
ძილი სუფთა სარეცელში.  
და ის იყო დაიხურა  
ბრძოლის კვამლით გაყენთილი,  
საყვარელი ქული კაცმა,  
ქული ნახმარ-გაცვეთილი,  
ტყვიის ცეცხლში თუ ღვართქაფში  
გამოვლილი, დასეტყვილი,  
ქანგაინი მათეულხლართით

გაგლეჯილი, გაკემსილი.  
ქულს სიცოცხლის გზაზე ყველგან  
თან ატარებ, არ იცილებ,  
ცეცხლში მიხვალ სასიკვდილოდ,  
თუ წუთიერ წაიძინებ.

— კარგი ვქენი — დავიჯერე, —  
გულში იტყვის ტიორკინი,  
სითბო იგრძნო ჯარისკაცმა,  
ან საამო წამის განცდა  
იყო ღრმა და იყო თბილი,  
მოერია ამ ღროს ძილი.

მან ვადაზე ადრე როცა  
გაიღვიძა, გაიკვირა,

თითქოს მართლა შორი მხარე  
მოიარა ღამით გმირმა,  
თითქოს სადღაც შორ მხარეში  
იბანავა ჯარისკაცმა,  
სად მშვიდობის, სად სიცოცხლის,  
სად ზაფხულის იდგა ემზი —  
ომისა და ზამთრის ნაცვლად.

და ტიორკინს ცალფეხჩაქმულს  
ქულის მოხდაც დაავიწყდა,  
სამოთხეში მოხვედრილი  
კაცი ფიქრად გადაიქცა.  
კარგი არის კერძიც, ქოხიც,  
ტყბილი ძილიც, — შენ რომ გერგო,  
მაგრამ ომი ჯერჯერობით,  
ისევ გაქუსს, მეგობრებო.  
მაშ განსაჯეთ, ძმებო, თვითონ:  
ვის მოუვა ფიქრად თავში:  
გაიხადო, ფეხთ გაიძრო  
ასე ძლიერ მოკლე ხანში.  
აქ განცხრომას შეჩვეულის  
საქმე ველარ წავა კარგად.  
უკეთ რომ ვთქვათ: შეისვენე,  
ღროს ტყუილად ნულარ კარგავ,

გეყოს. საქმე ზომ გაჩარხე,  
წახებმე და წინ გასწი!  
გზადმეშვედრი მანქანა  
ამ ღროს მსხნელი ჯარისკაცის.

ავტომობილს შეახტები  
ოთხფუთიან ტვირთად გზაზე,  
კაბინაზე ხელს დაარტყამ,  
შოფერს თუთუნს შესთავაზებ.

გრძელ თუ მოკლე გზას გაივლი,  
რად გეკირდება მისი ზომა,  
— ჰე, ნახვამდის სამოთხეო,  
ფრონტზე მივალ, მიცდის ბრძოლა.

ნოსახვევთან ჩამოხტები,  
ინახულებ ბოლოს ძმობილთ,  
ეტყვი: — აბა, მომიყევით,  
თავს უჩემოდ როგორ გრძნობდით,  
— სამოთხეში შენ იყავი,



ჩვენ კი ისევ ვსახლობთ ცეცხლში,  
 მოგვიყვი, რა ცხოვრება  
 სუფევს თქვენში, სამოთხეში...  
 — კარგი არის; არაუშავს,  
 ოთხჯერ უნდა ჭამოთ დღეში...

კარგი არის ძილი, ძმარო,  
 ძილზე ცუდი არა თქვა რა.  
 მაგრამ ომი, დიდი ომი  
 ისევ გაქუხს, არ გამქრალა.  
 მტრის საზღვრამდე რომ მივალწევთ,

გზას გაეყვებით ვარშაივას,  
 აი, მაშინ დავისვენებთ,  
 მაშინ ვიტყვი: არა გვიშავს  
 ჯერ კი გზაზე, თბილ ადგილას  
 ქოხში, სადაც შეეჩერდებით,  
 ბლინდაეში თუ ბნელ სარდაფში  
 სადაც შესდგამ ფეხს შემთხვევით,  
 უხლაფორთოდ, უსასთუმლოდ  
 ძმებთან ერთად ძირს ისვენებ.  
 ბოლოს ცოცხლად წამოხტები,  
 ცეცხლში გასწევ წინ ისევე.

იბრინუზი

თავს ვიცავდით ისე დიდხანს,  
 რომ ცხენები წინა ხაზზე,  
 ვით სოფელში, თავისთავად  
 მიდიოდნენ ხშირად წყალზე.  
 ჯარით გავსილ ტყის სიღრმეში,  
 ფრონტისპირას, მაშინ ყველგან,  
 ყოველ ქოხთან, ძელმიწურთან  
 გაისმოდა ძაღლის ყეფა.  
 და მამალი აღრიანად  
 ყვირის როცა დაიწყებდა, —  
 დივიზიის მეთაურსაც  
 ბატრონსაც ვთავადავებდა.  
 შეხვალ ორთქლში, აბანოში,  
 რას ინატრებ, სხვა რა გინდა.  
 საკუთარი ხელით შეკრულ  
 ცოცხით ხელად ტანს გაიბან.  
 ომში როცა ვისვენებდით,  
 ხან ვიკრეფდით ძილის მარაგს,  
 ხან „ტიორკინს“ ვკითხულობდით  
 ხან დიდი ხნის ნაწერ ბარათს.  
 უცებ ბრძანეს — შეწყდა დგომა,  
 შორს დავტოვეთ, ხაზის მიღმა,  
 ცარიელი მიწურები  
 ობლად დარჩა შორს კვამლია.  
 ასე ჩქარა, ჩვეულებრივ  
 ერთი წელი გაქრა დღესებრ,  
 აღბათ, ომიც ამნაირად  
 გადაივლის ამ არეზე.  
 ჩემმა ბოლო ჯარისკაცმა  
 თუ სიკვდილზე გაიმარჯვა,  
 გაიხსენებს, რაც მოსკოვთან  
 გამოსცადა, გაისარჯა.

და ნალელიან სიამაყით  
 ამბავს იტყვის იგი მშვიდად,  
 მოხუცებულს თუ ელირსა  
 ყურადღება შეიღიშვილთა.

ხანდაზმულთა მიმართ ყველას  
 ყურადღება გვმართებს მეტი.  
 ბოლოს ენახოთ. ჯერჯერობით  
 შორი გზაა სიბერემდის.

ბრძოლა გაქუხს. ლურჯი კვამლით  
 გადიფარა ლეგა თოვლი.  
 ტიორკინი ძმებთან ცეცხლში  
 სოფლისაყენ მიდის ბრძოლით.

მამისეულ კარიბჭემდე  
 სადაც ზღურბლი ჩანს სოფლისა,  
 იმ მშობლიურ მიდამოზე  
 გადიქიმა გზა ბრძოლისა.

არ იქნება შელონება,  
 სხვებს შინამდის მასზე უფრო  
 ძნელი გზა აქვს გასავლელი,  
 ზოგს გორები ელობება,  
 ზოგს უცნობი, ვრცელი ველი...

ქუდის ახლოს სტვენს სიკვდილი, —  
 ვის არ დასცემს, რას არ შესძლებს.  
 მკიდრო მწკრივად მიდის ჯარი,  
 თითქოს თოვლში განამ დაეძებს.  
 ახალგაზრდა მებრძოლისთვის,  
 ვინც პირველად მიდის ასე,

განსაცდელის დღეს ყველაზე  
ძვირფასია, როცა იცის  
ტიორკინთან ერთად იბრძვის,  
მასთან მიღის შეტევაზე.

კარგი არის, თუნდა ერთოლამ  
დაგიაროს წამით ტანში, —  
უკანასკნელ ჯარისკაცად  
არ გამოჩნდე მის წინაშე.

მაგრამ როცა მოქრას კურავი,  
წუთი როცა დგას წყევული,  
ტიორკინიც უცდის სკდომას,  
თოვლზე ქვასებრ დაცემული.  
შიშს ბრძოლაში ის დასჯაბნას,  
ვინც ქარცეცხლში დაოსტატდა,  
ვინც თავისი ბედ-იღბალი  
აზერთხელ გამოსცადა.

შიშის ძღვეას, შეიძლება,  
ცეცხლში ბევრჯერ უშველია,  
დღევანდლამდე არა ერთი  
კაცი გადაურჩენია.

აი, ახლა წევს ნახნავში  
პაერშესუნთქული მუცლით.  
ძირს წევს სათუთყანიანი  
კაცის შეილი წევს და უცდის...  
სადაც, ბრძოლის ველის აქეთ,  
დიდ საფიქრალს ერთი ფიქრობს,  
მიჰყვებიან საათები  
მისა ჯიბის საათის დროს.  
ფიქრობს ბრძოლის მბრძანებელი,  
თვალს აღევნებს სროლას ფიცხელს,  
აფეთქების ხმაში, კვამლში  
გადუდებელს ქრის საკითხებს.  
სადაც ქეიშნარ ხრამის ძირას,  
ბლინდაცია კედლებშშრალი,  
რუქას უმზერს, თან ჯიბიდან  
საათს აღებს გენერალი.  
მეის დახურავს ხუფს კარივით  
და შეიშენდს შებლს გაოფლილს.  
ესმის ვასილს ნანატრი ხმა:  
— წინ! ბაქებო! სამშობლოსთვის!..  
ვასილს თუმცა ეს სიტყვები,  
წარმოთქმული განსაცდელში,  
აქვს ათასჯერ გაგონილი,


წაითხულაც აქვს გაზეთში.  
ამაყ სულში ჩაუსახლდეს უცხელში  
ეს ძახილი მებრძოლს, ახლადვე  
სინამდვილის, წმინდა დარდის,  
მწარე ბოლმის ძალის მსგავსად.

ასეთ ძალას შეურყეველს  
ცეცხლში გაყავს უცბად ხალხი.  
ყველას ნაცვლად ის პასუხობს,  
ის განაგებს გულთა ძახილს,  
მასზე მძლავრად ვინ იტყქოს:  
— სამშობლოსთვის! წინ! ბიჭებო!

თავმომწონე ლეიტენანტს,  
მხედარ კაზაკს, ომში ფიცხელს,  
შავულვაშა ახალგაზრდას  
აუჩქროლდა გული მყისვე.

სხვებზე ადრე ახტა სროლათ,  
ოცეული წან გაეარდა,  
სოფელს უკან მოუარა,  
მოქმედებდა ფიცხლად, მარდად.  
და ღრმა თოვლში, ყველაზე შორს  
მხოლოდ მისი კვალი ჩანდა.

ბოლო ქოხთან დგება იგი,  
ხელს უღვაშზე გადაისევს:  
— ყოჩაღ, ყოჩაღ! წინ! ბიჭებო! —  
მისი მძლავრი ხმა გაისმა,  
დაიძახა ისე, თითქოს  
ჩააყვი იყოს თვითონ.  
და ის იყო წინ გაღეშვა,  
ელვისუმალ გაიბრინა,  
უცბად მისა კვალი თოვლში  
გაწყდა. უცბად გაიყინა,  
და ჩაყვინთა თოვლში, როგორც  
მოცურავე ბალღმა წყალში.  
— დაჭრეს! დაჭრეს მეთაური...  
ხმა დაირხა სწრაფად ხალხში.  
მიიბრინეს მასთან მარდად,  
იგი წამით წამომდგარი  
დაიძახებს: — წინ, ბიჭებო!  
მე დაჭრილი არ გეგონოთ,  
მე ვარ მკვდარი!..  
ეზო-ბაღებს, სოფლის კიდეს  
ახლოს უმზერს ტიორკინი,



უცნაურად უცემს გული,  
 გული უხმობს, გადასწყვეტე,  
 დროა, ახლა გადახვიდე  
 იერიშზე ოცეულობით.

სამშობლოსთვის! წინ! ბიჭებო!  
 დაიჭექებს მთელი მკერდით  
 და ორმოცი კაცი ვასილს  
 უცხად გაჰყვია, როგორც ერთი...

თუ ბრძოლაში უეჭველი  
 წარმატებით წავა საქმე,  
 მაშინ ყველა ერთმანეთის  
 სიმარჯვეს და ძალას აქებს.  
 — ტანკებს სწორი არა ჰყავდა,  
 — მესანგრენი ჰქროდნენ ფიცხლად,  
 ზარბაზნების ცეცხლში მტერი  
 ცხვირით თხრიდა დედა-მიწას.  
 — ფეხოსანი!  
 — საათივით  
 მუშაობდა ჩინებულად,

მტრინავეებმაც იყოჩაღეს,  
 მკაცრი ბრძოლა, ერთი სიტყვიც  
 დაგვირგვინდა დიდებულად...  
 ნუ დაეფიცავთ, ასეც ხდება,  
 წარმატება თვალებს გვიხვევს,  
 ბევრი გმირი მოიძებნა,  
 მაგრამ ერთი დაივიწყეს.  
 სანიშნუში სიზუსტისთვის  
 გენერალმა ბრძანა ახლა:  
 — სოფლად ადრე ვინც შეიჭრა  
 მინდა სწორედ მისი ნახვა.

ჯართა მმართველს წესისამებრ  
 მოახსენეს გმირის გვარი,  
 — ახლა თვითონ ვერ ცხადდება,  
 ველარ დგება ცოცხალ-მკვდარი.

ამ დროს ყველა სხვა გვარებში  
 ერთის გვარი გახმაურდა —  
 ხალხს აღმოხდა — ტიორკინი!  
 იგი იყო, რა თქმა უნდა.

(გაგრძელება იქნება)

## X I L L O



აუტანელი გახდნენ ჩვენი მეზობლები, დღე არ გავა ჩხუბი არ მოგვივიდეს. ვერ იქნა, ვერ შეიგნეს, რომ ჩვენს სამოვრებზე ჩვენმა საქონელმა უნდა სძოვოს.

გაიხედეთ იმ მთისაკენ, აგერ იქეთ, თოვლი რომ მოჩანს. თვალი გააყოლეთ მას. შერე ტყის ნაპირს გაჰყევით. ბოლოს დაცემული ველი იწყება, ამ ველსაც გადააველეთ თვალი და ჩანჩქერთან შეჩერდით. ეს არის ჩვენი სამოვრები. ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ სახელმწიფო აქტებით გადმოგვეცეს სამუდამო სარგებლობაში. განა ჩვენს მეზობლებს კი არ გადასცეს ასეთივე აქტებით საბალახოები, ბაღები და საკარმიდამო? მაგრამ იმ ოჯახქორებს რიგიანად ვერაფერი ვერ მოუგვარებიათ. სულ ეს აკერიათ ენაზე:

— რუსთაველის კოლმეურნეობას მეტი სამოვრები აქვს, ჩვენ ვიწროდ ვართო!

სამოვრები რომ მეტი და უკეთესი გეაქვს, ეს მართალია, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საქონელიც მეტი გვყავს. კარგადაც ვუვლით. წველადობასაც ვზრდით და ნამატსაც უკლებლივ ვინარჩუნებთ. წარსულ თვეში ერთი ხზო დაიკარგა და მთელი ფერმა ფეხზე დადგა. ვიღრე არ ვიბოვნეთ, ვერ მოვისვენეთ!

თვალის ჩინივით ვუვლით ჩვენს ხზორებს. გაზაფხულზე, მთაში ამოვედით თუ არა, მაშინვე მთელი სამოვრები შემოვიარე და ერთი ადგილი, სწორედ ის დაცემული ველი, წელან რომ გჩვენებდით, ხზორებისათვის ყორუ-

ლად გამოვყავი. თვალი მომტაცა ამ ველმა. რას არ გაეხარა, რა ბალახი არ იყო იქ?! ცისფერყვავილა ქარცხვი და მოთეთრო კვლიავი, გემრიელი ფამფარა და რძით სავსე ტიმოთელა ზღვასავით მოფენილიყო. ჩვენი ხზორები დასუქდებიან და დაიზრდებიან-მეთქი. პატარებია, ბავშვებივით არიან, კარგი მოვლა და სათუთი კვება სჭირდებათ.

მაგრამ იცით რა მოხდა? გახსენებაც კი არ მინდა!

ერთ დღეს, ჯერ გათენებულიც არ იყო, რომ მთისაკენ გავეშურე. ადგილი უნდა გადაგვენაცვლა. სამი თვე ტყის პირას ვიყავით, ბალახი კარგად მოიძოვა, და, ახლა, ირმისთავის მახლობლად უნდა გადავსულიყავით. შაქრო წამომყვა თან, ჩვენი ბრიგადირი.

— შალვა, — მეკითხება ის გზაში, — ჩვენი ხზორები დედის ძუძუს რომ მოვწყვიტეთ, განა არ დაიჩაგრებიან?

— არა, არ დაიჩაგრებიან! — ფიქრებში ვიყავი გართული და უხალისოდ ვუპასუხე.

— მე კი მგონია, რომ დაიჩაგრებიან!.. შენ მე აგრე კი ნუ მეუბნები, არ დაიჩაგრებიანო, უნდა დამაჯერო!

— თუ კი არ დაიჯერებ, როგორ დაგაჯერო?!

— დაგიმტკიცო? კარგი! ერთი ეს მითხარი, ყველაზე კარგი ძროხა რომელია ფერმაში?

შაქრო კარგა ხანს პასუხს არ მიძლეოდა, ჩუმად მომყევბოდა. ეტყობოდა თვალწინ წარმოუდგა ყველა ძროხა, რომელიც ფერმაში გყავდა.

— მე მგონია მახინჯა უნდა იყოს!

— ხოო და, გაგიმარჯოს! მახინჯას ძებუ არ უწოვია. გასაგებია?

— გასაგებია, მაგრამა...

— მაგრამ რა?

გუშინ დილას იცი რას შევესწარი?

პირდაპირ გული დამეთუთქა... ფერმაში ვილაკის ხბო მოეყვანათ და გომურის კართან დაებათ. ამ დროს ჩვენი ძროხები საძოვარზე მიყავდათ. ეს ძროხები სათითაოდ მიდიოდნენ ამ ხბოსთან, ჯერ შებღავებდნენ, მერე დაყნოსავდნენ და როცა დარწმუნდებოდნენ, რომ თავისი ხბო არ იყო, ნაღვლიანად შორდებოდნენ!

— ეგ არაფერი, ჩემო შაქრო, მალე გადავიწყვებათ. სამაგიეროდ ჩვენს ფერმას ერბო-კარაქი მოემატება და ცხიმინობაც გაიზრდება, გასაგებია?!

— გასაგებია, მაგრამა...

შაქრომ მაინც დააყოლა ექვის გამოზატეული სიტყვა. აღარ შეველაპარაკე. სიმართლე უნდა ვთქვა, სალომეზე ვფიქრობდი. გულში ჩამივარდა. მთელი გზა თვალწინ მედგა. ბინიდან რომ გამოვედი, კართან შემხვდა, მაგრამ არ შემომხვდა, ძირს იხედებოდა. შევიმჩინე, ჭარხალივით გაწითლდა. უთქმელი გოგოა, გულჩახვეული. ვერ იქნა, ენა ვერ ამოვადგმეინე. ვერც სახე გავუხსენი. თუ ველაპარაკები, უსათუოდ შებღი შეკრული აქვს. ერთხელ მართო შემხვდა. გავაჩერე და გადავწყვიტე გული გადამეხსნა, მაგრამ ისე შეიკრა შუბლი, რომ ენა ვერ ვადამიტირებოდა.

ასე ფიქრებში გართული მივდიოდი. ცხენები მიშვებული გვყავდა, აღმართი იყო და არ ვაწუხებდით.

— სხვისი საქონელი გადმოსულა, სხვისი საქონელი! — უტბად ხმამალა წამოიძახა შაქრომ, — ერთი შეხედვით ყორულსა. გააოხრებდნენ ის ოჯახ-დაძეულები, გააოხრებდნენ!..

— ნეტავი ვისია? — ეკითხებ. რატომღაც უსიამოვნება ვიგრძენი.

— სვირელებისა იქნება, ვისი უნდა იყოს?! — თქვა და მკერდზე შემჯილი დაირტყა. ბრახით აენთო.

ცხენებს ქუსლები შემოვკარით და ათიოდე წუთში საქონელთან გავჩნდით.

თურმე ნუ იტყვით, მეზობელი კოლმეურნეობის მეჯოგეს, რაედენ ზაზაძეს, თავიანთი საქონელი ჩვენს საძოვარზე შემოუყვანია. საძოვარს ვინ ჩივის, ისე გათავებდებულა, რომ ხბორებისათვის გამოყოფილ ყორულზე უძოვებია.

— ეს რა ქენი, რაედენ?! — შევძახე გაბრაზებულმა. ისე გავშარდი, რომ დაძახილი ჩემს ხმას არ გავდა, თითქოს ვილაკა სხვამ დაიყვირაო.

— გზად მივდივარ, შალვა, რა გაჯავრებს. ყორულში არ შევსულვარ, ნაპირ-ნაპირ მივდიოდი. — მიბასუხა და სახეში მომიჩერდა. ისე მიცქეროდა, თითქოს მართლაც არაფერი დაეშაგებინოს.

შევეცქეროდი მის თეთრ წვერ-ულვაშს, აბურძგენილ წარბებს და ვფიქრობდი: „ნეტავი აბალგაზრდა იყო, ეგ ჰალარა არა გქონდეს, რომ სხვანაირად გაგისწორდეს!..“

ყორულს გადავხედე. ბალახი მოთე-ლილი იყო. მე კი როგორ ეუნახავდი ამ ყორულს ჩვენს ხბორებს, როგორ მიხაროდა, რომ მწყერებივით დასუქდებოდნენ ჩვენი ნებიერი პატარები.

შაქრო ცხენიდან გადმოხტა. მეც მაშინვე დავევითიდი. მივხვდი, მუშტზე გადავიდოდნენ და შუაში ჩაეუდექი.

— ეს საქონელი ჩვენს გომურში შერეკე, — ელთხარი შაქროს. მერე რაედენს მიეუბრუნდი, — დღესვე სოფელში ჩავალ და საბჭოში გავსაჩივრებ, ამოვიდნენ და თავიანთი თვალით ნახონ თუ რა ზარალი მოგვაყენეთ!

ცოტახნის შემდეგ შაქრო საქონელს გომურებისაკენ მიერეკებოდა.

„მეტის მოთმენა აღარ შეიძლება... ხან სად შევისწრებთ და ხან სად. დღეს ეს

ყორული გავიოხრეს, ხვალ უარესს იზამენ!“—გავიფიქრე და გადაწყვიტე მართლა ჩავსულიყავი სოფელში, საბჭოში გამესაჩივრებინა, რომ ერთ-ხელ და სამუდამოდ აღეკვეთათ სვირელების თავგასულობა.

წართმეულ საქონელს გამოყვევი.

ყვირილით მოგვდედა რაყდენი:

— თქვე ოჯახქორებო, პირუტყვის რად მიმწყვედეთ, სად მიერეკებით?!

— ნუ გეშინია, მოუწყველავს არ დაეტოვებთ. ჩვენი ბალახი უძოვია, რძე ჩვენი უნდა იყოს! — დაცივნით უთხრა შაქრომ.

— რა ექნა, ვერაფრით ვერ გავაძლეს საცოდავები! — მოულოდნელად ხმადაბლა და ისეთი მწარე სინანულით წარმოთქვა რაყდენმა, რომ შემეცოდა. მის ხმაში გაისმა ის გრძნობა, რომელიც მშობლის ხმაში ისმის, როდესაც შვილების დაპურება უქირს.

შემეცოდა, მაგრამ მაინც გადაჭრით ვუთხარი:

— არა, რაყდენ, საქონელს ვერ დაგიბრუნებ, საძოვრებს ვერ გაგატიანებინებ!

რაყდენი თავისას არ იშლიდა. ხეეწნითა და მუდარით მოგვდედა, დამიბრუნეთო. ბოლომდე ჩამოგყევა. მოხუცს უყვარდა თავისი საქონელი, ჯავრით გული უღულდა, ამბობდა, მეც აქ დავრჩები, წყალს მაინც დავალევიებო.

საქონელი მოვაწყველინე და გომურში შევარეკინე. საღამომდე დამწყვედული მყავდა. მერე ველარ ავიტანე რაყდენის წუხილი და თავისი საქონელი გავატანე.

მთელი დღე საქმეს თავი ვერ დავალწიე, მხოლოდ ღამე შეეძელი სოფელში წასვლა.

მთვარიანი ღამე იყო. ცხენი ადვილად მიიკვლევდა გზას.

ხანდახან მარტო მგზავრობაც კარგია. რას არ გაიფიქრებ, რას არ გაიხსენებ, რა არ წარმოგიდგება თვალწინ?!

ოცნებით მოსკოვს ვესტუმრე... /კრემლში ვიყავი და ჩვენს კლასურულ ბელადს ვესაუბრებოდი. მტკვლიცხეთის შესახებ ვესაუბრებოდი? ჩვენი ფერმის შესახებ! ამდენი ძროხა გყავს, თითო ძროხა ამდენ რძეს იწველის, ამდენით გავზარდეთ წველადობა... ზოგჯერ, ფიქრში, ჩემს თავს ვკიცხავდი: შ.ლევ, შე სულელიო, განა ბელადს იმის გასაგებად სცალია თუ რამდენს იწველიან თქვენი ფერმის ძროხები? ხომ იცი, მტრები დაგეშინებენ არიან, იღრინებიან. ახლა ბელადი მთელი კაცობრიობის მშვიდობაზე ზრუნავს. თვალი უქირავს, იმ ავაზაკებმა ომის ცეცხლი არ დაანთონ, მშვიდობისათვის რაზმავს ხალხს. მაგრამ იქვე ვარწმუნებდი ჩემს თავს, — გჯეროდეს შალვა, რომ ბელადს ჩვენი ქვეყნის ყველა სასიკეთო წვრილმანისათვის სცალია. ჩვენი ფერმის მუშაობაც აინტერესებს. ბელადს ძალიან გავზარდება, თუ კი ჩვენც წარმატება გვექნება. არაფერი გამოგრჩეს, შალვა, ყველაფერი უთხარი, როგორი სიყვარულით უვლით საქონელს, როგორ ამაღლეთ წველადობა. ეს რძე ხომ მშვიდობის რძეა?! ამ რძით ვკვებათ ჩვენი ქვეყნის ბავშვებს, ვზრდით და ვავაჯაკებთ მოზარდ თაობას, მომავალ მშენებლებს!

ამ ფიქრით სოფელს მიუახლოვდი.

ჩვენს სოფელს ტატანისი ჰქვია, მეზობელ სოფელს კი სვირი. ეს სოფლები ისე ახლოს არიან ერთმანეთთან, რომ ნიავეც კი საერთო გვაქვს. ერთის შეხედვით ეს სოფლები ერთმანეთს განაწილებენ ერთმანეთს, ეზოებიც, წაბლის ხით ნაგები ორსართულიანი სახლებიც. ტყეები, მთები და ცა ორივეს ერთნაირად ამშვენებს, მაგრამ მათ ბელადებსა და ბოსლებში დიდი განსხვავებაა. ტატანისი კარგა შეძლებულია, სვირი კი წელში ვერ იმართება.

დაღამდება თუ არა, სვირი მაშინვე უჩინარდება, ჩვენი სოფელი კი — ტატანისი, ელნათურებში ბრწყინავს. აქა-

იქ მბეჭუტავი სინათლეებით სვირი ისე მოჩანს, თითქოს ის ტატანისს დაშორებული იყოს არა მარტო მანძილით, არამედ დროითაც და შორეულ წარსულიდან გამოიყურებოდეს.

სვირთან ცხენიდან გადმოვხტი და ფეხით წავედი. მთვარე მიმალულიყო და უკვე ბნელოდა. მართალია კარგად ეცივობდი გზას, სად იყო ორმო, სად რა ლოდი ეგდო, მაგრამ მაინც ვაივავლახით გავიარე ჩაბნელებული სოფელი. ჩემს საყვარელ ტატანისში შევედი. ეს პატარა, მაგრამ ელნათურებით განათებული სოფელი, ირგვლივ შემორტყმულ სიბნელეში, როგრცე ცაზე ხომბლი, ისე გამოიყურებოდა.

პატარა ხანს შევჩერდი, ღრმად ამოვისუნთქე. შუალაშე იყო და, როგორც ამ დროს სოფელში იციან, ყველას ეძინა. ირგვლივ ყველაფერი სდუმდა, ისმოდა მხოლოდ კამკამას ჩხრიალი...

კამკამა!.. ჩვენი სოფლის ეს პატარა მდინარე, სასიამოვნო და საყვარელი, რაღაცას ბუტბუტებდა. პაპანაქება სიცხეში რამდენჯერ გული გამოგრილებია კამკამას ცივი წყლით. ბავშვობიდან მიყვარდა. აქ მოყავთ სოფლის ნახირი წყლის დასალევად. კამკამა რწყავს ტატანისის ბაღა-ბაღებს. ახლა კი, შეხედეთ ამ კამკამას რას სჩადის?! გადაყურებ ტატანისს და აშკარად ვხედავთუ რა ძალა აქვს ამ პატარა კამკამას.. მთელ სოფელს ანათებს!.

მაშინვე თვალწინ წარმომიდგა ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე სანდრო ნათენაძე. ის ნამდვილად ზრუნავს კოლმეურნეობაზე. ყველგან წარმატება აქვს. ჩვენი ფერმა რომ კარგად მუშაობს, ესეც მისი უნარია. საქმე აწყობილი აქვს. სანდრომ ეს პატარა კამკამაც კი გამოიყენა, სანამ ჰიდროელექტროსადგური არ ააშენა, არ მოისვენა. სწორია, სწორი. მუშაობა ასეთი უნდა!

სანდროს გახსენებაზე გადავწყვიტე ამ ღამითვე მივსულიყავი მასთან, მაგრამ მაშინვე გადავიფიქრე: „დადლილი

იქნება, ეძინება. დილაზე მივალ და მოუყვები რასაც სჩადიან სვირელები?..“

შინ მივედი. ფრთხილად დავაკაკუნე — შენ შემოგველე, შვილო, ჩამოხვედი? — ჯერ ხმაც არ ამომელო, რომ დედაჩემის ხმა მომესმა. ის კაკუნზე მიხვდა რომ მე ვიყავი.

დარბაზში შევედი. ელექტრონი ავანთე.

— რით გავახშმო, შვილო, ეროკერტები გაგიკეთო თუ ვარია დავკლა?

— არაფერი არ მინდა, დედაჩემო, შეძინება, ლოგინი გამოშალე, — ვთხოვე და ამისრულა კიდევ.

დადლილს ღრმა ძილით ჩამეძინა...



ეს რა ხმაურია სოფელში?!

საწოლიდან წამოვდექი და ფანჯრიდან გავიხედე.

ხალხი დროშებით მოდიოდა, დაფანჯრნას უკრავდა. დავაკვირდი. ვიცანი, სვირელები იყვნენ, მაგრამ რა ზეიშია დღეს? რა მოხდა, რა ამბავია? ასე გახარებული რად მოეშურებიან ჩვენი სოფლის მთავარ ქუჩაზე?!

საჩქაროდ ტანთ ჩავიცვი. დედა მეზობლებთან გასულიყო. მის მოსვლას აღარ დავუცადე და მეც მოედინისაკენ გავწიე.

ტრიბუნაზე იდგა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე არდევან გელაშვილი და კოლმეურნეებს შეკითხვებზე პასუხს აძლევდა.

— სად იქნება კოლმეურნეობის კანტორა? — იკითხა ერთმა სვირელმა კოლმეურნემ.

— ახალი კანტორა აშენდება სვირასა და ტატანისის შუაგულში. არც ამ მხრივ დაგწყდებათ გული!

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვინ იქნება, სვირელი თუ ტატანისელი? — ეშმაკურად იკითხა სვირის კოლმეურნეობის ბუხალტერმა. მან ხალხს

თვალი გადაავლო და დაუმატა, — ტატანისელები თავზე წამოგვაჯდებიან, აქო და ჰიდროელექტროსადგური გვაქვსო. ყველაფრის ბატონ-პატრონნი ჩვენ უნდა ვიყოთო.

ერთ-ერთ ტატანისელ კოლმეურნეს ეწყინა ბუნხალტრის ნათქვამი და შეჰყვირა:

— სულ არ გვინდა თქვენთან გაერთიანება. ყანები თქვენ არ გვივარგათ და საქონელი. კარგი ბალები გაქვთ, მაგრამ იმისათვისაც ვერ მოგივლიათ. ამხანაგო არდევან, ამათ ისეთი უთაური თავმჯდომარე ყავდათ, რომ ყველაფერი ჩაშლილი აქვთ. მართალი ვითხრათ, მე სასტიკი წინააღმდეგი ვარ მათთან გაერთიანებისა. ასე არ არის, ხალხო, ასე არ აჯობებს?

— არა, ასე არ აჯობებს. — უპასუხა არდევანმა, — თავმჯდომარე თუ უთაური ყავდათ, შეეცვლით და კარგ მეთაურს გაუჩინეთ. ამ მეთაურს ისევე თქვენ დაასახელებთ, აქვე ავირჩევთ!

გამიკვირდა, რატომ აშენებენ ახალ კანტორას, რატომ ირჩევენ ახალ თავმჯდომარეს. აი, რას ნიშნავს სოფლიდან მოწყვეტა, მთავი ყოფნა!

— ვისი სახელობისა დარჩება გაერთიანებული კოლმეურნეობა? — იკითხა ტატანისელმა კოლმეურნემ.

— ჩვენი უნდა დარჩეს, ჩვენი — „გლეხის განთიადი!“ — ხალხიდანვე გაისმა პასუხი..

ახლა კი მივხვდი, რომ ორი კოლმეურნეობის გაერთიანება ხდებოდა. გამეღიმა და მაშინვე თვალწინ წარმომიდგა მოხუცი რაჭდენი, რომელიც მთელი ზაფხული სულ იმას ცდილობდა ჩვენს საბალახოზე ეძოვებინა თავისი საქონელი.

აბა, რაღა მაქვს სადგომი, ვიღას უნდა შევჩვილო, რაღაზე უნდა ვიჩვილო? ფერმებიც გაერთიანდება და საბალახოებიც საერთო იქნება.

ამ დროს სიტყვა აიღო რაიკომის წარმომადგენელმა.

— ამხანაგებო — წარმოსთქვა მან. — იმ კუთხეში, სადაც რუსთაველი დაიბადა, ჩვენს კოლმეურნეობას რუსთაველით ამ დიდი პოეტის სახელს. კარგია. „გლეხის განთიადი“, მაგრამ გლეხისათვის უკვე განთიადიც დადგა და კაშკაშა მზიანი დღეც. ჩვენ ვირჩევთ გაერთიანებული კოლმეურნეობა რუსთაველის სახელობისა დავტოვოთ!

ხალხი აჩოჩქოლდა. აქა-იქ ისმოდა — მართალიაო.

ნათენამქსთან მივედი, ხელი ჩამოვართვი.

— მე კენჭს ვუყრი. — წარმოსთქვა ამ დროს არდევანმა. — ვინ არის მომხრე, რომ კოლმეურნეობას რუსთაველის სახელი შერჩეს?

მან პირველ წუთებში პაერში ამართული ხელების დათვლა დაიწყო, მაგრამ მერე თვლა შეწყვიტა და დააყოლა: — ერთხმად!

— როდის ჩამოდი, რამ ჩანოგიყვანა, საქონელი როგორ არის? — მომასყარა შეკითხვები სანდრომ.

— საჩივლელად ჩამოვედი. სვირელები არ გვასვენებენ. ჩვენს საძოვრებზე გადმოდიან! — ხუმრობით ვთქვი.

— რაღა დროს ჩივილია?! — გაიღიმა სანდრომ.

მეც გამეღიმა.

როგორ ვლელავდი გუშინ, დღეს კი ეს საკითხი აღარათერს ნიშნავდა. წიშალა მეზობელ კოლმეურნეობებს შორის საძოვრების, ყანებისა და სათიბების საზღვრები!

არდევანმა თავმჯდომარის არჩევინა საკითხი დასვა. წამოაყანეს ორივე თავმჯდომარის კანდიდატურა. პირველად სვირის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს უყარეს კენჭი. არავინ გამოსულა, რომ ეთქვა მისი ლოთობის, მისი უზრუნველობის, კოლმეურნეობის ჩამორჩენილობის შესახებ, მაგრამ ეს მაინც გამოიხატა იმ სამად-სამი მალლა ამართული ხელით, რომელიც უხერხულობის გამო უცბათ ძირს დაეშვა.

— აი, დედასა, განა თუ გამოვლენ და პირში ეტყვიან, რომ არ ვარგინა-რო. — გაისმა ხალხში ძია ნიკოს ხმა.

ერთხმად გავიდა სანდრო ნათენაძე. ნეტავი სვირელების გული მაინც რითი მოიგო?

სანდრო მაშინვე მობრუნდა და შემეკითხა:

— შალვა, კიდევ რა საქმე გაქვს?

— მეტი არაფერი.

— მაშ დღესვე უკან გაბრუნდი და ამათი საქონელი ჩაიბარე.

ისევ გაისმა დაფისა და ზურნის ხმა. გაიმართა ცეკვა-თამაში. კოლმეურნეობის გაერთიანება ზეიმიად გადაიქცა. უხაროდათ სვირელებს, ჩვენი სოფელიც ელექტრონით განათდებოდა, შრომადლის ღირებულება გაგვეზრდებოდა. მართალი-ნიც იყვნენ, ასეც მოხდებოდა!..

შინ დავბრუნდი.

— სად გამეპარე, შვილო. — შემომეგება დედა. — რამდენი გექმებ. მოდი, შვილო, მოდი, საუზმე დაგიმზადე!

გარესახლში დედას სუფრა გაეწყო. დავინახე თუ არა შემწვარი წიწილი, კარაქი, თაფლი და ახლად გამოშვებული თონის პურები, დედას პურებს რომ ეძახიან, ჰამის მადა გამეღვიძა. ცივი წყლით სავსე პატარა თუნგულამ მთლად გამახარა. სუფრას ხალისიანად შემოვუჯექი. დედა ჩემ წინ დაჯდა და შემომიკეცროდა.

— დედაჩემო, შენ რატომ არაფერს იიღებ?

— არ მინდა, შვილო.

შვეატყე, დედა იმით ხარობდა, რომ მის დამზადებულ საუზმეს შევექცეოდი. ძალიან იშვიათად მხედავდა. დღევანდელი დღე ბედნიერ დღედ მიაჩნდა.

— დედაჩემო, ხომ გაგიგონია, მარტო კაცი პურის ჰამამიც ბრალიაო! ერთი ლუკმა შენც აიღე, განა მე კი არ გამეხარდებო?

დედამ შემწვარი წიწილის ფეხი მოქებნა და წიწენა დაუწყო.

— მერე, როდემდის უნდა იყო მარტო კაცი? მაღირსე რაღა, ხო შენც მოეტყდი. გაახარე მაშინშენის ქერი!

იმდენად ნათქვამმა არ შემაწუხა, რამდენადაც დედაჩემის ხმამ. ვიგრძენი, რომ მარტოობა გულს უმწარებდა, ეტყობოდა, ადამიანიშვილი ენატრებოდა, რომ გვერდში ამოსდგომოდა. მაშინ მასაც ახალი საზრუნავი გაუჩნდებოდა, ხალისი მიეცემოდა.

მინდოდა მეტყვა, რაც გულში მქონდა, მაგრამ თქმას ვერ ვახერხებდი. არ ვიცოდი როგორ დამეწყო.

— დედაჩემო, ერთი რამ უნდა შეგეკითხო. — მივმართე კარგა ხნის დღემდის შემდეგ, — შენის აზრით, რა უნდა მივუტანო ქალს, რომელიც, ვთქვათ, მე მეყვარება. აი, თქვენ რომ ნიშნის მიცემას ეძახით!..

გელიმა და ღიმილმა სახე გაუნათა. არ ვიცი სიხარულისაგან ენა დაება თუ რა დემართა, ხმის ამოუღებლად მეორე ოთახში გავიდა. საუზმე მივატოვე და თვალი გავაყოლე. ორიოდე წუთის შემდეგ მომესმა მისი რბილად გადადგმული ნაბიჯის ხმა.

— ამაზე კარგი რა იქნება? აი, ჩემი ბაღჩა-ბეჭედი, ხომ იცი, მამაშენის სიკვდილის შემდეგ აღარ ვატარებ. მიუტანე, უთხარი, დედაჩემის ნაქონია-თქო!

„ბაღჩა-ბეჭედიო?!“ — აი, თურმე რას უწოდებენ ბაღჩა-ბეჭედს! მე ეს ბეჭედი წინათაც ბევრჯერ მინახავს, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია. შუაში ფირუზის მოზრდილი თვალი უზის, ამ თვალს, გარშემო, პატარა ოქროს ჩარჩოებში, შეიდი თუ ცხრა აღმასის წვრილი თვალი ჰქონდა შემოვლებული. იგი მართლა პაწაწინა, აფერადებულ ბაღჩასა ჰგავდა.

— სწორედ ფირუზის ფერი თვალე-ბი აქვს! გეფიცები, დედაჩემო, შენ ალბათ არ დაიჯერებ, ჯერ არ შემოგხედავს, მაგრამ თუ შემოგხედა, ცისფრად შემოგანათებს და გულს გა-

გისნის, გულს გაგისნის რომელია, გულს გაგინათებს! აი, გატყობ, შენ ეს არა გჯერა!..

— როგორ არა მჯერა... მჯერა, შეილო. აბა, სხვაფრივ როგორ შეიძლება. თუ გული არ გაგინათა, რაღა ცოლი იქნება?!

გადავაქარბე. ამის მეთადი სალომესთვის რომ მეთქვა, დედამიწის ზურგზე ჩემზე ბედნიერი კაცი არავინ იქნებოდა.

ბეჭედი ცხვირსახოცში შევახვიე და უბის ჯიბეში ჩავიდე. წამოვდექი.

— მე ისევ მთაში მივდივარ!

— მიგეჩქარება?

— ძალიან!

— მესმის, შეილო, მესმის შენი გულისტქმა!

— არა, დედაჩემო! აგრე არ არის. შენა გგონია ამ ბეჭდის გამო მიმეჩქარება? სულ სხვა საზრუნავი მაქვს! — ეუბასუხე მორიდებით და უბეში ხელი ჩავიყავი. თითით მოვისინჯე პატარა საუნჯე, დედის სიყვარული, რომელიც ჩვენზე გადმოდიოდა.

ცხენი შევეკაშმე. სხარტად მოვახტი, ქუსლები შემოვკარი და ნავარდით წავედი. არ ვიცი, მართლა სხარტად მოვახტი, ან მართლა ნავარდით მივდიოდი თუ არა, მაგრამ იმას კი ვგრძნობდი, რომ მივფრინავდი...

ტატანისს გავცედი თუ არა, შემოერთებული კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე ალექსი დამეწია. გამგეობის სახელდახელო კრებაზე ის სანდროს მოადგილედ გადმოეყვანათ და გამაყოლეს, რომ ფერმები შეგვეერთებინა.

ფერმაში მე და ალექსი ერთად რომ დაგვინახეს, იფიქრეს, დავა და დავიდარაბა ატყდებო.

— შაქრო, წამომყევი, ფერმა უნდა ჩაიბაროთ!

შაქროს გაუკვირდა.

გაერთიანება გავაგებინე ყველას. თავისუფლად ამოისუნთქეს, გულზე

მოეშვათ. არც იმათ უნდოდათ უსიამოვნება. სულ ცალ-ცალკე დავითვალეთ მერძეულები და ბერწები, მოზერები და დეკეულები, ხბორები და ხარები.

— ეს რა არის, რაედენ, სირცხვილი არ არის ამდენი ბერწი რომ გყავთ? ან-და, ეს რასა გავს, ძროხებს ფერდები რომ ჩაცვენილი აქვთ?! — საყვედურით ვუთხარი რაედენს. მერე ცივად დავუმატე, — დღეიდან ამათ საცოდაობას არ მაყურებინო. ამ იალაღებზე ბალახის მეტი რა არის. უნდა დავასუქოთ, გასაგებია?!

— შე ოჯახაშენებულო, ამას რა გაგება უნდა, მე ეს კარგადაც მესმოდა, მაგრამ შენ არ იყავი საქონელი რომ წამართვი, ჩვენ საძოვარზე ბალახი რისთვის აქამეო?!

— ძალიან კარგადაც მოვიქეცი. შენი ბალებების ლუკმა შენ როდისმე გიკამია?! ხბორების კერძი ძროხებს, რომ აქამე, ამას არ გაბატიებ! ხუთი შრომადლით დაგაჯარიმებ. გასაგებია?!

— რა ვიცოდი თუ ხბორებისა იყო. — დარცხენით ჩაილულულა და წვერულვაშის სწორება დაიწყო.

თითქმის ერთი ორად გაიზარდა ჩვენი ფერმა, მაგრამ ბევრი უვარგისი საქონელი მოგვემატა.

საქონელი საძოვარზე ერთად გადის. ერთად სწველიან და ერთნაირად უვლიან, მაგრამ რაედენს ერთი რამ ვერ მოვაშლევინე. თვალი თავის საქონელზე უჭირავს, სულ იმას გაიძახის, ჩვენს ძროხებს ნაკლებად უვლიანო.

— ყველა ჩვენია, ყველა ერთია. — ეუბნები მას.

— ჩვენს ძროხებს მიჩვეული ვარ. რა ვქნა, ასე ლაბარაკს ვერ გადავაჩვიებო. იცი ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია!

ადგილი გადავინაცვლეთ. ირმის-თავზე ავედით, კარვები გავშალეთ, ახალი ბინები მოვაწყეთ, ირმისთავის

ორივე კალთაზე ვაძოვებდით. საქონელი გაზაფხულიდან ნაზარდი ხელუხლები ბალახით იკვებებოდა.

რაცდენი ხშირად მოდის ჩემს კარავში. ჩამოჯდება და ყოველთვის ასე იწყებს ლაპარაკს:

— მაშ, გავერთიანდით, ჰაა?..

— გავერთიანდით.

— კარგი საქმეა მე და ჩემმა ღმერთმა!..

— კარგია, კარგი.

— შალვა, შენ როგორ გგონია, ტატანისიდან ჩვენს სოფელში სინათლეს არ გამოიყვანენ?

— მე გგონია გამოიყვანენ.

ჩემს სახლშიც გამოიყვანენ?

— შენ რაღა ხარ?

— რა ვიცი, იქნება ჩემთან არ გამოიყვანონ?

— შენ ტყიულად არ მოხვიდოდი. თქვი, კიდეც რა გინდა?

— არაფერი, ისე მოვედი!

განა არ ვიცი, ელექტრონზე სალაპარაკოთ მოვიდა, მაგრამ ერიდება, თავი არ მოვაბეზროო.

გამახსენდა შაქროს ნაამბობი. გაზაფხულზე, ვიდრე მთაში წამოვიდოდით, რაცდენი ყოველ საღამოს სტუმრად მოდიოდაო. პირველ ხანებში პურღვინით ეუმასპინძლდებოდი, მერე გონზე მოვედიო. ყოველ საღამოს წვეულება რომ გაგიმართო, საღ შემიძლიაო. რაცდენი კი შემოუჯდებოდა მაგიდას, ახედავდა ჭერზე ჩამოკიდებულ ელნათურას და იტყოდა:

— რა გიჭირთ ტატანისელებს, ბოსლებიც კი განათებული გაქვთ. კაცი დადებრდი და ჩემ ჭერ-ჭვეშ ხეირიანი სინათლე არ მინახავს!

მერე მიმხვდარა შაქრო. თურმე სინათლის გამო დადიოდა მასთან. ახარებდა მოხუცს ელექტრონის შუქი. ჩემთანაც იმიტომ მოდის. უნდა დარწმუნდეს, რომ სვირშიც გაიყვანენ ელექტრონს. ახლა ვერ დავპირდები. მთიდან დადებრუნდები თუ არა, მაშინვე გამგე-

ობის სხდომაზე დავსვამ ამ საკითხს. თუ კი შესაძლებელია, რატომ არ უნდა განათოთ სვირშიც?!

რაღაც მაწუხებს. გული მეთანაღრება. ნეტავი რა მაჯაერიანებს? ფერმაში თითქოს ყველაფერი რიგზეა. საქონელი იალაღზეა. შემომატებული საქონელიც კი დავასუქეთ, ფერდები ამოვესოთ. ყოველდღიურად ვამზადებთ ყველსა და კარაქს. საღამოობით ვამოწმებ მონაწველსაც და გეგმასაც. ყველას სჯობნის სალომე. მისი მერძეულები დღეში ოცდაათ ლიტრამდე ავიდნენ.

დედისეული ბეჭედი გამახსენდა!

— აი, თურმე რა მაწუხებს! უბეში ელდანაკრავივით ჩავიყავი ხელი. აქა მაქვს, აქ! დღეს უსათუოდ უნდა გადავცე. ახლავე მიუტან. მივალ და ფრთხილად გამოველაპარაკები. თურმე სალომეს სწყინს, როდესაც ვეუბნები. ჩემს ჩვეულებად გადაქცეულ სიტყვას: — „გასაგებია?“ რადგან ასეა ამ სიტყვას სულაც არ ვახსენებ!

მწველავებისკენ გავეშურე. ბოსელში შევედი და თვალი გადავაველე სიგრძეზე ჩამწკრივებულ ძროხებს. აგერ იქ, სულ ბოლოში, სალომე ფუსფუსებს. რაღაცას აწესრიგებს.

მიუუახლოვდი და ერთ-ერთ მერძეულს დავაკეპრდი.

— ამას თაფლა ჰქვია, არა?

— დიახ თაფლა.

— წველას ხომ არ უკლო?

— პირიქით, მოუმატა.

— ეს სათუთაა? — ვკითხე და სალომეს შევხედე. მინდოდა გამეგო როგორ ხასიათზე იყო.

— ძალიან კარგად იწველის, მაგანაც მოუმატა!

— მაზინჯას ვერ ვხედავ?

— აგერ, მაზინჯა. — მიმითითა და ბოსლის ბოლოსაკენ გაეშურა.

ფეხდაფეხ გავყევი. სუფთად დაბანილი, კარგად მოვლილი უბადლო, ლა-

მაზი ძროხა, უზრუნველად იწვი და იცოხნიდა.

— გვრიტოზე არ ნაღვლობს?

— ნაღვლობს, მაგრამ ხანდახან ვანახებ ხოლმე და მშვიდდება.

კარგა ხანს ვიდექი და შეეცქეროდი ფერმის სიამაყეს. მერე უცბად შემოვტრიალდი და სალომეს მივმართე:

— სალომე, შენთან ერთი თხოვნა მაქვს. უარს ნუ მეტყვი. — თან უბეჭი ხელი ჩაეყავი და ცხვირსახოცი ამოვიღე. ცხვირსახოცის გაშლა რომ დავიწყე, სალომე უნებლიეთ ხელებში მომაჩერდა.

— ეს ბეჭედი სახლიდან წამომყვა. იმისიხო თითები მაქვს, რომ ნეკნეც ვერ გაეიკეთე. მეშინია არ დამეკარგოს. სანამ სოფელში ჩავიდოდეთ შემინახე, ნუ დამიკარგავ!

სალომეს თვალი მოსტაცა ბეჭედმა და ჩემთან ახლოს მოიწია.

მარჯვენა ხელში ხელი მოვკიდე და ვუთხარი:

— თითზე თუ არ გაიკეთე, დაგეკარგება!

საჩქაროდ არათითზე წამოვაცვი და ალერსიანად დავუმატე:

— დედისეული ბეჭედი, ნუ დაკარგავ, გაიგე, ჩემო სალომე?!

უკანასკნელი სიტყვების გამო განცვიფრებით შემომხედა. ალბათ ეუცნაურა, „გასაგებია“ ნაცვლად „გაიგე“ რომ ვუთხარი.

ალარ დავაყოვნე. მაშინვე წამოვედი. ბურუსში ვიყავი. გავცდი კარებს, გავცდი ჩვენს ბინებს. ფერდობებს ავყავი. სულ მალლა და მალლა, ირმის თავის მწვერვალისაკენ მივიწევი, არც დაღლას ვგრძნობდი, არც რაიმე სიმძიმეს. მთის წვერზე ავედი. აქ კი შევჩერდი და გარემოს თვალი გადავაველე.

რა მშვენიერი ბუნებაა ჩემს მშობლიურ კუთხეში!..

ყველაფერი ვარდისფრად მოჩანს!.. ვარდისფერი გადაკვერია იონჯით დაფარულ ამ ნახევრად ალპიურ ველებს.

ტყეებიც კი ვარდისფერია! საოცრებაა, აგერ ის მთებიც კი, მკაფიარ-ხაფხულთოვლით რომ არის უღმარესად კვარდისფრად ლივლივებს!

ტბილია ჩემი სამშობლოს ჰაერი! ესუნთქავ და ვტკბები. თაფლი ურევია შიგ. დამათრო კიდეც. გაბრუებული ვბრუნდები უკან. თავშეაყვებული ნაბიჯით ვეშვები დაბლა. გმარბაცებ. მართლა დავმთვრალე. ალბათ ყვავილთა სურნელებამ გამაბრუა. აგერ წყარო. ყინულივით ცივი და ბროლივით წმინდა. მივედი. ხელები დავიბანე. პეშვით დავლიე. გამოვფხიზლდი. გადავხედე ჩვენი სოფლის მიდამოებს. თვალწინ გადამეშალა მომკილი ყანების ყვითლად დარჩენილი ნაწვერალეები. შიგადაშიგ ხეხილმარაველი ბაღები და სოფლებს შორის თეთრად დაკლავნალი გზები!

კარავთან რაქდენი შემომხედა.

— შალვა, სოფელში გიბარებენ, საჩქაროდ ჩამოვიდესო!

— რა მოხდა?

— არ ვიცი.

— შენ როგორ გგონია, რაქდენ, დღესვე წავიდე?

— აჯობებს!

— ერთი ესეც მითხარი, აქ ჩემს მაგიერ ვინ დავტოვო, ვინ უფრო აჯობებს?

— შექრო დატოვე.

გულწრფელობა შევატყვე. მისი ხალასი გული დავინახე.

— კარგი, რაქდენ, ოღონდ მხარში ამოუღე, დაეხმარე. შენი იმედიც მექნება!

კოლმეურნეობის გამგეობის სხდომა. შეერთების აქტები უნდა დამტკიცდეს.

სანდრო გაჯაერებულია. წამდაუწუმ ფურცლავს მის წინ მდებარე რვეულს, კითხულობს და რაღაცას იწ-

ერს. შეზღუდვით ოფლის წვეთები ემჩნევა. აღლევებული ამბობს:

— რაღა ბევრი გვაგარძელო, გაერთიანების დროს აღმოჩნდა, რომ სამი ძროხა და ერთი დეკეული აკლიათ. სათვალავში ჰყავთ, სინამდვილეში კი არ არის. მეორეც, კოლმეურნეებისათვის ავანსად სამოცი ფუთი პური გაუციათ, აი, აქ, დავთარში სწვრია, მაგრამ ხელმოწერა არ აქვთ. კოლმეურნეები ამბობენ არ მიგვიღიაო. მესამე, ექვსი ტონა ვაშლი დაუკრეფიათ, მაგრამ, სად გაქრა, ეს ვაშლი? არა ჩანს!

— შექამეს! — დაიძახა ძია ნიკო.

— ძროხები შექამეს, პური შექამეს, ვაშლი შექამეს, სირცხვილი არ არის?!. რომ სკამდნენ, ვისას სკამდნენ, ქვეყნისა და ხალხის ქონებას? — თავმჯდომარე შესცქეროდა ძია ნიკოს, თითქოს მას ეკითხებოდა, თუ რა ეკუთვნოდა ასეთ ხალხს. — არ ვიცი რით გაიმართლებენ თავს. დააყოლა ეს და გამგეობის წევრებს თვალი მოავლო.

ყოფილი თავმჯდომარე დაწითლებულ თვალებს კურდღელივით აცეცებს. თავმოკატუნებული ჩუმად ზის, თითქოს ეს სიტყვები მას კი არა, ვინმე სხვას ეხებოდეს.

აი, თურმე რატომ არ უნდოდათ გაერთიანება, უცბათ გამოჩნდებოდა მითვისებული ქონება!

— საიდანაც ჭინდათ გააჩინეთ და მოიყვანეთ ის ძროხები, კოლმეურნეებს პური მიეცით, ვაშლის ფული შეიტანეთ ბანკში!

— საიდან-ღა მოიტანენ, — გამოელაპარაკა ისევ ძია ნიკო, — ჰარიპარალეს გადააყოლეს, იმას რაღა დააბრუნებს უკან?!

— თქვენ აქ აბრიალებულ ცეცხლს ნათეს კი ნუ ასხამთ! — წვრილი და უსიამოვნო ხმით გამოელაპარაკა ბუხალტერი და სხდომის მონაწილეებს ისუ გადახედა, თითქოს მათგან მხა-

რის დაქერას მოელოდაო, მაგრამ უშინოდ ნათქვამმა სიტყვამ მხოლოდ სიცილი გამოიწვია.

ახლა კი დატოვეთ სხდომა, — მშრალად მიმართა ნათენაქემ ყოფილ თავმჯდომარეს და ბუხალტერს, — დანაკლისი აანაზღაურეთ, დანარჩენზე მერე მოვილაპარაკოთ!

ისინი სწრაფად წამოდგნენ და კარისკენ გაეშურნენ. ისე მიეჩქარებოდათ, თითქოს სასახლო დავალებზე მიდიოდნენ.

„ნუ-თუ ამათ საყურებლად დამიბარეს ამათ ხომ უჩემოდაც დაუმტკიცდებოდა თავიანთი დანაშაული?“ გავივლე გულში.

— მეორე საკითხი, ამხანაგებო, — განავრძო ნათენაქემ და მე გადმომხედა.

წელში გავიმართე, ყურადღებით მივაჩერდი თავმჯდომარეს.

— სამწუხაროდ უნდა ვთქვა, ჩვენი ფერმა ცუდ მდგომარეობაშია და გამოსავალი ახლაც უნდა მოვნახოთ! რაშია საქმე? რა მოხდა ისეთი, რომ მე არ ვიცი?..

— ისეთი ფერმა შემოგვემატა, რომლის ნახევარიც ბებერი და ბერწი ძროხებისაგან შედგება. უცბათ წველადობის დაბალ დონეზე აღმოჩნდით. საქონლის სულადობას თუ გავითვალისწინებთ, უკვე ბევრად ნაკლებ რძეს ვწველით, ვიდრე გვეკუთვნის!

რა მიხვედრილი კაცია ჩვენი თავმჯდომარე. რა უცბად აულო ალლო, რომ ფერმამ საერთო მანვენებლებით უკან დაიწია. როდესაც საქონელს ვიბარებდი მე ეს შევნიშნე და მწყინდა კიდევ. მაგრამ დასკვნა ვერ გამოვიტანე.

— მომავალში უარეს მდგომარეობაში რომ არ აღმოვჩნდეთ, ახლაც უნდა შევიძინოთ კარგი ჯიშის ბულები და დეკეულები.



— ჯერ ადრეა, ცოტა ხანს კიდევ უჩნებია. — ეუბასუხე და ავხედე ცას.

ცა ამღვრეულიყო. არ ჩანდა მზე. კიდიდან კიდემდე ღრუბლები მიცურავდნენ. ძია ნიკომაც ახედა ცას და თქვა:

— გათავდა ზაფხული!

— დაუეიწყარია ჩემთვის ეს ზაფხული!

— რატომ? — მომაჩერდა პასუხის მოლოდინში.

ნეტავე რას იტყვის, რომ ვუთხრა ჩემი და სალომეს ამბავი? გადავწყვიტე მეთქვა კიდევ, მაგრამ მაშინვე გადავიფიქრე. დაე, თვითონ სალომემ გაავებინოს. საქმე მოვიმოიზებე და საჩქაროდ დავეშვიდობე.

შინ რომ მივედი, ტანსაცმელის კარადა გავადე და ჩემი ლურჯი კოსტუმში გამოვიღე. გადავწყვიტე ეს კოსტუმში ჩამეცვა და ისე ჩავსულიყავი ახალციხეში.

რატომღაც განწყობილება შემეცვალა. დავჯექი სარკმელთან და ცას გაეცქეროდი. ამ დროს თოვლივით მსუბუქი წვიმა წამოვიდა.

— რა დაგეპართა, შვილო, რად მოგიწყენია? — შემეკითხა დედა.

— ნუთუ მართლა მოწყენილი ვარ? — შეკითხვითვე ეუბასუხე, — არა, დედაჩემო, მოწყენის მიზეზი არა მაქვს!

იმ ღამეს ადრე დავწექი, ადრეც გამეღვიძა, ძალიან ადრე. ჯერ გათენებულიც არ იყო. ეზოში გავედი. პერანგის ამარა ვიყავი და სუსხი ვიგრძენი. მთებისაქენ ვიხედებოდი. ამაოდ ვცდილობდი რამე დამენახა. მუქი ნისლი ჩაწოლილიყო მთებში. ამ ნისლში სარკმელს ვეჭებდი, იქნებ ოდნავი სინათლე მაინც შემენიშნა.

თოვლის ფიფქი დამეცა. ცოტა ხნის შემდეგ მეორე ფიფქიც მომხვდა, აგერ მესამეც ვიგრძენი და სულ მალე გახშირდა თოვლის ფიფქები. ჩვენ

ვცდილობთ, რაც შეიძლება დიდხანს დავტოვოთ საქონელი მთაში, რაიმე საჭიროთარში საკვები არ შემოგვცვლდეს. წელს კი ადრე მოთოვა.

— ვინ იცის, რა ხდება მთაში? — გავიფიქრე და ოთახში შევედი. კოსტუმში შევინახე. ჩექმები და მაზარა მოენახე, გადავიცივი და კარი გამოვიხურე.

თენდებოდა. გავხედე მთას და დავრწმუნდი, რომ იქ დიდი თოვლი მოდიოდა. გულზე შემომეყარა. აშკარა ყო, განსაცდელი ელოდა ფერმას!

ნათენაძესთან მივედი.

— ლებედიწოში ველარ წავალ! — ეუთხარი მე მას შემფოთებულმა, — ფერმასი უნდა წავიდე, ხალხს უნდა მივეშველო, საქონელი არ ამოგვიწყდეს!

თავმჯდომარე მაშინვე დამეთანხმა, რადგან ისიც ლელავდა.

სამი კაცი შევარჩიე, სამივე ფრონტზე ნამყოფი. გამძლე ბიჭები იყვნენ, ძნელად თუ დაიღლებოდნენ — მგლის მუხლი ჰქონდათ, უკან მოხედვა არა სჩვევოდათ. დამე მივედი მათთან, შევამზადე, შევაგულიანე ჯდა შევთანხმდით გათენებისას გავსულიყავით.

სანამ თოვლი მუხლამდე გვწვდებოდა ადვილად მივიკვლევდით გზას, მაგრამ წელამდე რომ მოგვწვდა, გაგვიჭირდა. გზის სიძნელეს ერთმანეთს არ ეუბხეოდით. ბევრჯერ გვეარა აქეთუენ და დათოვლილ გზას გუმანით მივიკვლევდით.

— შევისვენოთ? — იკითხა ერთმა. იკითხა მაგრამ ეს მართლა კითხვა კი არ იყო, ეს იყო თხოვნა, რომ დაგვესვენა.

— არა, ბიჭებო, შესვენებამ არ მოგვადუნოს. ამ უფსკრულივით თოვლს როგორ მივენდოთ?!

გზა განვაგრძეთ. ვიფლობოდით თოვლში, მაგრამ რა შეგვაჩერებდა.

კარგად გვესმოდა, რომ უკმელი პირუტყვი მთაში ცარიელ ყბებს იცოხნიდა.

შუადღემდე მხოლოდ სამი თუ ოთხი კილომეტრი გავიარეთ.

— თოვლში ხშირად მივლია, არა თუ დღისით, ღამითაც! — წამოიწყო ერთმა.

— ეს რა არის, აქვე ხარ, შენი სოფლის თავზე. უცნობ მხარეში მივლია, სადაც ზნა-კვალიც კი არ ვიცოდით! — უპასუხა მეორემ.

— სიკვდილის პირისპირ, არა? როცა ტყვიები ზუზუნებდნენ ჰაერში! — ჩავერჩე მეც.

— სადაცაა მივალთ!

— უკვე მივედით!

— იმ სერზე რომ ავალთ აღარაფერი დაგვრჩება გასაღელელი!

თვითუელი ჩვენგანი გრძნობდა, რომ სიმართლეს არ ვამბობდით, მაგრამ ჩვენ გვინდოდა სწორედ ისე ყოფილიყო, როგორც ვლაპარაკობდით. ხანდახან წელამდე ვიფლობოდით, ასეთ დროს ერთმანეთს ხელს ვაწვდიდით და ასე ამოვდიოდით თოვლით დაფარულ უხილავ ორმოებიდან.

ტყე გამოჩნდა. ისიც დათოვლილი იყო. ეს ის ადგილია, სადაც პირველი ბინები გვქონდა.

— მართლა, მოვედით, ბიჭებო, მართლა! ალტაცებით შევძახე ამხანაგებს ტყის დანახვაზე.

შევჩერდით და დიდხანს ვიციქირებოდით იმ მხარეს, საითაც ფერმა გვეგულებოდა.

ნეტავი რა მოჩანს იმ გორაზე შავად მოხაზული? ნამდვილად ადამიანია! ხედავთ, შავი ჩრდილივით დასდგომია გადათეთრებულ გორაკს. ნაბიჯს ავუჩქარეთ. თანდათან წინ მივიწვეთ. ახლა კი ვიცანი, ეს რაედენი იყო თავისი უზარმაზარი ფაფახით და ვეებერთელა კომბლით. გორაზე გადმომდგა-

რა და სოფლისკენ იციქირება, შევლას ელის. ვიცი რა ნალველიც უსუტრიალებს გულში!

ზიზზილით

— ჰაიი, რაედენი! — შევძახეთ მორიგეობით.

ჩვენმა დაძახილმა ჩვენც გავგამხნევა.

— აქეთ, ბიჭებო, აქეთ, თქვენს გახარებას, — გარკვევით მოგვესმა რაედენის სიტყვები.

— შენ გენაცვალე, შალვა, რა კარგია, რომ ამოხვედი, თორემ რა გვეშველებოდა? — ამ სიტყვებით შემომეგება რაედენი და როგორც დიდი ხნის უნახავმა მამამ ისე გადაამკოცნა. — ჩემ თავს კი არა ეჩივი, პირუტყვი მეცოდება! — განაგრძო რაედენმა.

ცოტა შევისვენეთ და ფერმისაკენ გავწვიეთ.

— გულმა ვერ გამიძლო, გორიდან ვიციქირებოდი, იქნება ადამიანიშვილი გამოჩნდეს მეთქი. მართალი გითხრათ ვერ გავბედე საქონლის წამოყვანა. დიდი თოვლია, ძნელია გასვლა!

ფერმაში მივედით. მწველავი ქალები გულდაწყვეტილები იდგნენ თავიანთი ძროხების შორი-ახლოს. იქვე ხბორები ამოსდგომოდნენ დედაძროხებს და სიცივისაგან ძაგძაგებდნენ.

ყველა აქ იყო, შაქრო, სიკო, მეჯოგეები, მწველავები. ისინი წამოსასვლელად მზად იყვნენ. ურმები დატვირთული ჰქონდათ. ცხენები შეკაზმული, ხალხი ჩაცმული იყო. აგერ სალომეც. დავინახე და გულზე მომეშვა, სიმშვიდე ვიგრძენი. ის თეთრ თავშალში ჩაფუთუნულა და ტასოს მიჰკრობია. ვუცქერი და მივირის, ამ შევგვრემან გოგონას როგორ დაჰყვა ასეთი ცისფერი თვალები?..

— დროს დაკარგვა არ შეიძლება, გავჭრათ თოვლი, საქონელს წინ წაუძღვეთ და გავიყვანოთ სამშვიდობოს! — მივმართე ყველას.

— არა, შალვა, ასე არ შეიძლება. თოვლი საქონელმა უნდა გასკრას. — დაბრუნებით მითხრა რაედენმა.

— საქონელი როგორ გასკრის? — გავიკვირე.

— არც მე დავეთანხმე რაედენს, — ჩაერია ლაპარაკში შაქრო, — თქვენ გადაწყვიტეთ, თუ როგორ მოვიქცეთ.

— ძველმა მეჯოგემ გადაწყვიტოს, — ვუბასუხე შაქროს.

— მაშ მე მენდეთ! — მოგმართა რაედენმა და მაშინვე ახალგაზრდებს მიუბრუნდა:

— მომიყვით ჩემი ბულა ხარები და ბერწი ძროხები. — ისე მზიარულად დაიძახა რაედენმა, თითქოს სამოცდაათი წლისა კი არა, ოცდახუთი წლისა ყოფილიყოს.

— მოო, მოო, ირემა! — შენიშნა თუ არა შორიდანვე დაუყვავა რაედენმა, მართლაც ირმის მსგავსად, მალლა გამართული რქებით დამშვენებულ წაბლისფერ ხარს.

ირემა მიუახლოვდა.

— ირემა, წავიდეთ სოფელში?..

ხარმა დაიბლაღლა, თითქოს მისი ნათქვამი გაიგოო.

— მოო, მოო! — შესძახოდა რაედენი მისკენ გამორეკილ ბულებს და ბერწებს.

— ღონიერი პირუტყვია. მე ამით კარგად ვიცნობ. — სიამაყით წარმოთქვა რაედენმა. მას შემთხვევა მიეცა ეჭო და ედიდებინა თავისი ბებერი ბერწები, რომლებიც ფერმას ზარალის მეტს არათერს აძლევდნენ.

— წინ გამოლალეთ ბულა ხარები, მერე ბერწები და სახარე მოზერები გამოაყოლეთ. — გაიძახოდა რაედენი და გასცქეროდა წამოშლილ ფერმას.

რაედენს სახეში შეეცქეროდნენ. თვალები უბრწყინავდა. მის ხმაში ფოლადის წკრიალი ისმოდა. მოძრაობდა მკვეთრად და ახალგაზრდული ცეცხლით.

— დედა ძროხები და ხბორები ბრლოს გამოუშვით! — ბრძანებლობდა რაედენი სწორედ ისე, როგორც გადასკრის წყვეტ ბრძოლაში იერიშზე გადასვლის დროს ბრძანებლობენ.

— ირემა, ფშოოო! — მიმართა თავის საყვარელ ბულას.

ირემა წინ წავიდა. ფეხით ნატკეპნი თოვლი რომ მოთავდა, უცბათ მუხლამდე ჩაიფლა.

— ჰეი, ჰეი! — განაგრძობდა რაედენი ირემას ხელმძღვანელობას.

ირემა კვლავ წინ მიიწევედა...

— მოოო, გიშერა, მოო! — წინ წაიყვანა რაედენმა შავი კრიალა ბულა. ის კვალში გააყვა ირემას.

ირემას თოვლი მალე მკერდამდე ასწვდა. აქ ის გაჩერდა, თითქოს შეკრთაო. გვერდზე გაიხედა და მხარში ამომდგარი გიშერა რომ დაინახა, დაიბლაღლა და კვლავ წინ წავიდა.

მიდიოდა ირემა. ის ისე მიიწევედა, თითქოს თოვლში მიცურავსო. აი, დაილალა იგი, შეჩერდა და გვერდზე გადაგა.

— ოოო, ფშოოოო, გიშერა! — დაიძახა რაედენმა.

ახლა გიშერა გავიდა წინ. ახლა ის შეუდგა მკერდით თოვლის კრას.

ირემა და გიშერა კარგად იცნობენ ერთმანეთს. ერთი მეორეს გვერდში უდგანან საპირესთან და მაშინაც, როდესაც სადმე შიერეკებიან.

— ჰეი, ჰეი! — ისმოდა რაედენის ხმამაღალი ძახილი და საქონელი წინ მიიწევედა.

აგერ ერთი სახარე მოზვერი წინ გავარდა. მასაც უნდა პირველი მიდიოდეს, თოვლი გადათელოს.

— გამოაბრუნეთ უკან ეგ ბრიყვი, ეგა, ჩაიხრჩობა თოვლში! — იყვირა რაედენმა.

ძლივს გამოაგდეს უკან ლალი და ნებიერი ცხოველი.

ერთ კვალზე გაჭრილ გზას თანდათან

აფართოებდნენ ტალღასავით მოწოლილი ბულა ხარები და ბერწი ძროხები.

დროდადრო ისმოდა ძროხებისა და ზბორების ბლავილი, უკან ფეხდაფეხ მოჰყვებოდნენ მწველავი ქალები, რომელთაც მოწყენილობა მხიარულებად შეეცვალათ. ისინი ხედავდნენ თუ როგორ მიუძღვოდა წინ ამოდენა საქონელს ორი ჰკვიანი პირუტყვი. როდესაც ირემა დაიღლებოდა, გვერდზე, გადადგებოდა მაშინ გიშერა გამოდიოდა წინ. ასე სცვლიდნენ ისინი ერთმანეთს, რაედენი კი ფეხდაფეხ მისდევდა და მიმართულებას აძლევდა მათ.

კარგა დაბინდდა. როდესაც სოფლის პირას ჩავედით, შაქრომ თავის ორლულთანით სოფელს ამცნო ჩვენი ჩამოსვლა.

სამშვიდობოს გამოსულებმა შევისვენეთ. ცეცხლი დავანთეთ. წითლად აპარპალდა ალი. სოფელმა შეიტყო ჩვენი ჩამოსვლა. მოცივიდნენ კოლმეურნეები. სიბნელეში გაისმოდა შემფოთებული ხმები:

— დარო, სადა ხარ, დამენახვე, ქალო!

— სალომე, შეილო, დედა გენაცვალოს, როგორა ხარ?

— ტასო, ტასო, ცოცხალი ხარ, გოგო?

— აქა ვართ, აქა, ცოცხლები ვართ, მაშ რა იქნება!..

იმ ღამეს დიდი საზრუნავი გვექონდა — ფერმა დავაბინავეთ.

მეორე დღეს ჯერ ბოსელში შევიარე. რაედენი ჩვენს თავმჯდომარეს ირემასა და გიშერას უჩვენებდა, უყვებოდა თუ მთელ ფერმას, როგორ მოუძლოდა წინ ეს ორი პირუტყვი.

— დიდი საქმე გააკეთა რაედენმა, — ვუთხარი ნათენაძეს.

— შენ იყავი ჩემი იმედი, უშენოდ წამოსვლას ვერ გავბედავდი. შენ რომ ამოხვედი იმედი მომეცა და შევძელით კიდევ საქონლის გამოყვანა! — გადმო-

მაბრალა რაედენმა მის შვიერ გამოჩენილი ვაეკაცობა.

ძროხები გემრიელად ასრამუნებდნენ სოიანარევე ჩალას.

„კარგი მზრუნველი გყავთ, კარგი“ — გავიფიქრე გულში. ნათენაძეს საქონლისათვის სოიო დაქმნალებინა. ორი დღის უქმელები არიან, კარგად დადნენ, არ შეილახონო.

მეორე დღეს გამგეობის სხდომაზე დიდი კამათი ატყდა. სვირელებმა მოითხოვეს მათ სოფელშიც გაეყვანათ ელექტრონის შუქი, თავმჯდომარემ კი გადაქრით გამოაცხადა:

— სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია. კამკამას იმდენი ძალა არა აქვს, რომ ორი სოფელი გაანათოს!

შეგხედე რაედენს, რომელიც კუთხეში მიმჯდარაიყო. შევამჩნიე, რომ შეწუხდა. უტბად წამოხტა და ხელი ჩაიქნია. წასვლასაც აპირებდა.

თავმჯდომარე წუთით შეჩერდა, შემფოთებულ ხალხს თვალი გადაავლო და განაგრძო:

— ჩვენ უნდა დავისახოთ კამკამას გაზრდა!

ეს წინადადება ხუმრობას გავდა და მაშინვე უკმაყოფილო ხმები გაისმა:


— მოზვერი კი არ არის რომ გაიზარდოს!

— კამკამას რა გაზრდის!..

ნათენაძემ მაინც მშვიდად განაგრძო:

— ყველგან, მთელს ჩვენს ქვეყანაში, მდინარეებისაგან ზღვებს ჰქმნიან. ჩვენ რაღა ვართ? უნდა მოვნახოთ ახლო ხეების სათავეები და კამკამას შევუერთოთ. გაეზარდოთ და გავაძლიეროთ ჩვენი სოფლის სინათლის წყარო. მაშინ ჩვენ შევძლებთ ელექტრონით ავამუშაოთ წისქვილები, სახერხი ქარხანა და ბოსლებიც კი გავანათოთ!

გამგეობის წევრებს ეს აზრი მოეწონათ. მხიარულად ალაპარაკდნენ. რაედენი დაჯდა, მაგრამ მაინც მოწყენილად ჩაჰკიდა თავი. „როდის რა იქნებაო!“ — ფიქრობდა ალბათ.



ამ დროს შაქრო წამოდგა და სიტყვა მოითხოვა. მას ძალიან მზრუნველი გამომეტყველება ჰქონდა, რადგან ისეთი სიწყნარე ჩამოეარდა, რომ ბუზის გაფრენის ხმასაც გაიგებდით.

— ამხანაგებო, — დაიწყო მან, — ჩვენ უნდა ვამაყობდეთ ჩვენი მოხუცი მეგობრით რაედენ ზაზაძით, რომელმაც საქონელი დალუპვას გადაარჩინა. მერე დაწვრილებით ასწერა მთიდან დაბრუნების სურათი და ბოლოს დააყოლა, — მე გთხოვთ რაედენი დააჯილდოოთ!

ხალხი მხიარულად ახმაურდა. ყველამ რაედენისაკენ გაიხედა. რაედენი მაინც ჩუმად იჯდა. მის სახეზე არც ერთი ნაკვთი არ შეცვლილა.

— სანამ ელექტროსადგურს გავამდიერებთ ამ თავდადებისათვის რაედენს ოჯახში სინათლე გავუყვანოთ. ეს იყოს მისი ჯილდო!

ერთი წუთით დუმილი ჩამოეარდა. საწინააღმდეგოს არცინ ამბობდა და

შეიძლება ეს სწორედ ასეც გადაწყვეტილიყო, მაგრამ უკანასკნელ წამს თვითონ რაედენი წამოდგა.

— დიდი მადლობელი ვარ ამ პატივისცემისათვის, მაგრამ ამაზე ვერ დავგეთანხმებით! — რაედენი ძირს იცქირებოდა და თავის უზარმაზარ ფაფახს, რომელიც ხელში ეჭირა, უხერხულობის გამო კმუჭნიდა.

— იცით რასა გთხოვთ?! — ამ სიტყვებზე რაედენმა თავი მალა ასწია, ყველას სახეში მოგვაჩერდა და განაგრძო, — იმ ხეების სათავეები რაც შეიძლება მალე მოძებნეთ, მალე მოაღონიერეთ ჩვენი კამკამა და მთელი სოფელი გაანათეთ. აი, ეს იქნება ჩემი ჯილდო!

მაშინვე ტაშმა იგრიალა. საკამათო არაფერი გვექონდა.

სხდომის დამთავრების შემდეგ რაედენი ოთახიდან ისე გახარებული გამოდიოდა, თითქოს კამკამას მთელი თავისი სინათლე მისთვის გადაეფრქვიოსო.

## უბრალო პასიონტი

★

სალამოს, როცა ქარხნიდან სახლში დაებრუნდი, ვიგრძენი, რომ მარცხენა თვალი როგორღაც ცუდად მქონდა. «უთუოდ გამიჭუჭყიანდა», — ვიფიქრე. პირისბანის დროს თვალი საგულდაგულოდ ამოვიბანე. «გამივლის დილა მდე», — გადავწყვიტე ჩემს გულში. მაგრამ დილითაც არაფერი შეცვლილა. ქუთუთოები შესივებული, გაწითლებული მქონდა. ისევე ამოვიბანე თვალი, მაგრამ სალამოს ისე გასივდა, რომ იმ თვალით თითქმის ვერაფერს ვხედავდი.

— ბორის სიმყავეში დასველებული საფენი დაიდე! — მიჩიჩია ფორმანმა,<sup>1</sup> — დილა მდე გაივლის.

— რომ არ გაიაროს?

— მაშინ ექიმს აჩვენე.

— სამუშაოს რა ვუყო? გავაცდინო?

— ერთ დღეს მოვითმენ. ხელფასიდან გამოვიბრი. მეტი კი არ შეიძლება. ასეთია წესი ჩვენთან. ეცადე ამ ხნის განმავლობაში მოიჩინო თვალი, თორემ ადგილს დაჰკარგავ. ალაყაფის კარებთან ბევრი უმუშევარია. სწორედ ასეთ შემთხვევას ელოდებიან. ეს შენც კარგად იცი.

«კი ვიცი», — გავიფიქრე გულში. თვითონ მე თითქმის სამი თვე ვიყურუტე ალაყაფის კარებთან, სანამ ამ ადგილს ვიშოვიდი. კარგი საქმე არ არის ალაყაფის კარებთან დგომა: მშვიერი, გაბოროტებული და საცოდავი, როგორც უპატრონო ძაღლი სამზარეულოს კარებთან. ეს, მეშინია მე ამის! მოგონებაც კი ხასიათს მიფუჭებს. ახ-

ლა თვალიც! სალამოს სველი საფენი დავიდე თვალზე. ცუდად მეძინა. ტკივილისაგან სულ ვვოხრავდი და ვბორავი. დილით სარკეში ჩაეხედე და კინაღამ გული გამისკდა: თვალის ნაცვლად მთლიანი ჩირქოვანი სიმსივნე და ჩანს და სრულიად ვერაფერს ვხედავ. ხელის მიკარებაც კი ტკივილს იწვევს. საფეთქელიც კი მტკივა. ცუდად არის საქმე.

ჩემმა დიასახლისმა ხელები გაასავსავე:

— ღმერთო ჩემო! თქვენ დასნებოვებული ხართ! ჩქარა ექიმთან!

— ჯონსონთან? — ვკითხე აკანკალებული ხმით.

— ეშმაკმა წაიღოს ჯონსონი! ის გაიძვრა და მატყუარაა. გაიჭეცი მისტერ ბრაინთან. ის კარგი ექიმი. (ეს ექიმები ჩვენს რაიონში ცხოვრობდნენ).

— მიმიღებს კი ასე დილაადრია?

— შევევდი მე. — მიგიღებთ. მოულოდნელი შემთხვევაა. მიეცი ვიზიტისათვის ერთი დოლარი. გაიჭეცი სანამ გვიან არ არის, გაიჭეცი.

მეც გავიჭეცი მისტერ ბრაინთან, ისე რომ არც კი მისაუხშია.

მისტერ ბრაინმა სახევეი მომხსნა თვალიდან და შეიკმუნხა:

— ოჰ... სერიოზული საქმეა, — ჩაილაპარაკა მან. — სამწუხაროდ, მე თვალს არა ვმკურნალობ. თქვენ თვალის ექიმი გინდათ. ექიმი კი არა, პროფესორი. არის აქ ასეთი სახელოვანი პიროვნება — პროფესორი ბრაი. მე მოგცემთ მის მისამართს. გაი-

<sup>1</sup> ფორმანი — ისტატი.

ქეციე მასთან, სანამ გვიან არ არის. მაგრამ გაფრთხილებთ, ვიზიტისათვის ის ოცდახუთ დოლარს თხოვლობს.

„მე კი სულ მხოლოდ თერთმეტი დოლარი მაქვს“, — ნაღვლიანად გავიფიქრე. თუ ამ ექიმს ერთ დოლარს დავუტოვებ, პროფესორისათვის ათი დოლარი-ლა დამრჩება. დანარჩენზე ხელწერილის მიცემა მომიხდება“. მისტერ ბრაინმა უთუოდ გაიგო ჩემი აზრი:

— ნუ დაიშურებთ ფულს. სიცოცხლე უფრო ძვირფასია. გაიჭეციე. — მაჩქარებდა ის და სახვევს მისწორებდა თვალზე. — თუ არა და თქვეს დილას უკვე ცოცხალი აღარ იქნებით. გასაგებია? თვალი კი არა, იქნება სიცოცხლეც დაკარგოთ.

ექიმს ერთი დოლარი დავუტოვე და პროფესორისაკენ მოვეკურცხლე. აღარ ვფიქრობ სამსახურის გაცდენაზე, ფიქრის დროც აღარ არის. ხვალ დილას, ესე იგი 24 საათის შემდეგ, მე აღარ ვიქნები... და მე ვჩქარობდი, რითაც გაკვირვებას ვიწვევდი გამკვლე-გამომკვლელთა შორის. სული მიწუხდა, ცივ ოფლს მასხამდა, სიკვდილი მღვედა კვალდაკვალ, ის სულ ახლოს იყო, მხოლოდ დღე-ღამით იყო ჩემგან დამორეხული.

მივირბინე, უკეთ რომ ვთქვა, მივფრინდი შესასვლელთან, ხელი ვკარი კარს და მეკარეს შევეფეთე.

— სდექ! — მრისხანედ დამიყვირა მან და ჩემ წინ აღმართა ხელი. ამით ბოლისმენივით გადამიჭრა გზა. — ვინ გინდათ?

— პროფესორი! — მივახალე უცბად.

ცივად, აგდებულად შემომხედა და წარმოსთქვა:

— პროფესორი ათი საათიდან იღებს ავადმყოფებს.

მე არეულად შევხედე მარჯვენა თვალით.

— ვიმეორებ: ათი საათიდან, — ნელა და მნიშვნელოვნად წარმოსთქვა მან.

ავტომატურად შემოვტრიალდი და მაქანზე გამოვედი. ათიდან... ესე იგი საათნახევრის შემდეგ! <sup>მსახელოვნად</sup> პროფესორი როდი ჩქარობს! რისი შიშით აქვს მას!... მაგრამ მე კი! მე! ამ ხნის განმავლობაში ინფექცია გავრცელდება მთელს სხეულში, უფრო დრმად მოიკიდებს ფეხს, შეიჭრება ტვინში. მე ამას უკვე ვგრძნობ. ტკივილი მატულობს. სახვევი გაიქვინთა. ვეცი მეკარეს:

— გამოუძახეთ პროფესორს! მე თქვენ გთხოვთ! ჩემი თვალი დასნებოვნებულია! სასიკვდილო მდგომარეობაში ვარ. 24 საათის შემდეგ ფეხებს გავუკიმავე, თუ დროზე არ ვუშველე თავს!

— 24 საათის შემდეგ! — გაიღიმა მეკარემ, — თქვენ კიდევ საკმაო დრო გაქვთ. პროფესორი თქვენ მიგიღებთ... — მან კედელზე ჩამოკიდებულ საათს შეხედა, — საათნახევრის შემდეგ.

— მაგრამ ამ დროის განმავლობაში.. მეკარემ ხელის აქნევით შემაწყვეტინა:

— არაფერიც არ მოხდება! მდგომარეობა არც ისე საშიშია!

— თქვენ არ გესმით!... შეიძლება უკვე გვიანაც არის!

— თუ გვიან არის, — ისევე გაიღიმა მეკარემ, — მაშინ თქვენ პროფესორიც ვერ გიშველით.

— წყუღიმც იყავ! — დაეუბრაბუნე ფეხი. — თქვენ მე დამცინით!

— ნუ ყვირით! — წყნარად, მაგრამ მუქარით თქვა მან. — ნუ დაივიწყებთ, სადა ხართ!

— გაიგეთ ჩემი მდგომარეობა! — არაფრის გაგება არ მინდა, — იმავე ტონით განაგრძობ მეკარემ.

— თუ ყველა დაარღვევს წესრიგს, პროფესორი იძულებული გახდება მიღება შეწყვიტოს.

— რატომ ყველა? მე გამონაკლისი ვარ!

— მაგრამ, მე არ მსურს ადგილის დაკარგვა ასეთი გამოჩაქვისათვის. პროფესორი მეტად სასტიკი კაცია... და მე აქ დამსვენებს წესრიგის დამყარებისათვის და არა მისი დარღვევისათვის.

დრო ნელა მიდიოდა. მე ებორგავდი ტროტუარზე. ხან ვჯდებოდი, ხან ზეზე წამოვხტებოდი. ბარე ათჯერ მივირბინე ქალაქის საათთან, რომელიც ქუჩის კუთხეში ეკიდა. ზოგჯერ მე სასიკვდილოდ განწირული ადამიანებით მიხლოდა დამეყვინა მთელი ქუჩისათვის, ყველა ამ გულცივ გამველულ-გამოვლულათვის: „გაიგეთ! ვიღუპები!“ დროდადრო გიყური სურვილი აღმძვროდა: ძალით შეეჭრილიყავ პროფესორთან, მაგრამ მეკარის მხოლოდ ერთი გამომეტყველება, შთამაგონებელი, უმოწყალო, ისეთი, როგორც პოლისმენისა, აფხიზლებდა ჩემს გახურებულ ტვინს... და მე ისევ ებორგავდი, კბილებს ვაღრქვილებდი, წყველა-კრულვას ვუგზავნიდი მეკარეს.

გავიდა ერთი საათი! სამოცი წამი. ასეთ მომენტში წამი—ეს მთელი საათია. დარჩა კიდევ ოცდაათი წამი. მთელი საუკუნე! თვალი კი საშინლად მექავება, მეწვის და.. მგონი, სივდება. სივდება აგრეთვე საფეთქელიც... და მთელი თავიც. მე ჩემთვის უცნობი სახლის საფეხურზე ვზივარ. რიყის ქვასავეთ მძიმედ მიტრიალებს აზრი: „გათავდა! ვინ ხარ შენ? რას კარგავ? რიგს ალაყაფის კარებთან, თუ მუდმივ შიშს ადგილის დაკარგვისას?“ რატომღაც გამახსენდა პრეზიდენტის არჩევნების დროს ერთ-ერთი ორატორის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „ჩვენი ქვეყანა ყველაზე მდიდარია მთელს მსოფლიოში... მისი ფულები რომ თანასწორად განაწილდეს ყველა მცხოვრებზე, თვითველ ამერიკელს ათათასი დოლარი მოუწყეს“. „ათი ათასი დოლარი! — გავიღიე მე. — ეჰ, როგორ მინდა, რომ ასეთი თანაბრობა მოხდეს!... მე ოცდახუთი დოლარიც არ გამაჩნია, რომ პროფე-

სორს მიეცე გასამრჯელო... სიტყვა „პროფესორი“ ჩემს შეგნებაში სიტყვა „სახელოვანს“ უკავშირდება. მე ვამ სიტყვას რამდენჯერმე ვიმეორებ ისე როგორც ბოდვის დროს იმეორებენ ხოლმე. და ანაზღაფლად ამ გამოვრებიდან მოულოდნელად, ახალი აზრი წარმოიშვა: „სახელოვანი“ განსხვავებულს ნიშნავს რიგითი ადამიანებისაგან. სახელოვანი—ეს არის ტალანტი, გენია. სახელოვანს შეუძლია ისეთი დიდი რამის გაკეთება, რაც მიუწვდომელია უბრალო მომაკვდავისათვის. მერე რა, თუ მე დავკარგე საათნახევარი დრო! სახელოვანისთვის ეს სრულიად არაფერია. სწორედ ამიტომ ასე მშვიდი, დამცინავი იყო მეკარე... სახელოვანს სასწაულის მოხდენის უნარი აქვს, ის მეცნიერია, ის გრძნეულია, ის მისანია. ტყუილად კი არ იღებს ის ოცდახუთ დოლარს ვიზიტისათვის! ის ამად ღირს! რა ბედნიერებაა კაცობრიობისათვის, რომ მას ჰყავს ასეთი ადამიანები! რამდენ სიცოცხლეს გადაარჩენენ ხოლმე ისინი! და რაოდენ ბედნიერი ვარ მე, რომ შემძღვია მოვხვდე მის, კაბინეტში! მადლობა მისტერ ბრაინს! მადლობა! და მე ზეზე წამოვხტი. აუტანელი სიმძიმე მომცილდა გულიდან. მე ღრმად ამოვისუნთქე. როგორ ლაღად შეიძლება სუნთქვა! შემოდგომის ცა ღრუბლიანია, მაგრამ ღრუბლებს იქით მე ვხედავ მზეს. რა დიდი ბედნიერებაა სიცოცხლე! დე, დავკარგო თვალი, ოღონდ ცოცხალი ვიყო, ბრმებიც ხომ ცოცხლობენ! უნდა ვიცოცხლო, ვიცოცხლო!

ღიმილით, ბუტბუტითა და თითქმის ცეკვით, მხნედ მივაბიჯებ ქუჩაში, არ ვაქცევ ყურადღებას გამველულ-გამომველთა სახეს. და მე მეჩვენება, რომ ჯერ არასოდეს განმიცდია ასეთი ბედნიერება, არასოდეს! საათის ისარი კიდევ ათი წამით გადაიწია წინ... და უცებ საგანგაშო აზრი: საზოგადოდ, გვიან ხომ არ არის? ტყუილად კი რა მაქა-

რებად მისტერი ბრაინი. და განა მილიონერები კი არ კვდებიან ავადმყოფობით? იმათ ზომ მხოლოდ სახელოვანი წამლობენ! მისასადამე, სასწაულები არა ხდება. კვლავ სასიკვდილო სევდამ მტკივნეულად შებოჭა ჩემი გული, სხეული ერთბაშად მომეშვა, ფეხები მომიდუნდა. მძიმედ დავეშვი აივნის საფეხურზე. თავი ჩაექინდრე. ასეთ მდგომარეობაშია კაცი, რომლის დღეები უკვე დათვლილია.

— იღბს? — მე ვეღარ ვცნობ ჩემს ხმას. ეს სხვისი, დაქანცული, ხრინწიანი ხორჩულია.

მეკარემ აუჩქარებლად დამიქნია თავი. მე გაუბედავად შევაღე კარები. ნახევრად ბნელ, როგორც მე მეჩვენა, მისაღებ ოთახში, საწერ მაგიდასთან თოვლივით თეთრ ხალათში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი იჯდა. მივესალმე.

— ვინ გნებავთ? — მკითხა ქალმა და გაკვირვებით შემომამკუცია თვალები. მისი გაკვირვებისა და მშვენიერი მორთულობის მიხედვით ეტყობოდა— ისეთი პაციენტი, როგორც მე ვარ, იშვიათად ყოფილა იქ.

— პროფესორი! — რაც შეიძლება სასწრაფოდ! — აღეღვებით ვუპასუხე მე.

— თქვენი გვარი? მისამართი? ხელობა?

მე ვუპასუხე. ქალმა ჩაიწერა.

— ოცდახუთი დოლარი ვიზიტისათვის!

— სამწუხაროდ, — შევეკრთი მე, — მე მხოლოდ ათი დოლარი მაქვს. ქალი მოიღუშა და თავი გაიქნია. — მაგრამ დანარჩენ თანხაზე ხელწერილს მივცემ. — საჩქაროდ დავუმატე მე, — თხუთმეტში ხელფასს მივიღებ.

— არაფერი არ გამოვა, — მიპასუხა ქალმა, — პროფესორი თქვენ არ მივიღებთ.

— მაშ როგორ მოვიქცე? ერთი ნახეთ... და მე გადავწიე სახვევი.

ეს სანახაობა სიტყვებზე უფრო და-

მაჯერებელი გამოდგა. ქალის თვალში თანაგრძნობის სხივმა გაიელვა.

— დაიცადეთ! შევეკითხები, — ის კაბინეტის კარების უკან გაჰქრა. რამდენიმე წამის შემდეგ ქალი დაბრუნდა.

— პროფესორი არ მივიღებთ.

ეს მეხის დაცემა იყო ჩემთვის! ხაშინელი დაცემა როგორც სასიკვდილო განაჩენი. მე გაეშეშდი...

არ მახსოვს, რამდენ ხანს გაგრძელდა ასეთი მდგომარეობა, არ მახსოვს, რამ გამომიყვანა ამ მდგომარეობიდან; მხოლოდ ერთბაშად, ჩემთვისაც კი მოულოდნელად (თითქოს ვიღამაც მაგრად მიბიძგა ზურგში) შევიჭერი კაბინეტში.

— სად მიდიხართ? იქ შესვლა არ შეიძლება! — დამედევნა უკან ქალი.

პროფესორი შეკრთა. ეს იყო გამხდარი ბერიკაცი, გააბრუნული, ნაღველივით ყვითელი, ეიწრო პირისახით და ბოროტი მღვრიე მწვანე თვალებით.

— რა ამბავია? — მომესმა წერილი, კრიალა, უსიამოვნო ხმა. — რა გნებავთ?!

— ეს გულქვაობაა! — მღელვარებით საგან ათრთოლებულმა შევევირე. — უცქირეთ! — შემოვიგლიჯე სახვევი.

— მაგრამ აქ საქველმოქმედო სახლი არ არის! რატომ მოხვედით ჩემთან? ყველა ეჭიმს შეუძლია ამ ოპერაციის გაკეთება!

— ეჭიმს ბრაინმა მითხრა, რომ მხოლოდ თქვენ...

— თქვენი ეჭიმი ბრაინი ხეპრეა. ჩემთვის არ არის საჭირო მისი რეკლამა. ჩემი გამოცდილება და ცოდნა დიდ შრომად და ფულად დამიჯდა და არა იმიტომ, რომ ასე დავწერილმანდე! და, თუ ყველა თქვენსავით ჩამომეკიდა და საშველი არ მომცა, მე იძულებული გავხდები, დავეტოო ჩემი კაბინეტი.

— მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, მისტერ, რომ ერთადერთი შემთხვევა ვარ თქვენს პრაქტიკაში. — დარცხვენით მიუუგე მე.

— მე გიცნობთ თქვენ.. — მისი ხმა საშინელ გავლენას ახდენდა ჩემს ნერვებზე. — საკმაოა რომელიმე ერთს თქვენგანს გაუწიო დახმარება და ხელავე დამეხვევიან ათეულები, ასეულები..

— მე თქვენ არ ვთხოვთ მოწყალეობას. ხელწერილს მოგცემთ. მე ვმუშაობ.

— არ მინდა თქვენი ხელწერილი! მე არ ვემსახურები უბრალო ადამიანებს, არ ვემსახურები! — ყვიროდა ის.

— გვედრებით! ნუთუ უნდა დავილუბო? ეს ხომ უღმობელოებაა! თქვენ ხომ განათლებული კაცი ბრძანდებით. პროფე...

— ნუ მიკითხავთ მორალს, ცინგლიანო! თავი დამანებეთ, მომშორდით! მე არც კი გავნძრეულვარ.

— წადით, თორემ შეკარეს დაეუძახებ.

მე უძრავად ვდგევარ ერთ ადგილზე.

პროფესორმა თითქმის პირი გააღო, მაგრამ სათქმელი უმალვე ყელში გაეჩხირა და მხეცურად მომამტერდა. მის სახეზე შიში გამოიხატა, შემდეგ საშინელება... მე მას პირდაპირ ვუცქეროდი მარჯვენა თვალით. ხმა არ ამომიღია, ოღნავადაც კი არ გავნძრეულვარ, მაგრამ ვგრძნობდი, როგორ მიფითრდებოდა სახე, მიხურდა ტვინი, როგორ იძაბებოდა ნერვები, კუნთები, როგორ მიჩერდება გული, კრუნჩხვით მიცახცახებს ყბები. მე ვგრძნობ, რომ შემიძლია მკვლელობის ჩადენა. რასა ვკარგავ? ყველაფერი ეს ამოიკითხა პროფესორმა ჩემს სახეზე. მე თან არა მქონდა იარაღი, მაგრამ მე მეყოფოდა ძალა იმისათვის, რომ ერთბაშად წამეხრჩო ეს საზიზღარი მაიმუნი. ჩამოვარდა სიჩუმე. მე თითქმის მესმის ძარღვის ხშირი ფე-

თქვა საფეთქელში. მოწითალო, თხელი ქსოვილის იქით ვხედავ მოხუცის მოღრეცილ სახეს, ქალის ფართო და გაღებულ თვალებს. ჩვენ სამივენი გაქვავებული ვდგავართ.

— მაშ, არ გსურთ... უბრალო ადამიანები?! — წავიღულულე და ოღნავ მოვიხარე წელში.

— პროფესორო! — ისტერიულად შეჰკვილა ქალმა. ამ შეკვივლებაში შეერთდა მუდარაც, საყვედურიც, ბრძანებაც, შიშიც. ამ შეკვივლებამ დროზე განმუხტა შეხუთული, მომაკვდინებელი სიჩუმე.

— ვთხოვთ! — აცახცახდა ბერიკაცი. — და-ჯე-ქით! — წარმოსთქვა ენის ბორძიკით და სავარძელზე მიმითითა.

წელში გავსწორდი, ღრმად ამოვისუნთქე და გავემართე სავარძლისაკენ.

ჩემს უკან გახშირებული სუნთქვა ისმოდა. პროფესორი რაღაცას სვამდა და დიდხანს იბანდა ხელებს, რომ დამშვიდებულიყო, ქალი კი ატრიალებდა ტაშტს, ხელსაწყობებს, ზოგჯერ ხელიდან უვარდებოდა ისინი.

ოპერაცია უქლოროფორმოდ ჩატარდა. ეს იყო ნამდვილი წამება. მე ლამის გონება დავკარგე; საფრთხემ გაიარა. არაბუნებრივად გაიღიმა პროფესორმა, უარი თქვა ჩემი ათი დოლარის მიღებაზე. ასე გასინჯეთ, ბიპეტრიც მარტუა და წვეთებიც კი მომცა თვალისთვის. გამოთხოვებისას ის-ღა მთხოვა, არავისთვის მეთქვა, რომ მან უფასოდ მიმკურნალა.

## შუქი შუა ქალაქიდან



I

ოცდარვა წლის წინანდელი შთაბეჭდილება ისევ მკაფიოდ ცოცხლობს გიორგი ჩოგოვაძის მეხსიერებაში:

საშუალო სკოლა დაამთავრა თუ არა გიორგიმ, მამამ იგი თბილისში წამოიყვანა უმაღლეს სასწავლებელში შესაყვანად.

მატარებელი თბილისს უახლოვდებოდა. უმთვარო, მოღრუბლული ღამის წყვილიანი ნაბიჯით გადაჰფარებოდა გორაკებს, მინდორ-ველს. ჰაბუკი მგზავრი გულდაწყვეტილი იყო, რომ დედაქალაქისაკენ ამ პირველი მგზავრობისას ვერ დაინახავდა ზაპესის მშენებლობას, რომლის შესახებაც გაზეთებში ხშირად წერდნენ და ხალხშიც ამდენს ლაპარაკობდნენ. ვაგონის ფანჯრიდან გასცქეროდა იგი ორთქლმავლის კოფოზე გამართული ელექტროქალის დაუდევარ ციალს. მისი მძლავრი შუქი თეთრად ანათებდა ბუჩქებს, კლდის ქიმს, ყანებს, წინ საგრძნობ მანძილზე გამომჭრელად ააეღვარებდა რელსებს.

— მამა, კიდევ შორსაა ზაპესი?

— არც ისე შორს, მალე მივალთ.

გოგია ჩოგოვაძე ერთობ გააკვირვებულურმა სანახაობამ: შორს ცის ტატნობს რძისფერი გადაჰფენოდა. ცოტახნის შემდეგ ახალგაზრდა კაცის თვალში, თითქოს, ღრუბლების მოძრაობაც შენიშნა. რატომ არის ცა ამ ერთ ნაკვეთზე ოდნავ განათებული და სხვაგან არა?

— ა, მამა?

— გამოვირეე, ჩემმა მზემ, საქმე ქალაქის შუქია, ბიჭო!

შემდგომში, როდესაც ჰაბუკი თბილისს კარგად გაეცნო, მამის ასეთ განმარტებაში ეჭვი შეიტანა, ქალაქში ისედაც არ კმაროდა სინათლე და ცას როგორ მიწვდებოდა მისი ანარეკლი. ალბათ მირაფი იყო, მოჩვენება.

სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინ არსებულ პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე სწავლობდა და ისმენდა გოგია ჩოგოვაძე ლექციებს და მაშინ გაიგო, წიგნებშიაც ამოიკითხა, თუ რა უამრავი ელექტროენერჯის შემცველი ყოფილა საერთოდ მდინარე და განსაკუთრებით საქართველოს მწვეფარე მდინარეები. მაშინ გაიგო, თუ რატომ უწოდებენ ენერგეტიკოსები წყლის ძალას „თეთრ ნახშირს“.

მილიონების, ათეულ მილიონების და კიდევ მეტი რაოდენობის ცხენის ძალას უდრის საქართველოს მდინარეთა ენერგეტიკული რესურსების საერთო ჯამი. მთავარი მდინარე—მტკვარი კი თბილისს შუაზე ჰკვეთს! აეკვიტა ეს აზრი მეოცნებე სტუდენტს:

— რატომ არ შეიძლება, სწლდაც შორს კი არა, აქვე ქალაქში მოვახერხოთ წყლის ენერჯის გადაქცევა ელექტროენერჯიად, ელექტროშუქად?

მეოცნებე სტუდენტმა ფანტაზიაც კი ვერ წარმოიდგენდა მაშინ იმას, რომ საბჭოთა ენერგეტიკული მშენებლობის ტექნიკა გიგანტური ნაბიჯებით წავიდოდა წინ, რომ საქართველო იქნებოდა საბჭოთა კავშირის ის კუთხე, სადაც პირველად განახორციელებ-

დნენ ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის სიახლეს — უდერივაციო ჰიდროელექტროსადგურის აგებას და, რომ პირველი ასეთი მშენებლობის ხელმძღვანელობა თვითონ მას, ინჟინერ გიორგი ირაკლისძე ჩოგოვაძეს დაეკისრებოდა.

## II

1950 წლის ბოლოს ორთაქალაში მდინარე მტკვრის იმ ადგილას, სადაც ბაღები იწყება და, სადაც მეთვრამეტე საუკუნის დამლევს ქართველი ხალხის მიერ კრწანისის ბრძოლის დროს სამასმა გმირმა არაგველმა ფონი გადალახა, სუხუმქესიდან მშენებლები ჩამოვიდნენ, თან სამშენებლო მექანიზმები და ჰიდროენერგომშენებლობაში დაგროვილი მრავალი წლის გამოცდილება ჩამოიტანეს, დაბანაკდნენ და მშენებლობის დასაწყებად წინასწარ მზადებას შეუდგნენ.

გაკვირვებულნი გადაცქეროდნენ მახლობელი ხალხმრავალი ქუჩებიდან თბილისელი მშრომლები მრავალ დროების მომსწრე მტკვრის კალაპოტში გასულ მშენებლებს. — რა განუზრახავთ, რისთვის მოსულან, ან ეს ექსკავატორები, ბუღდოზერები, ამწეები, მოძრავი საკომპარესორო სადგურები და თვითსაცლელი ავტომობილები რისთვის უნდა გამოიყენონო, ეკითხებოდნენ ერთი მეორეს, მაგრამ ამასობაში გაზეთებმა ყველას აუწყეს, რომ აქ ახლადაგებული და უკვე ამუშავებული სუხუმქესის მშენებლები იწყებდნენ — ორთაქალის კომუნალური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას.

ეს მშენებლობა უდიდეს ინტერესს იწვევს ჩვენი ქვეყნის ჰიდროენერგომშენებელთა საზოგადოებრიობაში.

ცნობილია, რომ ჩვენმა დიდმა სამშობლომ — საბჭოთა კავშირმა მეცნიე-

რებისა და ტექნიკის მთელ რიგ დარგებში მოპოვებული ახალი მიღწევებითა და აღმოჩენებით დადიანა გულსწო წინ ყველაზე მეტად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ელექტრომშენებლობაშიაც ახლა ჩვენს სამშობლოს პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. კაცობრიობის ისტორიამ ჯერ არ იცის ისეთი გიგანტური ჰიდროელექტროსადგური, როგორიც ამჟამად შენდება ვოლგაზე სტალინგრადათან, აგრეთვე კუბიშვეთან. საბჭოთა ჰიდროენერგომშენებლებმა მიაღწიეს ჰიდროელექტროსადგურთა მუშაობის სრულ ავტომატიზაციას, მშენებლობის საგრძნობლად გაიაფებას, წყლის ენერჯის ყველაზე უფრო რაციონალურ გამოყენებას. მსოფლიოში ბევრი როდია ისე ოსტატურად მოწყობილი ჰიდროელექტროსადგური, როგორცაა ჩვენი ხრამქესი.

საინტერესოა და საამაყო, რომ საქართველოს ჰიდროენერგომშენებლებს, ენერგომშენებლობაში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავიათ და წარმატებით იბრძვიან იმისათვის, რათა ტექნიკის ამ დარგში საკუთარი ახალი სიტყვა თქვან, ახალი წვლილი შეიტანონ.

ორთაქალქესის აგებას საბჭოთა ენერგომშენებლები განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან იმიტომ, რომ ეს მშენებლობა ახალი, გამარტივებული ტექნიკური სქემის მიხედვით ხორციელდება. მართო ის გარემოება, რომ მშენებლობა საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთ მჭიდროდ დასახლებულ უბანში მიმდინარეობს, მოწმობს მის არაჩვეულებრიობას. ჩვეულებრივი სქემით ქალაქის ფარგლებში ასეთი, საგრძნობლად მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის აგება თავის სადერივაციო არხით, საგენერატორო შენობით და სხვა ნაგებობებით მეტად

ჭირი დაჯდებოდა, ეკონომიურად ხელსაყრელი არ იქნებოდა. მაგრამ ორთაქალაქის აგება ეკონომიურად დიდად ხელსაყრელია. ამ გამომუშავებულნი, კილოვატსათი ელექტროენერჯისა ბევრად იაფი დაჯდება ჩვეულებრივს ჰიდროელექტროსადგურებში გამომუშავებულ ელექტროენერჯისთან შედარებით.

დიდი ქალაქებისათვის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საქმე, თუ ეს სადგურები მამობრავებელ ძალად იმ მდინარეებს იყენებენ, რომლებიც ამ ქალაქთა ტერიტორიებს ჰკვეთენ, დაკავშირებულია ერთ დიდ და საქალაქო მეურნეობისათვის მეტად არახელსაყრელ დაბრკოლებასთან. ჰიდროელექტროსადგურის ასამუშავებლად სადერივაციო არხის სათავის მოწყობა ხშირ შემთხვევაში საჭირო ხდება ქალაქებიდან საგრძნობი დაშორებით და, რათა საგენერატორო სადგურთან სათანადო წნევა მიიღოს, იძულებული ხდებიან საგენერატორო შენობა ააგონ ქალაქებიდან, ქვემოთ მდინარეების მიმართულებით, აგრეთვე საგრძნობი დაშორებით. ამის შედეგად წყალსიძვირის დროს ქალაქის ტერიტორიაზე მდინარის კალაპოტში მდინარე დიდად კლებულობს, რაც საქალაქო მეურნეობაში დაბრკოლებათა გარდა იწვევს სანიტარულ ღონისძიებათა გაძლიერების საჭიროებას. ჩვენში ანალოგიური შემთხვევის ნიმუშს წარმოადგენს ამ მხრივ რიონისი, რომლის სადერივაციო არხი იწყება ქალაქის შემოთ, ხოლო თავდება ქალაქს ქვემოთ. ახალი, გამართებული სქემით კი, როგორითაც ორთაქალაქის შენდება, ასეთი დაბრკოლება გამორიცხულია

ორთაქალაქის აგება პირველი ნაბიჯია ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ახალ ისტორიაში. ამ სადგურის გამართვისა და ამუშავების შემდეგ ბევრად გააღვივდება უფრო

დიდ მდინარეებზე ამავე ტექნიკური პრინციპითა და სქემით უფრო მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების აგება მშენებლობის დიდად გაიაფება და ამის შედეგად ახალი ჰიდროსადგურების მეტი რაოდენობითა და უფრო შემუშავებულ ვადებში აგება.

მაგრამ გარდა ამისა ორთაქალაქის ჰიდროელექტროსადგურს ორიგინალური, უაღრესად რაციონალური აღნაგობის გამო უდიდესი მნიშვნელობა ექნება რესპუბლიკის დედაქალაქის თბილისის კეთილმოწყობისა და გამშენიერებისათვის. სადგურის აგებისა და ამუშავების შედეგად აუცილებელი იქნება ქალაქის იმ უბნის რეკონსტრუქცია, სადაც ეს სადგური შენდება, სახლების აღება და მათ აღგილას სანაპირო ქუჩის გაყვანა, ძველი ხიდის ნაცვლად მოძრაობის გახსნა ახალ ხიდზე. გარდა ამისა სადგურის ასამუშავებლად მდინარე შეგუბდება, მისი დონე სანაპირო ქუჩათა საყრდენი ბეტონის კედლებს შორის შექმნილ ხელოვნურ კალაპოტში მრავალი მეტრით ამაღლდება, ქალაქის ფარგლებში მრავალი მილიონი კუბმეტრა წყალი დაგროვდება და ყოველივე ეს კეთილმოყოფელ გავლენას მოახდენს თბილისის ჰავაზე, ცენტრალური უბნების ხედზე.

III

სტალინის სახელობის სანაპირო თბილისის სიამაყე და მშენება არის. შიშველი რიყე, უზარმაზარ ბორბლიანი წისქვილები, ტივის მოსაყენებელი ადგილები, ქოხმახები, ანტისანიტარია ელფერს უკარგავდა ქალაქს. შესაძლოა ქალაქის ცენტრში ასეთი მახინჯი პეიზაჟით გამოწვეულმა სევდამ დააწერინა გ. ტაბიძეს:

გადაფრენას ეს ყოჩაღი  
მათიოვზე აპირებს,  
გაანათებს რესტორანს  
ტივებიან ნაპირებს...

წაიშალა ამ ადგილის ძველი ხედი და ახლა გულს უხარია სანაპიროს ბაღნარის ხილვა, მოთვინიერებული მტკვრის დინჯი ლივლივი.

თბილისელები ამ საშვილიშვილო შენაძენს უმაღლიან დიდი სტალინის უაზლოეს თანამებრძოლს, ქართული ხალხის დიდ მოამბეს ლავრენტი პავლეს-ძე ბერეას. ეს და ასეთი მრავალი სხვა მშვენება მისი ინიციატივით, მისი მითითებით შეიძინა თბილისმა.

მტკვარი დაუდგარი მდინარეა. ხან აზვიადდება, აღიდდება, ქვეყანას წალეკვით ემუქრება, მაგრამ როგორც თბილისში შემოაღწევს მისთვის გამზადებულ ბეტონის კალაპოტში მოექცევა, უმაღვე მშვიდდება, ზანტი ტორტმანით მიაგორებს კასპიისაკენ თავის ტალღებს თითქოს ენანება მშვენიერი თბილისის მიტოვებაო. მაგრამ ზოგჯერ ეს გულზეიადი მდინარე ისე დაჩივდება, რომ ბავშვებიც აღარ ერიდებიან და თამამად უყუშალობენ მასში. მტკვრის ასეთი დაჩივება ზაფხულის მცხუნვარე თვეებში და ზამთარში ხდება ხოლმე.

წყალსიმციროსას სანაპიროთა საყრდენი კედლები უღაზათო სანაბავნი ხდებიან: შიშვლდებიან, აუშნობენ საერთო ხედს. მტკვრის კალაპოტში წყლის დონის ამაღლებით ეს სიმახინჯე მთლიანად დაიფარება. წყლის დონის ამაღლება ამავე დროს ენერგეტიკული დანიშნულებისათვისაც გამოსადეგია. ქალაქის ფარგლებში მტკვრის წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენება მეტ სიკეთეს მისცემს ქალაქს.

ასე დაიბადა იდეა ორთაქალქისის აგებისა. ასე დააყენა ჩვენმა სისხლსავესე, ხალისიანი შემოქმედებითი შრომით აღსავესე ცხოვრებამ დღის წესრიგში ორთაქალქისის მშენებლობის საკითხი.

მუშაობას შეუდგნენ დამპროექტებლები და არქიტექტორები.

## IV



ახლის გრძობისა და გავრცობისათვის წინასწარ განსჯერეტის განსაკუთრებული უნარი იყო საჭირო დამპროექტებლებისათვის, რომ ამ ნაგებობის სრულყოფილი პროექტი დაემუშავებინათ. ფანტაზიის სიმდიდრე, ქართული კლასიკური არქიტექტურის ცოდნა, ქალაქთა მშენებლობის ახალი საბჭოთა პრინციპების ღრმად ათვისება და დიდი შემოქმედებითი პოტენცია უნდა ჰქონოდათ არქიტექტორებს, რომ ორთაქალქისის სახით თბილისისათვის ახალ მშვენებად შეემატებინათ მონუმენტური, ძვირფასი არქიტექტურული ძეგლი.

უნარიანად გაართვეს თავი ამ დიდ დავალებებს ტექნიკური პროექტის ავტორებმა — ძმებმა გ. და ა. მენაბდეებმა, ნიკოემა ახალგაზრდა არქიტექტორებმა პ. მარგველაშვილმა და ო. ბაგრატიონმა. პროექტის პილოტექნიკური ნაწილის ავტორებმა — ს. გელიშვილმა, კ. ზიზანიშვილმა, ო. უჩანეიშვილმა, შ. მეიფარიშვილმა; ახალი ხიდის დამპროექტების მონაწილეებმა გ. ქარცივაძემ, ზ. წილოსანმა.

## V

ხიდზე სამი კაცი იდგა. ხან ერთი მხრიდან მიადგებოდნენ ხიდის მოაჯირს, ხან მეორე მხრიდან, რალაკაზე გატაცებით მსჯელობდნენ, დროდადრო ბლოკნოტებში შენიშვნებს იკეთებდნენ, გამვლელთა ყურადღებას იქცევდნენ. მათ წინაშე გადაშლილი იყო მტკვრის კალაპოტის კუქყიანი რიყე.

ეს სამი კაცი იყო გიორგი ჩოგოვაძე, ირაკლი მღებრიშვილი და მამიკონეშაძე. პირველი — ორთაქალქისის მშენებლობის უფროსი, მეორე — იმავე მშენებლობის მთავარი ინჟინერი.

რი, ხოლო მესამე მშენებლობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, ინჟინერი.

მრავალი დამე გაათენეს მათ თეთრად იმისათვის, რომ პროექტს გაცნობოდნენ, თვითული ნახაზი შეესწავლათ, სამუშაოები ისე მოეწყოთ, რომ წარმატება უზრუნველყოთ. თუ დამპროექტებლებს მრავალ სირთულესთან აქვთ საქმე, თუ საპროექტო ფურცლებზე თვითული ხაზის გაყვანას წინ უძღვის ათასნაირი ვარაუდი, მოსაზრება, მათემატიკურ ფორმულათა ამოხსნა-დასაბუთება, კიდევ უფრო რთული და თავსატეხია ამ ხაზების გადატანა რელიეფზე, ბუნებაში. დამპროექტებელს თუ ფანქრის, სახაზავის, რესფიდერის და წინასწარ გამოკვლევათა მონაცემების გამოყენება სჭირდება, პროექტის შემსრულებელს ექსკავატორების, ბულოზერების, სხვა მძლავრი საშენებლო მექანიზმების და, რაც მთავარია, ცოცხალი ადამიანების — მუშა-მშენებლების დარაზმვა, მათი შრომის გონივრულად გამოყენების საქმე აქვთ მიწოდებული.

ხილზე გადამდგარი ინჟინრები ცხადად ხედავდნენ პიდროსადგურის სილუეტს: აქ კაშხალი იქნება, ქვემო მხრიდან ბურჯებს ააშენებენ ახალი ზიდისათვის. მტკვარი ჯერ მარჯვნივ უნდა გადაავლონ შემდეგ — მარცხნივ. უპირველეს ყოვლისა ორთაქალის კუნძული უნდა გაუქმდეს. მდინარის მარჯვენა ტოტი უნდა დაიხუროს.

ათასი საკითხი უნდა გადაიჭრას, ათათასი წვრილმანი და არა წვრილმანი საქმე უნდა მოაწესრიგონ მშენებლობის ხელმძღვანელებმა, სანამ სამუშაოთა ფრონტს გაშლიდნენ, ძალებს გაანაწილებდნენ, საშენებლო მექანიზმებს ამოქმედებდნენ.

1950 წლის შემოდგომის მიწურული იყო.

გადიოდნენ დღეები, თბილისური ოქროსფერი შემოდგომის საუცხოო

დღეები და, როდესაც თეთრად გადაფიფქული გომბორიდან პირველი სუსხი მრისხანედ შემოიჭრა, ქალაქში მშენებლები უკვე გასულიყვნენ რიყზე, ექსკავატორებისა და ბულოზერების ხმაურს მოეცვა მიდამო, მდინარის მარჯვენა ტოტის გადასაკეტად ჯებირის აშენებას შედგომოდნენ, შუა მდინარეში ლითონის ხიზინჯებს ამაგრებდნენ დროებითი ზღუდარით სამშენებლო მოედნის ერთი ნაწილის გასანთავისუფლებლად.

21 დეკემბერს მშენებლები გაშლილი ფრონტით გადავიდნენ შეტევაზე. მას შემდეგ უკვე საგრძნობი დრო გავიდა, მაგრამ დროის სრბოლაზე შეტად საგრძნობი ის ცვლილებებია, რაც ორთაქალქის მშენებლობის მიდამოებში მოხდა.

მომავალი ხიდის ყურთან რკინაბეტონის მაღალ კვარცხლბეკზე უზარმაზარი ამწე დგას და გოლიათური მკლავი მტკვრისკენ აქვს გაშვერილი. ზანტად ბრუნავს ამწე, მძიმედ ეშვება მისი მკლავი საშენ მასალათა შტაბელებზე და მსუბუქად მიაჭვს ერთი შეკვრა რკინის ზოდები, ან ვაგონები სავესე მორებით, ქვებით და სხვა საშენი მასალით.

ქვემოდან, ბეტონის მექანიზმული ქარხნის ბუნკერიდან ლენტური ტრანსპორტიორი გამოდის, ვირტუოზული ხვეულებით მიიმართება მაღლა, სულ მაღლა, ზევიდან გადადის ხარაჩოებზე და განუწყვეტელ ნაკადად აწოდებს მებეტონეებს ბეტონის ხსნარს. ჭიანჭველებივით პატარანი ჩანან ხუროები და კალატოზები, მებეტონეები და დამხმარე მუშები ქვემოდან; მანქანები და მექანიზმები მოქმედებენ ყველგან, ვერ დაინახავს აქ კაცი ბარს, წერაქვს, საზიდარს და სხვა პრიმიტიულ საშენ ხელსაწყოს, საშენებლო პროცესთა სრული მექანიზაცია არის განხორციელებული ორთაქალქის მშენებლობაზე.

მშენებლები ნაგებობას სიმაღლეზე მიჰყვებიან და ეს ერთი ხანია უკვე თავზე მოექცნენ მას. ქვემოთ მხოლოდ შემონტაჟენი დარჩნენ. ისმის განუწყვეტელი კაკუნი ლითონისა ლითონზე, წელი შიშინი ელექტროშემდუღებელი აპარატისა და იასამნისფერი ვაელებიას ცვივიან და იქვე დაუყოვნებლივ ქრებიან ელექტროდენით გახლებული ლითონის ნაპერწკლები.

რომ იცოდეს მკითხველმა, თუ რა უამრავი ენერჯიის, დაუღალავი შრომის აურაცხელი დაბრკოლების გადალახვისა და რკინისებური ნებისყოფის ფასად დაუჯდათ მშენებლებს ის, რომ ნაგებობას თავზე მოექცნენ და ქვემოთ ჰემონტაჟეებს სამუშაო ფრონტი გაუმზადეს. ბერჯერ ყინვასა და სუსხში წყალთან ბრძოლა გაუმართავთ, აღიდებულ მდინარეს შებმიან, რათა თავიანთი შრომის ნაყოფი დაეცვათ, დღედაღამე გაუსწორებიათ, რომ თავიანთი კოლექტივი ესახელებინათ.

კიდევაც ასახელეს. ექვსჯერ ზედიზედ გაიმარჯვეს ელექტროსადგურთა მშენებლების საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ნიშნად ამისა წელწადნახევარზე მეტია ხელთ უპყრიათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ზუსტად ერთ წელიწადში ააგეს მათ ჰიდროელექტროსადგურის ნაგებობის მთავარი კვანძი — მარცხენა მხრის ოურჯები თავის წყალსაშვებებით, სასამსახურო და საქალაქო ხიდებით, საფარე ბუდეებით. 55.000 კუბმეტრი ბეტონი ჩაასხეს ქარგილებში, 250.000 კუბმეტრი მიწისა და კლდის სამუშაო შეასრულეს, შემოსალტეს მტკვარი რკინაბეტონის კედლებით.

მათ პირველად მოახდინეს ცდა ბეტონის ტრანსპორტირებისა ლენტური ტრანსპორტიორით შორის მანძილზე და მრავალი მეტრის სიმაღლეზე, რამაც მშენებლობას მრავალი ასი ათასი მანეთი ეკონომია მისცა. მათ პირველად

განახორციელეს ბეტონის მასაში პორიზონტალური შტრაბის<sup>1</sup> მოტოვების ახალი, გამარტივებული მეთოდი, რამაც შედეგად მოგვცა შტრაბებზე მომუშავეთა შრომის საგრძნობი გაადვილება და გამოიწვია მშენებლობის გაიაფება.

მრავალი სიახლე, მრავალი რაციონალიზატორული ღონისძიება განახორციელეს ორთაქალაქის მშენებლებმა, მაგრამ ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ამ სიახლეთა შორის ცოდნითა და გამოცდილებით შეიარაღებულ მშენებელთა შეხმატკბილებული კოლექტივის აღზრდა არის. დ. ორჯონიკიძე, ი. კახაძე, მ. ნემსაძე, ა. ბანეთიშვილი, ნ. ემუხვარი, ვ. პეტროსიანი, პ. სერაქი, ი. გოხუა, გ. კვანტრიშვილი, გ. ჯაბუა — ეს ისეთი ინჟინერ-ტექნიკოსები არიან, რომელთა სახელებიც ამშვენებს ამ კოლექტივს. პ. ხუციანიძე, ვ. შიუკაშვილი, ვ. ჩაიკა, გ. ხიზანიშვილი, ვ. კობერიძე, მ. კუზმენკო, შ. ოსტატიშვილი, ე. სერგა, ვ. გიგოლაშვილი, გ. ხადური, ე. კაბისოვი, ს. ბაზოვეი და სხვები ისეთი თავდადებული, მაღალი კულტურის, შრომისმოყვარე, კვალიფიციური მშენებლები არიან, რომლებიც ღირსნი არიან იმისა, რომ თვითველ მათგანზე, თვითველის ოსტატობისა და შემოქმედებითი შრომის შესახებ წიგნები დაიწეროს. მრავალი განსაცდელი გადაუტანიათ მათ სტიქიონთან ბრძოლაში, სიკვდილს პირისპირ დატაკებიან და გამარჯვებულნი გამოსულან.

## VI.

მშენებელთა პარტორგანიზაციის მდივანი ინჟინერი მამია ნემსაძე და

<sup>1</sup> შტრაბი ეწოდება იმ კონფერაციისა და ზომის ცარიელ იდეალს, რომელიც უნდა მოიტოვონ ბეტონის მასაში შემდგომში ბეტონზე დანადგარის დასამკურნელი ლეტალისათვის. აქ პორიზონტალური და აგრეთვე ვერტიკალური შტრაბების მოტოვება საქირო იყო სწორნაკადიანი ჰიდროტურბინების დასამკურნელად ბეტონის საფუძველზე.

მათივე ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარე თინათინ ქუთათელაძე იგონებენ მშენებლობის დაწყების პირველ ხანებს, პარტიულ-პოლიტიკური და აღმზრდელი მუშაობის გასაშლელად გადადგმულ პირველ ნაბიჯებს.

პირველი ლექციის წაკითხვა მშენებლობის მთავარ ინჟინერს მიანდევს. მსმენელები ცოტანი იყვნენ, უმეტესად ახალმოსულნი.

— ვის გინახვთ მცხეთის მახლობლად, შაჰესის საგუბარი რომ თავდება იმ ადგილას ქვის ძველის-ძველი ხიდი? — დაიწყო ლექტორმა: — უწინ, სანამ აქ საგუბარი იქნებოდა და ხიდს წყალი დაფარავდა ამ ხიდზე მცხეთელებს ურმებიც გაყავდათ. ამტიკებენ ეს ხიდი აგებულია, პომპეუსის მიერო. რამ გააძღვინა ამ ხიდს ამდენს ხანს, რატომ ვერ დაანგრია მტკვარმა იგი ამ ხნის განმავლობაში? მაშინ ხომ არ იცოდნენ რა იყო ბეტონი, მაგრამ იცოდნენ, სამაგიეროდ პილრაელიკური კირის თვისება.

სამგორში აქა-იქ შემორჩენილია ძველი სარწყავი სისტემის ნაგებობათა ნაშთები. სოფელ ხაშმის გადასახედიდან სოფელ მუხროვანისაკენ გზატკეცილით მიმავალი უთუოდ შენიშნავს ერეკლე მეფის დროს, ან შესაძლოა, უფრო ადრეც, აგებულ აკვედუქს — არხით გაშვებული წყლის გადასასვლელ „ხიდს“.

ლექტორმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ თბილისის ფარგლებში მტკვრის რაციონალურად გამოყენება დაკავშირებულია ორ ერთიმეორეზე გადაჯაჭვულ საკითხთან — ქალაქის კეთილმოწყობასთან და იაფი ელექტროენერჯის გამოსამუშავებელი ბაზისების შექმნასთან. პილრაელიკის ზოგი სახელმძღვანელო კანონიც პოპულარულად განუმარტა მთავარმა ინჟინერმა მსმენელებს: გადაღვრისას წყალი იმდენად უფრო მძლავრად ეცემა ძირს, რამდე-

ნადაც იგი მეტი და უფრო დამრეცილი დაქანებიდან არის გადაღვრილი და რამდენადაც მეტია წყლის შესახვევებს ქალაქის ფარგლებში დიდი დაქანება აქვს, მაგრამ ამ დაქანების გამოყენება დაკავშირებულია მრავალ წინააღმდეგობასთან. როგორ დაეძლიოთ ეს წინააღმდეგობანი, რა უნდა გააკეთონ საამისოდ ორთაქალაქისს მშენებლებმა.

— აუარებელი ბეტონის სამუშაოები გვექნება, — განაგრძობდა ლექტორი, — ჩვენ მოგვიხდება შუა მდინარეში მტკვრის ფსკერი ამოვანგროთ, მრავალი მეტრის სიღრმის ქვაბული გავაკეთოთ და კაშხალის საფუძვლები ბეტონით ამოვიყვანოთ...

მთავარმა ინჟინერმა ლექცია ამით დაამთავრა.

ასეთი ლექცია-საუბრების, საწარმოო თათბირების შემდეგ მუშებში ერთი კამათი და აზრთა შეჯახება იყო იმის შესახებ, თუ როგორ გადაწყდებოდა პრაქტიკულად ამათეიმ ნაგებობის აგების ამოცანა. ერთი რამ ცხადი გახდა: ყველა მშენებელმა გაიგო, თუ რის გაკეთება ევალებოდა მას, როგორ უნდა გაეკეთებინა, რა მნიშვნელობა ჰქონდა მშენებლობის საერთო კომპლექსისათვის ყოველი ცალკე სამუშაოს კარგად შესრულებას. ცხადი გახდა, რომ ყოველმა მშენებელმა შეიგნო თავის როლი ამ მშენებლობაზე და განუეთარდა ინტერესი შემდგომი წარმატებების მოსაპოვებლად.

ამით აიხსნებოდა, რომ აგიტატორები ორთაქალაქის მშენებლებთან სრული „დატვირთვით“ მუშაობენ. კარგია, რომ აგიტატორებად გამოყოფილი არიან უმეტესად ინჟინრები, თორემ ყველას არ შეუძლია პასუხი გასცეს ასეთ კითხვებზე:

— რატომ უწოდებენ ბოლშე ზოგ „ცემენტს“ გამათარათობელს?

— რატომ უნდა დავასხათ პირველ ხანებში, თუ ზაფხულში, ხშირ-ხშირად

წყალი ქარგილში ჩასხმულ და უკვე გამაგრებულ ბეტონს?

— რას წარმოადგენს სწორნაკადიანი ტურბინი, რომელიც ჩვენს სადგურზე უნდა დადგან?

— რა საჭიროებით არის გამოწვეული ყინვიან ამინდში ნედლი ბეტონის დათბუნება?

— როდესაც მტკვრის კალაპოტში მდინარე დაგუბდება, ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ნიადაგქვეშა წყლების მოძრაობის შეფერხებას, ე. ი. ყამირქვეშა ტბების გაჩენას გამოიწვევს და როგორ ავიციდინოთ ასეთი შესაძლებლობა თავიდან?..

იგონებენ ყოველივე ამას პარტიულროს მდივანი და ადგილობრივი სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე და კიდევ მეტად რწმუნდებიან ცნობილი დებულების სიმართლეში:

იქ, სადაც პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა კარგად არის დაყენებული, წარმატებებიც უზრუნველყოფილია, არავითარი მოულოდნელობა, არავითარი „ოპიქტური“ მოსაზრება მოსატანი არ არის. მოულოდნელობებით აღსავსეა ორთაქალქესელთა ყოველდღიურობა, მაგრამ ამას არასოდეს დაუბრკოლებია გვემიან სამუშაოთა შესრულება. აი, თუნდაც ერთი ეპიზოდი:

## VII

ეს ამბავი მოხდა აქ, ამ მშენებლობაზე 1952 წლის ივნისში:

მთელ წინა კვირის განმავლობაში კოკისპირულად წვიმდა. დილით, ამ თითქმის შუა ზაფხულზე შემოდგომისებრი მოსაწყენი ცრა დაიწყო. ამით გათამამებულმა მშენებლებმა ყველამ თავთავის სამუშაო უბანს მიამურა. კარიერზე მომუშავენიც გავიდნენ რიყზე ქვიშა-ხრეშის მოსაპოვებლად. მრავალი წლის განმავლობაში არ ყოფილა ამ ადგილას ქვიშაზრეშის მარაგი, მაგრამ იმისწინანდელი ხანგრძლივი წვიმებისა

და წყალდიდობის დღეებში მტკვარმა მშენებლებს რიყზე ძვირფას ნობათად დაუტოვა წამალივით ქვიშაზრეშის მარაგი ქვიშა-ხრეში — ძვირფასი საბეტონე ინერტული მასალა. მშენებლობის ხელმძღვანელები ამ ამბავმა ისე გაახარა, თითქოს ბაჯალლო ოქროს საბადო იპოვნესო. ეს მშენებლობისათვის მრავალი ათეული და ასეული ათასი მანეთის ეკონომიას ნიშნავდა.

მეათე დღე იყო, რომ რიყეთ ქვეულ ნარიყალაზე მშენებლები ექსკავატორსა და ბულდოზერს ამუშავებდნენ. თვითსაცლელი ავტომობილები გაბმით ეზიდებოდნენ ამ ინერტს.

ტელეფონმა საგანგაშო წყარუნ ატეხა:

— გვიშველეთ, როგორმე გვიშველეთ... ვიღუპებით!

მშენებლობის უფროსმა ცივად მიატოვა ოთახი და მაგიდაზე გადაშლილი ნახაზი, დაუყოვნებლივ გაჩნდა გაკირვების ადგილას.

ფერწასული, დაღლილი, ყვირილისაგან ხმაჩანლეჩილი, ტალახში დასვრილი ადამიანები მოულოდნელად მოეარდნენ და კატასტროფიულად აღიდებულ მტკვრის ნაპირზე უმწეოდ ფუსფუსებდნენ, შუა მდინარისკენ ჰქონდათ მიპყრობილი თვალი და ყური, ხილებს იქნევდნენ;

— ნუ გეშინიანთ, მალე გადაგარჩენთ! — უძახოდნენ სტიქიონის ტყვეობაში მოქცეულ ამხანაგებს.

მდინარის ხმაური ჰფარავდა გამამხნეველ ძახილს.

შუა მდინარეში იქ, სადაც ერთი საათის წინათ ბულდოზერი და ექსკავატორი მუშაობდნენ, ახლა მორევით ბობოქრობდა. ბულდოზერს გამოესწრო სამშვიდობოზე, ხოლო ექსკავატორს პატარა შეღმართზე მოძრაობათა გადამცემი ჯაჭვი გაწყვეტოდა, ერთ ადგილზე გაქვავებულივით დამდგარიყო და ახლა ყანჩას კისერივით აღმართული მისი ხორთუმი ეულად

მოჩანდა. ექსკავატორის საშტურვალე კაბინთან კი მ კაცი ლითონს ჩასჭიდებოდა, რადგან ფაფარაყრილი მღვრიე ტალღები მათ წუთიდან-წუთზე თავის სიღრმეში შთანთქმით ემუჭრებოდა.

მდინარე კი კვლავ მატულობდა, კქუხდა, მძლავრად მოაგორებდა საშინელ ტალღებს, ტალღა კაბინაში შეიჭრა. განსაცდელში ჩაეარდნით კაბინის თავზე ასვლა აიძულა.

მტკვარი უფროდაუფრო ხელდებოდა, ნაპირს გადადიოდა, ორომტრიალით მიჰქონდა სადღაც ზემოთ ამოძირკვეული ხეები თავის ტოტებიან-ფესვებიანად და სწორედ ეს ხეები ემუჭრებოდნენ ექსკავატორს.

წუთები საათებად იქცნენ, აღიდებულ მდინარეს კლება არ ეტყობოდა. ამოძირკვეულ ხეებთან ფიცრებიც გამოჩნდნენ მდინარეში, ლოფინები, ძელები, მორები, ალბათ ზემოთ ვინმე უთაური და წინდაუხედავი მშენებლებისთვის წართმეული საშენი ხეცე. ტალღამ მახლობელი ხიდის ქვემო ფერმას მიაღწია... არავის ენახა მტკვარი ჯერ ასე შეცვლილი და გადარეული.

ამასობაში ხალხი მუშაობდა ამხანაგების გადასარჩენად. დაამაგრეს ბაგირი ნაპირზე, მოიყვანეს გამოცდილი მენავე და ნავიც გამოიხანეს. ბაგირი ნავს გამოაბეს, ნება-ნება მიუშვეს, თან მენავის ნიკოლოზ გურაბანიძის ალღოს მიენდნენ. ნიჩბების ოსტატური მოქნევით მიიწვედა გურაბანიძის ნავი ექსკავატორისაკენ.

წყვილ-წყვილად გადმოიყვანა მენავემ ექსკავატორზე მყოფნი სამშვიდობოზე. უკვე ბნელოდა, როდესაც ნავი ბაგირის დახმარებით ამოზიდეს ნაპირზე და ამ ნავით ყველაზე ბოლოს გადმოვიდნენ მშენებლობის მთავარი ინჟინერი ირაკლი მღებრიშვილი და მექა-

ნიზმების კანტორის ხელმძღვანელი ინჟინერი კოტე პეტროსიანი...

დიღას მდინარე დაკლბულოვებულ ხალისიანად მოჰყენოდა ქვეყანას, მშენებლები თავთავიანთ ადგილებზე გასულიყვნენ. ისმოდა საშენი მექანიზმების ხმაური, ხოლო ექსკავატორი კვლავ ეულად ჩანდა ჯერ ისევე წყლით დაფარულ რიყეზე. მშენებლები მის გამოსაყვანად და გასაწმენდად ემზადებოდნენ.

VII

ხაფხულის მიწურულში — 20 აგვისტოს, გაზეთებმა და რადიომ მთელ ქვეყანას მოჰტინეს დიდმნიშვნელოვანი ამბავი:

„ამ დღეებში მოსკოვში გაიმართა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა მოწვეულ იქნას 1952 წლის ოქტომბერს საკავშირო კ. პ. (ბ) მორივი XIX ყრილობა...»

თითქოს ახალმა ნიავმა დაჰბერა ჯეჯილის ყანასო... შეინძრა მთელი ქვეყანა, აზვირთდა მილიონთა შრომითი ენთუზიაზმი:

— ახალი საწარმოო მიღწევებით შევხედეთ ლენინ-სტალინის პარტიის XIX ყრილობას, გაეახაროთ სამშობლო ყრილობისადმი მიძღვნილი ძვირფასი საწარმოო საჩუქრებით!

ამ მოძრაობაში დიდი ენთუზიაზმით ჩაებნენ ორთაჰალკესის მშენებლები, გადაწყვიტეს ვადაზე აამუშაონ ჰიდროელექტროსადგური, ჰარბი ელექტროენერგით აღჭურვონ თბილისი, რათა ცაც ბრწყინავდეს შუა ქალაქიდან აურილი შუქით.

## ილია ჭავჭავაძის პოლიციურ-ეკონომიურ მახელაულებათა შესახებ



დაბოლოს, განვიხილოთ ი. ჭავჭავაძის წერილები ხიზნობის თაობაზე. ეს წერილები განსაკუთრებულ ინტერესს შეიცავს, ამიტომ მოგვიხდება მათზე შედარებით მეტხანს შეჩერება.

როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძის შესანიშნავი ნარკვევები „ხიზნების საქმეზე“ დაწერილია 1880-1886 წლების პერიოდში, ამავე ხანას ეკუთვნის ჩვენი ავტორის ორი უაღრესად საინტერესო დოკუმენტი ხიზნობის თაობაზე, რომლებიც ამ რამდენიმე წლის წინად იქნა გამოქვეყნებული<sup>1</sup>.

მხედველობაში გვაქვს ილია ჭავჭავაძის „მოხსენებითი ბარათი თბილისის გუბერნიის საგლეხო საკრებულოსადმი ხიზნების შესახებ“ და მის მიერვე შედგენილი „ხიზნთა დებულების პროექტი“. ამ ნარკვევებსა და დოკუმენტებში ამომწურავად არის წარმოდგენილი ი. ჭავჭავაძის შეხედულებები ხიზნებზე, აგრეთვე ქართველი ერის წარსულისა და აწმყოს მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე.

შევეცდებით გავაყეთოთ ამ წერილებისა და დოკუმენტების ცოტად თუ ბევრად სრული ანალიზი და გადმოცემთ მათგან გამომდინარე დასკვნები.

თავდაპირველი და ძირითადი მიზანი ი. ჭავჭავაძის წერილებისა ხიზნების თაობაზე, — ეს იყო იმ გლეხების ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეო-

ბის გაუმჯობესება, რომლებიც ხიზნთა კატეგორიას ეკუთვნოდნენ. აი რას ამბობს ზღია ამის შესახებ:

„ყმების განთავისუფლების შემდეგ კანონმდებლობის ჯერი სწორედ ხიზნების საქმეზედ უნდა მიმდგარიყო. ხიზნობაც ერთ-გვარი მფლობელობაა მიწისა, რომელსაც მოსდევს დამოკიდებულება თავისუფალის გლეხისა მიწის მპატრონესთან. რასაკვირველია, ქვეყნის სიკეთისათვის საჭიროა, რომ ეგ დამოკიდებულება შეეფერებოდეს ეხლანდელს მოთხოვნილებას და შინცადაშინც განსაზღვრული იყოს და კანონის მფარველობის ქვეშ დამდგარი.

სჩანს, მთავრობა შესდგომია ხიზნების საქმეს ამ განზრახვით, მოუნებებია მისი დაყენება მტკიცე საფუძველზედ. თუ ეს ასრეა, ჩვენ დიდად მოხარულნი ვართ. მაგრამ ერთი რამ კი ძალიან გვაწუხებს. ჩვენ გავიგონეთ მათგან, რომელნიც ამ საქმის გადაწყვეტისათვის მოწვეულ არიან, რომ ამ საგანზედ არც თურმე ჯეროვანი და სარწმუნო სტატისტიკური ცნობებია მოკრეფილი, და არც თითონ ხიზნობის არსებითი ვითარებაა გამოკვლეული და ცნობაში მოყვანილი. აქამდინ არ იციან თურმე, რა არის ხიზნობა, რა საკანონო და საეკონომიო თვისება აქვს“<sup>1</sup>.

აი სწორედ ამ მიზნით, რათა გავადვილებია კანონმდებლობის გზით ხიზნების მდგომარეობის მოწესრიგება, ილია

<sup>1</sup> დასარსული. იხ. „მნათობი“ № 9.

<sup>1</sup> იხ. საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველოს „სისტორიო მთაბე“, № 3, გვ. 203 და გვ. 221.

<sup>1</sup> „ნაწერების სრ. კრებ.“, ტ. VIII, გვ. 129. 130.



შესდგომია ვრცელ გამოკვლევას, რომელშიც უდიდესი მოთმინებითა და გულმოდგინებით არკვევს ხიზნობის ბუნებას. იგი კისრულობს დიდ და ძნელ სამუშაოს სწორედ იმიტომ, რომ იცის: „თუ მაინც-და-მაინც მოუშადადებლად ხელი ჩაჰკიდეს ამ არა-სახუმარო საქმეს, იქნება იმისთანა ამბავიც მოხდეს, რომ შეღავათის ნაცვლად, ხიზანს უფრო გავუჭირვოთ ისეც გაჭირვებული ცხოვრება“<sup>1</sup>.

მაგრამ რას მოითხოვს ი. ჭავჭავაძე, რა წინადადებებს იძლევა იგი ხიზანთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად? ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს შემოთხსენებული ორი დოკუმენტი, სახელდობრ: „მოხსენებითი ბარათი თბილისის გუბერნიის საგლეხო საკრებულოსადმი“ და „ხიზანთა დებულების პროექტი“. ამ დოკუმენტების გაცნობა ყველასათვის ადვილია, ამიტომ აღარ გამოვუდგებით შინაარსის გადმოცემას. ვიტყვი მხოლოდ, რომ ძირითადი აზრი ამ დოკუმენტებისა, თვით ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, ის არის, რომ „კანონის მფარველობის ქვეშ დააყენოს“ მიწათმფლობელსა და თავისუფალ გლეხს შორის არსებული დამოკიდებულება. ამ ღონისძიებით ი. ჭავჭავაძე ცდილობდა საზღვარი დაედვა მემამულეთა თვითნებობისათვის, — ხალხის ჩვეულებებს რომ აღარაფრად აგდებდნენ და ხიზნების ყმებად გადაქცევას აღაშინებდნენ. მაგრამ ი. ჭავჭავაძის დებულების პროექტი არა მარტო ჩვეულებათაზე დამყარებული, შედარებით სამართლიანი დამოკიდებულების დაკანონებას ცდილობდა ხიზანსა და მემამულეს შორის, ამასთანავე ერთად იგი გულისხმობდა ხიზანთა უფლებრივი მდგომარეობის გარკვეულ გაუმჯობესებასაც. ამ მხრივ საკმარისია მიეთითოს თუნდაც „დებულების“ იმ მუხლზე, რომელიც ზღუდავდა მემამულის

უფლებას ხიზნისათვის მიწის თვითნებური ჩამორთმევის საქმეში. თუ მემამულე მოისურვებდა ხიზნისათვის მიწა ჩამოერთმია, ასეთ შემთხვევაში ის მოვალე იყო გადაეხადა კანონიერი ფასი ამ მიწაზე არსებული ყოველგვარი ნაგებობისა და ნარგავებისა (ხეხილის, ვენახისა და სხვ.). ამის შემდეგაც კი, — ე. ი. თავისი ნაგებობისა და ნარგავების სათანადო საფასურის მიღების შემდეგ, ხიზანს უფლება ჰქონდა ერთი წლის განმავლობაში დარჩენილიყო მემამულის მიწაზე და ყველა წინანდელი უფლებები შეენარჩუნებია.

ესეც უნდა ითქვას, რომ ი. ჭავჭავაძე, ცდილობდა რა შეედგინა, როგორც თვითონ ამბობდა, დებულების არა „კაპიტურნი“, არამედ იმ დროის ცხოვრებისათვის პრაქტიკულად გამოსაყენებელი პროექტი, — ხიზანთა უფლებრივი მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების მხრივ მაინცადამაინც შორს არ წასულა.

მაგრამ ი. ჭავჭავაძის წერილები ხიზნობის თაობაზე არა მარტო იმიტომ წარმოადგენს განსაკუთრებულ ინტერესს, რომ მათში ჩვენ ეხედავთ გარკვეულ ცდას გაუმჯობესებულ იქნას ქართული გლეხობის საგრძნობი ნაწილის — ხიზნების ცხოვრების პირობები, — ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა; ეს წერილები კიდევ უფრო საინტერესოა იმიტომ, რომ მასში მოხიანს ი. ჭავჭავაძის ცდა იპოვოს საერთოდ გლეხთა და მემამულეთა შორის ეკონომიური დამოკიდებულების სამართლიანი და ამასთან, მისი აზრით რეალური (ე. ი. კანონის ფარგლებში შესაძლებელი) ფორმა.

შემოთ ჩვენ მივეუთითეთ იმ რთულზე, რომელსაც ი. ჭავჭავაძე თავდაზნაურობას განუკუთვნებდა. ჩვენ ვთქვით, რომ თავდაზნაურობა ძირითადი ამოცანა, ილიას აზრით, არ იყო საკუთარ მიწაზე მუშაობა და მატერია-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 131.

ლური დოვლათის შექმნა. მაგრამ, ბუნებრივია, დავსვით კითხვა: მამ ვის უნდა დაემუშავებია თავად-აზნაურთა მიწები? ჯერ-ჯერობით მათ ამუშავებდნენ უმთავრესად დროებით-ვალდებული გლეხები, მაგრამ მომავალში — როცა დროებით-ვალდებული გლეხთა ინსტიტუტი მოისპობა, როცა ილიას სამართლიანი საზოგადოება დამყარდება და ადგილი აღარ ექნება ადამიანის არც მატერიალურ არც მორალურ ჩაგვრას, როცა კანონის წინაშე საზოგადოების ყველა წევრი ერთნაირი უფლებით ისარგებლებს, ხოლო თავდა-აზნაურთა ყოველგვარი უფლებრივი პრივილეგიები გაქრება, — მაშინ რა ეკონომიური ურთიერთობა უნდა დარჩეს თავისუფალ გლეხსა და ქვეყნის მმართველ, განათლებულ მიწათმფლობელს შორის?

აი კითხვა, რომელიც განსაკუთრებით მწვავედ იდგა ილია ჭავჭავაძის წინაშე. ეძებდა რა პასუხს ამ კითხვაზე, მან თვალი მიაკყო იმ ეკონომიურ პრინციპს, რომელიც საუფუძვლად უდევს ზიზნობას.

„საჭირო არ არის, — ამბობს ილია, — კაცი საისტორიო გამოძიებათა ბარდებში გაებას იმ უცილობელის და ყველასაგან ცნობილ აზბის დასამტკიცებლად, რომ პირველყოფილ დროს, როცა თავდაპირველ დაეწყენენ კაცთა საზოგადოებანი, ზოგადს ელემენტს საკუთრებისას, თუ არ განსაკუთრებით, გადაჭარბებით მაინც, მეტი და უპირატესი ადგილი ეჭირა კაცთა ცხოვრებაში. სხვადასხვა საეკონომიო და საპოლიტიკო თვისების მიზეზთა გამო, მაგ ზოგადმა ელემენტმა საკუთრებისამ თანდათან გზა დაუთმო პირადსა, და პირადის ელემენტის გამარჯვება მთლად და უნაკლოდ გამოისახა მთელის თავისის სასტიკობითა ფეოდალობაში, რომელმაც შემოიტანა ბატონყმობა, ესე-იგი იმისთანა წყობა, რომელიც მართო უფლებაა უმოვალეობო,

უსაზღვრო, პირობა-დაუდებლო, და რომელსაც სხვა საგანი არა ჰქონდა რა, გარდა ცალკე კაცის პირადის კეთილდღეობისა.

საზღვარ დაუდებელმა უფლებამ საკუთრების პირადის ელემენტისამ მოუყარა თავი მამულებს კერძო კაცთა ხელში ცალ-ცალკე, განაშორა მუშახელი სამოქმედო საგანს — მიწასა, განაცალკევა მუშა და სამუშაო საგანი. მაგ განშორებამ და განცალკეებამ დიდად შეარყია და შეშალა ბუნებრივი მდინარეობა ეკონომიურის ცხოვრებისა, იმიტომ რომ ერთი მხრივ დარჩა მუშახელი უმიწოდ და მეორე მხრივ — მიწა უმუშა-ხელოდ.

აი სწორედ ამ გარემოებამ, ამ მდგომარეობამ შეახვედრა ერთმანეთს მამულის პატრონი და მუშაკი, მიწათმფლობელი და მიწათმოქმედი. აი სწორედ ამ გარემოებამ იძულებული ჰყო მიწათ-პატრონი და მუშა-კაცი ერთმანეთს შეპყროდნენ და მორიგებოდნენ, ერთს ის მიეცა მეორისათვის, რაც თვითონ არა ჰქონდა, თორემ მიწაც უქმად დარჩებოდა და ხელიცა. თქმა არ უნდა, თვითონ მორიგება შესაძლო იყო მართო იმ პირობით, რომ საკუთრების კერძო, პირადს ელემენტს დაეთმო რამ ზოგად ელემენტისათვის.

სწორედ ამაში აქვს დასაწყისი ყოველ-გვარს სახეს სხვისა მიწის ხმარებისას მთელს ქვეყნიერებაზედ: ამაშივეა სათავეც და დასაწყისი ზიზნობისა ჩვენში. ზიზნობაში, რომელიც სხვა არა არის-რა გარდა იმისა, რომ ერთ-გვარი სახეა სხვისა მიწის ხმარებისა, გაძლიერება საკუთრების ზოგადის ელემენტისა მეტად ცხადად და თვალსაჩინოდ გამოითქვა. ამ სახით, თუ გადავტეხთ უფლებები საკუთრების პირადის ელემენტისა გამოისახა ბატონყმობაში, ზოგადმა ელემენტმა თავისი ადგილი და ბინა მოიპოვა ზიზნობაში...

რომ ზიზნობის დასაწყისი და სათავეც არის და არა რაღაც პირი და შიბ-

შილი, როგორც ზოგიერთს ჰგონია, ამას გვემოწმება ისტორია მთელის კაცობრიობისა<sup>1</sup>.

ასეთია ილიასებური დაყენება ამ საკითხისა. სხვა ადგილას ის კვლავ უბრუნდება ხიზნობის წარმოშობისა და მნიშვნელობის საკითხს და ახალ შუქს ჰფენს მას:

„მიწათ-ქირაენობის მსვლელობაში ორი განსაკუთრებული მიმართულება აღმოჩნდა: ერთმა თავი იჩინა იმაში, რომ მამულის ქირა, ანუ ღალა, დროთა მიხედვით იცვლებოდა და თვითონ მამულის ჭერაც წინათვე განსაზღვრულ ვადით იყოს; მეორემ იმაში, რომ ერთხელ დადგენილი ღალა უცვალებელი იყოს და თვითონ მამულის ჭერასაც ვადა არ ჰქონდეს წინათვე დანიშნული. პირველი მიმართულება სავსედ გამოისახა ეგრეთ-წოდებულ ფერმერობაში, და მეორე მასში, რასაც მეცნიერნი ეძახიან მეგვიდრეობითს ქირაენობას და რასაც ჩვენში, ჩვენის ფიქრით, ხიზნობა ჰქვია...“

პირველის მიმართულებაში გამარჯვებულია ის ელემენტი საკუთრებისა, რომლითაც იგი მარტო კერძო კუთვნიებად ცნობილია, მეორეში-კი ფეხადგმულია ის ელემენტი, რომლითაც საკუთრება საზოგადო გაჭირვებას ემსახურება. პირველის დროშა ხელთ უპყრით შემამულეთა, მეორისა მიწათ-მომქმედსა მუშა-კაცსა. პირველის ფარხმალი კანონია, მეორისა-ჩვეულება<sup>2</sup>.

აქედან სავსებით ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ი. ჭავჭავაძემ ხიზნობას. ამის შემდეგ აღარ არის საკვირველი, რომ იგი გულდასმით და დაწვრილებით იკვლევს ხიზნობის აღმოცენება-განვითარების საკითხს არა მარტო ჩვენში, არამედ აგრეთვე ევროპის ძირითად სახელმწიფოებში. ილია მიმოიხილავს გამოჩენილ მეცნიერთა შე-

ხედულებებს — კოტანიდან და პლინიუსიდან მოკიდებული მე-XIX საუკუნის ეკონომისტებამდე — როგორღეც მსაც აზრი გამოუთქვამთ ხიზნობის ირგვლივ და ცდილობს ბოლომდე გაარკვიოს ხიზნობის ბუნება. მისი აზრით, ჩვენებური ხიზნობა რაიმე განსაკუთრებულ, მარტო ჩვენი ქვეყნისათვის დამახასიათებელ მოვლენას კი არ წარმოადგენს, არამედ თითქმის ყველა ქვეყანაშია გავრცელებული, ოღონდ ზოგან უფრო სრულად განვითარებულია, ზოგან კი ჯერ ისევ განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე იმყოფება. აი მისი სიტყვები:

„იგი გვარი სხვისა მიწის ხმარებისა, რომელსაც ჩვენ ხიზნობას ვეძახით, არის გერმანიაში და ჰქვია ერბრახტი, პოლანდიაში ჰქვია ბეკლემრეხტი, საფრანგეთში სნადასხვა ადგილას სხვადასხვა სახელი ჰქვია, მაგალითებ: ბრეტანში-ქვევეს, სხვაგან — დომენ კონეაბლ, იტალიაში — ლიველო, პორტუგალიაში — აფორამენტო, ინგლისში — ოლსტერის ჩვეულება, რუსეთში — ჩინში.“

სრული, დამთავრებული სახე ხიზნობისა პორტუგალიის აფორამენტოა და უფრო პოლანდიის ბეკლემრეხტი. სხვები კი, და მათ შორის ჩვენებური ხიზნობაც, იმავ მიზეზით წარმომდგარი, იმავ ბუნებით აგებული, იმავ გზაზედ მიმდინარე, ერთმანეთში იმით სხვადასხვაობენ, რომ თავს განვითარების გზაზედ ზოგს ნელის ნაბიჯით უვლია და ბოლომდე ვერ მიუღწევია, ზოგი თითქო შუა გზაზედ შემდგარა, ზოგს სხვადასხვა ისტორიული გარემოება დააპლომბებია<sup>3</sup>.

მაგრამ რაში მდგომარეობს ის პრინციპები, რომელზედაც ხიზნობაა აშენებული, ან სხვა სიტყვებით: რა არის ხიზნობის არსი? ი. ჭავჭავაძის აზრით, ხიზნობას ოთხი ძირითადი მხარე, ანუ

<sup>1</sup> იქვე, გვ. 161 — 163.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 142.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 165.

უმთავრესი დამახასიათებელი თვისება გააჩნია:

პირველი და უმთავრესი, — ესაა ორივე მხარის სრული ნებაყოფლობა, მათი კეთილნებური ერთმანეთთან მორიგება, აშენებული მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიურ ანგარიშზე; «სახეიროა — გაძლევე მამულს, სახეიროა — ვიღებ მამულს. ამის გარეთ მორიგება შეუძლებელია ამისთანა შემთხვევაში»<sup>1</sup>.

მეორე, — ესაა ღალისა და სამსახურის უცვლელობა, აგრეთვე მიწით სარგებლობის ვადის განუსაზღვრელობა: «ღალა და სამსახური უცვალე-ბელი იყოს, ერთს ჭდებოდ იდგეს და თვით აღებ-მიცემა მიწისა ვადა-დაუ-დებელი იქმნას»<sup>2</sup>.

მესამე, — ეს ისაა, რომ ხიზნობა ყველგან უთუოდ ჩვეულებაზეა დამყარებული; «ჩვეულებას იგი უპირატესობა აქვს, დაწერილს კანონის წინაშე, რომ ყოველთვის ცხოვრების ჭეშმარიტის საპიროების დანაბადია და ყოველთვის უტყუარი წამალიც არის ამ საპიროებისა, თუ ყოველს დროს არა, პირველ ხანებში მაინცა»<sup>3</sup>.

მეოთხე კი — ისაა, რომ ხიზნობა არის «მფარველი იმათის ზნეობრიობისა და ჭონებრივის ინტერესებისა, რომელნიც ხიზნობით ერთმანეთზედ დამოკიდებულნი არიან და რომელთაც თვითნებობა შეზღუდულია საზღაურითა, თუ ვინცობაა ერთი მეორის დაუკითხავად და უნებურად მოშლის ხიზნობასა»<sup>4</sup>.

აი ხიზნობის ძირითადი თვისებები, მისი ბუნება, მისი არსი. მაგრამ ასეთი ბუნება მთლიანად გააჩნია არა ჩვენებურს ხიზნობას, არამედ მის განვითარებულ ფორმას, მაგალითად, ისეთს, როგორიც პოლანდიის ბეკლემრეხტია, სადაც «მფლობელობის პატრონს, ბეკ-

ლემ-მეიერს, შეუძლიან თავისი მფლობელობა გადასცენ ვესემენდერქითა, თუნდ გაჰყიდოს, გაჰქონდეს, დაფარავს კიდევ მიწის პატრონის დაუკითხავად»<sup>1</sup>.

აი დაახლოვებით ეს არის ი. ჭავჭავაძის იდეალი. ადვილი შესამჩნევია, რომ ასეთ პრინციპებზე აგებული ხიზნობა ბევრით არაფრით განსხვავდება მიწის მესაკუთრე გლეხის მდგომარეობისაგან, ოღონდ ეს არის, რომ ამ შემთხვევაში დაკანონებულია. — გლეხმა იხადოს მიწის ღალა, ანუ გარკვეული გადასახადი, რაც საპიროა ჭევეყნის მმართველი და დამცველი თავად-აზნაურობის შესანახად. ესაა ი. ჭავჭავაძის «სამართლიანი» საზოგადოების საუფქველი, ამ საზოგადოების ეკონომიური შინაარსი. უამისოდ ეს საზოგადოება ვერ იარსებებს.

აქედან ვასაგები ხდება მოწოდებისა და აღფრთოვანების ის სიტყვები, რომელითაც ი. ჭავჭავაძე მიმართავს მკითხველს თავისი წერილების დასკვნით ნაწილში:

«ეს გვარი მფლობელობა მიწისა შექმნა თვითონ ერის ცხოვრებამ, თვითონ ერმა გამოაჭარმა თვისის ცხოვრების მდულარებაში და წამლად დაადგა იმ ტკივილის მოსარჩენად, რაიც სამწუხარო მოვლენამ მიწისა და ხელის განცალკევებისამ აუტეხა დროთა მიმავლობაში. სულიერმა ძალღონემ ერისამ მთელი საუკუნოები იმოქმედა ამაზედ, მთელი საუკუნოები მოახმარა ამას, ტანი ააყრევინა და გამოიყვანა კუთონის გზაზედ შემდეგის წარმატებისათვის. და ეხლა, როცა ეს ხიზნობის საქმე წინ მოგვდგომია ასე თუ ისე გადასაწყვეტად, ნუ თუ მართალნი ვიქნებით — ზურგი შევუქციოთ ერის სურვილს, ესე ცხადად და აშკარად ხიზნობაში გამოთქმულს? ნუთუ არ შევეცდებით უარყოფით ეს ერის ცხოვრების ნაღულარი

<sup>1</sup> იქვე, გვ. 173.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 174.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 176.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 180.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 168.

წესი და მის შინაგანს მოთხოვნილებას არ აყვეთ და მხარი არ მიეცეთ? <sup>1</sup>.

ღიად, ი. ჰავეკავაძე გამოდის მთელი ერის თვალსაზრისიდან და ფიქრობს, რომ ეკონომიური აღორძინების პროგრამაც სწორედ მთელი ერის ინტერესების შესაფერი გამოიხატა. მაგრამ როგორც ვიცით, „ერის“ თვალსაზრისი — შემედარი თვალსაზრისია და ცხადია, რომ მისი შესაფერი ეკონომიური პროგრამაც მოკლებულია რეალურ-ისტორიულ საფუძველს.

როგორც უკვე ითქვა, ი. ჰავეკავაძემ ძალიან კარგად იცის, რომ კერძო მესაქუთრეობა მიწაზე, მემამულური მიწათმფლობელობა უკანონო გზით — ძალმომრეობის გზით არის წარმოშობილი და რომ ის უსამართლო მოვლენაა, მაგრამ ამასთანავე ის ფიქრობს, რომ ახლა ეს უსამართლობა უკვე დაკანონებულია და მთლიანად მისი მოსპობა შეუძლებელია. სწავიეროდ, შეიძლება ეს უსამართლობა მნიშვნელოვნად შერბილებულ იქნას და საბოლოო ჯამში, შესაძლოა, მოსპობილიც, თუ ხელს შეუწყობთ და განეავითარებთ საკუთრების საზოგადო ელემენტს, რომელმაც თავი შეაფარა ხიზნობაში. ხიზნობა, მისი აზრით, მძლავრ ლახვარს ჩასცემს საკუთრების კერძო ელემენტს, რომლის დროშა თავად-აზნაურობას უპყრია ხელთ, და საშუალებას მოგვცემს დავამყაროთ ქართული ხალხის იდიალური და სამართლიანი საზოგადოება. აი, ილიას დასკვნითი სიტყვები, რომლებშიც გამოხატულია მთელი მისი ეკონომიური მოძღვრების არსი:

...იხუთება. პირადი ელემენტი საკუთრებისა სასარგებლოდ ზოგადის ელემენტისა და შესუთვის საზღაურად არა-რა სასყიდელი არ ეძლევა. მამულის პატრონი ხიზნობის წესით ნება-მოკლებულია: 1. აპყაროს ხიზანი უიმისოდ, რომ არ უზღოს ყველაფერი,

რასაც ხიზანი მის მამულში სტოვებს და 2. მოუმატოს ლალა-გადასახადი. ამ სახით, მამულის პატრონი ღონეშმანდობით მოიხმაროს თავისი საკუთრება თვისის სურვილისამებრ, და ეს რა არის, თუ არ შერღვევა იმ მაგარის კედლისა, რომელსაც პირადს საკუთრებას ეძახიან... მიდრეკილება ხიზნობისა, რომ ხმარება მიწისა საშვილიშვილო იყოს, და ლალა თუ გადასახადი ერთსა და იმავე ჰდენად იდგას უცვალებლად — ეს ისეთი ფერიშია საკუთრების პირადს და კერძო ელემენტზედ მიტანილი, ეს ისეთი ნაღმია, რომ საკუთრების ხელშეუხებლობის მოძღვრებას ძირეულად არყვეს, მთელს რჯულიერებას საკუთრებისას ფერს უცვლის და ზოგადს ელემენტს მისას გზას უხსნის სამერმისოდ ცხოვრებაში ადგილის დასაჭერად <sup>1</sup>.

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ილია ჰავეკავაძე ახდენს, — ან უფრო ზუსტად, იძულებულია მოახდინოს — ხიზნობის იდეალიზაცია. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ხიზნობას — თუნდაც გაღამაზებულსა და სრულყოფილს — არ შეეძლო იმ როლის შესრულება, რომელსაც მას ი. ჰავეკავაძე აკისრებდა. ილიას პოზიციის სისუსტე აშკარაა. ამ პოზიციის გამოსავალ წერტილს, როგორც ვნახეთ, წარმოადგენს თავისუფალი გლეხი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თავისი ნება-სურვილით ურიგდება მიწის პატრონს. ეს უკანასკნელიც აგრეთვე თავისუფალია თავის მოქმედებაში და მათი მორიგების ერთადერთ საფუძველს შეადგენს ეკონომიური ანგარიში ანუ ორივე მხარის სარგებლიანობა: „სახეიროა — გაძლევ მამულს, სახეიროა — ვიღებ მამულს“. მაგრამ სინამდვილეში არის, თუ არა შესაძლებელი რომ გლეხი მართლაც თავისუფალი იყოს? განა იმ გლეხის თავისუფლება, რომელსაც მიწა-წყალი არ გააჩნია და მარტო თავის მარჯვენას შეპ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 181.

7. „შინათბი“ № 10.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 194, 193.

ყურებს, — ნამდვილი თავისუფლება? არსებითად აქ თავისუფლება არსებობს მხოლოდ ერთი მხარისათვის — მემამულისათვის, გლეხის თავისუფლებაზე კი ლაპარაკიც არ შეიძლება. „მემამულეს თავისუფალ“ კაცთან ჰქონდა საქმე, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — და თავისუფალს კაცს ძალად ვერ მოათრევდა და ვერ დაასახლებდა მამულზედ“<sup>1</sup>. კეთილად, ძალად ვერ მიათრევდა, — გლეხი თვითონ მიდიოდა, მაგრამ ესეც ვიკითხოვ: სხეა რა გზა ჰქონდა, რომ არ მისულიყო? ცხადია, ასეთ „თავისუფლებას“ ნამდვილ თავისუფლებასთან არაფერი აქვს საერთო.

ამრიგად, სრულიად გარკვევით უნდა ითქვას, რომ ი. ჭავჭავაძის მიერ გამოჩნებული საშუალება — განვითარებული და სრულყოფილი ხიზნობა — კიდევაც რომ განხორციელებულიყო, მაშინაც არ იქნებოდა მიღწეული ილიას იდეალი — ისეთი სამართლიანი საზოგადოების აშენება, სადაც ეკონომიური ურთიერთობა დამყარებული იქნებოდა მხოლოდ თავისუფალი ადამიანების ნებაყოფლობით შეთანხმებაზე და ადგილი აღარ ექნებოდა ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრას. მაგრამ მაშინდელი საქართველოს ვითარებაში ცოტად თუ ბევრად სამართლიან პრინციპებზე აშენებული ხიზნობაც კი განუხორციელებელი ოცნება იყო.

როგორც უკვე ითქვა, 1884 წელს ი. ჭავჭავაძემ ხიზნობის თაობაზე მოხსენებითი ბარათი წარადგინა თბილისის გუბერნიის საგლეხო საკრებულოში, ერთი წლის შემდეგ კი იმავე საკითხზე მან ხიზნათა დებულების პროექტი შეადგინა და განსახილველად მთავარმართველის საბჭოს წარუდგინა. როცა ამ დოკუმენტების შინაარსს ვეცნობით, აშკარა ხდება, რომ ავტორს, მხედველობაში მიუღია რა

მაშინდელი კონკრეტული ვითარება, იმ მიზნით, რომ პროექტი როგორმე მისაღები გაეხადა, — შეგვიერთების სურვილისათვის ერთგულნი საგარეო-ლაღ შეუქვეცია<sup>1</sup>. მიუხედავად ამისა, მისი პროექტი დიდხანს იყო მაუღტკვე ამოდებული. მხოლოდ 1891 წლის 3 ივნისს გამოსცა მთავრობამ კულმოკვეცილი დებულება „ხიზნების შესახებ“. მართალია, ამ დებულებაში ბევრი აღარაფერი დარჩენილა გლეხისათვის სახარბიელო, მაგრამ თავად აზნაურობა მას მაინც მტრულად შეხედა და მალე, სახელდობრ, 1893 წელს, მთავრობამ დებულების მუხლები კვლავ შეარბილა და შესცვალა, რა თქმა უნდა, გაბატონებული კლასის სასარგებლოდ<sup>2</sup>.


ყოველივე აქედან, ვფიქრობთ, ნათელია, რომ ი. ჭავჭავაძის ხიზნობის თეორია, ისევე, როგორც მთლიანად მისი პოლიტიკურ-ეკონომიური კონცეფცია უტოპიური და განუხორციელებელი იყო.

ინტერესს მოკლებული არ იქნება ანალოგიისათვის ვაგვისხენოთ ერთი დამახასიათებელი ფაქტი.

ი. ჭავჭავაძე დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ინგლისის სახელმწიფო მოღვაწის — ვილიამ

<sup>1</sup> მიუთითებთ ორ მაგალითზე. პირველი — ი. ჭავჭავაძე მომზრე იყო, რომ ხიზნის უფლება ჰქონოდა „თავისი მფლობელობა გადასცემვის შემდეგ“, თუნდ გაყიდოს, გააქირავოს, დააგირავოს კიდევ მიწის პატრონის დაუკოტხავად“, დებულების მე-20 მუხლში კი ის იძულებულია მის უფლება შეზღუდოს ისეთი შენიშვნით, რომელიც მას არსებითად ყოველგვარ რეალურ მნიშვნელობას უკარგავს. მეორე — „მოხსენებით ბარათში“ ილია იძულებულია ისევ მის მიერ დაგმობილი „მეოთხედობა“ აღიაროს მიწის პატრონსა და ხიზნას შორის ურთიერთობით საფუძვლად (იხ. „საისტორიო მოამბე“, № 3, გვ. 206).

<sup>2</sup> ამ საკითხზე საინტერესო ცნობას გეწოდის გამოჩენილი რევოლუციონერი, ი. ზ. სტალინის თანამებრძოლი ა. წულუკიძე. იხ. მისი „ახსენებათა კრებული“, 1927 წ., გვ. 165).



გლადსტონის ლიბერალურ საქმიანობას. გლადსტონის 1872 წლის ცნობილი კანონის შესახებ ილია ამბობდა: „სახელოვანი კანონი გლადსტონისა, რომელიც მან გაიყვანა 1872 წელსა... თუმცა დიდს არაფერს წარმოადგენს, მაგრამ, ინგლისის დულაბით გაქვიტვირებული მიწათმფლობელობის აგებულება რომ ვნახეთ, ეგ კანონი თამამი იერიშია ახლისა, ძველს წყობაზედ მოტანილი“<sup>1</sup>. ი. ჰავეზაძემ კარგად იცოდა, რომ ამ კანონმა, რომელიც მიხივე სიტყვით, „დიდს არაფერს წარმოადგენს“, — მთელი ინგლისი ფეხზე დააყენა. პარლამენტში მის მიღებას წინ უძღოდა პარტიათა გააფთრებული ბრძოლა. ლიბერალურ პარტიას და მის ლიდერს გლადსტონს უდიდესი ბრძოლის გადახდა დასჭირდათ. მაგრამ რა გააკეთეს მათ? თვითონ ი. ჰავეზაძე გაკვირებული ამბობს: „რა ძლიერი ყოფილა ინგლისში მოძღვრება საკუთარების ხელშეუხებლობისა, რომ ამისთანა უწყინარმა და მშვიდობიანმა ხელის-ხლებამაც კი მთელი ინგლისი ფეხზედ დააყენა, ხსენებულს კანონს რადიკალობის სახელი გაუთქვა და დიდება და სახელი გლადსტონისა მოაქვინა მთელს ქვეყანაზედ“<sup>2</sup>.

ი. ჰავეზაძე სათანადოდ ვერ ითვისადა სწინებს, რომ ყოველივე ეს ხდება ინგლისში — დამოუკიდებელ და განვითარებულ ქვეყანაში, ამასთან საკუთარებაზე „უწყინარ და მშვიდობიან ხელის-ხლებას“ იქ სათავეში უდგას სახელმწიფოს ერთ-ერთი მეთაური, პრემიერ მინისტრი, რომელსაც ხელთ აქვს რეალური ძალა. ილია კი ფიქრობდა გლადსტონზე გაცილებით შორს წასულიყო და საკუთარებაზე კიდევ უფრო ძლიერი „მშვიდობიანი იერიში“ მიეტანა საქართველოში — ეკონომიურად ჩამორჩენილ და პოლი-

ტიკურად უუფლებო ცარიზმის კოლონიაში.

ამიტომ განა გასაკვირია, რომ სწორედ იმ ხანებში როცა ჩვენი მწერალი თავისი „სამართლიანი საზოგადოების“ აშენების გეგმებს აწყობდა, სახელდობრ 1884 წლის სექტემბერში, მეფის პოლიციამ მასზე, — „როგორც არაკეთილსაიმედო პიროვნებაზე“ საიდუმლო მეთვალყურეობა დააწესა!

დიდი ჰუმანიტი სამართლიანობას დაეძებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, თავის ფიქრებში ვართული ბრძენი ვერ ამჩნევდა, რომ უკან საექვო ფიზიონომიის სუბიექტები მისდევდნენ და მის ყოველ ნაბიჯს უთვალთვალდნენ.

### III

ზემოთ ჩვენს მიერ განხილული ეკონომიური ნაშრომები ი. ჰავეზაძისა დაწერილია 1876-1886 წლების პერიოდში. როგორც ვნახეთ, სამართლიანი საზოგადოების ასაშენებლად ჩვენი ავტორის მიერ მითითებული გზები და საშუალებები არასაკმარისი და თანაც განუზორციელებელი აღმოჩნდა. ი. ჰავეზაძემ, როგორც ჩანს, თვითონვე იგრძნო ეს და — ამით უნდა აიხსნას, რომ ხიზნობით მისი გატაცების პერიოდი მალე დამთავრდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შემდეგ ათწლეულში ილია კვლავ ენერგიულად განაგრძობს თავის ცდებს და იბრძვის მიწათმოქმედთა და მიწათმფლობელთა მშვიდობიანი მორიგებისათვის, გლეხობის მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როგორც ვიცით, ილიამ — მხატვარმა თითქმის მიატოვა წერა და „ოთარაანთ ქვრივის“ შემდეგ მას თვალსაჩინო აღარაფერი შეუქმნია. სამაგიეროდ, ილია — პუბლიცისტი ამის შემდეგაც ენერგიულად განაგრძობდა ბრძოლას თავისი პოლიტიკურ-ეკონომიური პრო-

<sup>1</sup> „წაწერების სრ. კრებ.“, ტ. X, გვ. 44.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 47.

გრამის განხორციელებისათვის. ეს იყო დიდი ადამიანის შეუბოვარი და თავდადებული ბრძოლა, რომელიც ჩვენი ქვეყნის მამინდელი ცხოვრებისათვის მეტად დამახასიათებელია და, მამასადაძე, ჩვენის მხრით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

ქვემოთ შევეცდებით წარმოვადგინოთ ი. ჭავჭავაძის იმ ეკონომიური წერილების ერთი ნაწილის მოკლე მიმოხილვა და ანალიზი, რომლებიც ეკუთვნის 1886-1897 წლების პერიოდს<sup>1</sup>.

თავისთავად ცხადია, რომ ჩვენი ანალიზი ამომწურავი ვერ იქნება, მაგრამ რამდენადაც ჩვენი მიზანია თვალი გავადევნოთ ი. ჭავჭავაძის პოლიტიკურ-ეკონომიურ შეხედულებათა მხოლოდ ძირითად ხაზებს, ვფიქრობთ, საქმარისი იქნება შევჩერდეთ ზოგიერთ, უფრო დამახასიათებელ წერილებზე და ავტორის ძირითად აზრებზე; ამიტომ დეტალებს ვეღარ გამოვეყივებით.

ილია ჭავჭავაძეს მშვენიერად ესმოდა ის გადაწყვეტი მნიშვნელობა, რომელიც მატერიალური დოვლათის სიუხვეს ენიჭება ხალხის მთელი ცხოვრების ამაღლების, კერძოდ, კი მისი კულტურის ზრდისა და აყვავების საქმეში. ამით აიხსნება, რომ იგი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა თავისი ხალხის, პირველ რიგში კი გლეხობის ნივთიერი გაძლიერების, მისი სიმდიდრისა და დოვლათიანობის ზრდის საკითხებისადმი. ეძებს რა ხალხის გამდიდრების, გლეხობის მიძიმე ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებებს, ი. ჭავჭავაძე მთელ რიგ წერილებში იკვლევს ჩვენი სოფლის მეურნეობის აღმავლობის

გზებს, სახავს მარცვლული კულტურების მოსავლიანობის გადიდების მევენახეობისა და მესაქონლეობის განვითარების, ტექნიკური კულტურების გავრცელებისა და სხვ. ღონისძიებებს.

1886 წლის მიწურულსა და 1887 წლის დასაწყისში გაზეთ „ივერიაში“ მეთაურების სახით დაიბეჭდა ი. ჭავჭავაძის ხუთი წერილი, რომლებშიც განხილულია საქართველოში პურის მოყვანისა და ჩვენი ქვეყნის გარეთ პურის რეალიზაციის საკითხები.

„საქვეყნო ბაზარში, — ამბობს ავტორი, — დიდი ცილობაა, რომელსაც მეცნიერნი „კონკურენციას“ ეძახიან. რომ ამ ცილობაში ჩვენმა პურმა თავი გაიტანოს და საქვეყნო ბაზრის მოედანზედ თავისი შესაფერი ადგილი დაიჭიროს, ორი აუცილებელი სიკეთე უნდა სჭირდეს: ერთი რომ თვისებით და ღირსებით სხვაზედ კარგი იყოს და მეორე სხვაზედ იეფი, თვისებისა და ღირსების კვალობაზე.

რაც შეეხება თვისებას და ღირსებას ამიერკავკასიის პურისას, ამ მხრით ჩვენებული პური ბევრს სხვას არ ჩამოუვარდება, და თუ დღეს მაინც-დამაინც ამ მხრით აკლია რამ, საქმე ადვილად გასასწორებელია, რადგანაც ჩვენებული მიწა და ჰაერი ყოველს განკარგებას სასოფლო წარმოებისას ხელს უწყობს და ყოველს-გვარს პურს მოიყვანს ჩვენში მაღლის ხარისხიდან დაწყებულს დაბალ ხარისხის პურამდე, ეს დღესაც არის ჩვენში და კეთილად განწყობილი ვაჭრობა უფრო გააძლიერებს შემდგისათვის. მამასადაძე, დაგვიჩა გამოსაკვლევად: იეფობით შეუძლიან ჩვენებურს პურს შეეჭიდოს სხვა ქვეყნის პურს საქვეყნო ბაზარში, თუ არა?“<sup>1</sup>.

ამ უკანასკნელი კითხვის გასარკვევად ილია დაწერილებით იკვლევს პუ-

<sup>1</sup> ამის გაკეთება მათ უფრო საჭიროდ მიეჩინა, რომ სხვაებული წერილების დიდი უმჯობესობა ვერ-ცერობით ფართო საზოგადოებისათვის უცნობია.

რის მსოფლიო ბაზრის მდგომარეობას, ამასთან ის დეტალურად არკვევს პურის გადატანისა და სხვა ხარჯებს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ მაშინდელი ჩვენი ჩამორჩენილი ტექნიკისა და თითქმის სრული უგზოობის პირობებში შეუძლებელი იყო ჩვენი ხალხის გამდიდრების იმედი პურით ვაჭრობაზე დაგვეყარებია. იგი იძულებულია აღიაროს, რომ „ჩვენებური პური ცილობას ვერ გაუწევს ამერიკის პურს“<sup>1</sup> და ურჩევს ჩვენს მიწადმოქმედთ, რომ „ხვნისა და თესვის რაოდენობა მარტო შინაურს ბაზარზედ გაიანგარიშონ“<sup>2</sup>.

ავტორი თავის წერილებს ასეთი დასკვნით ამთავრებს: „აშკარაა, ჩვენი ქვეყანა ამ მხრით წელს ვერ გაიმაგრებს. ჩვენ მარტო იმას უნდა ვეცადოთ, — პური იმოღწეოდ მოვიყვანოთ, რომ სასყიდელ არ გაგვიხდეს ჩვენ და ჩვენს შინაურს ბაზარს ეყოს. მიწათმოქმედება და საზოგადოდ სოფლის მეურნეობა ჩვენი სხვა იმისთანა საგანზე უნდა მიიქცეს, რომლის გამოც ჩვენთან ცილობის გაწევა საქვეყნო ვაჭრობაზე ძნელია. ადგილი და ჰავა ამის ნებას გვაძლევს“<sup>3</sup>.

ი. ჰავთაძემ უპურადღებოდ არც სიმინდის კულტურას სტოვებს, რადგან, მისი აზრით: „სიმინდი ჩვენს ქვეყანაში საერთოდ და იმერეთში საკუთრით ერთი იმისთანა სარჩოა, რომელსაც, გარდა იმისა, რომ ერი თავის საკვებად ჰხმარობს, ჰყიდის კიდევ და ამით თავის ყოველდღიურს საქმირობას უძლევს“<sup>4</sup>.

მაგრამ ილიას განსაკუთრებული ზრუნვის საგანს მინც ვენახი შეადგენს. ჩვენ განზრახული ვვაქვს, სხვა დროს ამ საკითხზე ვრცლად შევეჩერდეთ, ამიტომ აქ სიტყვას არ გავაგრძე-

ლებთ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ვენახი ილია ჰავთაძეს მიანდებოდა ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად, რომელსაც ვადაძემ მწვეტი როლი უნდა ეთამაშნა ჩვენი სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და ქართული გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

უღრესად საინტერესოა ი. ჰავთაძის წერილი, რომელიც შეეხება საქართველოში მისაქონლეობის განვითარების საკითხებს. აი, ამონაწერი, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს ავტორის შეხედულებებზე ამ საკითხში: „საძოვრების საქმის დაულაგებლობა, მოუწყობლობა, ერთი უდიდესი ნაკლია ჩვენის საეკონომიო ყოფაცხოვრებისა... ზოგიერთგან იმისთანა გლეხობაა, რომ მარტო საქონლის მოშენებადა აქვთ ცხოვრების წყაროდ. ამ დიდძალ საქონლის მოსატრიალებლად ჩვენებურს სოფელს საკმაოდ ადგილი არა აქვს არც შინ, არც გარეთ, არც ზამთრობით, არც ზაფხულობით, რადგანაც ამისთანა საქონელს დიდძალი საქმელი უნდება გამოსაკვებად და სათიბის უქონლობის გამო ამ საქმლის წინასწარ მოგროვება შეუძლებელია, და რადგანაც ჩვენის ქვეყნის სხვადასხვა ადგილების ჰავა და ამინდი ნებას აძლევს კაცს მთელი ზამთარ-ზაფხული გარეთ ჰკვებოს საქონელი, — ამიტომაც ჩვენებური მოსაშენ საქონლის პატრონები ზამთრობით ყიშლავლებზედ გარკვევს ზოლმე საქონელსა საძოვრად და ზაფხულობით იალაღებზედ. ამ იძულებულ წასვლა-მოსვლაში დიდ-ძალი ხარჯი უნდებათ. ხარჯს კიდევ როგორმე გაუძლებდნენ, რომ ამ ხარჯის გაღებაში რაიმე წესი და რიგი იყოს. ჭირი ის არის, რომ საქონლის პატრონმა არ იცის, სად რა ხარჯი მოელის, ვის როგორ უნდა გაუძღვეს... აი ესლა, დადგა თუ არა გაზაფხული და საქონელიც დაიძრა ბარიდამ მთაში წასასვლელად იალაღებზედ, აუარებ-

1 „ივერია“, 1886 წ. 11 დეკემბერი.

2 „ივერია“, 1887 წ. 8 იანვარი.

3 იქვე.

4 „ივერია“, 1891 წ. 9 ნოემბერი.

ლი ჩივილი და დრტყინვა მოისმის მწყემსთაგან: არ იციან საწყლებმა, როგორ გაუძღვნენ ცალკე გზატკეცილის, ცალკე ხიდების ბაესა და ცალკე კერძო მემამულეების ყარაულებსა, რომელნიც გზაში წინ გადაუდგებიან ხოლმე და რაც გუნებაში მოსდით იმას ართმევენ. წართმევა ხომ წართმევაა და ზედ ერთვის ჩხუბი, ცემა-ტყეპა და ზოგჯერ იარაღის ხმარებამდინაც მიალწვეს ხოლმე საქმე. ამისთანა ყოფა შეუწყნარებელია და ბოლო უნდა მოეღოს“<sup>1</sup>.

აქ დაზატულია მაშინდელი ვითარების საესებით სწორი სურათი. მაგრამ როგორ ფიქრობს ავტორი ბოლო მოეღოს ამ უწყსრიგობას და გააუმჯობესოს მესაქონლე გლეხების მდგომარეობა? — რა თქმა უნდა, ისევ „კანონმდებლობის“ საშუალებით. მოვუსმინოთ: „დიდად საჭიროა, რომ კანონმდებლობამ ამ უნუგეშო ყოფას საკონლის პატრონებისას ყურადღება მიაქციოს, წესი და რიგი რამ ჩამოაგდოს, თორემ ეს ყარგა მოზრდილი წყარო ჩვენის ერის ცხოვრებისა თანდათან უკან დაიწვეს და გაშრობამდე მივა“<sup>2</sup>.

ეძიებს და იკვლევს რა „ჩვენი ერის ცხოვრების წყაროებს“, ი. ქავჭავაძე არ უწევს არც ერთ შემთხვევას, ეკონომიური ცხოვრების სფეროში მომხდარ არც ერთ ფაქტს, რომ თვალი იმედით არ მიიპყროს. ამ მხრით დამახასიათებელია იმავე 1887 წელს დაწერილი წერილი საქართველოში ბამბის მოყვანის შესახებ. აი რას ამბობს ილია ამ საკითხზე:

„საქართველო საკუთრად, ამიერკავკასია საერთოდ და, შიდა აზია, საცა ეხლა რუსეთს უზარმაზარი ადგილები უბყრია, ასეთი ქვეყნები არიან, რომელთაც ჰავა, ადგილმდებარეობა და

თითონ ადგილი ხელს უწყობს ბამბის მოყვანისათვის... ქართლ-კახეთი და ერთობ იმერეთი ამისათვის ძალიან კარგი ადგილებია და ამ მხარეში რომ მთავრობამ თავისი შემწეობა მოაშველოს მიწის-მომქმედთა და პირველ ხანებში მაინც ყოველისფერში ხელს გაუმართოს, ყოველგვარი შეღავათი მისცეს, დიდძალს ბამბას რუსეთი ჯერ ამ ამიერკავკასიაში იშოვის“<sup>1</sup>.

ასე თანმიმდევრობით, ყურადღებითა და მზრუნველობით იხილავს ი. ქავჭავაძე საქართველოს სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგის, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის განვითარებისა და გაფართოების საკითხებს. მას ყველაფერი აინტერესებს: მარცვლეული კულტურებით დაწყებული და მეხილეობითა და მეაბრეშუმეობით გათავებული. დამახასიათებელია ჩაის კულტურასთან მისი დამოკიდებულება. როგორც ცნობილია, გასული საუკუნის მეორე ნახევარში სოფლის მეურნეობის ცალკეული ენტუზიასტების ინიციატივით საქართველოში ახდენენ ჩაის კულტურის დანერგვის ცდებს. ილია ქავჭავაძე ამ ცდებს ინტერესით ადევნებს თვალყურს და მსურვალედ მიესალმება მათ, „ვისაც ფიქრად მოსვლია ამ ახალის შემოღებით ჩვენი ქვეყანა ცოტა თუ ბევრად გაამდიდროს“<sup>2</sup>.

მაგრამ გულმოდგინედ მოუწოდებს რა მთავრობას, შეძლებულ კლასებს, ინტელიგენციას დაეხმარონ გლეხობას, წამოაყენონ ფეხზე ჩვენი სოფლის მეურნეობა, ი. ქავჭავაძე ამასთანავე გრძნობს, რომ მისი მოწოდება, მისი ცდები სასურველ მიზანს ვერ აღწევს. ილიას ნაწერების კითხვისას ძნელი არ არის, სტრიქონებს შორის ამოიკითხო ის სიმწარე, ის გულისტკივილი, რომელსაც დიდი მწერალი და მოქალაქე

<sup>1</sup> „ივერია“, 1887 წ., 27 მაისი.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>1</sup> „ივერია“, 1887 წ. 8 და 9 იანვარი.

<sup>2</sup> „ივერია“, 1887 წ. 17 თებერვალი.

განიცდიდა თავისი ქვეყნის მაშინდელი მდგომარეობის გამო.

„ამიერკავკასია ჰავისა და მიწის სიკეთით შემძლებელია თითქმის ყოველისფრისა, რაც კი რამ იზრდება, მოდის და ხეირობს დედა-მიწის ზურგზედ. ქინაქინის ხე და ჩაის ბუჩქიც კი გამოზარდა ჩვენმა ქვეყანამ იმოდენად კარგად, რომ ესლა თვითონ მთავრობაც კი ჰქდელილობს მეურნეობა ერთისა და მეორისაც ააყვავოს აქ და გავრცელოს. რა თქმა უნდა, რომ ამ გვარებისათვის მეცადინეობა და ხარჯი უქმად არ ჩაივლის და დიდ სარფას მისცემს როგორც ჩვენს ქვეყანას, ისე მთელს სახელმწიფოს, თუ ქინაქინის ხე და ჩაის ბუჩქი მარტო თეთრს ქაღალდზედ არ დაირგა და შავის მელნით არ მოირწყა. ამისთანა საქმეში არ მცოდნე კაცი, თუნდა გულ-მოდგინეცა, ვერაფერს გააწყობს მიწერ-მოწერის მეტს და ამ მიწერ-მოწერაში ისე აურევდაურევს დავთრებს, რომ ქინაქინის ხე და ჩაის ბუჩქი ყველას დაავიწყდება, დარჩება სახსოვრად მარტო უშველებელი ზვინი ქაღალდებისა, რომელიც მარტო იმას გვიმოწმებს, თუ რა გზით ვინ გაუხმო ძირი ქინაქინის ხესაც და ჩაის ბუჩქსაც. ასე მოუვიდა აბრეშუბის საქმეს ნუხში, ასე მოუვიდა ვენახისა და ღვინის საქმეს კახეთში“<sup>1</sup>.

არა ნაკლებ საინტერესოა ილია ჭავჭავაძის წერილები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წიაღისეულ სიმდიდრეებსა და ქართველი ერის გაძლიერებისათვის მთ გამოყენებას შეეხება. თავის ადგილას ჩვენ უკვე მივუთითეთ, რომ ი. ჭავჭავაძე სრულიადაც არ არის წინააღმდეგი მრეწველობის განვითარებისა. პირიქით, იგი აქტიურად უჭერს მხარს მრეწველობის წინსვლას, ტექნიკურ პროგრესს, ოღონდ ეს საქმეც სამართლიან პრინციპებზე უნდა ყოფილიყო აგებული. ილია მოითხოვს, რომ მრეწველო-

ბისა და ტექნიკის განვითარების საქმეს, რაც ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და გაძლიერების ერთ-ერთი პირობაა, სათავეში ჩაუდგნენ მცოდნე, განათლებული და შეგნებული ადამიანები, (ე. ი. იგივე თავად-აზნაურობა), რომლებიც არა მარტო პირად სარგებლობას ნახავენ ფაბრიკა-ქარხნების გამართვით და ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების დამუშავებით, არამედ, რაც უმთავრესია, დაეხმარებიან ერს, ხალხის საზოგადო საქმეებს, განათლების გავრცელებას და ა. შ. ი. ჭავჭავაძე გულისტყვივით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ჩვენი ქვეყნის ბუნების სიმდიდრეებს უცხოელი კაპიტალისტები დაეპატრონენ, ხოლო „ჩვენი“ ფულიანი კაცები ვერ ახერხებენ ბუნებისაგან მონიჭებული სიმდიდრე რიგიანად მოიხმარონ და ამით ჩვენს სამშობლოს, ხალხს რაიმე შესძინონ. ილია არაერთგან მწარედ დასცინის და თავს ესხმის ჩვენებურ მხდალ ბურჟუაზიას, რომელსაც თავისი პირადი გამორჩენის მეტი არაფერი ამოძრავებს და ქვეყნის საზოგადო საქმეებისათვის თითსაც არ ანძრავს.

აქ გამოთქმულ მოსაზრებათა დასადასტურებლად საყურადღებო ცნობებს შეიცავს ი. ჭავჭავაძის ის წერილები, რომლებიც შეეხება საქართველოში ლითოგრაფიის ქვის აღმოჩენას, ქიათურის მარგანცის მრეწველობის განვითარების პირობებს, განსაკუთრებით კი ნავთის მრეწველობის ახადანსხვა საკითხს.

„მთელს მოქმედებას ფულიან კაცებისას, — ამბობს ილია წერილში, რომელიც მიძღვნილია ლითოგრაფიის ქვის აღმოჩენისადმი, — ჩვენში რომ თვალი დააკვირვოთ, ჰნახავთ, რომ იგინი მარტო ერთის ჯიბიდან მეორეში ფულის გადატანისათვის იღწვიან და მათგან სხვა არაფერი გამორჩენა არ იცის ქვეყანამ. აბა ერთი მიიხედ-მოიხედეთ ჩვენს გარშემო და გვიჩვენეთ,

<sup>1</sup> „ივერია“, 1887 წ. 16 თებერვალი.

რომ ერთს ვისმეს მათგანს თითი გაენ-  
ძრიოს ქვეყნის სიმდიდრის წასამატებ-  
ლად, ამ ყოველად და მრავალ გვარად  
ნიღიდარს ქვეყანაში, საცა ათას გვარი  
ფაბრიკა, ქარხანა და ერთობ ამის მა-  
გვარი მრეწველობა დიდს ხელს მის-  
ცემს მრეწველსაც და ქვეყანასაც გაამ-  
დიდრებს, არც ერთს ფულიანს კაცს გუ-  
ნებაშიაც არ გაუტარებია, აზრადაც არ  
მოსვლია, რომ შეიძლება კაცმა თვითო-  
ნაც იხვიროს და ქვეყანასაც არგოს  
რამე...

ამ ტყუილ ბაქიებს, რომელნიც მარ-  
ტო იმაზედ არიან მოცლილნი, რომ,  
როგორც ვთქვით, ფული სხვისის ჯიბი-  
დან თავის ჯიბეში გადააქვთ და ქვეყ-  
ნისათვის ერთის იოტის ოდენაც არა  
შეუშანთათ რა, უცხო ქვეყნელთა  
მრავალ გზით პირიდან ლუკმა გამოა-  
ცალეს. უკეთესნი ვაჭარნი დღეს ჩვენში  
უცხო ქვეყნელები არიან. ეს კიდევ  
არაფერი. რაც ჩვენის ცხოვრების გან-  
კარგებასთან ერთად ცალკე კაცისათ-  
ვისაც გამოსარჩენია და სახეირო, ყო-  
ველივე ის ცხვირ წინ გაეპარათ ჩე-  
ნებურს სოფდაგრებს, რადგანაც მათი  
ქებული ვაჭრობის ნიჭი საქმის სიკე-  
თეს ვერ მისწვდა. საითაც გინდათ  
მიიხედეთ და ყველგან ჰნახათ, რომ  
ჩენებურს ფულიანთ არც გონება უტ-  
რით, არც თვალი, რომ სანახავი დი-  
ნახონ და ნამდვილს წყაროს სიმდიდ-  
რისას ხელი ჩაავლონ თავის სახეიროდ  
ცალკე და ქვეყნის საკეთილოდ  
ერთობ<sup>1</sup>.

ამის შემდეგ ილია ლაპარაკობს სა-  
ლითოგრაფიო ქვის მნიშვნელობაზე სა-  
ერთოდ, კერძოდ კი ჩვენში აღმოჩენილი  
ქვის მალალ ღირსებებზე და დაასკვნის:  
„ჰნახათ თუ ეს მზად-მზარეული აუა-  
რებელი სიმდიდრეც პირიდან არ გა-  
მოეცალათ ჩვენს ფულიან კაცებსა!... ამ  
სახით ეს წყაროც აუარებლის სიმდიდ-

რისა ჩაუვარდებათ ხელში ევროპი-  
ელთა“<sup>1</sup>.

ჩვენ აქ აღარ გამოვუძღვებით ი. ჭა-  
ჭავაძის იმ ილუზიების კრიტიკას, რაც  
შემოთაა გამოთქმული და „ჩვენი ფუ-  
ლიანი კაცების“ კეთილგონიერებაზეა  
აშენებული. ვფიქრობთ, მკითხველი-  
სათვის ნათელი უნდა იყოს სრული  
უსაფუძვლობა ილიას იმედებისა, რომ  
თითქოს შესაძლებელი იყო მრეწველე-  
ბი ჩვენს ხალხს და ქვეყანას რაიმეში  
გამოსდგომოდნენ; არც ერთ ქვეყანაში  
არ ყოფილან და, ცხადია, არც ჩვენში  
შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ისეთი კა-  
პიტალისტები, რომლებიც საქვეყნო  
საქმეებზე და ხალხის კეთილდღეობაზე  
ფიქრობდნენ და ზრუნავდნენ.

მაგრამ მიეყევით ქვემოთ.


კიდევ უფრო მკაფიოდ არის გამოხა-  
ტული ჩვენი ავტორის გულისტკივილი  
იმავე 1886 წელს დაწერილ ერთ-ერთ  
წერილში, რომელიც მიძღვნილია კი-  
თურის მარგანეცის მადნის დამუშავე-  
ბის საკითხისადმი. „შავი ქვის წარმოე-  
ბის საქმეს იგივე ემართება, — ამბობს  
ილია, — რაც ყველა ჩვენს საზოგადო  
საქმეს. ჩვენი უმთავრესი უბედურება  
საზოგადოდ ის არის, რომ ნამდვილის  
საქმიანობის უნარი არა გვაქვს. ვერც  
ერთს საქმეს ბოლოს ვერ გავატანთ  
ხოლმე. ჩვენ მხოლოდ ლაპარაკი გვი-  
ყვარს, სიტყვით ოქროს კოშკებს დაეს-  
დგამთ, მთებს შეესწრავთ და თუ კი  
საქმე საქმეზე მიდგა, მაშინვე ყველა  
უკანვე ვსდგებით, ცალ-ცალკე ვიფან-  
ტებით, შორიდან გულ-გრილად ვუ-  
ჭერით საქმესა და თან კიდევ ვკვი-  
რობთ, რატომ ჩვენში არაფერი საქმე  
არა ხერხდებაო“<sup>2</sup>.

ილიას ეს მწვავე სიტყვები გა-  
მოუწვევია გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭ-  
დილ ერთ-ერთ წერილს, რომელშიც

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> „ივერია“, 1886 წ. 16 ოქტომბერი.

<sup>1</sup> „ივერია“, 1886 წ. 31 ივლისი.



დახატული იყო კიათურის მარგანეცის მრეწველთა შეუთანხმებელი და უხეირო მუშაობის სურათი.

„შესდგომიან საქმეს შავი-ქვის მწარმოებელნი, — ამბობს ილია თავისებურად სარკავშით, — მაგრამ თავისებურად კი, ე. ი. ჩვენებურად დაუწყევლით საქმე. ყველას მარტო იმის მადა გაჰღვიძებია, სხვას დაეაკლო და მარტო ამ გზით მე შევიმატოვო, ყველა სცდილობს, რაც შეიძლება, დიდი ნაქერი თითონ მოითალოს, დიდი ლუქმა ხელთ იგდოს და სხვა ცარიელზედ დასვას, გამოსწიროს, გზა დაუხლართოს მეზობელს, არავის მიუდგეს და თავისთვის მარტო იმუშაოს. ერთის სიტყვით, შურს, მტრობას, წერილმანობას, შავი-ქვის საქმე დღეს იქამდე მიუყვანია, რომ ლამის შავმა ქვამ მართლა, „შავი-ქვა და ნაცარცხელი-და მოუტანოს თვით მწარმოებელსაც, მადნის პატრონსაც და მუშასაც“<sup>1</sup>.

ისმის კითხვა: როგორ უნდა ეშველოს ამ უბედურებას, რა ღონე უნდა ვიღონოთ, რომ მარგანეცის მრეწველობა წესიერად და სამართლიანად მოეწყოს? ილია ჭავჭავაძე ამ კითხვაზე ასეთ ზოგად პასუხს იძლევა: „ბუნებას სიმდიდრე მოუცია, — რაღა გინდათ? აიღეთ და ისარგებლეთ, მოიხმარეთ ღვთისაგან მოცემული სიკეთე! ჯერ საქმე ისე მოაწყეთ, რომ ეს წყარო სიმდიდრისა, რაც შეიძლება, მეტს ხალხს გასწვდეს, მეტს ხალხს მიეღინოს“<sup>2</sup>.

მაგრამ უბედურებაც ისაა, რომ ძველი წყობილების პირობებში საქმის ასე მოწყობა შეუძლებელია. ილია ივიწყებს და ანგარიშს არ უწყევს იმ ფაქტს, რომ კერძო წარმოების ბუნება მისი-წრაფვის სწორედ ჩვენი ავტორის სურვილის წინააღმდეგ, — რომ წყარო სიმდიდრისა მიეღინოს არა, რაც შეიძლება, მეტ ხალხს, არამედ, რაც შეიძ-

ლება, ნაკლებ ხალხს, — ერთ მუქა მდიდრებს, რომლებიც სრულყოფილად დაგიდევენ, თუ მისი დანებრუნებულ მუშები სილატაკეში იცხოვრებენ.

ნავთის საკითხებსაც ი. ჭავჭავაძე იხილავს საერთო-საგანმანათლებლო თვალსაზრისით, — ერის „საერთო“ ინტერესების თვალსაზრისით.

1886-1887 წლებში ი. ჭავჭავაძემ ნავთის ირგვლივ დასწერა რამდენიმე შესანიშნავი წერილი, რომლებშიც სავესებით ნათლად და აშკარად მოსჩანს დიდი ჰუმანისტიკა და დემოკრატიის კეთილშობილი სახე. აი ილიას მსჯელობის ნიმუშები:

„რა ქნას კარგმა მონარდმა, დროზედ მაში თუ არ მოვა“, — სწორედ ჩვენს ამიერკავკასიაზედ ითქმის. აქეთიქით იყურები, სინჯავ და ხედავ, რომ მთელი ეს მშვენიერი კუნძული დედამიწისა, შავისა და თეთრის (კასპიის) ზღვის შუა მდებარე, თითქოს საბუღარია, რომელშიაც უანგარო და გულუხვი ბუნება, როგორც კრუხი, ჩამჯდარა, და დაუღალავად, განუწყვეტლივ შეუფერხებლად სჩეკს ყოველს გვარს სიმდიდრესა. აქ მცხოვრები კაცო კი მაინც ღარიბია და ღარიბი. ეგ კიდევ ცოტა ვთქვით: ზოგჯერ თვით ეგ სიმდიდრე თავისის აუარებლობით ადამიანის დამამზობელ მიხეზადაც გვიხდება და ამ გზით საბედნიეროდ მოცემული სიმდიდრე ბუნებისა ჭირად გადაგვექცევა ხოლმე. აი თუნდ მაგალითად ავიღოთ ნავთი“<sup>1</sup>.

**შ ე მ დ ე გ:**

„ნავთი, როგორც საუკეთესო სანათი ნივთიერება, წარმატებაა ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში. მეტადრე ჩვენში, სადაც ნავთი ასე იაფია, საგრძნობელ შეღავათს მისცემს ხალხსა და რაც უფრო კიდევ მეტად გაიავდება ნავთი, მით უფრო უკეთესი იქნება. ვისაც კი ხალხის ეკონომიური წარმატება აფიქრებს,

<sup>1</sup> იჭვბ.

<sup>2</sup> იჭვბ.

რასაკვირველია, თანაუგრძნობს ამ მოქ-  
ლენას. ნავთის მწარმოებელნი კი სულ  
სხვასა ფიქრობენ. ამათ მხოლოდ თა-  
ვიანთი ჯიბე აწუხებთ; მხოლოდ თა-  
ვიანთი კერძო ინტერესები გაუხდიათ  
კერპად და ყოველ საზოგადო, საქვეყნო  
ინტერესებს მსხვერპლად სწირავენ  
მას. ნავთის მწარმოებელნი და მეტად-  
რე დიდნი მწარმოებელნი სწორედ გა-  
უმადლარ სვავებად გარდიქნენ. რაც  
უფრო მეტ სიმდიდრეს იძენენ, მით უფ-  
რო მეტად ეხსნებათ შეძენის მადა“<sup>1</sup>.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ერთ  
აღგილას ი. ჭავჭავაძე მიუთითებს ცნო-  
ბილი რუსი მეცნიერის მენდელეევის  
დიდ დამასახურებაზე ნავთის მსხვილ  
მრეწველთა წინააღმდეგ ბრძოლის საქ-  
მეში და იქვე იმოწმებს მენდელეევის  
შესანიშნავ აზრს, რომელსაც სავ-  
სებით ეთანხმება“<sup>2</sup>. მენდელეევი ილია  
უწოდებს „გამოჩენილ მეცნიერს“ და  
არა ერთხელ პატივისცემით იხსენიებს.

ამრიგად, ი. ჭავჭავაძის თითქმის ყო-  
ველი წერილის ანალიზი გვიჩვენებს,  
რომ ავტორი მშვენიერად ხედავს კაპი-  
ტალისტური წარმოებისა და საერთოდ  
კერძო საკუთრებაზე აგებული წყო-  
ბილების უკუღმართობას, უსამართლო-  
ბას; თავის შესანიშნავ პუბლიცისტურ  
წერილებში იგი ხატავს თავისი დროის  
საქართველოს, — თავად-აზნაურთა და  
ვაჭარ-მრეწველთა საქართველოს სავ-  
სებით რეალისტურ სურათებს; მის  
ძულს ექსპლოატატორები, მუქთაზორე-  
ბი და გაბედულად გამოდის ღარიბი  
ხალხის, გლეხობის ინტერესების დამც-  
ველად, იგი თავდადებით იბრძვის  
იმისათვის, რომ აღამიანთა შორის და-  
მყარდეს სამართლიანი პოლიტიკური  
და ეკონომიური ურთიერთობა, მაგ-  
რამ, სამწუხაროდ, ის ვერ ხედავს სწორ  
გზას, რომელიც ნამდვილად სამართ-  
ლიანი საზოგადოებისაკენ მიდის; ამი-


ტომ არა იშვიათად ეს ბუღმბურაზი ადა-  
მიანი ილუზიების ტყვედ დაუთხოვის-  
თვის სასურველს, სადაც უნდა მსგავსო-  
მით რეალობად მიიჩნევს. რატომ ხდებ-  
ა, რომ ილიას მხურვალე მოწოდებებს  
საზოგადო საქმეებისათვის თავდადება-  
სა და ქვეყნისათვის უანგარო სამსახუ-  
რის შესახებ სასურველი შედეგი არ  
მოაქვს? ილიას აზრით, „შური, მტრო-  
ბა, ცრუ თავ-მოყვარეობა, წერილმა-  
ნობა, — აი რა არის ამის უმთავრესი  
მიზეზი, აი რა მიუძღვის წინ ყოველ  
ჩვენს საზოგადო საქმეს, აი რა გვიშლის  
ხელს ყველგან და ყოველისთვის საქ-  
მეში“<sup>1</sup>. მაგრამ სინამდვილეში ეს მა-  
ხინჯი აღამიანური თვისებები მიზეზი  
კი არ არის, არამედ მხოლოდ შედეგია  
უფრო სერიოზული და ღრმა სოცია-  
ლური წინააღმდეგობებისა, რომელზეც  
ანტაგონისტური საზოგადოების მთელი  
შენობაა აღმართული. ილია დაუნდობე-  
ლი მამხილებელია ძველი საზოგადოე-  
ბისა, მისი მსჯელობა სწორი და სამარ-  
თლიანია, მაგრამ მისი დასკვნები უმარ-  
თებულთა, შემცდარია. ავტორი ბო-  
ლომდე ვერ სწვდება ანტაგონისტურ  
კლასებად დაყოფილი საზოგადოების  
შინაგან წინააღმდეგობათა დიალექტი-  
კას და სწორედ ესაა მისი ტრადედია.

აი, ილიასათვის დამახასიათებელი  
სიტყვები, რომლებშიც საუცხოოდ მო-  
ჩანს ჩვენი დიდი მწერლის გულისტკი-  
ვილი, მისი სულის მღელვარება:  
„ყველგან, საზოგადო საქმეში თუ  
ცხოვრებაში, კაცის ღირსებას ფასს არა  
ვღებთ, კაცის ღვაწლს პატივს არა  
ვცემთ, არავის ვენდობით, გულ-წრფე-  
ლობას არაფერში ვიჩენთ. ყოველთვის  
ვედილობთ მეზობელს რითიმე ვუმტ-  
როთ, გაჭირება მიეყენოთ, ლუკმა  
პირიღამ გამოვგლიჯოთ და თუ შეიძ-  
ლება სრულიად დავამხოთ, გავაღატა-  
კოთ, მიწასთან გავასწოროთ, მეზობ-  
ლის უბედურება ჩვენ კიდევ გვახარებს.

<sup>1</sup> „ივერია“, 1886 წ., 6 მაისი.

<sup>2</sup> იბ. იქვე, გვ. I.

<sup>1</sup> „ივერია“, 1886 წ., 16 ოქტომბერი.



რასაკვირველია, ეს ჩვენ ჩვენის უმეცრებისაგან მოგვლის: ჩვენ არ გვესმის ის მარტივი ჰუმბარიტება, რომ ჩვენი საკუთარი კეთილ-დღეობა ჩვენის მეზობლის კეთილ-დღეობაზეა დამყარებული; რომ მეზობლის უბედურებაზე ჩვენი ბედნიერება ვერ დაფუძნდება, ვერ აშენდება. დიდი ხანია დავიწყებული და განცილებულია ის მოძღვრება, რომელიც საქვეყნოდ გაიძახოდა: კაცი კაცისათვის მგელიაო... ამ მოძღვრებამ საზოგადოებას სიკეთე და ბედნიერება ვერ შესძინა. დღეს პირიქით, სულ სხვა ქვა-კუთხედს უდებენ ადამიანის ცხოვრების აგებულებას: ხელი მიეც შენს მეზობელს, შეერთდით, ერთად იმუშავეთ, თუ გინდათ ქვეყანაში რიგიანად იცხოვროთ“<sup>1</sup>.

ამ სიტყვებში მოჩანს არა მარტო ძველი ცხოვრების უცუღმართობათა დაუნდობელი მხილება, არამედ მსურველ მოწოდებაც ახლისაკენ, უკეთესი ცხოვრებისაკენ. ოღონდ, ილია სცდება, როცა ფიქრობს, რომ ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილი საზოგადოების კანონი, რომელიც ჩამოყალიბებულია მკაცრ ფორმულაში: კაცი კაცისათვის მგელიაო, მის დროს თითქოს დავიწყებული ყოფილიყოს, პირიქით, მაშინ ეს კანონი მთელი ძალით მოქმედებდა, როგორც სხვა ქვეყნებში, ისე საქართველოშიც...

ილიას ეკონომიური წერილების მნიშვნელოვანი ნაწილი შეეხება და აშუქებს ისეთ, მისი დროისათვის აქტუალურ საკითხებს, როგორცაა: სარწყავი არხებისა და კეთილმოწყობილი გზების გაყვანა, კახეთის რკინიგზის მშენებლობა, ვაჭრობა-აღებშიცემობის განვითარება, გლეხებისათვის ხელმისაწვდომი კრედიტების მიცემა და ა. შ. იმისათვის, რომ მკითხველმა დაახლოებით მაინც სწორი წარმოდგენა იქონიოს ამ წერილების შინაარსსა და მიმართულე-

ბაზე, მოვიყვანოთ ზოგიერთ დამასახლებელ ამონაწერს.

აი რას ამბობს ილია სარწყავის წერილების შესახებ:

„ჩვენთა მამა-პაპათა ძალიან კარგად იცოდნენ ყადრი წყლისა მეურნეობის გაძლიერებისათვის და ამიტომაც როგორც კანონ-მდებლობა ჩვენი, ისეც ზნე-ჩვეულება წყლის არხებით გაყვან-გამოყვანისათვის დიდს უფლებას აძლევდა კაცსა. წყლის გაყვანას ვერავითარი მიზეზი ვერ დააბრკოლებდა, ოღონდ-კი თვით ბუნებას ხელი შეეწყობოდა იმისათვის რომ დახვედროდა წინ არხსა, კანონი ნებას იძლეოდა თვით ეკლესია გაეჭრათ და წყალი გაეყვანათ.“

თვითონ ჩვენმა ენამაც-კი შეირჩინა იმის კვალი თუ რა ძვირფასად მიაჩნდათ ჩვენებს უწინ წყალი. „წყალობა, შემიწყალე, მიწყალობე, მოწყალე“ — ყველა ამ სიტყვებს დასაბამი აქა აქვს. ყველა ამ სიტყვებში მარტო ის იმის, რომ წყალი მომეც, წყალი მომამდლეო. წყალის შევედრება, წყალის მომამდლება ჩვენს ქართველს კაცს უპირველეს სავედრებლად და სახვეწარად ჰქონია გამხდარი.

ამიტომაც საითაც-კი მიიხედავთ ჩვენში, ყველგან ნახავთ ნაშთს ზოგან უზარმაზარის არხისადაც. შორს რომ არ წავიდეთ, საკმაოა ვანიშნოთ უშეუბელი არხი ფშავის არაგვიდამ წამოდებული, რომლის კვალი დღესაც ატყვია ტფილისიდან დაწყებული თითქმის ფშავის არაგვის დიდ არაგვთან შესართავამდე და მეორე არხი კიდევ ალაზნის მარჯვენა მხარეზედ...

გაუქმდა ეს არხები და მრავალი სხვის დღეა და ეს და გულ-ამომწვარს დედამიწას მოაკლდა ცხოველყოფილი ცვარი წყლისა, კაცის მხნეობით მოდენილი. გვერანდა მდიდარი მამულები, აობრადა, და იქ. საცა ქვეყანა წალკოსავით ჰყვარდა, დღეს მკლე ძეძვი ძლივსა მოდის. ამოდ ჩაიარა ამოდენა შრომამ, ამოდენა ჯაფამ და დღეს

1 იქვე.

ეს დიდი ნაამაგვეი ჩვენთა მამა-პაპათა, მიწით ამოესილი და ამომშრალი, გულსაკლავად გვანიშნებს — რანი ვყოფილვართ უწინ და რანი ვართ დღეს“<sup>1</sup>.

ამის შემდეგ ი. ჭავჭავაძე გულისტკივილით ლაპარაკობს უყურადღებოდ მიტოვებულ პროექტზე, რომელიც ოდესღაც მთავარ-მართებელ ბარიატინსკის შიშითებით ყოფილა შედგენილი მდინარე მტკვრის ნაპირზე სარწყავი არხების გასაკეთებლად, და დაასკვნის: „დროა ამ ჩვენდა სამწუხაროდ დაძინებულმა საქმემ, ჩვენდა სასიხარულოდ გაიღვიძოს“<sup>2</sup>.

კიდევ უფრო საინტერესოა ი. ჭავჭავაძის მიერ მოწოდებული ცნობები ჩვენი ქვეყნის გზების მაშინდელ მდგომარეობაზე, აგრეთვე მისი მსჯელობა გზების მნიშვნელობასა და მათი კეთილმოწყობის აუცილებლობაზე.

„რკინისგზის სადგურამდე პურს გამოტანა უნდა... არის კი გზები ამისათვის სოფლებიდან? არის, როგორ არა, მაგრამ ვაი ამ გზებზედ მატარებელთ და საქონლის მზიდავთა. ჯერ როცა მშრალია, ჩვენი ძველებური ფეხმძიმე ურემი კიდევ ვაი და ვაგლახით როგორც არის ახერხებს საპალნების ზიდვასა, მაგრამ ვაი მაშინ, როცა ატალახდება ხოლმე, მაშინ ხომ ძალიც არ გაიგდება ჩვენებურს გზებზედ. ეს გზების უხეირობა ისე ამძიმებს უამისოდაც მძიმე საპალნეს, იმოდენად აცდენს თავის საქმიდამ კაცსა, ხარსა, კამბენსა, იმდენს დროს აკარგვიანებს, რომ არ შეიძლება ყოველ ამან თავისი საფასური ზედ არ შეაკეცოს გადასატან საქონელსა“<sup>3</sup>.

შემდეგ:

„კარგის გზების უქონლობა შესამჩნევი ნაკლებევენებაა ხალხის ცხოვრებაში, გზების უქონლობა ხელს უშლის ხალ-

ხის ეკონომიურ კეთილ-დღეობას, უკან აყენებს, აფერხებს მის ცხოვრების წინ მსვლელობას. გზები კვადრატულ ხალხს ერთი-ერთმანეთში მისვლა-მოსვლას, ალბ-მიცემას, ნაწარმოების გასაღებას. ეს მარტივი და ყველასათვის ცხადი ჭეშმარიტებაა...“

სხვა მიზეზთა შორის, რომელნიც ხელს უწყობენ ხალხის კეთილდღეობას, არა ნაკლები ადგილი უქირავს ამ უკანასკნელ გარემოებასაც, ე. ი. რიგიანად მოწყობილ და მისვლა-მოსვლის გასაადვილებელ გზების სიმრავლეს...

მგონი არც ერთს ქვეყანას ისე არ ექირვება კარგი გზები, როგორც საქართველოს. ჩვენი ქვეყანა თითონ ბუნებითვე მთიანი ადგილია; განაფხულობით მთებიდამ მოვარდნილი ნიაღვრები სრულიად აფუჭებს. ჰხრამავს იმ საცოდავობის გზებსაც კი, რომელიც გვაბადია. ადგილის უსწორ-მასწორობა, აღმართ-დაღმართი, ოღრო-ჩოღროები, ჩახრამული ადგილები. დიდს დაბრკოლებას წარმოადგენენ და უძნელებენ ხალხს ურთიერთ შორის მისვლა მოსვლასა“<sup>1</sup>.

ასევე ხალხის საერთო კეთილდღეობის, ერისა და სამშობლოს წინსვლა-გაძლიერების თვალსაზრისით უცქერის ილია ჩვენს ქვეყანაში რკინიგზების გამრავლების, კერძოდ კი კახეთის რკინიგზის გაყვანის საკითხს.

ჯერ კიდევ 1886 წელს დაწერილ ერთ-ერთ წერილში ილია, კმაყოფილებით ლაპარაკობდა რა საქართველოში რკინიგზების გამრავლების ფაქტზე, ამბობდა: „დღედა-ქართლის შეილთაგან ერთი პატარა, ლამაზი და მდიდარი ქვეყანაა ჩვენში ამ მხრით უნუგემოდ დარჩომილი დღეს, ეგ ქვეყანა კახეთია, ყოვლისფრით შემკული და უხვად მომადლებული. უწინაც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვი, რომ არა გვგონია ბუნებით, ჰავით და გარემოცულობით ამის-

<sup>1</sup> „ივერია“, 1889 წ., 21 მარტი.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> „ივერია“, 1886 წ. 11 დეკემბერი.

<sup>1</sup> „ივერია“, 1886 წ. 20 მაისი.

თანა შემკული სხვა რომელიმე ქვეყანა იყოს, არამც თუ ამიერ და იმიერ კავკასიაში, არამედ მთელს რუსეთის იმპერიაში. აჭაურის ჰაერის და მიწის თვისება ისეთია, რომ ყოველისფერის მოყვანა შესაძლოა, რაც კი ადამიანის სულსა და გულს მოესურვება...

ხოლო ყოველ ამა მადლით აღსავსე ეს ქვეყანა, ეს თვალმარგალიტი საქართველოსი, დღეს იმ განწირულებამდეა მისული, რომ ყოველის-ფერისათვის თავი დაუწებებია და მარტო ღვინოს-და შესჩერებია. ამისი პირდაპირი მიზეზი გზების უქონლობაა<sup>1</sup>.

სხვა წერილში, რომელიც დაწერილია უფრო გვიან, სახელდობრ 1893 წელს, ი. ქაჭკაეაძე, კმაყოფილებით აღნიშნავს რა, რომ მთავრობამ პატივი დასდგა თბილისის გუბერნიის თავდა-აზნაურთა შეამდგომლობას და საქმე-როდ დაინახა კახეთში რკინიგზის გაყვანა, ყოველნაირად ცდილობს დააჩქაროს ეს საქმე; იგი მოუწოდებს თავდა-აზნაურობას თვითონვე ჩაუდგეს სათავეში გზის მშენებლობას, რადგან: „ვინ იცის? იქნება ეს გზა ერთ იმისთანა უღვეველ წყაროდ ქონებისად შეექმნას თავდა-აზნაურობას, რომ მით თავის საკუთარს და ქვეყნის საზოგადო საქმიანობას ცოტად თუ ბევრად გაუძღვეს“<sup>2</sup>.

მაგრამ ისევე როგორც ვაჭარ-მრეწველები, ჩვენი თავდა-აზნაურებიც არ იწუხებდნენ თავს — „ქვეყნის საზოგადო საქმიანობაზე“ ზრუნვით და ამით აიხსნება, რომ ისინი, როგორც ილიას წერილიდან აშკარად ჩანს, უარს აცხადებდნენ გაელოთ ფული (ათას ხუთასი თუმანი), რაც საქმიან იყო რკინიგზის მომავალ ტრასაზე წინასწარი საძიებო სამუშაოების ჩასატარებლად. აქ, რა თქმა უნდა, საკვირვე-

ლი არაფერია, მაგრამ უაღრესად საინტერესოა ამასთან დაკავშირებული მსჯელობა, რომელშიც შემწვევნი განმარტებული ჩვენი ავტორის დამოკიდებულება თავდა-აზნაურობასთან, აგრეთვე მისი შეხედულება იმაზე, თუ რა უნდა იყოს თავდა-აზნაურობის „არსებობის მიზეზი“. აი ეს მსჯელობაც:

„სხვას ყველაფერს თავი დავანებოთ, განა ეს (ლაპარაკია რკინიგზის გასაყვანად წინასწარი საძიებო სამუშაოების ჩატარებაზე — პ. რ.) დიდი საქმე არ იქნება მარტო თავის-თავად? მაგათას ხუთას თუმანით, რომ თუნდ მარტო ეს სურვილი ავისრულოთ, გზას ქვეყნისათვის სახირო მიმართულება მიეცეთ, ნუთუ ამისათვის დახარჯული ფული დაკარგვია ფულისა?

ჯერ მარტო ეს რომ მივიღოთ სახეში, მარტო ამ მხრივ რომ შევხედოთ თავდა-აზნაურობის მეკადინეობას, ეგეც საქმათ ზნეობრივი საბუთია, რომ თავდა-აზნაურობამ ეგ ფული შესწიროს ქვეყანასა და ხალხსა. განა ამით თავდა-აზნაურობა თავის პატიოსან დანიშნულებას არ ასრულებს ქვეყნის წინაშე? ნუთუ თავდა-აზნაურობას პგონია, რომ ქვეყნისა და ხალხისათვის გაწირვა რჩამე და ამით ხალხის გულის მოგება, ხალხში კეთილად ხსენება, ხალხში აბრუს გაძლიერება მისთვის არაფრის მაქნისია? ყოველივე ეს იგი ღონეა, რომლის მეოხებითაც თავდა-აზნაურობა თავის არსებობის მიზეზსაც ნათლად დაანახებებს ხალხს და თავის ბედნიერების, შემძლებლობის ბურჯსაც მეკიდრად აავებს. ეს ისეთი ფას-დაუდებელი განძია, რომ მის მოსაპოვებლად ათას ხუთასი თუმანი-კი არა, არაფერი არ უნდა დაზოგოს თავდა-აზნაურობამ, რომელმაც სულ ყოველთვის გულში უნდა იქონიოს, რომ მარტო ამ გზით და სხვა არაფრით არ შეუძლიან გაუძლოს ამ წუთისოფლის ბედის ტრიალსა და მრავალ-

<sup>1</sup> „ივერია“, 1886 წ., 5 მარტი.

<sup>2</sup> „ივერია“, 1893 წ., 14 თებერვალი.

გვარ საქირ-ბოროტოდ ზედ-მოსე-  
ვასა“<sup>1</sup>.

გზების შწენებლობა-განვითარებას-  
თან მჭიდროდ არის დაკავშირებული  
ვაჭრობისა და აღებმიცემობის განვი-  
თარებაც. ისევე, როგორც სარწყავი  
არხებისა და გზების გაყვანა, —  
აღებმიცემობის გაძლიერება, ვაჭრობის  
მოწესრიგება და „სამართლიან“ პრინ-  
ციპებზე მისი მოწყობა ილიას სჭირდებ-  
და ისევ ქართული ხალხის საერთო  
ეკონომიური გაძლიერების, მთელი  
ერის აღორძინებისა და წინსვლისათვის.

ჯერ კიდევ 1887 წელს დაწერალ  
ერთ-ერთ წერილში ი. ჭავჭავაძე აღ-  
ნიშნავდა რა, რომ ჩვენი ქვეყანა წმინ-  
და აგრარული ქვეყანაა, მიუთითებდა  
ნატურალური მეურნეობის სწრაფი  
რღვევისა და ფულადი მეურნეობის  
განვითარების პროცესზე. ის ამბობს:

„ჩვენი გლეხი... უწინ, ამ საუკუნის  
დასაწყისამდე, თვით სახელმწიფო  
ხარჯსაც კი პურითა და ღვინით იხდი-  
და. მხოლოდ ამ საუკუნეში, როდესაც  
ჩვენი ეროვნული ცხოვრება ძირეუ-  
ლად შეიცვალა, შემოღებულ იქმნა  
ფულით გადახდა ხარჯისა. ცხოვრებამ  
კი ისეთი მიმდინარეობა მიიღო, რომ  
ჩვენს ხალხს, მეტადრე მოხარჯეს, რაც  
უნდა იქმნა და ფული კი უნდა ეშოვა  
და ყოველი ხარჯი ასე გაესტუმრები-  
ნა. მაგრამ როგორ ეშოვა ფული, რო-  
გორ ექცია თავის ნაწარმოები ფუ-  
ლად? ქალაქს წაეღო? ვინ იცის, ესეც  
სათუვოა: ხან ფასი ნაკლები არის,  
ხან სრულიად ბაზარი არა აქვს რო-  
მელსამე ნაწარმოებსა. ხშირად რამ-  
დენიმე დღეს უნდა მოსცდეს და ნახე-  
ვარ ფასიდაც ვერ გაჰყიდოს თავის ნაშ-  
რომ-ნადავი, კიდევ კარგი, ვისაც ქა-  
ლაქი ახლო აქვს და იქ წაღება შეუძ-  
ლიან თავის ნაწარმოებისა, ვინც შორს  
არის? ის, მეტი ღონე არ არის, იმუ-


ლებულია ფულიან კაცს მკვამართოს  
და, თუნდ ჩალის ფასადი მჭყიდლოს თა-  
ვისი ნაწარმოები, ბოლოსც მკვამრება-  
ში ხელი გაიმართოს. აი აქ იჩენს  
ხოლომე თავსა ყოველგვარი ჩარჩები.  
ამათ, რასაკვირველია, თავიანთი კერ-  
ძო სარგებლობა, თავიანთი ინტერესე-  
ბი აქვთ სახეში და არა ხალხის კეთილ-  
დღეობა. ამიტომ დიდს სიკეთეს შეს-  
ძენს, დიდს ღვაწლს გაუწევს ჩვენს  
ქვეყანას, ვინც ჩვენ ხალხს ამ ჩარჩების  
ხელიდგან დაიხსნის. ვისაც-კი გუ-  
ლი შესტიკვა ქვეყნისათვის და მსურს  
ხალხის კეთილ-დღეობა, წარმატება,  
უნდა ეცადოს, რა გზითაც-კი შეიძლე-  
ბა, შემწეობა მისცეს, ხელი მოუმარ-  
თოს მწარმოებელსა, რომ მის ნაწარ-  
მოებს გასაავალი ჰქონდეს; უნდა უწი-  
ვენოს გზა მეტადრე იმას, ვინც არც კი  
იცის, რას სადა აქვს გასაავალი, რომელ  
ნაწარმოებს სად აქვს კარგი ბაზარი“<sup>1</sup>.

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ აქ  
ლაპარაკობს გლეხთა იდეოლოგიი, რო-  
მელსაც ვაჭრობა მხოლოდ იმდენად  
აინტერესებს, რამდენადაც ეს გლეხის  
მეურნეობისათვისაა საჭირო. ილია  
ჭავჭავაძე ენერგიულად მოუწოდებს  
ყველას, „ვისაც გული შესტიკვა  
ქვეყნისათვის და სურს ხალხის კეთილ-  
დღეობა“ დაეხმარონ მწარმოებელს,  
ე. ი. გლეხს და გაანათვისუფლონ იგი  
ჩარჩების ბრძკალებსაგან. თვითონ  
ილია სწორედ ასე იქცევა და მთელ  
რიგ შესანიშნავ წერილებში ცდილობს  
დასახოს ვაჭრობა-აღებმიცემობის სა-  
მართლიანად მოწესრიგების გზები და  
საშუალებები.

ილია ჭავჭავაძე კარგად იცნობს ვაჭ-  
რობის ნამდვილ, წამგლეჯურ ბუნე-  
ბას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი  
ფიქრობს, რომ შესაძლებელია ვაჭრო-  
ბის გაუმჯობესება და მოწესრიგება,  
კერძოდ, კი ვაჭრისათვის „ფების ქი-

<sup>1</sup> „ივერია“, 1893 წ., 14 მაისი.

<sup>1</sup> „ივერია“, 1887 წ., 17 მაისი.



რად სინდისიანი გასამარჯელოს დაწესება.

„... ეს ერთმანეთზე დაშორება ცალკე პურის პატრონისა, — ამბობს ილია, — რომელსაც ფული უჭირს, და ცალკე ფულის პატრონისა, რომელსაც პური უჭირს, მიზეზია, იმისი, რომ შუა-კაცი ხსნდება და იგი ერთისაგან პურს მყიდულობს, რომ მეორეს მიჰყიდოს. ამ ყიდვა-გაყიდვაში იგი ერთსაც ახდევინებს გასამარჯელოს და მეორესაც.

ქარგია, თუ ეს გასამარჯელო, ეს ფეხის ქირა სინდისიანია, ხოლო, რადგანაც ბუნება ვაჭრობისა, აღებ-მიცემობისა იმაშია, რომ რაც შეიძლება ნაკლებ იყიდოს და მეტად გაყიდოს, ამიტომაც ბოლოს და ბოლოს ისე გამოდის ხოლმე, რომ გამარჯეულს შრომის ფასი ძლივს ეძლევა და პურის მსურველს წამეტანობით ერთმევა, და ამ სახით დიდი ლუკმა სხვის ნაშრომ-ნაშაგარისა პრჩება იმას, ვისაც ხელიც არ გაუნძრევია ნაშრომ-საშაგად და მართა შუამავლობა გაუწევია. ეს ლუკმა იმოდენად მეტია ხოლმე, რამოდენადაც ვაჭირებულია ფულისათვის ერთის მხრით გამარჯეული და პურისათვის მეორეს მხრით პირდაპირი მხარჯემლი.

ჩვენ, ქართველები, პურისა და ღვინის პატრონები ვართ, ესე იგი პურისა და ღვინის გამყიდველნი ერთის მხრით და მეორეს მხრით მსყიდველნი ყოველ იმისა, რაც ერთობ საჭიროა საყოველ-ღღო ცხოვრებისათვის. როგორც გამსყიდველნიც ვზარალობთ, რომ უფულობა გვაიძულებს იეფად გავყიდოთ, და როგორც მსყიდველნიც, იმიტომ რომ სასყიდს ძვირად ვყიდულობთ და იმოდენად ძვირად. რამოდენადაც სასყიდი საყოველღღო ცხოვრებისათვის საჭიროა.

ამ სახით ვაჭრების ხელში იმ ყოფითა ვართ, რომ ერთს ტყავს ორგზით ვვაჭრობენ. ესეთი ყოფა ჩვენ ორგზით

გვაკლებს და ჩვენს ვაჭრებს ორგზით ვვაჭრობენ“<sup>1</sup>.

თარგმანი

როგორ უნდა ეშველოს ამ ტყვეობას, როგორ უნდა მოწესრიგდეს ვაჭრობა და გაძლიერდეს აღებ-მიცემობა?

ი. ქაქუცავაძე აქაც ისეთსავე საშუალებებს გვთავაზობს, რომლებზეც ჩვენი ქვეყნის ბუნების სიმდიდრეებისა და საერთოდ მრეწველობის აღორძინების იმედები იყო დამყარებული და რომლებზეც ზემოთ უკვე გვეჩვენა ლაპარაკი.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გავაცნოთ ჩვენი ავტორის კიდევ ერთ წერილს, რომელიც დაწერილია 1898 წლის ნოემბერში. ამ წერილში ილია დაწვრილებით ეხება XIX საუკუნის გერმანიაში ვაჭრობა-მრეწველობის სწრაფი განვითარების მიზეზებს და ურჩევს ქართველ ხალხს გამოიყენოს გერმანიის გამოცდილება. კერძოდ, იგი მოითხოვს, რომ ჩვენში გაიხსნას სახელოსნო სასწავლებლები, გაერცვლდეს „სატექნიკო სწავლა-ცოდნა“ და თვით ქართველებმა ისწავლონ რიგიანი ვაჭრობა. „ნურკინ იტყვის, — ამბობს ილია, — რომ ამა თუ იმ ერსა ვაჭრობისა და მრეწველობის ნიჭი და ბუნება არა აქვსო. ამ ოცისა და ოც-და-ათის წლის წინედ გერმანიის ვაჭრობა და მრეწველობა თითქმის სახსენებელიც არ იყო. ვავიდა ეს ხანი და დღეს გერმანიას ვხედავთ, მსოფლიო ბაზარში იმოდენა ადგილი დაიჭირა, რომ ინგლისსაც კი საფიქრებლად გაუხდა, ინგლისსაც რომელსაც მსოფლიო ბაზარი თითქმის მთლად ხელთ ეპყრა უცილობლად. რამ მოახდინა ეს სასწაული? სასპეციალო და სატექნიკო სწავლა-ცოდნის მოფენამ და წარმატებამ. სჩანს, აქ ნიჭი ბევრს არაფერს შუაშია, საქმე სწავლა-ცოდნა ყოფილა. ან ვაჭრობა და მრეწველობა რა იმისთანა საქმეა, რომ განსაკეთრებული

<sup>1</sup> „ივერია“, 1893 წ., 17 ივლისი.

ნიჭი რამ უნდოდეს. ყოველ ორთა შუა კაცს საკმაო ჭკუა და გონება აქვს, რომ ვაჭრობისა და მრეწველობის საქმეს მისწვდეს, თუ, რასაკვირველია, ამავბის სწავლა-ცოდნაც ხელთ იქმნება<sup>1</sup>. შემდეგ, ავტორი ზიზღით ლაპარაკობს იმ ვაჭრებზე, რომლებიც წურბელასავით სწოდენენ ჩვენს ქვეყანას და მიუთითებს, რომ მათი „გულოვნობა“ მათი ნიჭითა და გამჭრიახობით კი არ აიხსნება, არამედ ჩვენი ხალხის მოუშანდებლობით. „საცა უფიცობაა, როგორც ჩვენში, იქ ამისთანა ვაჭრის ბაღდადია. ეგ იმიტომ კი არა, რომ თუათონ ვაჭარი არის სწავლული და მკოდნე, არამედ იმიტომ, რომ ჩვენა ვართ უსწავლენი და უცოდინარნი“<sup>2</sup>.

ამრიგად, ი. ჭავჭავაძე — ქართველი ხალხის ეს დიდი მოამაგე, უყურადღებოდ არ სტოვებს თითქმის არც ერთ საკითხს, ეკონომიური ცხოვრების არც ერთ მხარეს; იგი თანმიმდევრობით და მტკიცედ იბრძვის ქართველ ერის ცხოვრების მოსაწყობად იმ პოლიტიკურ-ეკონომიური პრინციპების მიხედვით, რომელიც მან შეიმუშავა. განცვიფრებას იწვევს ის შეუპოვრობა, ენერჯია, სიბეჯითე, რომელსაც ილია იჩენს თავისი ერთხელ დასახული პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს წერილების ის ჯგუფი, რომელშიც ავტორი გლეხობისადმი იაფი კრედიტების მიწოდების საკითხს იხილავს. ამ საკითხისათვის ილიას საკმაოდ ბევრი წერილი მიუძღვნია. მათში განსაკუთრებით ყურადღება მისაქცევია ის წერილები (ხუთმეტი წერილი), რომლებიც დაიწერა 1887 წლის ივლის-აგვისტოში ვაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ მეტაურების საპასუხოდ. ჩვენ ვერ გამოვეყიდებით კრედიტების ირგვლივ

ილიას ყველა წერილის დაწერილებით განხილვას. ვფიქრობთ, ჩვენც მიზნისათვის ისიც საკმარისი ბუნებურად შევითითოს ამ შესანიშნავი წერილების ძირითად აზრზე.


დედა-აზრი, ძირითადი ტენდენცია, უმთავრესი ხაზი, რომელიც ი. ჭავჭავაძის ხსენებულ წერილებს ახასიათებს, — ესაა გლეხთა ინტერესების დაცვა, მათი მეურნეობის აღორძინების, მათი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა. სხვა საბუთები სრულიდაც რომ არ არსებობდეს, ეს წერილებიც საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ მათ ავტორში დაგვეჩახა გლეხთა ნამდვილი იდეოლოგია, მშრომელი გლეხობის მუდმივი დამცველი და მეგობარი.

ეკამათება რა „ნოვოე ობოზრენიეს“ მეტაურების ავტორს, რომელიც მოითხოვდა, რომ მიღებული ყოფილიყო ზომები გასასყიდი მამულების ფასის ასაწევად, რათა მამულის პატრონებს ჩალის ფასად არ დაჰკარგოდათ მამულები, ი. ჭავჭავაძე ამბობს:

„როგორ ავუჩინოთ მამულებს ბევრი მუშტარი? გლეხ-კაცობა მოვიზიდოთ მამულების საეკაროდო და ესენი გაადიდებენ, ასწევენ მამულის ფასებსა, ე. ი. სხვაზედ უფრო ძვირად იყიდინანო. გვიპასუხებს ავტორი. ეს ძალიან კარგია მამულის გამცემთათვის, ხოლო მამულის ძვირად მსყიდველთათვის როგორ-ღა იქნება? თუ მართლა სოფლის მამული ორთაშუა რიცხვით, ავტორის სიტყვისამებრ, სამსა, ოთხსა და ბევრი-ბევრი ხუთზედ მეტს (პროცენტზეა ლაპარაკი — პ. რ.) არ იძლევა, მაშინანს ათ თუმნინანი მამული წელიწადში სამსა, ოთხსა და, თუ გაჰირდა, ხუთს მანეთზედ მეტს არ ანაღდებს, ისიც მაშინანო, ამბობს ავტორი, თუ მამულის პატრონი თვითონ მუშაობს მამულშიანო. თუ ესეა, ნუ თუ ათის თუმნის გაღება გლეხისათვის იმისათვის, რომ მართა ხუთი მანეთი

<sup>1</sup> „იერია“, 1898 წ., 26 ნომერი.

<sup>2</sup> იქვე.



აილოს, ყელში თოკის წაჭერა არ იქნება?.. მამულებს ფასი მოემატებაო, გვეუბნება ავტორი. ეს მამულის პატრონის სარფა და ხეირია, გლეხს რაღა ნუგეშს ვაძლევთ?...

ეს ავტორისაგან ზოგადად წინ წამძღვარებული აზრი სოფლის მამულის მომცემლობაზედ რომ მართალი იყოს, მაშინ გლეხკაცობის მოზიდვა გასასყიდ მამულის საეკვროდ გლეხ-კაცობის გაწირვა იქნებოდა მამულის პატრონების სასარგებლოდ. ავტორი გვარწმუნებს, რომ ეგ მცირედი გამორჩომა გლეხ-კაცსა თავით ფეხამდე ჰკმარისო და სხვას-კი არაო. რაღაო? განა გლეხ-კაცი კი კაცი არ არის და თუ არ არის, თავის დღეში კაცად არ უნდა იქცეს!.. გლეხ-კაცია, თავადი, ვაჭარი, თუ მოხელე, — ყველასათვის ერთნაირია არითმეტიკა, ამან დიდ-პატარობა არ იცის“<sup>1</sup>.

მაგრამ როგორ უნდა დავეხმაროთ გლეხს, რა უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ გაუუადვილოთ მას მიწის (მამულის) შექმნა? აი ამ კითხვაზე ილიას პასუხი:

„თუ მართლა სოფლის მამული ბევრი-ბევრი ხუთზედ მეტს სარგებელს არ იძლევა... და თუ ფული კი მის სასყიდლად ხუთზედ მეტადაც ძლივს იშოვება, მაშ გლეხ-კაცმა, რომლის გამამულიანება ფრიად საჭიროა და საინატრელი, როგორ უნდა მიაწვდინოს ხელი მამულის სასყიდლად? აშკარაა, საქმე ისე უნდა მოვეწყოთ, რომ ფული იფად ვუშოვოთ მამულის სასყიდლად, იმოდენად იაფად, რომ ასს თუმნიან მამულიდამ ხუთ თუმნიანმა შემოსავალმა იმ ფულის სარგებელიც იხადოს, თავნიც ცოტაცოტაობით იშოროს და გლეხსაც ცოტა რამ ნასუფრალი მაინც დარჩეს. უამისოდ გლეხი ზომ ფულის პატრონის მუქთა მუშად, მსახურად შეიქმნება სამეფილშვილოდ და ის, რაც

ასს თუმნიან მამულის გამო ხუთს თუმანიზედ მეტი გადახდება, ეგ მანკა იქნება, ესე იგი, იგივე ყოფნა, რომლისაგანაც ძლივ-ძლივობით თავი უკვე დააღწია“<sup>1</sup>.

ემყარება რა ასეთ თვალსაზრისს, ილია ყოველნაირად ცდილობს მოაგვაროს გლეხობისადმი იაფი კრედიტების მიწოდების საქმე, აიცილოს ის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან გლეხს ისარგებლოს კრედიტებით.

1889 წლის იანვარში დაწერილ ერთ წერილში ი. ჰამბაშაძე მკითხველს აუწყებს რუსეთში „საგლეხ-კაცო საადგილ-მამულო ბანკის — დაარსებას. ვარაუდობს რა, რომ ასეთი ბანკი ჩვენშიდაც დაარსდება, ის დაწერილებით არჩევს ამ ბანკის წესდებას, მის როგორც დადებითს, ისე უარყოფით მხარეებს.

„საგლეხ-კაცო ბანკის განსაკუთრებული და ერთად-ერთი აზრი ეს არის, რომ გლეხ-კაცობას, რა უწყებისაც გინდ იყოს, გაუადვილოს მამულების სყიდვით შექმნა, როცა პატრონს გასყიდვა უნდა და გლეხ-კაცობას სყიდვა... ცალკე გლეხი იქნება, თუ რამდენიმე გამაზნაგლებიან, ცალკე სოფელი, დიდი სოფლის რომელიმე ნაწილი, მთელი საზოგადოება, თუ რამოდენიმე საზოგადოება ერთად, საგლეხო ბანკი ყველას მიაწვდის სესხსა მამულის სასყიდლად“<sup>2</sup>.

შემდეგ, ილია აკრიტიკებს ბანკის წესდებას და მოითხოვს მის გაუმჯობესებას. კერძოდ იგი მოითხოვს, რომ გაუქმდეს მეტისმეტად გაჭიანურებული ბიუროკრატიული ფორმლობა (მრავალგვარი მიწერ-მოწერა, დოკუმენტების წარდგენა, განაჩენები და სხვ.), რაც წესდებით არის დადგენილი ფულის აღებისათვის. ილიას აზრით, „ამისთანა და სხვაც მისებრი ფორმა-

<sup>1</sup> „ივერია“, 1887 წ., 14 ივლისი.  
<sup>2</sup> „მნათობი“ № 10.

<sup>1</sup> იქვე.  
<sup>2</sup> „ივერია“, 1889 წ., 9 იანვარი.

ლობა ტყუილ-უბრალოდ აჯანჯლებს საქმეს, მეტს ხარჯსა, დროსა და აქეთ-იქით სიარულს ითხოვს და ყოველ ამით უძნელებს გლეხ-კაცს ბანკის კარამდე მისვლას<sup>1</sup>. გარდა ამისა, ილია მოითხოვს, რომ გირაოდ მისაღები მამულის დაფასება მოხდეს დიფერენცირებულიად, ჩვენებური პირობების თავისებურებათა სრული გათვალისწინებით; წესდებაში შეტანილი იქნას პუნქტი, რომელიც გლეხს ვენახების შექმნას გაუადვილებს და ა. შ.

ერთ-ერთ წერილში, რომელიც დაწერილია 1893 წლის ნოემბერში, ილია განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას გლეხობისათვის მოკლევადიანი იაფი კრედიტის მიწოდების საკითხზე. „მარტო ვაჭრობა, — ამბობს იგი, — რაც გინდ ბევრი ფული მიადინოთ, უღონოა სასურველ ზომამდე გაძლიერდეს. თუ მასთან ერთად არ აღორძინდება და არ წარმოატებს სხვა მრეწველობაცა, რომელიც ჰქმნის სიმდიდრეს ერისას და თვით ვაჭრობასაც ჰკვებავს და ასაზრდოებს.

ერთი ამისთანა მრეწველობა არის მიწათ-მოქმედება, სასოფლო მრეწველობა, რომელზედაც დამყარებულია თითქმის მთელი მეურნეობა და ავლადილება ერისა რუსეთში საერთოდ და ჩვენში საკუთრივ. აი სწორედ ეს გვარი მრეწველობაა დატოვებული ამჟამად უკრედიტოდ...

კრედიტ გარედ დარჩენილ არიან მარტო ერთნი მიწათ-მოქმედნი. მარტო ესენი არიან მოკლებულნი იმ კეთილ-მოქმედ შემწეობას წესიერად დაყენებულ კრედიტისას, რომელსაც შეუძლია აწვდიოს გაქირებულს შეღავათიანი სესხი მოკლე ხნით ერთი მოსავლიდამ მეორემდე<sup>2</sup>.

მაგრამ ილია კრედიტის „კეთილ-მოქმედ შემწეობაზე“ მეტის-მეტად

დიდ იმედებს ამყარებდა. იგი უდავოდ გადაჭარბებით აფასებდა, მაშინდელ ვითარებაში კრედიტებზე უმნიშვნელობას, რაკი ფიქრობდა, რომ მათი შემწეობით გლეხობა შესძლებს მიწების შექმნას და საკუთარი მეურნეობის სერიოზულ აღორძინებას. ამ აზრის საილუსტრაციოდ შეიძლება მივუთითოთ ჩვენი ავტორის თუნდაც 1894 წლის აგვისტოში დაწერილ წერილზე. აი რას ამბობს ილია ამ წერილში:

„გაქირებულმა მდგომარეობამ სოფლის მეურნეობისამ და მიწათ-მოქმედებისამ მეტად ხმა-მაღლა ღაღადი დაიწყო რუსეთში. დიდი ხანია უჩივიან, რომ მიწის მოჭირნახულე კაცი რუსეთში უმწეოდ არის დარჩენილი და არაერთი ღონისძიება არა აქვს თავისის საკუთარის ძალ-ღონით გაქირებვისაგან თავი იხსნას...

მთავრობამ მიაქცია ამ უნუგეზოდ ყოფნას სოფელში მოჭირნისას ყურადღება და წამლად დანახულ იქმნა, რომ სოფლის მეურნეს და მოჭირნახულეს ფულის შოვნისას ადვილი და იაფი სახსარი აღმოუჩინოს. ამისათვის ფინანსთა სამინისტრომ ამ ბოლოს ხანებში საკმაოდ ფართოდ გაუღო სოფლის მეურნეობას და სხვა და სხვა წარმოებას სახელმწიფო ბანკის კარები...

დღეის ამას იქით სოფლის მეურნეს, რომელსაც-კი ძალ-ღონე და სურვილი შესწევს რითიმე წინ წასწიოს თავისის მამულის საქმე, გააძლიეროს ასე თუ ისე თავის მიწის მოქმედება და საქმიანობა, სახსარი აქვს ფული იშოვოს სახელმწიფო ბანკის შემწეობით ადვილად და იეფად და ამით თავის საქმეს დაუბრკოლებლად გაუძღვეს<sup>1</sup>.

ამის შემდეგ ილია კმაყოფილებით აღუწყებს მკითხველს, რომ სახელმწიფო ბანკის ხსენებული იაფი კრედიტი სოფლის მეურნეთათვის ჩვენშიაც იმოქმედებს, და დაასკვნის: „იმედია,

<sup>1</sup> იქვე, 11 იანვარი.

<sup>2</sup> „ივერია“, 1893 წ., 4 ნოემბერი.

<sup>1</sup> „ივერია“, 1894 წ., 28 აგვისტო.

ეს ახლად გამოცხადებული კრედიტი ჩვენში რიგიანად ფეხს მოიკიდებს და მართალს გამრჯელს დიდს შეღავათს მისცემს არსებობისათვის ბრძოლაში და ხელს მოუმართავს თავისი ოჯახი და მამული ფეხზე დააყენოს და წელში გამართოს“<sup>1</sup>.

მაგრამ ი. ჭავჭავაძის იმედი როგორც მოსალოდნელიც იყო, არ გამართლდა. დაახლოვებით ოთხი წლის შემდეგ სახელდობრ 1898 წლის დასაწყისში ილია კვლავ უბრუნდება კრედიტების საკითხს და იძულებულია აღიაროს დიდი ხნის ნალოლიავეები იმედების ვაცრუება. მართალია, ამ წერილში ჩანს, რომ დიდი მოაზროვნე ჯერ კიდევ იმედოვნებს იაფი კრედიტების საშუალებით როგორმე უშველოს ჩვენს მიწათმოქმედებას, კერძოდ, კი გაჩანაგების გზაზე შემდგარ გლეხის მეურნეობას, მაგრამ ამავე წერილიდან სავსებით ცხადია, ისიც, რომ ილიას კრედიტების საქმის რიგიანად მოწყობის შესაძლებლობა ჩვენში უკვე არარეალურ საქმედ ეჩვენება, და მას ექვები ღრუნის.

„ბევრს ლაპარაკობენ იმის თაობაზე, — წერს ილია, — რომ სოფელი თითქმის ყოველად უნუგეშოდ არის დარჩენილი და ყოველ დღეს სულ უკან და უკან მიდის ქონებითაც და თითქმის გონებითაც. მართალიც არის, სოფელს ყველაფერი ენატრება, ნამეტნავად ჩვენში: არც სკოლა აქვს, არც სამკურნალო, ხელმისაწვდომი მკურნალი არა ჰყავს, არც აფთიაქი გააჩნია, არც გზა და არც მისავალ-მოსავალი. ასე იფიქრეთ, მშვიდობით და მოსვენებით ცხოვრებაც, ქონების შერჩენაც კი დიდ განსაცდელშია სოფლად და ძვირად უჯდება სოფელს...“

მართალია, დიდი ხანია მას აქვთ, რაც მთავრობა და თვით საზოგადოებაც შეუდგა იმის მეცადინეობას, რომ

ამ მხრით უშველოს რამე სოფელსა. წამლად აღმოაჩინეს სხვადასხვა წერილი ბანკები, რომ სოფლებში ჩვენი გაიმართოს შეღავათიან და რიგზე მოწყობილ სესხითა. ამ წერილმა ბანკებმა, რომელიც თვითონ სოფლის თაოსნობაზე იყვნენ დამყარებულნი და წვერთა ურთიერთს ნდობაზე აგებულნი, ცოტად თუ ბევრად გაუადვილეს ფულის შოვნა სოფელს და შეუღავათეს სარგებელი, მაგრამ გამოცდილებამ ყველას აშკარად დაანახება, რომ საკმაო სიკითხმდე ამ ბანკებს ბევრი რამ აკლიათ... ვერც თვითონ ბანკებმა გაშალეს საკმაოდ ფრთები და ვერც დიდი ხეირი მოუტანეს თვით სოფელს, რომელთ საჭიროებაზე არ იყო გამოჭრილი კრედიტი ამნაირ ბანკებისა“<sup>2</sup>.

მიუხედავად ამისა, ილია კვლავ იმედით აპყრობს თვალს იმ ხანებში კრედიტების შესახებ გამოცხადებულ „ახალ წესებს“, რომლითაც მთავრობამ მისი სიტყვით, წერილ კრედიტს „ფართო სამოქმედო გზა გაუხსნა და უფრო მეტად შეუფერა იგი გლეხთა ეკონომიურ ძალ-ღონესა და საჭიროებას“<sup>3</sup>.

ილია ფიქრობს, რომ თუ ამისთანა ბანკებს სათავეში რიგიანი კაცები ჩაუდგენ, გლეხ-კაცობას ბევრს სიკეთეს მოუტანს, მაგრამ ამასთან იქვე გამოსთქვამს საფუძვლიან ეჭვსაც: „ხოლო საკითხავი ეს არის: ითავენს ვინმე ჩვენში, რომ ამ ბანკების აქ ფეხის ასადგმელად მთავრობის წინაშე შუამდგომლობა გასწიოს და თაოსნობა იკისროს?“<sup>4</sup>.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე იძულებულია აღიაროს, რომ დიდი იმედიდან, რომელსაც ის ჩენი სოფლის მეურ-

<sup>1</sup> „იერია“, 1898 წ., 13 იანვარი.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

ნების აღმავლობისა და გლეხთა ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში იაფი კრედიტების მიწოდებაზე ამყარებდა, არსებითად არაფერი გამოვიდა. სხვანაირად შეუქლებელიც იყო მთავრობის კრედიტებს, ისევე როგორც დანაჩენ ღონისძიებებს, რომლებიც არ სცილდებოდნენ მშვიდობიანი

ნი რეფორმების ფარგლებს და მაშინდელი რუსეთის კანონმდებლობის გაუმჯობესების იმედით სულდგმულობდნენ, ცხადია, არ შეეძლოთ არც ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება, არც ქვეყნის ეკონომიკის რაიმე სერიოზული აღმავლობის უზრუნველყოფა.

## ნიკოზ ნიკოლაძე



იაკობ ნიკოლაძე ქართული ქანდაკების ისტორიის — ახალი და საბჭოთა პერიოდის ფუძემდებელი და უდიდესი წარმომადგენელია.

მან ჩვენი საუკუნის განთიადზე აღადგინა საკმაოდ ხანგრძლივად შეწყვეტილი განვითარება ქართული ქანდაკებისა, გაამდიდრა იგი ახალი თემებით, ეანრებით და ერთადერთმა აამალა რევოლუციამდელი რეალისტური მხატვრული კულტურის საერთოდონემდე, ისეთი ნაწარმოებების შექმნით, როგორცაა: აკაკი წერეთლის პორტრეტი, „მწუხარე საქართველო“, ე. ნინოშვილის პორტრეტი და სხვ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღიდანვე ი. ნიკოლაძე ახალი ცხოვრების გზას გაყვა მთელი თავისი არსებით. ლენინ-სტალინის დიადი და შთამაგონებელი იდეები, სოციალისტური რეალიზმის პრინციპები, საბჭოთა ხალხის გრანდიოზული წარმატებანი ახალი ცხოვრებისა და კულტურის მშენებლობაში, მისი შემოქმედების სწრაფი აღმავლობის საფუძველი გახდა. მან თავისი ცნობილი ნაწარმოებებით: „დიადი ჭაბუკი“, „ლენინი „ისკრის“ შექმნის პერიოდში“, „ჩახრუხაძე — XII ს. მოაზროვნე“ და მრავალი სხვა, რომლებიც საბჭოთა ხალხის მხატვრული კულტურის ოქროს ფონდს ამშვენებენ, საბჭოთა პორტრეტული ქანდაკების უშესა-

ნიშნავესი ოსტატის სახელი დაიშკვიდრა.

იაკობ ნიკოლაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის თბილისის სამხატვრო აკადემიის განვითარებაშიც, როგორც მის ერთ-ერთ პირველ ორგანიზატორს, ამავე დროს, ქანდაკების ფაკულტეტის დამაარსებელსა და სიკვდილამდის შეუცვლელ ხელმძღვანელს. მის სახელთან დაკავშირებულია ქართველი საბჭოთა მოქანდაკეების მთელ თაობათა აღზრდა, არ გადაეპარებებთ თუ ვიტყვით, საერთოდ მთელი ქართული საბჭოთა ქანდაკების წარმატებანი, რის გამო მას სამართლიანად უწოდებენ თანამედროვე ქართული ქანდაკების მამას.

ი. ნიკოლაძე ათეული წლების განმავლობაში ებრძოდა მარმარილოსა და ველური ქვის ცივი ლოდების მღვმირებას. მათში დიდი ოსტატი ამეტყველებდა სიცოცხლეს, ადამიანის სულს, დიად იდეებს, მომხიბლავ სახეებს. მათში იგი აქანდაკებდა დიად სიმღერას ხალხის, მისი ძლიერების, მისი ბელადების, მისი ბრძოლებისა და გამარჯვებანის შესახებ.

და ამ სიმღერამ დიდი ხელოვანის უკვე დამთავრებული ცხოვრება უკვდავებად აქცია. ქართველი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს თავის შესანიშნავ შვილს — მგზნებარე პატრიოტსა და გამოჩენილ მოქანდაკეს.

იაკობ ივანეს-ძე ნიკოლაძე დაიბადა 1876 წლის 16 (29) მაისს ქ. ქუთაისში. იგი იყო დიდი ქართველი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნი-

\* იბეჭდება შემოკლებით.

კოლაძის ბიძაშვილი. „ბაბუა-ჩემი (მამი-ჩემის მხრით), — წერდა ნ. ნიკოლაძე თავის მოგონებაში, — აბაშიძეების ყმა ყოფილა. როგორც თითქმის ყველა ნიკოლაძეები, ის ზემო იმერეთში ცხოვრობდა სოფელ სკანდეს, რომელიც იმერეთის მეფეების საზაფხულო სადგომი იყო. სახელად მას მამუკა (მამუ) რქმევია. ახალგაზრდობაში ის მებატონეს გაქცევია და ქართლს გადავარდნილა, ცხინვალის არე-მარეში. ეს ფაშობამდე ბევრად უფრო ადრე მომხდარა, სოლომონ დიდის დროს, ალბათ მეთვრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში. ქართლში მამუკა ონიაშვილებს ჩასიძებია: მათი ქალი ტასო შეურთავს, რომლისგან სამი ვაჟი და ისოდენივე ქალი ჰყოლია. ორი ამთავანი ქართლშივე გაუთხოვებია. დანარჩენი ოჯახით ის ქუთაისს გადმოსასაღებულა მეცხრამეტე საუკუნის ოციან წლებში, იმ დროს, როცა რუსებმა იმერეთში მეფობის ბსენება მოსპეს. ამ ცვლილებაში მამუკას უფრო ის მუცლის გვრემა ჰქონია, რომ იმერეთის მეფობასთან ერთად აბაშიძეების ბატონობაც შეემუსრა, იმისათვის, რომ ისინი სოლომონ მეორეს აბრყევედნენ, ეხმარებოდნენ რუსების წინააღმდეგ უიმედო ბრძოლაში. დამარცხების შემდეგ გაქცეულ მეფეს ტრაპიზონს გადაყვენ და იქ დაიხოცენ. მათ ჩამოერთვათ ყმები და ქონება. როცა სახელმწიფო მოხელეები აბაშიძეების გლეხების სიას ადგენდნენ, მამუკას სახელი, როგორც დიდი ხნის დაკარგულის, არავის გახსენებია. ამნაირად ის ყმობისაგან განთავისუფლდა და ქუთაისელ მოქალაქეებში ჩაირიცხა“<sup>1</sup>.

მამუკა ნიკოლაძე „პირველი ქართველი ყოფილა, რომელსაც ვაჭრობა დაუწყია იმერეთში, იქნება საქართველოში“<sup>2</sup>.

იაკობ ნიკოლაძის მამა ივანე (იგივე ვანე) მამუკას უმცროსი ვაჟი იყო, ისიც ვაჭრობას ეწეოდა და როგორც მისი პირადი წერილებიდან ჩანს, თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული კაცი ყოფილა<sup>3</sup>.

იაკობი ოთხი წლისა იყო, როდესაც მამით დაობლდა. ამის შემდეგ იგი დედის — ნატალია ალექსანდრეს (აგას) ასულ ბუტულაშვილის მზრუნველობით იზრდებოდა. ეს უკანასკნელი თბილისელი მოქალაქის ქალიშვილი იყო. თუმცა მან წერა-კითხვაც კი არ იცოდა გამართულად, მაგრამ შვილების სათანადო აღზრდას მაინც დიდი ყურადღებით ეპყრობოდა. განსაკუთრებით დიდი ამავი მიუძღვის მას იაკობზე.

იაკობი პირველად ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში სწავლობდა. ჩქარა იგი თავის უფროს ძმასთან გადადის საცხოვრებლად. უკანასკნელს ქ. ბათუმში წიგნის მაღაზია ჰქონდა გახსნილი.

11 — 12 წლის იაკობი ძმას ეხმარებოდა მაღაზიაში და თან გატაცებულ ეცნობოდა ქართველი მწერლების ნაწარმოებებს. განსაკუთრებით მოხიბლა იგი „ვეფხისტყაოსანმა“, რომლის სრული ტექსტი ზიჩის ილუსტრაციებით და გრ. ტატიშვილის გაფორმებით ამ დროს ახალი გამოცემული იყო.

1839 წელს ბათუმში გაიხსნა ტექნიკური სახელოსნო სასწავლებელი. იაკობი ძმის რჩევით ამ სასწავლებელში შედის. სადაც განსაკუთრებულ წარმატებას იჩენს ხატვაში.

1891 წელს ი. ნიკოლაძე ამთავრებს ბათუმის სახელოსნო სასწავლებელს. იგი ახლა უკვე იმდენად გაწაფულია ხატვაში, რომ რამდენიმე პორტრეტის ავტორიც კი არის. მალე იაკობი მოსკოვს მიემგზავრება მხატვრული განათლების მისაღებად. აქ იგი ვერ

<sup>1</sup> ნიკო ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1951 წ. გვ. 3.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 15.

<sup>3</sup> ვაჭრობას ეწეოდა ნ. ნიკოლაძის მამაც. მამუკას საშუალო ვაჭი იაკობი დიდი ქართველი ბელოვანისათვის სახელი მის პატივსაცემად დაურქმევიათ.

აერზებს ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში შესვლას, რის გამო მეცადინეობას იწყებს გრაფ სტროგანოვის ტექნიკური ხატვის სასწავლებელში. ამ სასწავლებელში თუმცა ხატვის სწავლებას დიდი ყურადღება ექცეოდა, მაგრამ იგი მაინც გამოყენებითი ხელოვნების სასწავლებელი იყო და ამიტომ, ბუნებრივია, მას არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა მხატვრობით გატაცებული იაკობი. ორი წლის შემდეგ მან კვლავ სცადა ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში შესვლა, მაგრამ ამჟამადაც ამაოდ.

მოსკოვის მხატვრული ცხოვრება კი კვლავ ხელოვნებისაგან აქეზებდა იაკობს. კერძოდ, განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა მასზე ტრეტიაკოვის გალერეა. მას ზიბლავდა არა მარტო მხატვრობა, არამედ ქანდაკებაც.

იაკობი მოსკოვში დაახლოებით სამი წლის განმავლობაში მეცადინეობდა. შემდეგ იგი გადადის ოდესის სამხატვრო სასწავლებელში. აქ პირველად მხატვრობაში მეცადინეობს, მაგრამ ჩქარა ქანდაკება სძლევს და პროფ. იორინის ხელმძღვანელობით, გატაცებით ეუფლება ძერწვის ხელოვნებას. მისი წარმატებანი იმდენად დიდია, რომ ერთი წლის შემდეგ იგი უკვე დამოუკიდებელ მუშაობასაც კი იწყებს. სახელობრ, 1896 — 1897 წლებში მან შექმნა: „ლ. მესხიშვილი ტარტიუფის როლი“ (ესკიზი, თიხა, 1896 წ. ქუთაისი), შ. რუსთაველის პორტრეტი (ესკიზი, თიხა, 1897 წ. ქუთაისი), შ. რუსთაველის პორტრეტი (მთლიანი ფიგურა, თაბაშირი, 1897 წ. ქუთაისი) და ლ. მესხიშვილის პორტრეტი (თაბაშირი, 1897 წ. ქუთაისი) ი. ნიკოლაძის ამ პირველი ნაწარმოებიდან ამჟამად ცნობილია მხოლოდ ორი უკანასკნელი, რომელთა შორის უფრო მნიშვნელოვანია შ. რუსთაველის პორტრეტი (დაცულია

საქ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში). ეს იყო ახალგაზრდა მოქანდაკის პირველი გაბედული შემოქმედებითი ნაბიჯი, ამავე დროს პირველი ქანდაკება, შექმნილი ქართული ხელოვნების მიერ, რომელსაც წილად ზედა გამოფენაზე წარმოდგენა (გამოფენილი იყო ეკვასიელ მხატვართა მეხუთე გამოფენაზე 1897 წ.).

ახალგაზრდა მოქანდაკე 1898 წელს კვლავ ოდესის სამხატვრო სასწავლებელში აგრძელებს მეცადინეობას, ხოლო 1899 წლის სექტემბერს მიემგზავრება პარიზში, სადაც შედის ე. წ. კანზელის სახვითი ხელოვნების სკოლაში (სამხატვრო აკადემიაში).

ამრიგად, ოდესის სამხატვრო სასწავლებელი ი. ნიკოლაძეს არ დაუმთავრებია. მიუხედავად ამისა, ამ სასწავლებელმა მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალგაზრდა მოქანდაკის შემოქმედებით ევოლუციაში. კერძოდ, ი. ნიკოლაძემ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ სასწავლებელში მიიღო საფუძვლიანი „პირველდაწყებითი განათლება ქანდაკებაში“. ამავე დროს, მოსკოვსა და ოდესაში მეცადინეობის წლებში ი. ნიკოლაძე გაეცნო მოწინავე რუსულ მხატვრულ კულტურასა და ესთეტიკურ იდეებს, რაც არსებითად გავლენას ახდენს ახალგაზრდა მოქანდაკის შემოქმედებითი ინდივიდუალობის ფორმირებაზე. უკანასკნელი, რომლის ძირითად ფაქტორს შეადგენდა მშობლიური ხალხის ცხოვრება და მხატვრული კულტურის რეალისტური ტრადიციები, რეალისტურ პრინციპებს ემყარებოდა. ეს პრინციპები ნათლად არის ასახული შ. რუსთაველის და ლ. მესხიშვილის ზემოთ მითითებულ პორტრეტებში. ამ თვალსაზრისის საფუძველზე ვითარდებოდა ი. ნიკოლაძის პროფესიული ოსტატობა პარიზის სასწავლებელში მეცადინეობის პერიოდშიც. ამ მხრივ დამახასიათებელია „მოხუცი ხეცური“, რომელიც 1900

წელს შეიქმნა პარიზში. მოქანდაკის „პირველ და პატარა ატელიეში“ — ფოტო მასალების საფუძველზე. ამ უაღრესად დინამიკური კომპოზიციის შემკველ ნაწარმოებში ხელოვანი იძლევა მხედრული სიმამაცით სავსე მოხუცი ხევისურის ტიპის შექმნის მეტად საინტერესო ცდას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ ნაწარმოებს ნაწილობრივადაც კი არ ახასიათებს იმდროინდელი ფრანგული დეკადენტური ხელოვნების გავლენა. პირიქით, „მოხუცი ხევისური“ იმის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს, რომ ი. ნიკოლაძის შემოქმედება პარიზის სკოლაში სწავლის პერიოდშიც რეალიზმისა და ნაციონალური თემატიკის საფუძველზე ვითარდებოდა. ამ მხრივ ახალგაზრდა ხელოვანის შემოქმედებით ევოლუციაში თვალსაჩინო როლი შეასრულა ცნობილმა ქართველმა რეალისტმა მხატვარმა ალექსანდრე მრევლიშვილმა, რომელიც ამ დროს პარიზში ცხოვრობდა და ი. ნიკოლაძესთან მეგობრობდა.

1901 წლის ზაფხულს ი. ნიკოლაძე ჩამოდის სამშობლოში. აქ იგი 1902 წლის გამოფენის ნობელის პავილიონისათვის იღებს დაკვეთას, რის გამოც პარიზის სკოლას აღარ უბრუნდება. გამოფენისათვის იგი ასრულებს ორ დიდ (4 მეტრიან) დეკორაციულ გორელიეფს თემაზე „ეპრობა და მრეწველობა“ და, აგრეთვე, მონაწილეობს გამოფენის სამხატვრო ნაწილში „მოხუცი ხევისური“ და რამდენიმე სხვა ნაწარმოებით, რის გამოც აჯილდოვებენ ვერცხლის დიდი მედლით. პარიზს არც გამოფენის გახსნის შემდეგ დაბრუნებია ი. ნიკოლაძე. იგი კვლავ თბილისში აგრძელებს მუშაობას და ქმნის მწერალ შიო არაგვისპირელის (1902 წ. თაბაშირი), მსახიობ ვასო აბაშიძის (1902 წ. თაბაშირი), მსახიობ კოტე მესხის (1902 წ. თბილისში დაიღუპა

1914 წელს თეატრის დაწესებაში)<sup>1</sup>, ტასო მანაბლოსა (1902 წ. თბილისში), არ არის ცნობილი და მხატვრული შემოქმედებისა (1903 წ. თაბაშირი). აგრეთვე, თბილისის მუსიკალური სკოლისათვის ასრულებს ბახისა და ბეთხოვენის პორტრეტებს (1903 წ. თაბაშირი). ამჟამად ცნობილი პორტრეტები აქ დასახელებული ნაწარმოებებიდან ნათლად ასახავენ ახალგაზრდა ხელოვანის შემოქმედებით ტალანტს, მკვეთრ რეალისტურ კრედოსა და პროფესიული ოსტატობის თვალსაჩინო ზრდას. განსაკუთრებით ეს ითქმის შ. არაგვისპირელისა და ო. შვერლინგის პორტრეტების შესახებ. არსებითად ამ პერიოდში შესრულებულ ნაწარმოებთა სახით, ძირითადად უკვე ჩამოყალიბებულ სახეს იღებს ი. ნიკოლაძის შემოქმედებითი ინდივიდუალობა. ეს იყო შედეგი არა მარტო, ერთი მხრით — ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების, ხოლო მეორე მხრით — რუსული რეალისტური ხელოვნების შესანიშნავი ტრადიციების ათვისებისა, არამედ ამ რეალისტური სულისკვეთებისა, რომელიც ახალგაზრდა მოქანდაკეს საქართველოში მუშაობის პერიოდში უშუალოდ ასაზრდოვებდა და დაკავშირებული იყო გიგო გაბაშვილის, ალექსანდრე მრევლიშვილისა და მოსე თოიძის შემოქმედებით გზებთან.

1904 წლის ზაფხულში ი. ნიკოლაძე მიემგზავრება ფლორენციაში, სადაც დაახლოებით შედი თვის განმავლობაში სწავლობს რენესანსის ეპოქის შესანიშნავ ძეგლებს.

1905 წლის ზაფხულზე იგი პარიზში გადადის. აქ ახალგაზრდა ხელოვანი განსაკუთრებულ ეკონომიურ ხელმოკლეობას განიცდის: დედას უკვე აღარ შე-

<sup>1</sup> იხ. „თეატრი და ეროვნება“ 1914 წ. № 39.

ეძლო მისთვის გაეწია სისტემატიური დახმარება, ხოლო თვითონ საკმაოდ დიდხანს ვერ შესძლო სამუშაოზე მოწყობა. მიუხედავად ამისა, იგი მაინც ახერხებს საკმაო რაოდენობის ნაწარმოებთა შექმნას. მოქანდაკის ახალ ატელიეში პირველად შოთა რუსთაველის პორტრეტი იზადება (თაბაშირი, 1905 წ.). თუმცა კომპოზიციის მხრივ ეს პორტრეტი უფრო მეტად 1897 წელს შესრულებულ „შ. რუსთაველს“ იმეორებს, მაგრამ, ამავე დროს, გაცილებით უფრო დიდი ოსტატობით და რეალისტური სიღრმით ხასიათდება. საერთოდ ეს ნაწარმოები წარმოადგენს გენიალური პოეტის სახის ძიების პირველ საყურადღებო ცდას ქართულ ხელოვნებაში.

ამ პერიოდში, კერძოდ, 1905 წლის შემოდგომამდე, შექმნილ და ამჟამად ცნობილ სხვა ნაწარმოებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ: „ქარში“ (ქვა) რომელიც ხასიათდება კომპოზიციისა და პლასტიკური ფორმების ოსტატობით და ღრმა განცდით, „სალომე“ (1905 წ. მარმარილო), და სხვა. მათთან ერთად ახალგაზრდა მოქანდაკეს შეუქმნია ქართველი საზოგადო მოღვაწის ნ. ლოლობერიძის ბიუსტი (1905 წ. ბრინჯაო), მომღერალ დარიალი-ნანობაშვილის პორტრეტი (1896 წ. ბრინჯაო), „უმუშევარი“ (1906 წ. თაბაშირი) და სხვა, რომლებიც ამჟამად ცნობილი არ არის. დამახასიათებელია, რომ ი. ნიკოლაძის ყველა აქ მითითებული ამჟამად ცნობილი ნაწარმოები, შექმნილი პარიზში 1906 წ. შემოდგომაზე, რეალისტური ხასიათისაა. ისინი არსებითად ამ ეპოქის ფრანგული დეკადენტობის არაერთარ გავლენას არ გამოხატავენ. რაც შეეხება ამ ციკლის ამჟამად უგზო-უკვლოდ დაფანტულ ნაწარმოებებს, მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „უმუშევარი“, რომელიც მოქანდაკის შემოქმედების ახალი, მკვე-

თრი სოციალური თემატიკით გამდიდრებას უთითებს. ცხადია, ეს გარემოება არ შეიძლება შემთხვევით მოხდეს. ნაღ ჩაითვალოს ი. ნიკოლაძის შემოქმედებაში მით უმეტეს იმიტომ, რომ მომდევნო წლებში მის ატელიეში კვლავ ჩნდება მუშათა კლასის ცხოვრების ამსახველი კომპოზიციები, რომელთაც ქვემოთ შევხებით.

1906 წლის შემოდგომაზე ი. ნიკოლაძე პარიზში არსებულ ახალგაზრდა რუს მხატვართა საზოგადოების თავმჯდომარის ვ. ვ. გოლუბევის ოჯახის დახმარებით სამუშაოს იღებს ცნობილ ფრანგ მოქანდაკე როდენისაგან. პირველად მას დაევალა მარმარილოზე გადაეტანა როდენის „ივანე ნათლისმცემელი“. ახალგაზრდა მოქანდაკემ ეს სამუშაო წარმატებით შეასრულა ორმოცი დღის განმავლობაში. ამის შემდეგ როდენმა ი. ნიკოლაძე სახელოსნოში წაიწვია სამუშაოდ. იგი მუშაობდა „უგოლინოს კომპოზიციაზე“ თიხაში. ეს კომპოზიცია, რომელიც დანტეს პოემით იყო შთაგონებული და გადმოცემდა გრაფ უგოლინოსა და მისი შეილება შიშშილით სიკვდილის მომენტს, როდენს ვაკეთებული ჰქონდა ცალცალკე ფიგურების სახით. მთლიან ჯგუფს „მხატვრულ პროფილებს მაშინ ეძებდა როდენი. ერთი სტატუის და მეორე სტატუის შუა რჩებოდა ცარიელი ადგილები. ასეთი იყო უგოლინოს ეს პირველი სახე, რომელიც მე ვნახე. ფიგურები პირდაპირ იატაკზე ეწყო და არ იყო შეერთებული. როდენმა მითხრა აქ უნდა დაახვიო ნაჭრები მხატვრულად და ეს ნაჭრები გამოეყოთ“<sup>1</sup>.

თბ თვეს მუშაობდა იგი ამ ნაწარმოებზე. მოქანდაკე ცდილობდა მასში ეპოქის ხასიათი გამოეხატა და საერთოდ როდენის სტილი დაეცვა. როდენმა ი. ნიკოლაძის ეს ნამუშევარი მოიწონა. ამის შედეგად ახალგაზრდა მოქანდაკე

<sup>1</sup> ი. ნიკოლაძე „წელიწადი როდენთან“, გვ. 35.

ახალ დავალებას ღებულობს ფრანგი მწერლის ბარბე დორევილის პორტრეტის სახით. ეს პორტრეტი ოთხ ვარიანტად იქნა შესრულებული (დაახლოებით ნახევარი წლის განმავლობაში). მეოთხე ვარიანტი მიიღო როდენმა. მან ამ პორტრეტში შეცვალა მხოლოდ ტორსი, რომელიც მას „ანატომიურად არ მოსწონდა, სახისათვის ხელი არ უხლია, „რადგან დოკუმენტალურად იყო გაკეთებული. ეს ბიუსტი როდენმა ჩამოასხმევინა ბრინჯაოსაგან და დადგმულ იქნა ბარბე დორევილის სამშობლო ქალაქში“<sup>1</sup>.

ამ პორტრეტით დამთავრდა ი. ნიკოლაძის როდენთან თანამშრომლობა. როდენის დავალებით შესრულებული ნაწარმოებები, ბუნებრივია, როდენის—ფრანგული დეკადენტურ-იმპრესიონისტული ქანდაკების ამ ყველაზე დიდი წარმომადგენლის — პრინციპებს გამოხატავდა. ამიტომ მოსწონდა ისინი როდენს, თუმცა უდავოა ისიც, რომ მხოლოდ იმპრესიონიზმის პრინციპების ათვისებით არ შეეძლო დემსახურებინა ი. ნიკოლაძეს როდენის ყურადღება. ამჟამად, აქ თვალსაჩინო როლი შეასრულა აგრეთვე. ახალგაზრდა მოქანდაკის ნიქმა და პროფესიულმა ოსტატობამ.

როდენის იმპრესიონიზმის გარკვეული გავლენა ახასიათებს ი. ნიკოლაძის იმ ცალკეულ ნაწარმოებებსაც, რომლებიც როდენის დავალებით არ ყოფილან შექმნილი, მაგრამ როდენთან მუშაობის პერიოდს ეკუთვნის. კერძოდ, ამ მხრივ აღსანიშნავია „ქალი-შვილი ჩრდილოეთიდან“ (სხვა სახელწოდებით „ჩრდილოეთის ასული“, „შემოდგომა“, 1906—1907 წ., მარმარილო). ეს ბიუსტი, რომელიც წარმოადგენს ახალგაზრდა მოქანდაკის საცოლეს—ლილი დეველდის პორტრეტს, თვალსაჩინოდ უკავშირდება როდენის შემოქმედებითს კრედოს, როგორც გა-

რეგულის, მხოლოდ ხედვითი შთაბეჭდილებების, გადმოცემით, ისე ჩრდილსინათლის გადაწყვეტის მხრივაც მაგრამ როდენის გავლენა ი. ნიკოლაძის შემოქმედებაზე არც ხანგრძლივი იყო და არც ღრმა. არსებითად იგი იფარგლებოდა ახალგაზრდა მოქანდაკის მხოლოდ როდენთან მუშაობის პერიოდით. მომდევნო წლებში ეს გავლენა ი. ნიკოლაძის შემოქმედებაში არ გამოვლენილა რაიმე მნიშვნელოვანი სახით. ეს სავესებით გასაგებიცაა, რადგან ი. ნიკოლაძემ უმთავრესად მატერიალური პირობების გამო დაიწყო მუშაობა როდენთან და არა იმიტომ, რომ მას როდენის შემოქმედებითი კონცეფცია იტაცებდა (უფრო აღრე მან ამავე მიზეზის გამო როდენისაგან განსხვავებული მიმართულების მოქანდაკეებთანაც სცადა მუშაობის დაწყება. კერძოდ, პრონსონთან და სინაევ-ბერმტეინთან). ამავე დროს ბუნებრივია, პროფესიული ოსტატობის, ტექნიკის ათვისების მხრივაც აინტერესებდა ახალგაზრდა მოქანდაკეს როდენის სახელოსნო. ი. ნიკოლაძე ხომ საერთოდ მხოლოდ პროფესიული ოსტატობის ათვისების მიზნით სწავლობდა და მუშაობდა პარიზში.

„Все мое пребывание в Париже, — სწერდა ი. ნიკოლაძე ავტობიოგრაფიაში, — проходило под знаком изучения техники как вепке, так и по мрамору“. ანდა კიდევ 1935 წელს ი. ნიკოლაძე აღნიშნავდა სამხატვრო აკადემიაში გაკეთებულ მოხსენებაში: „ამას წინათ წერდნენ ჩემს შესახებ. სხვათაშორის აღნიშნული იყო, თითქო მე გადმოვიტანე როდენის იდეოლოგია. მე ახლა მოხარული ვარ განგიცხადოთ თქვენ, რომ ეს მტკიცება არ არის სწორი: მე ავიღე როდენისაგან არა იდეოლოგია, არამედ მისი ტექნიკა, მისი ცოდნა ქანდაკებისა, მისი შემოქმედების, თუ შეიძლება ასე გამოითქვას, მექანიზმი“.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 35.

ამრიგად, როდენის „შემოქმედებითი იდეოლოგიის“ გავლენა ი. ნიკოლაძეზე გამოვლინდა, როგორც დროებითი გადახვევა რეალიზმის გზიდან.

ამიტომ, რომ მოქანდაკის ისეთი ნაწარმოებები, რომლებიცაა დ. სარაჯიშვილის პორტრეტი (მარმარილო, პარიზი. 1907 — 1908 წ.), ილია ჭავჭავაძის პორტრეტი, რომელიც 1908 წელს შეიქმნა ნილაბის მიხედვით (თაბაშირი. პარიზი) და „ქართველი ქალი“ (თაბაშირი. ესკიზი. 1908 წ.) მკვეთრი რეალისტური ოსტატობით ხასიათდებიან. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ამ მხრივ ი. ჭავჭავაძის საფლავის ძეგლიც (1907—1909. ბრინჯაო. ქვა. გრანიტი), რომელიც წარმოადგენს ი. ნიკოლაძის პირველ დიდ მონუმენტურ რეალისტურ ნაწარმოებს. ამ ძეგლის ცენტრალური ნაწილი — მგლოვიარე დედის ფიგურა, იგივე „მწუხარე საქართველო“, შესრულებულია შესანიშნავი რეალისტური ოსტატობით და ღრმა მხატვრული განცდით. იგი მოქანდაკის შემოქმედებითი ევოლუციის რევოლუციამდელი პერიოდის ერთ-ერთი უძლიერესი ნაწარმოებია, როგორც პლასტიკური თვალსაზრისით, ისე შინაგანი სამყაროს გადმოცემის მხრივ. აღნიშნული მომენტების სახით მოქანდაკემ ილიას ძეგლში წარმატებით გადაწყვიტა მის წინაშე მდგარი ამოცანა: შექმნა კომპოზიცია, გადმოცემა იმ დიდი მწუხარებისა, რომელიც განიცადა ქართველმა ხალხმა თავისი საამაყო შეილისა და დიდი მოამაგის ილია ჭავჭავაძის ვერაგულად მოკვლის გამო. ხალხის ეს დიდი სევდა, აგრეთვე, სიყვარული თავისი მწერლისადმი შესანიშნავად არის ამტყველებული „მწუხარე საქართველოში“, რის გამოც ეს ნაწარმოები სავსებით ამართლებს თავის სახელწოდებას. ეს ძეგლი ამ მგზნებარე ცრემლიან ლირიკასთან ერთად მკვეთრად აელენს, აგრეთვე, ილიას შემოქმედების ღრმა ხალხურ

ბუნებას, მის მებრძოლ ხასიათს. მართალია, ყველაფერი ეს პრაპორტაბილიზმის ნაწილები ძეგლში, მაგრამ სხვაგვარად იგი არც შეეძლო ეჩვენებინა მოქანდაკეს, თემის თავისებური ხასიათის გამო, კერძოდ, იმ გარემოების გამო, რომ ძეგლის უშუალო თემას შეადგენდა არა თვით ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა და მოღვაწეობის მხატვრულ სახეში განსახიერება, არამედ როგორც, უკვე აღვნიშნეთ, წიწამურის ტრაგედიით აღძრული მწუხარება ქართველი ხალხისა, ილიასადმი მშობელი ხალხის დამოკიდებულების სიმბოლურ-სახეობრივი გამოხატვა.

აქედან ნათელია, თუ რამდენად უსაფუძვლო და ცალმხრივია ჩვენს პრესაში სხვადასხვა სახით გამოთქმული შეხედულება, თითქოს ეს ძეგლი მოქანდაკის სუსტი ნაწარმოები იყოს. ამ შეხედულების მიხედვით, ძეგლში მოქანდაკემ ვერ დასძლია მის წინაშე მდგარი ამოცანა, ვერ აჩვენა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა და მოღვაწეობის ბუნება, და სხვ. უფრო მეტიც: გამოჩნდნენ ისეთი „კრიტიკოსებიც“, რომლებიც მასში იმპრესიონიზმს ხედავენ, ამავე დროს, თემცა სწორად აღნიშნავენ ძეგლის უშუალო თემას, მაგრამ მაინც თან დასძენენ, რომ ძეგლში გადმოცემული განწყობილება არ შეეფერება ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც „თავი შესწირა სახალხო იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლასო“. ამ უსაფუძვლო, ძეგლის თემისა და ხასიათის სრული გაუგებრობასა და მეტად ზერელე, დილიტანტური მხატვრული ერთდროის საფუძველზე ამოცნებულ დასკვნების წინააღმდეგ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ილიას ძეგლი, არა მარტო ოსტატობის თვალსაზრისით, არამედ რეალიზმისა და თემის გადაწყვეტის თვალსაზრისითაც შესანიშნავ ნაწარმოებს წარმოადგენს. ამიტომ იყო, რომ აკაკი წერეთელმა თავის სიტყვაში, რომელიც მან წარმოთქვა ძეგლის გახსნის დღეს, მას

უწოდა „გვირგვინი... გვირგვინი მწუხარებისა და გულ-დაწყვეტისა, რომელსაც ეს ძეგლი გვიხატავს: მთელი შეგნებული ქართველობა, ქართველ დედაში გამოხატული, იგლოვს და სტირის თავისი დაუღიწყარი შვილის დაკარგვას. იდეის მხრით დიდია ეს ქანდაკება“.

ილია ჭავჭავაძის ძეგლზე მუშაობის პარალელურად 1908 — 1909 წლებში ი. ნიკოლაძე მთელ რიგ სხვა ნაწარმოებებსაც ქმნის. მათ შორის ამჟამად ცნობილი ნამუშევრებიდან ყურადღებას იქცევს კორინთელის პორტრეტი (მარმარილო. 1908 წ. პარიზი).

1910 წელს ი. ნიკოლაძე თბილისში ქმნის ახალ მეტად მნიშვნელოვან ნაწარმოებს. ესაა ცნობილი ქართველი მწერლის ე. ნინოშვილის პორტრეტი (ბრინჯაო), რომელიც 1923 წელს დაიდგა თბილისში კომუნარების სახელობის ბაღში. ეს ნაწარმოები შესრულებულია დიდი პროფესიული ოსტატობით და რეალისტური სიმართლით. იგი ე. ნინოშვილის ნათელ მხატვრულ სახეს წარმოადგენს. არსებითად იგივე ითქმის 1910 წელს იმავე თემაზე შესრულებული ბარელიეფის შესახებაც (კერამიკა).

1910 წელსაა შექმნილი ესკიზი „ორი მუშა“ (კერამიკა). ეს მეტად საინტერესო კომპოზიცია განსაკუთრებული სიძლიერით გადმოგვცემს მალაროს გაზით მოწამლული მუშების ტანჯვას. ეს ნაწარმოები „უმუშევარის“ ლოგიკურ თემატიკურ გაგრძელებას წარმოადგენს.

დამახასიათებელია, რომ ანალოგიურ თემაზე მომდევნო წლებშიც მუშაობს ი. ნიკოლაძე. კერძოდ, 1912 წელს იგი ქმნის ესკიზს „უმუშევრები“ (პლასტიკური).

1910 წელს ი. ნიკოლაძე მუშაობას იწყებს დ. სარაჯიშვილის ძეგლის ესკიზზე. ძეგლის თემად იგი იღებს არა თვით სარაჯიშვილის სახეს, არამედ საერთოდ სიკვდილისა და იმედის თემას.

1911 წელს მან შექმნა ძეგლის ესკიზი, ხოლო შემდეგ, 1912 წელს მონუმენტის ცენტრალური ნაწილი „საინტერესო“ მგლოვიარე ქართველი ქალის“ გადებული ვარიანტი. მათგან ამჟამად დაკულია ორი მარცხენა ფიგურა (თაბაშირი), რომლებიც შესრულებულია შესანიშნავი ოსტატობით და ხასიათდება შინაგანი სამყაროსა და ნაციონალურ თავისებურების მკვეთრი გამოსახვით. ეხადია, ეს ფიგურები ვერ გვაძლევენ წარმოდგენას მონუმენტის მთლიან ხასიათზე. ი. ნიკოლაძის ამ განუხორციელებელი ნაწარმოების მხატვრული ღირსება აღნიშნული აქვს აკაკი წერეთელს ამ ესკიზის შესახებ 1912 წელს გაზეთ „თემში“ გამოქვეყნებულ წერილში („მცირე შენიშვნა“). აკაკი წერდა: „დავათვალიერე ბ. ნიკოლაძის ატელიე. სხვისასაც ბევრჯერ ვყოფილვარ, მაგრამ ასე ნასიამოვნები არ დავრჩენილვარ, როგორც ახლა და ჩემი ალტაცების მიზეზი იყო ქანდაკება იმ ძეგლის, რომელიც დ. ზ. სარაჯიშვილს უნდა დაუდგან... ეს ბრწყინვალე რამ უცხოელს ვისმეს რომ გაეკეთებია, მაშინვე, რასაკვირველია, გაგებული გვექნებოდა, და ვინ იცის, მის სანახავად ადგილობრივად შორსაც წავიდოდით და აქ კი ყურადღებასაც არ ვაქცევთ... ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „შინურ მღვდელს შენდობა არა აქვს“ და სხვა. განუხორციელებელი დარჩა განხილული ესკიზის პარალელურად შესრულებული გრ. ორბელიანის ძეგლის ესკიზიც (თაბაშირი. 1911 წ.), რომელიც პოეტის მხატვრული სახის შექმნის საინტერესო ცდას წარმოადგენს.

1911 — 1912 წლებშივე ი. ნიკოლაძე ქმნის მთელ რიგ პორტრეტებს, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ კუზნეცოვას (თაბაშირი. 1911 წ.) ერმოლოვას (თაბაშირი. 1911 წ.) და ქალიშვილის (მ. რადე, თაბაშირი, 1912 წ.) პორტრეტები. ეს ნაწარმოებები, რომლებიც ნატურალიზმისა შესრულებული, მაღალი პროფე-

სიული ოსტატობით და მკვეთრი რეალისტური გადაწყვეტით ხასიათდება.

მომდევნო წლებში შექმნილ ნაწარმოებებიდან ყურადღებას იქცევენ ეტიუდები: მოხუცი (თაბაშირი. 1914 წ. ი. ნიკოლაძის სახლი — მუზეუმი), მოქანდაკის ქალიშვილი თეონა (თაბაშირი. 1914 წ. დაცულია იქვე), და მოქანდაკის ვაჟი (ეტიუდი. თაბაშირი 1915 წ. დაცულია იქვე), ხოლო განსაკუთრებით გამოირჩევა აკაკი წერეთლის პორტრეტი (თაბაშირი. 1915 წ. შემდეგ გამოიკვეთა ქვაში, ხოლო 1922 წელს დაიდგა ოპერისა და ბალეტის თეატრის ბაღში).

ი. ნიკოლაძე ახლო მეგობრულ ურთიერთობაში იყო აკაკი წერეთელთან<sup>1</sup> ეს ურთიერთობა განსაკუთრებით ძლიერდება 1908 წლიდან, როდესაც მოქანდაკე პოეტის პირველ პორტრეტს ქმნის. ეს პორტრეტი თვით ი. ნიკოლაძის ცნობით, „შესრულებული იყო აკაკის ცოცხალი სახიდან თბილისში. პარიზში უნდა ჩამოსხმულიყო ბრინჯაოდან, რაც შეუძლებელი გახდა. არ არის ცნობილი, თუ სად არის დაცული“. მომდევნო წლებში ი. ნიკოლაძე ხშირად ხვდებოდა დიდ პოეტს. შეხვედრება ხდებოდა როგორც აკაკისთან, ისე მო-

ქანდაკის სახელოსნოში. ამ სახელოსნოში ბევრად შეუწყო ხელი აკაკის შემსანიშნავი სკულპტურული ძეგლის შემქმნას, რომელსაც დიდი პროფესიული დახელოვნება და რეალისტური ოსტატობა უდევს საფუძვლად. ეს ნაწარმოები განსაკუთრებული სიმკვეთრით აელენს იმ შემოქმედებით თვისებებს, რომლებიც მოქანდაკის მიერ აქამდე შექმნილ უკეთეს ნამუშევრებში გვხვდება. ამ მხრივ უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ტიპიურობის ძიება, პლასტიკური ფორმების ღრმა ემოციური შეგრძნობა და ჰარმონიულობა, შუქისა და ჩრდილის ორგანული დაკავშირება სულიერი სამყაროს არსებით თვისებებთან, მხატვრული წარმოსახვისა და განზოგადების სიმკვეთრე.

ველური ქვის ლოდს დაუკარგავს სიცივე და მდუმარება. მასში აკაკის დიდი გული და დიდი განცდაა ჩამარხული. გაშლილი, მაღალი შუბლი, უაღრესად მეტყველო სახე და ზევით აშლილი თმები დაუჩრდილავე ღირსიანის „ხან მიწის“ და „ხან ცის“, მაგრამ ყოველთვის სამშობლოსა და ხალხისადმი თავდადებული სიყვარულის გრძნობით არის ანთებული. თითქოს ახლა ქმნიდეს მთაწმინდისაკენ თვალბმბიყრობილი მგოსანი ცნობილ „განათიასს“; თითქოს ახლა მოსწყდა მის ტუჩებს:

„ცა-ფირუზ ხმელეთ-ზრმუხტო,  
სულის ჩამდგელო მზარეო,  
შენი ვარ, შენთვის მოკვედბო,  
შენზედვე მგლოვიარეო“.

აღნიშნულს თან ერთვის პოეტის მეტბრძოლი სულისა და მომავლისადმი ღრმა რწმენის ჩვენებაც.

საქართველოში მენშევიკების ბატონობის წლებში ი. ნიკოლაძეს არც ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები არ შეუქმნია. საერთოდ ამ პერიოდში ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი

<sup>1</sup> ამ მეგობრობის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს აკაკის ორი პირადი წერილი ი. ნიკოლაძისადმი, რომელიც უკანასკნელის პირად არქივშია დაცული და მოწერილია საფრანგეთიდან. ეს წერილები თუმცა მეტად პირადული შინაარსისაა, მაგრამ პოეტისა და მოქანდაკის ახლო ურთიერთობის იმდენად ნათელ გამოხატვას წარმოადგენს, რომ ზედმეტი არ იქნება თუ ერთ-ერთ მათგანს აქ მოვიყვანთ: „ძმავო იაშა! დიდი მადლობელი ვარ შენიცა და გიორგისაც გაზეთების გამოგზავნისათვის. დღეს იქეთ, სანამ ჩემი წერილი არ მიიღო, ნუღა ჯამომიგზავნით, რადგან ზვალ მითადეება აქ კურორტი და ეგრ არ ვიცი საით გამისაჭებენ. მარად ვრთვული აყავი“.

მეტად დამახასიათებელია აგრეთვე აკაკის მიერ 1912 წლის 31 მაისს მოქანდაკის შთაბეჭდილებების წიგნში ჩაწერილი შემდეგი ლექსი: „უნაზე შენი ქანდაკება, აღარ უნდა იმას ქება!“

განსაზღვრულობა ი. ნიკოლაძის შემოქმედებაშიც გამოვლინდა. აღსანიშნავია ისიც რომ მოქანდაკემ მაშინ განიცადა გაბატონებული პოლიტიკური სიტუაციის ერთგვარი გავლენაც.

მაგრამ ყველაფერი ეს იყო დროებითი მოვლენა.

1921 წელს ქართველმა ხალხმა დიდი რუსი ხალხის დახმარებით დაამხო მენშევიკების ბატონობა საქართველოში და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება. ეს უდიდესი მნიშვნელობის გარდატეხა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში საფუძვლად დაედო ქართული კულტურისა და ხელოვნების სწრაფ აღორძინებას. მან ახალ გზას დაუკავშირა. ი. ნიკოლაძის შემოქმედებაც. და მიუხედავად იმისა, რომ ი. ნიკოლაძის შემოქმედებითი ევოლუცია ამ მიჯნამდე, როგორც ენახეთ, დიდი მხატვრული ისტორიული მნიშვნელობის არაერთი შესანიშნავი წარმატებით ხასიათდებოდა, იგი მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს მოქანდაკის შემოქმედების უძლიერეს პერიოდად. მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიეცა ი. ნიკოლაძეს ნორმალური მუშაობის საშუალება.

ქართველი ხალხის ახალი, თავისუფალი ცხოვრების დასაწყისი და ის დიდი ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდებოდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკაში ნაციონალური მხატვრული კულტურის ასაღორძინებლად (1922 წლის მაისში თბილისის სამხატვრო აკადემიის დაარსება და სხვ.), საფუძვლად დაედო ი. ნიკოლაძის განსაკუთრებულ შემოქმედებითს აღმავლობას. ჯერ კიდევ 1922 წელს მოქანდაკემ შექმნა რეალისტური პორტრეტების მთელი სერია, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის პროფ. პეტრე მელიქიშვილის (თაბაშირი) და პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილის (თაბაში-

რი) — პორტრეტები. <sup>1</sup> მოქანდაკის იდეურ-შემოქმედებითი ევოლუციის თვალსაზრისით საინტერესოა ყველაფერი რაცა ლიუქსემბურგის პორტრეტი (თაბაშირი. შემდეგ დადგმული იქნა ბაღში ელბაქიძის დაღმართზე). იმავე წელს ი. ნიკოლაძე მუშაობს დიდი სტალინის თანამებრძოლის ს. წულუკიძის ძეგლზე, რომელსაც ამთავრებს 1923 წლის დასაწყისში (დადგმულია ქუთაისში). 1923 წელს კი ი. ნიკოლაძე ქმნის ფრ. ენგელსის პორტრეტს (მარმარილო), რომელიც დაიდგა ქ. ქუთაისში ფრ. ენგელსის სახელობის ბაღში. იმავე წელს თბილისში, კომუნარების სახელობის ბაღი, იდგმება ი. ნიკოლაძის მიერ შესრულებული ე. ნინო-შვილის პორტრეტი (ბრინჯაო). მოქანდაკეს ეს პორტრეტი გადააქვს ქვამიც (იდგმება ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში).

აღნიშნულ ნაწარმოებთა სახით, ი. ნიკოლაძე ე. წ. „მონუმენტალური პროპაგანდის“ ლენინური გეგმის განხორციელების მგზნებარე პიონერია საქართველოში.

1924 წელს ი. ნიკოლაძე კვლავ დიდი ენთუზიაზმით მუშაობს ამ დარგში: ქმნის ლენინისა და არსენა ჯორჯიაშვილის ძეგლების ესკიზებს (პირველი დაცულია საქ. ხელოვნების სახ. მუზეუმში, ხოლო მეორე ამჟამად არ არის ცნობილი. ორივე განუხორციელებელი დარჩა). იმავე წელს იგი ხელმეორედ მუშაობს ვაჟა-ფშაველას პორტრეტზე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ი. ნიკოლაძის მიერ შექმნილი ყველა დასახელებული ნაწარმოები ღრმა რეალისტური გადაწყვეტით ხასიათდება. რაც მთავა-

<sup>1</sup> 1922 წელს ი. ნიკოლაძეს დაწყებული ჰქონდა, აგრეთვე, ქ. მარქსის პორტრეტი, რომელიც მას არ დაუმთავრებია. იმავე წელს იგი მუშაობდა ვაჟა-ფშაველას პორტრეტზე (ამჟამად არ არის ცნობილი).

რია, მათი აბსოლუტური უმრავლესობა ეხება რევოლუციურ თემატიკას და შეიცავს ღრმა იდეურ შინაარსს, გამოხატველს განთავისუფლებული ხალხის ინტერესებისა და მისწრაფებისა. ცხადია, ყველაფერი ეს იყო ი. ნიკოლაძის უდიდესი შემოქმედებითი დამსახურება, რომელიც საფუძველს უყრიდა საბჭოთა ქანდაკებას, გზას უკაფავდა ამ ეპოქის ქართული ხელოვნების განვითარებას, საფუძველს აცლიდა და ლახვარს სცემდა მაშინ მძლავრად წარმოდგენილ დეკადენტურ-ფორმალისტურ და ნაციონალურ ნაკადს. ნიკოლაძე ამ პრინციპებით ზრდიდა ახალგაზრდობას ახლად დაარსებულ თბილისის სამხატვრო აკადემიაშიც, სადაც იგი როგორც პრორექტორი და ქანდაკების სწავლების ერთადერთი ხელმძღვანელი, დიდ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა.

ი. ნიკოლაძის იდეურ-შემოქმედებითი განვითარების ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა ვ. ლენინის ბიუსტი (1925 წ.) ეს იყო მოქანდაკის პირველი დიდი ნაწარმოები საბჭოთა პერიოდში. მასში დაუცხრომელი მებრძოლი ბელადის შინაგანი სიმტკიცე და სიდიადე, სიბრძნე და ძალა, პლასტიკური ფორმების ღრმა განცდით და მკვეთრი გააზრებით აქვს ხაზგასმული მოქანდაკეს. ამიტომ იყო, რომ ამ მეტად დინამიკური კომპოზიციის შემცველმა პორტრეტმა ფართო გამოხმაურება პოვა, ხოლო მოქანდაკეს რამდენჯერმე მოუხდა მისი გამეორება მარმარილოში.

ამის შემდეგ ვ. ი. ლენინის სახის ძიება ი. ნიკოლაძის შემოქმედების ერთ-ერთ ძირითად მოტივად იქცა. მომდევნო წელს იგი იწყებს მუშაობას ლენინის ძეგლზე. (ქვა. დაიდგა ქუთაისში).

1927 წელს მოქანდაკე ქმნის ლენინის დიდი ზომის პორტრეტს (თაბაშირი).

ამავე წელს ეკუთვნის ლენინის კვრამიკული პორტრეტები და ნილაბი. ყველა ეს ნაწარმოები, რომლებიც

1925 წელს შესრულებული ლენინის პორტრეტის გამეორებას (ლენინის მხატვრული სახის შექმნის კვალი) წარმოადგენენ, თვალსაჩინოდ ამდიდრებენ მოქანდაკის იდეურ და რეალისტურ შემოქმედებით გზას.

აღნიშნულ ნაწარმოებთა პარალელურად ი. ნიკოლაძე ქმნის ლადო მესხიშვილის ძეგლის ესკიზს (1927 წ.) და პორტრეტებს: მასწავლებელ მგელაძისა (ქვა. 1927 წ.), ექიმ მ. ლამბარაშვილისა (თაბაშირი, 1927 წ.), ვაჟა-ფშაველასი (თაბაშირი. 1928 — 1929 წ.) და სხვ. მომდევნო წლებში ი. ნიკოლაძის მიერ შესრულებულ ნამუშევრებიდან ყურადღებას იპყრობს ლ. მესხიშვილის ბიუსტი (თაბაშირი. 1930 წ.), პროფ. პ. მელიქიშვილის ბიუსტი (მარმარილო. 1932 წ.) და სხვ. პლასტიკური ფორმების დიდი ოსტატობა, ღრმა რეალისტური წარმოსახვა, დიდი ქართველი მეცნიერისა და დიდი ქართველი მსახიობის სახეების მეტყველი გადმოცემა ახასიათებს მოქანდაკის ამ პორტრეტებს.

1932 წელს ი. ნიკოლაძე ქ. თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის შეკვეთით იწყებს მუშაობას კ. მარქსის მონუმენტური ძეგლის ესკიზზე, რომელსაც იმავე წელს ამთავრებს. მომდევნო წელს კი ამ ესკიზის საფუძველზე ქმნის კ. მარქსის მჯდომარე ფიგურას (თაბაშირი.), რომელიც, მისი ღრმა იდეური შინაარსის მიუხედავად, არ ეკუთვნის ი. ნიკოლაძის უძლიერეს ნაწარმოებთა რიცხვს.

1932 წლიდან ქართული სახეითი ხელოვნების განვითარებაში არსებითი ხასიათის ცვლილება ხდება. მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობა, ქართველი მხატვრების პირველი ყრილობა და საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის შექმნა (1933 წ.), სახეითი ხელოვნებისადმი ამხანაგ ლ. პ. ბერიას ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად

გად საფუძვლად დაედო ქართველი მხატვრებისა და მოქანდაკეების დიდ შემოქმედებით აღმავლობას, ქართული ხელოვნების სოციალისტური რეალიზმის გზით სწრაფ განვითარებას. მეტად დიდი როლი შეასრულა ქართული სახვითი ხელოვნების აღმავლობასა და იდეურ-მხატვრულ განვითარებაში ამხანაგ ლ. პ. ბერიას ცნობილმა შრომამ „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ (1935 წ.) და ამ დიადი თემისადმი მიძღვნილმა გამოფენამ (1936 წ.), რომელიც ამხანაგ ლ. პ. ბერიას ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა.

ამ დროიდან ი. ნიკოლაძეს შემოქმედება თემატიკურად უფრო მრავალფეროვანი და იდეურად უფრო ღრმა ხდება. სოციალისტური რეალიზმის პრინციპები არსებითად უკვე ჩამოყალიბებული სახით ამეტყველდა მოქანდაკის შემოქმედებაში.

ქართული საბჭოთა ქანდაკების ფუძემდებელი ახლა უფრო მაღალ და უფრო დიდ შემოქმედებითს ტრიბუნაზე იდგა.

პირველი სიტყვა, რომელიც ამ ტრიბუნიდან თქვა მოქანდაკემ, კ. მარქსის მონუმენტური ფიგურის დამთავრების შემდეგ, მიძღვნილი იყო საბჭოთა ხალხის, მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი ბელადისადმი. მას ეწოდება „ი. სტალინი ახალგაზრდობაში“ (1935 წ.). ეს პორტრეტი წარმოადგენს ახალგაზრდა სტალინის (1905 წ.) სახის შექმნის პირველ მეტად მნიშვნელოვან ეტაპს მთელს საბჭოთა ქანდაკებაში, — ამ დიადი თემის, როგორც სახეობრივი გადაწყვეტის, ისე მხატვრული შესრულების თვალსაზრისით. თვით მოქანდაკე 1936 წელს მის შესახებ სწერდა: „Что может быть величественнее идеи запечатлеть на полотне или в мраморе, в камне образ великого Сталина.

Тема «Сталин в скульптуре» давно

волновала меня... Два года назад, посетив Тбилисский Музей революции, я нашел два портрета товарища Сталина периода 1905 года. Получив стпечатки этих снимков, я приступил к работе над скульптурой «Сталин в молодости», стремясь передать мужественные черты молодого Сталина, показать его железную непреклонную волю».<sup>1</sup>


ეს შთაგონებული გატაცება ამხანაგ ი. სტალინის სახის შექმნით მომდევნო წლებში საფუძვლად დაედო მთელი რიგი ნაწარმოებების შექმნას, კერძოდ, ჯერ კიდევ 1934 — 35 წ. ი. ნიკოლაძე ქმნის ესკიზებს, ხოლო 1935 — 1936 წლებში ამთავრებს გამოძიწვას მრავალფიგუროვანი ბარელიეფების მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის შენობის ფასადისათვის: „ი. სტალინი ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ორგანიზატორი და ხელმძღვანელი“ და „ი. სტალინი ხალხთა დიდი ბელადი“.

განსაკუთრებით კომპოზიციის მხრივ მაღალი ოსტატობით შესრულებული ეს ნაწარმოებები ი. ნიკოლაძის მონუმენტური შემოქმედების განვითარების უაღრესად დიდი იდეური მნიშვნელობის მქონე ახალ ეტაპს წარმოადგენდა. ისინი ასახევენ ამხანაგ ი. სტალინისადმი მთელი საბჭოთა ხალხის უღრმესი სიყვარულის დიად გრძნობებს.

1937 — 1938 წლებში ი. სტალინის პორტრეტები არაერთხელ იქმნება მოქანდაკის ატელიეში. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დიდი ოსტატობით შესრულებული ბარელიეფი „ი. სტალინი 1905 წ.“.

1940 წელს ი. ნიკოლაძე ქმნის ახალგაზრდა ი. სტალინის ახალ პორტრეტს „დიადი კაპუტის“ სახელწოდებით. ეს პორტრეტი არსებითად ახალ-

<sup>1</sup> Я. Николадзе, „Величественная задача“, ბზ. „Заря Востока“. 1936 წ. № 176.



გზარდა სტალინის ყველაზე სრულყოფილ სახეს წარმოადგენს. მასში შესანიშნავი ოსტატობით და დიდი მხატვრული სიმართლით არის გადმოცემული ჰაბუკი სტალინის ადამიანური ინდივიდუალობა, მტკიცე ნებისყოფა, დიდი ძალა და სიბრძნე. „დიადი ჰაბუკი“ ი. ნიკოლაძის ერთ-ერთ უძლიერეს ნაწარმოებს წარმოადგენს, საბჭოთა პორტრეტული ქანდაკების ოქროს ფონდს ეკუთვნის.

1937 — 1940 წლებში ი. ნიკოლაძის მიერ შექმნილ ნაწარმოებებიდან ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, ლენინის ძეგლის ესკიზი (თბილ. 1937 წ. საქ. ხელოვნების საბ. მუზეუმი) და საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის შესრულებული მონუმენტური ბარელიეფები „ვ. ლენინი“, „ი. სტალინი“, „ვ. მოლოტოვი“ და „ლ. ბერია“ (1939 წ. თბილისი) აღსანიშნავია კ. მარქსის, ვ. ლენინისა და ი. სტალინის ბარელიეფებიც, (1937 წელს მარმარილო).

1938 წელს ი. ნიკოლაძემ დიდი ოსტატობით გამოძერწა დიდი სტალინის თანამებრძოლის ლ. პ. ბერიას პორტრეტი.

1936 — 1940 წლებშივე ი. ნიკოლაძე აგრეთვე ქმნის პორტრეტების მთელ სერიას და ძეგლების ესკიზებს. მათ შორის შედარებით უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს მაქსიმ გორკის ძეგლის ესკიზი, რომელიც მეტად საინტერესო სახეობრივი გადაწყვეტით ხასიათდება. პორტრეტთა სერიიდან კი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შ. რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის სახეები.

შ. რუსთაველის სამი პორტრეტი შექმნა ამ პერიოდში ხელოვანმა (ბარელიეფი, ბრინჯაო 1936 წ. ბიუსტი, მარმარილო, 1937 წ. ბარელიეფი, ქვა, 1937 წ.). ეს ნაწარმოებები გაცილებით უფრო მაღალი ოსტატობითაა შესრულებული და მეტი სიღრმით ასახიერებენ გენიალური ქართველი პოეტის სა-  
9. „მთაბი“ № 10.

ხეს, ვიდრე ეს დამახასიათებელი იყო ხელოვანის ადრინდელი პერიოდისათვის, განსაკუთრებით გამოფენებში შესრულებული ბარელიეფის, ე. წ. ოვალური ვარიანტი, რომელსაც მეტად ფართო გავრცელება ხვდა წილად სხვადასხვა მასალაში. ეს პორტრეტი ი. ნიკოლაძის შემოქმედებაში შ. რუსთაველის თემაზე შესრულებულ ყველაზე ძლიერ ნაწარმოებს წარმოადგენს. მასში დიდი პოეტური განცდით, ფაქიზი პლასტიკური წარმოსახვით და შესანიშნავი ოსტატობით არის გაცოცხლებული პოეტი — მოაზროვნე. ამ პორტრეტს ბევრი აქვს საერთო ცნობილ „ჩახრუხაძესთან“, თუმცა საერთოდ ალებული, ცხადია, „ჩახრუხაძის“ სიმამლეს ვერ უთანასწორდება.

1937 წელს ი. ნიკოლაძემ ილია ჭავჭავაძის ორი პორტრეტი შექმნა, 1908 წელს პარიზში გამოძერწილი ბიუსტის საფუძველზე. (ბიუსტი მარმარილო, გამეორება — ქვა, 1938 წ. და ბარელიეფი ქვა. წიწამურის ობელისკი). ეს ნაწარმოებები არსებითად განსხვავდებიან 1908 წლის პორტრეტისაგან არა მარტო ოსტატობის სიძლიერით, არამედ მხატვრული წარმოსახვისა და ღრმარეალისტური ხასიათითაც.

მომდევნო წლებში ი. ნიკოლაძე პორტრეტების მთელ სერიას ქმნის. მათ შორის აღსანიშნავია ვალაკტიონ ტაბიძის, შალვა დადიანის (თბილისი. 1941 წ.), სსრკ სახალხო მხატვრის ალექსანდრე გერასიმოვის (თბილისი. 1942 წ.), მწერალ ვ. ვ. ვერესაევის (თბილისი. 1942 წ.), აკადემიკოს ი. ს. ბერიტაშვილის (თბილისი. 1943 წ.) გენერალ ჩანჩიბაძის (თბილისი. 1943 წ.), შახნაზაროვის (მარმარილო. 1944 წ.), ე. სვეეროვისა (თბილისი 1945 წ.) და სხვ. პორტრეტები 1945 წელს კი მოქანდაკე ქმნის თავის უშესანიშნავეს ნაწარმოებს, საბჭოთა პორტრეტული ქანდაკების დაუჩრდილავ ქმნილებას „ჩახრუხაძე—XII ს. მოაზროვნე“ (მარ-

მარილო), რომელსაც მიენიჭა პირველი ხარისხის სტალინური პრემია.

„ჩახრუხაძე“ ბრწყინვალე ოსტატობით არის შესრულებული. დიდი აზრი, დიდი შემოქმედებითი აღზნება და ფანტაზია, მხატვრული წარმოსახვისა და განზოგადების დიდი ძალა, ღრმა რეალისტური ენით და დიდი გემოვნებით არის ამეტყველებული ამ ნაწარმოებში.

ეს ქმნილება, უპირველეს ყოვლისა, პოეტს გამოსახავს როგორც ბრძენს, შეპყრობილს აზრების ღრმა კიდლით. მასში განსაკუთრებული სიღრმადით არის ასახული მოქანდაკის მეტად ეფექტური ძიებანი ქართული საბჭოთა ნაციონალური ქანდაკების შექმნისათვის. შეიძლება ითქვას, ამ მხრივ ეს პორტრეტი გამოირჩევა არა მრატო ი. ნიკოლაძის შემოქმედებაში, არამედ მთელს ქართულ საბჭოთა ხელოვნებაშიც.

„ჩახრუხაძე“ წარმოადგენს უკანასკნელ ნაწარმოებს, შექმნილს ი. ნიკოლაძის მიერ ქართველი მწერლების მრავალრიცხოვან პორტრეტებს შორის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ ქართულ მწერლობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ი. ნიკოლაძის შემოქმედებაში. გასული და ჩვენი საუკუნის არც ერთ ქართველ მხატვარსა და მოქანდაკეს ისეთი მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა არ აკავშირებდა ქართულ ლიტერატურასთან, როგორც დამახასიათებელი იყო ი. ნიკოლაძისათვის. ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თვით მოქანდაკის შემოქმედებითი ინდივიდუალობის ევოლუციისათვისაც; ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციების ათვისება, ქართველი კლასიკოსების სახეებზე მუშაობა, მეოცე საუკუნის მოწინავე ქართველ მწერლებთან მჭიდრო ურთიერთობა და შემოქმედებითი თანამეგობრობა შეადგენდა ი. ნიკოლაძის შემოქმედების რეა-

ლისტური და ნაციონალური ბუნების ფორმირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. ყველაფერმა ეს კომპლექსი ჰქონდა შეგნებული თვით მოქანდაკესაც, რაც ნათლად გამოხატა მან თავის ერთ-ერთ სიტყვაში, რომელიც წარმოქმნილი იყო მწერალთა კავშირში მის საპატივემელოდ გამართულ საღამოზე.

„... მე, — აღნიშნავდა ი. ნიკოლაძე დასახელებულ სიტყვაში, — ვამაყობ იმითაც, რომ დღეს ქართული ლიტერატურის მუშაეთა შორის ვარ, მათ შორის, ვინც ყოველთვის იყო ჩემი შემოქმედების შთამაგონებელი და გამამხნეველებელი. ჩემი მათთან კავშირი ურღვევი იყო მთელი ჩემი შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე. მაგრამ ეს კავშირი მხოლოდ მჭიდრო ამხანაგურ ურთიერთობაში როდი გამოიხატებოდა. მთავარია და დაუფასებელია ჩემთვის ის, რომ სწორედ ქართულმა ლიტერატურამ და მისმა დიდმა ოსტატებმა განსაზღვრეს ჩემი შემოქმედება, მათში, მათ სახეებში ვეძებდი მე საუკეთესო ნაწარმოებებს...“

— . —

1945 წელს ი. ნიკოლაძის სახელოსნოში იბადება გენერალ-პოლკოვნიკის ლესელიძის პორტრეტი (მარამარილო. დგას მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ელბაქაძის სახელობის ბაღში). თუმცა ეს პორტრეტი, თავისთავად აღებული, მნიშვნელოვან ნაწარმოებს წარმოადგენს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოქანდაკის ამ პერიოდის (ორმოციანი წლების) შემოქმედებისათვის იგი მაინც არ შეადგენს ახალ ეტაპს, ახალ მოვლენას, როგორც გმირი სარდლის სახის შექმნისა და მხატვრული შესრულების სიძლიერის, ისე ძველის საერთო კომპოზიციის გადაწყვეტის თვალსაზრისით. არსებითად განსხვავებულ ხასიათს ატარებს მომდევნო წლებში შექმნილი პორტრეტი „ლენინი ისკრის“ შექმნის პერიოდში“ (ბრინჯაო. 1946—1947 წ.წ.

ტრეტიაკოვის სახ. გალერეა, და სხვ.), რომელიც ქართველმა ხალხმა მიუძღვნა ქ. მოსკოვის საიუბილეო საჩუქრად (მიენიჭა პირველი ხარისხის სტალინური პრემია). ორი წლის შემდეგ მოქანდაკე ამ პორტრეტის ახალ, უფრო სრულყოფილ ვარიანტს ჰკვეთს მარმარილოში (მიუძღვნა დიდ ბელადს მისი დაბადებიდან 70 წლის შესრულების გამო. ექსპონირებულია ი. სტალინის საჩუქრების გამოფენაზე).

„ლენინი „ისკრის“ შექმნის პერიოდში“ წარმოადგენს ი. ნიკოლაძის ერთერთ უშესანიშნავეს პორტრეტს. მასში ხელოვანი ძირითადად „დიადი ჰაბტუკისა“ და „ჩახრუხაძის“ შემოქმედებითი სიძლიერის სიმადლეზე დგას. ეს იყო მოქანდაკის უკანასკნელი, ამავე დროს ყველაზე ძლიერი ნაწარმოები ლენინისადმი მიძღვნილ ნამუშევრებს შორის.

ბრძენი ბელადი, კომუნისტური პარტიის შემქმნელი და თეორეტიკოსი, გენიალური მოაზროვნე — ასეთია ი. ნიკოლაძის ამ ნაწარმოების თემა. მოქანდაკე მეტად თავისებური გააზრებით და შესანიშნავი რეალისტური ოსტატობით ასახიერებს ამ თემას. ამ პორტრეტში ამეტყველებულია წყნარი, მშვიდი, მაგრამ მეტად ღრმა, შთაგონებული სახე ლენინისა — დიდი ბელადისა, და მოაზროვნისა, მეცნიერების კორიფეისა.

ლენინის ამ პორტრეტით დამთავრდა ი. ნიკოლაძის შემოქმედებითი ევოლუციის ყველაზე ბრწყინვალე პერიოდი, რომელიც „დიადი ჰაბტუკით“ დაიწყო. თუმცა 1949 — 1950 წლებში მოქანდა-

კის ატელიეში გამოჩნდა ორი ახალი პორტრეტიც აკადემიკოს ენ. მუხხელი-შვილისა და პროფ. ნ. ყუბტუშვილისა რამ მათი დამთავრება ხანდაზმულმა და უკვე დასნეულებულმა ხელოვანმა ველარ მოასწრო; დიდი ოსტატობით დაწყებული მხატვრული სახეები, რაც განსაკუთრებით პროფ. ყუფშიძის პორტრეტის შესახებ ითქმის, განუხორციელებელი დრამა. არ შესრულდა გამოჩენილი საბჭოთა ხელოვანის დიდი სურვილიც — შეექმნა ე. ჯულაშვილის პორტრეტი, „ქართველი დედის“ სახელწოდებით.

1950 წლის შემოდგომიდან იგი უკვე მძიმედ დაავადმყოფდა. თანდათან ქრებოდა მის თვალებში აღრინდელი სიხალისე და ცეცხლი. 1951 წლის თებერვლის უკანასკნელ დღეებში ხელოვანი აშკარად გრძნობდა მოახლოებულ დასასრულს. მას უკვე აღარ შეეძლო თავის მეგობრებთან უცრემლოდ საუბარი. „ყველაზე დიდი სილამაზე სიცოცხლე ყოფილა. ალბათ მეც ამიტომ დავეძებდი მას უსიცოცხლო თიხისა და ქვის ლოდებში... ყველანი ლამაზები ხართ, ვინც ცოცხლობთ, ლამაზები, მეტად ლამაზები“, — გვითხრა მან ურუანტელის მომგვრელი სინანულის გრძნობით, როდესაც იგი უკანასკნელად ვნახეთ რამდენიმე ამხანაგმა. ეს სიტყვები ცრემლებმა დაამთავრეს.

1951 წლის 10 მარტს, დილის 9 საათსა და 50 წუთზე სამუდამოდ შეწყდა დიდი ქართველი ხელოვანის მაჯის-ცემა.

## სახსოვრებელი სახლის ნაყოფიერი ფორმისათვის პრაქტიკურად



საბჭოთა კავშირის მრავალეროვნე-  
ბიანი ხელოვნების ისტორიაში, რომე-  
ლიც ერთიანია თავისი სოციალისტუ-  
რი შინაარსით, მაგრამ მრავალფერო-  
ვანია ნაციონალური ფორმებით, შეიძ-  
ლება გავარჩიოთ ამა თუ იმ რესპუბ-  
ლიკისათვის დამახასიათებელი, საინ-  
ტერესო თავისებურებანი ნაციონალუ-  
რი ფორმის განვითარებაში.

საბჭოთა არქიტექტურის განვითარე-  
ბაში წამყვან როლს ასრულებს რუსუ-  
ლი საბჭოთა არქიტექტურა, რომელიც  
რუსეთის კლასიკური ხუროთმოძღვრე-  
ბის საუკეთესო ტრადიციების უშუა-  
ლო მემკვიდრეა. რუსეთის ახალი, საბ-  
ჭოთა არქიტექტურის ჩამოყალიბებაში  
დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ არქი-  
ტექტორთა შემოქმედებას, რომლებიც  
რევოლუციამდე ხელოვნების მოღვა-  
წეთა პროგრესულ ფრთას ეკუთვნოდ-  
ნენ. ხუროთმოძღვრების დიდ ოსტა-  
ტებს — ა. შჩუსევს, მ. ფომინს, ი.  
ი. გოლტოვსკის, ვ. შჩუკოს და სხვებს  
დიდი გამოცდილება ჰქონდათ არქი-  
ტექტურული მემკვიდრეობის შესწავ-  
ლაში და მის შემოქმედებითს გამოყე-  
ნებაში.

სხვა მდგომარეობა იყო საქართვე-  
ლოში, სადაც საბჭოთა ხელისუფლე-  
ბის დამყარების შემდეგ პირველად  
დაისვა ამოცანა ხუროთმოძღვრულ  
ფორმათა ნაციონალური ენის აღდგე-  
ნისა, საჭირო გახდა ახალი ნაციონა-  
ლური ფორმის მოძებნა სოციალისტუ-  
რი შინაარსისათვის, ამასთანავე, რეს-  
პუბლიკას არ გააჩნდა ხუროთმოძღვ-

რთა ნაციონალური კადრები, ხოლო  
მემკვიდრეობა არც იყო შესწავლილი  
და თითქოს არაერთი გამოცდილება  
არ არსებობდა მისი გამოყენებისათვის.

თავისებური გზით ვითარდებოდა  
უკრაინისა და ბელორუსიის საბჭოთა  
რესპუბლიკების არქიტექტურა, სადაც  
მთელი ხელოვნების განვითარება  
ძველთაგანვე მკიდროდ იყო დაკავში-  
რებული რუსეთის ხელოვნების განვი-  
თარებასთან.

სულ სხვანაირად იდგა ნაციონალუ-  
რი არქიტექტურის შექმნის საკითხი იმ  
ხალხებისათვის, რომლებიც ოქტომბ-  
რის რევოლუციამდე მომთაბარე ცხოვ-  
რებას ეწეოდნენ და მხოლოდ ახლა  
შეუდგნენ ბინადრობას. მათ თითქმის  
არაერთი საშენებლო ტრადიციები  
არ გააჩნდათ, ამიტომ ისინი ნაციონა-  
ლური არქიტექტურის შექმნის პრო-  
ცესში ვერ დაეყრდნობოდნენ რაიმე ის-  
ტორიულად ჩამოყალიბებულ ხუროთ-  
მოძღვრულ ფორმებს. ამისათვის მათ  
თავისი კულტურის სხვა მხატვრული  
ტრადიციები უნდა გამოეყენებინათ.

ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ ნაციონ-  
ალური ფორმის ჩამოყალიბებისა და  
განვითარების თავისებურებანი ქარ-  
თულ საბჭოთა არქიტექტურაში საც-  
ხოვრებელი სახლების ხუროთმოძღვ-  
რების მაგალითებზე.

ქართული ხუროთმოძღვრების მრავალ-  
ვალრიცხოვანი ძეგლები მოწმობენ  
ძველი საქართველოს ხელოვნების მა-  
ღალ დონეს. ძველმა ქართველმა ხუ-  
როთმოძღვრებმა არა ერთი შედეგით

გამდიდრეს მსოფლიო ხელოვნების საგანძური. მაგრამ XIII საუკუნეში მონღოლთა ურდოების შემოსევებმა ააოხრეს და გაანაჩაგეს საქართველო, დასცეს ქვეყნის აყვავებული ხელოვნება. ეკონომიურმა ჩამორჩენილობამ, რომელიც უსასრულო ომების შედეგი იყო, უბირველეს ყოვლისა, საარქიტექტურო ხელოვნებას დაასვა დალი.

XIII საუკუნის შემდეგ ქართველ ოსტატებს არაერთი მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული ძეგლი შეუქმნიათ, მაგრამ მათი შემოქმედება ვეღარ აღწევდა წინა საუკუნეების დონეს და ზშირად აყვავების ხანაში ჩამოყალიბებული ხერხების ვარიაციებით იზღუდებოდა.

საქართველოს სამეფოს არსებობის უკანასკნელ წლებში ფეოდალური ზედაფენის ნაწილში შესამჩნევი ხდება სამხრეთის ძლიერი მეზობლების გავლენა. XVII—XVIII საუკუნეებს ფრაგმენტულად შენახულ ფეოდალურ სასახლეებში იგრძნობა ისლამური ხუროთმოძღვრების ცალკეული მოტავეების შემოჭრა, მაგრამ ეს გავლენა არ შეხებია ხალხის შემოქმედებას, — ხალხისა, რომლის ნათელი ხელოვნება, შემოქმედებითი ენერჯია და მაღალი ოსტატობა გამოვლინებულია გლეხის სახლის ხუროთმოძღვრებაში, იქნება ეს დასავლეთ საქართველოს მოხდენილი ხის სახლი, ქართლის დარბაზის გასაოცარი ინტერიერი, თუ სვანური სახლის მკაცრი მონუმენტურობა. მრავალრიცხოვანმა ომებმა ხუროთმოძღვრების მრავალი ძეგლი იმსხვერპლა, განსაკუთრებით კი საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები, რომლებიც უფრო მეტად იპყრობდნენ მძარცველთა ყურადღებას. ამიტომ არის, რომ ძველი ქართული ხუროთმოძღვრების სიმდიდრე ამჟამად წარმოდგენილია უმთავრესად საკულტო არქიტექტურის ძეგლებით — შესანიშნავი ტაძრებით, მონასტრების დიდებული ანსამბლებით.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ თბილისი კავკასიის ცენტრად გადაიქცა. რუსეთის იმპერატორებისათვის აგებული შენობები — მეფისნაცვლის სასახლე, ფოსტა, სასულიერო სემინარია, შტაბი, ჰაუბტგახტი და სხვ. იმდროინდელ რუსეთში გაბატონებული კლასიციზმის სტილს წარმოგვიდგენენ. ოფიციალურ შენობათა არქიტექტურულ სტილს არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა თბილისის სხვა ახალ ნაგებობებზეც. თავადაზნაურობისა და უმთავრესად კი მდიდარ მოქალაქეთა სახლები ახალი გეგმებით შენდებოდა. ამ სახლების არქიტექტურაში ჩანს მისწრაფება ახალი მოტივებისაკენ, სურვილი რუსული კლასიციზმის ფორმების გამოყენებისა.

ხის კოხტა აივნები ლამაზი მოაჯირებით და წერწყტი სვეტებით თბილისელ მოქალაქის სახლის არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ამ აივნებში კლასიკური ფორმები თამამად და ახლებურად არის გადმოცემული. აქ ვხედავთ კლასიკური ფორმებისა და ქართული არქიტექტურას ტრადიციული ხერხების პარონიულ შერწყმას, რის შედეგად შექმნილია სრულიად ორიგინალური „თბილისური“ ხუროთმოძღვრული სტილი.

ახალი არქიტექტურული ფორმები მარტო საქართველოს დედაქალაქში როდი გავრცელდა. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების პროვინციულ ქალაქებში მრავალი სახლი აშენდა, რომელთა არქიტექტურაში ვხედავთ ახალი სტილის ძლიერ გავლენას. თელავში, სიღნაღში, ქუთაისში, საჩხერეში და სხვაგან ახალი სტილით აშენებული სახლები მოწმობენ, რომ ხალხში მომწიფებული იყო მისწრაფება — მოენახათ საარქიტექტურო ხელოვნების განვითარების ახალი გზები.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან თბილისის არქიტექტურაში, ისევე როგორც რუსეთის იმპერიის სხვა ქალა-

ქებში, საგრძნობი ხდება კაპიტალისტური ქალაქისათვის დამახასიათებელი უპრინციპობა. „შემოსავლიან“ სახლების მყვირალა არქიტექტურამ განდევნა „თბილისური კლასიციზმის“ შენობები ქალაქის ცენტრიდან — ძველი თბილისის ვიწრო შესახვევებსა და შეკვებში. ქართული არქიტექტურის ბუნებრივი განვითარების ხაზი გაწყდა. არქიტექტორთა ნაციონალური კადრები საქართველოს თითქმის აღარ ჰყავდა. ნაციონალური ფორმის ძიების შესახებ ამ პერიოდში ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. ადგილობრივი კოლორიტის გამოსახატავად ინერგებოდა ცრუნსლამური სტილი, რომელიც, ამიერკავკასიის იმდროინდელი მმართველების აზრით, თბილისს საკმაოდ ეგზოტიკურ, „აღმოსავლურ“ ხასიათს ანიჭებდა (ქალაქის თვითმართველობა, ოპერა, მუზეუმის პირვანდელი ვარიანტი). ამ ფონზე გამონაკლისს წარმოადგენს არქ. ა. კალგინის ცდა, ალედგინა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ელემენტები სათავადაზნაურო ბანკის შენობის რომანტიკულ არქიტექტურაში. დიდმა სიყვარულმა ქართული ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობისადმი, ქართული არქიტექტურის ძეგლების გულდასმითმა შესწავლამ საშუალება მისცა ა. კალგინს შეექმნა მნიშვნელოვანი ნაწარმოები, საინტერესო ნიმუში ქართული მონუმენტური არქიტექტურის გამოყენებისა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პირველად დაისვა მთელი სიგრძე-სიგანით ნაპდვილად ნაციონალური არქიტექტურის შექმნის საკითხი. ხელოვნების ახალი სოციალისტური შინაარსი ნაციონალური ფორმით უნდა ამეტყველებულიყო. თუ ქართულ საბჭოთა ლიტერატურას ახალი ნაციონალური ფორმების შესაქმნელად შეეძლო გამოყენებინა ცოცხალი, მოქნილი და მრავალფეროვანი ქართული ენა, მუსიკას — შესანიშ-

ნავი ფოლკლორის დაუსრეტელი სიმდიდრე და ქართული კლასიკური მუსიკის დიდი ოსტატების გამოცდილება, მხატვრობას — ქართული მხატვრების საკმაოდ მდიდარი მემკვიდრეობა — არქიტექტურაში ასეთი შესაძლებლობები არ არსებობდა. ამ დარგში შექმნილი ტრადიციები ძალიან შორეულ ხანას ეკუთვნოდა, ხოლო უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში არქიტექტურაში მაღალმნიშვნელოვანი არაფერი არ შექმნილა და არც გამოჩენილი მოღვაწე გაზრდილა. ამიტომ იყო, რომ საბჭოთა საქართველოს ხუროთმოძღვრებას თვით უნდა შეექმნა ახალი ნაციონალური ენა, რომელიც გარკვეულ ქართულ ტრადიციებს უნდა დაყრდნობოდა და ამავე დროს, ნათელი და გასაგები იქნებოდა იგი თანამედროვეობისათვის. საჭირო იყო, აგრეთვე ხუროთმოძღვართა ნაციონალური კადრების აღზრდა.

ცხადი იყო, რომ არქიტექტორთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელიც ამ დროს საქართველოში მოღვაწეობდა და რომლის წინაშე პირველად წამოიჭრა ეს ძნელი ამოცანა, ამ ნაციონალური ენის შექმნაში ვერავითარ დახმარებას ვერ გაუწევდა XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის არქიტექტურა — უცხო და ხელოვნურად დანერგილი საქართველოს ქალაქებში. ბუნებრივია რომ უპირველესად ყოველისა, ყურადღებას იზიდავდა ძველი ქართული არქიტექტურის დიდებული ძეგლები, რომელთა მეცნიერული, გეგმაშეზომილი შესწავლაც ამ დროიდან იწყება. ხალხური შემოქმედება, ქართველი გლეხის სახლის მრავალფეროვნება და თბილისური კლასიციზმი, პირველ ხანებში, სათანადო ყურადღებას ვერ იპყრობს.

მაგრამ ძველი ქართული არქიტექტურის ტრადიციების გამოყენება დიდ შემოქმედებით მუშაობას მოითხოვდა და დიდ სიძნეელებთანაც იყო დაკავშირებული. როგორც აღნიშნული იყო, ძვე-

ლი საქართველოს მონუმენტური ხე-როთმოდღერება ძირითადად წარმოდგენილია საკულტო ხეროთმოდღერების ძეგლებით. ფუნქციური დანიშნულების შეზღუდულობამ გარკვეული დიდი და-ასეა ამ შენობათა შიდა და გარეთა არქიტექტურას. ერთისა და იმავე ამოცანის გადაჭრისათვის ნახშირი ხერხების მრავალფეროვანება ძველ ქართველ ხეროთმოდღერათა დიდ შემოქმედებით ძალას მოწმობს; ტექნიკური და მხატვრული სახის ერთიანობა, პროპორციის მძაფრი გრძნობა, შენობის მოხერხებუ-ლი ჩართვა პეიზაჟში და დეკორაციუ-ლი მორთულობის შესრულების მაღალი ოსტატობა ახასიათებს ქართულ ხეროთმოდღერებას, მისი აყვავების პერიოდებში. მიუხედავად ამისა, თემის იდეური შინაარსის შეზღუდულობას არ შეეძლო არ შეეზღუდა ხეროთმოდღერის მხატვრული ხერხებიც. ქართულ ხეროთმოდღერებას აქვს ბრწყინვალე, შეიძლება ითქვას, შეუღარებელი მაგალითები კედლის არქიტექტურის გადაწყვეტისა, მაგრამ ამავე დროს მას არ მოეპოვება კარკასული გადაწყვეტის თითქმის არცერთი მაგალითი.

თანამედროვე საცხოვრებელი სახლის ან ადმინისტრაციული შენობის კედლის სიბრტყე დაცხრილულია კარ-ფანჯრე-ბით. მოცულობის მდიდარ შეფარდებათა შესაძლებლობა უმეტეს შემთხვევაში ძალიან შეზღუდულია. ამიტომ, როგორც კედლის სიბრტყის დამუშავების ხერხებში, ისე მთელი შენობის მოცულობის კომპოზიციაში, ძნელია მოენახოთ შეხების წერტილები თანამედროვე საცხოვრებელი სახლისა — ძველი ქართული მონუმენტური ძეგლების არქიტექტურასთან. იქ კედლის დიდი და ძლიერი სიბრტყეა, რომელზედაც სარკმლები მხოლოდ განცალკევებულ ლაქებსა ქმნიან და ხაზს უსვამენ სიბრტყის სიდიადესა და ერთიანობას; ამ ერთიანობას არც მოჩუქურთმებულ-ცხო-

ველხატული ლაქების თავისუფალი კომპოზიცია არღვევს. თანამედროვე შენობაში კედელი გაჭრილია მრავალფერულ სებად განლაგებული ფანჯრების მჭკრი-ვებით. ძველ ძეგლებს ახასიათებს მოცულობათა მდიდარი შეფარდებანი, თავისუფლად მდგომი შენობის სკულპტურულად გამოჩაკეთული სახე, თანამედროვე სახლის კი უფრო ხშირად მხოლოდ ერთი სიბრტყე სხვა შენობათა რიგში ჩამდგარი სახლის ფასადისა; აქ სივრცობრივი კომპოზიცია იქმნება მხოლოდ საქალაქო სახლების კომპლექსის დიდ ანსამბლში.

ამიტომ შეუძლებელი იყო რაიმე მზანიშეშების გამოყენება თანამედროვე არქიტექტურაში. უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო ძველი ქართული ხეროთმოდღერების ღრმა შესწავლა, მისი განვითარების კანონზომიერების დადგენა და სტილისტიკურ თავისებურებათა გარკვევა მისი ისტორიის სხვადასხვა ეტაპებზე. ახალი ნაციონალური ხეროთმოდღერული ფორმის შექმნა შესაძლებელი იყო ნაციონალური არქიტექტურის ფორმების წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერების ღრმად გაგების საფუძველზე.

საჭირო იყო, აგრეთვე, ხალხური არქიტექტურის შესწავლა, რადგან მხოლოდ აქ შეიძლება მოინახოს ძველი საერო ხეროთმოდღერების ტრადიციების კვალი.

პირველი დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ დაავალა საქართველოს არქიტექტორებს, იყო დიდი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა თბილისის ტრამვაის მუშებისათვის. ეს კომპლექსი არ უნდა ყოფილიყო მდიდარი კაპიტალისტის სახლი — სასახლე, არც „შემოსავლიანი“ სახლი დიდი და მოუხერხებელი ბინებით და არც ღამის გასათევი ყაზარმა, რომელსაც მუშებისათვის აგებდნენ წინათ. უნდა

აშენებულებით საცხოვრებელი სახლები რომელშიც მუშის ოჯახს მოხერხებული და კეთილმოწყობილი ბინა მიეცემოდა. თვით ეს პრობლემა — მთელი კვარტალის ერთდროული და გეგმიანი განაშენიანება — სრულიად ახალი და უჩვეულო იყო.

თუ კი ფუნქციური ამოცანის გადაწყვეტაში პროექტის ავტორს არქიტექტორ ჩისლიევს დაეხმარებოდა რუსეთის ანალოგიური მშენებლობის გამოცდილება, გარეგანი გამომეტყველების პრობლემის გადასაჭრელად — მოცემული შინაარსის შესაფერისი არქიტექტურული ფორმის მოსაძებნად მას თვითონ უნდა გამოენახა გზები. მან ეს ამოცანა დაისახა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ გადასწყვიტა რადგან იგი მხოლოდ ზერელებდ იცნობდა ქართულ ხუროთმოძღვრულ მემკვიდრეობას. მას ხელთაჰქონდა ზოგიერთი ძეგლის ფოტოები ან ჩანახატები და ამ მასალებიდან ამოკრიფა ცალკეული ორნამენტები და მოტივები, რომელთა ხელოვნური შეკაშივებით ცდილობდა ნაციონალურ სტილის შექმნას. იგი შეეცადა მონუმენტალური არქიტექტურული ძეგლების მსგავსად ამ საცხოვრებელი სახლებისთვისაც მონუმენტური ფორმა მიეცა. მსხვილი და მჭიმე პილონები, რომელთაც ძველად დიდი მასივების დასამაგრებლად იყენებდნენ, მან შეუყენა აივნებს და ზევიდან უშნო, ატექტონიკური სამყურა თაღებით გადახურა. ეს მოტივი თბილისური აივნების ხის მსუბუქი თაღებიდან უნდა იყოს გადმოღებული, მაგრამ მჭიმე და შეუფერებელ მასალაში — ბეტონში მექანიკურად გადატანილმა — მან დაჰკარგა შნო და ლაზათი. აივნების მასივური მოაჯირები შემკულია ბეტონით შესრულებულ სხვადასხვა სტილის ჩუქურთმებით.

ამრიგად, მონუმენტური არქიტექტურის ძეგლების მოტივების მექანიკურმა გამოყენებამ შექმნა უსიციოცხლო და

გულჩათხრობილი სახეები, რომლებიც არც მოხუმენტურ და არც ხალხურ ქართულ ხუროთმოძღვრულებს ეხსენებებს, და, რაც მთავარია, პირდაპირ ეწინააღმდეგებიან საცხოვრებელი სახლის შინაარსს.

ამგვარსავე შეცდომებს ვხვდებით კიდევ ერთ საცხოვრებელ სახლში, რომელიც დაახლოებით ამავე დროს აშენდა ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების გზაჯვარედინზე. ეს ორი მაგალითი თვალნათლივ გვიჩვენებს, იმას, თუ, როგორ არასასურველ შედეგს იძლევა არქიტექტურის მიერ ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ფორმების გამოყენება, როცა იგი მხოლოდ ზერელებდ იცნობს ხუროთმოძღვრების ძეგლებს, ვერ ერკვევა ქართული ძეგლების არქიტექტურული კომპოზიციის პრინციპებში და არ იცის ქართული ჩუქურთმის გამოყენების თავისებურებანი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის სხვადასხვა ეტაპებზე.

ამავე დროს მხოლოდ ნაციონალურ ფორმების წრეში ჩაეკეტა, მსოფლიო კლასიკური ხუროთმოძღვრების გამოცდილებისათვის გვერდის ავლა აღარბეებს მხატვრის პალიტრას, არქაულობას ანიჭებს ხუროთმოძღვრულ ნაწარმოებს, აშორებს მას თანამედროვეობას.

ამ შეცდომებმა გარკვეული უნდობლობა გამოიწვიეს ნაციონალური ხუროთმოძღვრული სტილის ძიებისადმი. მიუხედავად იმისა, რომ არქიტექტორმა ნ. სევეროვმა საქართველოს მუზეუმის ფასადის შექმნით თითქოს დაამტკიცა, რომ ძველი სკქართველოს მონუმენტური ხუროთმოძღვრების ფორმების გააზრებულმა და შემოქმედებითმა გამოყენებამ შეიძლება ფრიად დადებითი შედეგები გამოიღოს, მაინც ერთგვარი უნდობლობა ძალაში რჩებოდა და არავინ ცდილობდა ნაციონალურ ფორმებში გამოეხატა საცხოვრებელი სახლის შინაარსი.

ჩვენ არ შევხებით ხანმოკლე გატაცებას კონსტრუქტივიზმით, რომელმაც სამწუხარო შემკვიდრება დაგვიტოვა რამდენიმე მახიხჯი, კოლოფისებური სახლის სახით. განვიხილოთ ისეთი მაგალითები, სადაც არქიტექტორი გარკვეულ მხატვრულ ამოცანას ისახავდა, სადაც შეგვიძლია დავინახოთ საცხოვრებელი სახლის სახის შემოქმედებითი ძიება.

1935 წ. თბილისში პლენარის პროსპექტზე ააშენეს დიდი საცხოვრებელი სახლი, რომელმაც თავის დროზე არქიტექტურული საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ამ სახლის ფასადის მკაცრ, სიმეტრიულ კომპოზიციაში ხაზგასმულია გვერდის ნაწილებზე ერთი სართულით ამალეხებული ცენტრი — დიდი, ეზოში შესასვლელი თალით და პლასტიკურად დამუშავებული კედლის სიბრტყით. ცენტრალური თალის, სამეოთხედოვანი იონიური კოლონები აივნები, კუთხეების რუსტები და სხვა დეტალები დამუშავებულია ხეროთმოდერული კლასიკის კარგი ცოდნით, რაც გამჟღავნებულია აგრეთვე ამ დეტალების შეხმატებლებში და მთელი შენობის მოცულობათა კომპოზიციაშიც. ამ სახლის ავტორმა არქიტექტორმა მ. კალაშნიკოვმა ბევრი დრო და შრომა შესწირა ძველი ქართული და ხალხური ხეროთმოდერების ძეგლების შესწავლას; მაგრამ, როგორც ჩანს, თავის წინამორბედთა მარცხით შეშინებულმა, მან უარი თქვა ამ მასალის გამოყენებაზე და კლასიკური ხეროთმოდერების მზა რეცეპტების გამოყენების უფრო იოლი გზა აირჩია.

მეორე, კიდევ უფრო დიდი შენობა ააშენეს არქიტექტორების — ჭურდიანის, ს. ყუბანეიშვილის და მ. მელიას პროექტით — რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში, ბერძან სახელობის მოედანთან. ამ სახლს მთელი კვარტალი უკავია. მისი ფასადი, ერთი მხრით, ამოლოებს ქალაქის მთავარი მაგისტრა-

ლის პერსპექტივას, ხოლო, მეორე მხრით, ბერძან მოედანზე გადის. ამ ადგილის მნიშვნელობის შესწავლისათვის ტორებმა შექმნეს წარმოსადეგი ფასადი, რომელიც მდიდრულად არის შემკული კომპოზიციური ორდერის პილასტრებით და კოლონებით. დაჩრდილული ლოჯიები, კედლის ღრმა დანაწიბურება, ფანჯრის არშიების, სათაურების და კარნიშების პლასტიკური დამუშავება ჰქმნის ჩრდილ-სინათლის ცხოველხატულ ეფექტს. აქაც საზეიმო ფასადის შექმნის ამოცანა გადაწყვეტილია, მაგრამ არც აქ ვხედავთ ნაციონალური ფორმების გამოყენების რაიმე ცდას.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე ამ სახლის არქიტექტურაში ავტორებმა ბევრი შრომა და ცოდნა ჩააქსოვეს, მაინც მათ ვერ შექმნეს ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიც შინაარსი ნაციონალურ ფორმაში, ე. ი. ხალხისათვის ყველაზე მისაწვდომ ფორმაში იქნებოდა გადმოცემული.

ეს სახლები შეიძლება გადავდგათ საბჭოთა კავშირის რომელიმე სხვა ქალაქში და იქაც ისინი მდიდრულად გადაწყვეტილი კარგი შენობების ისეთივე შთაბეჭდილებას დასტოვებენ, როგორც თბილისში — მაგრამ ისინი, ამავე დროს არაფრით არ უკავშირებიან ამ ქალაქს.

სწორედ იმიტომ, რომ ამ მაგალითებში სრულიად უარყოფილია ნაციონალური ფორმების გამოყენება, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ამ სახლებმა ქართული საბჭოთა არქიტექტურის შემდგომი განვითარების სწორი გზა დასახეს. პირიქით, ამ სახლების არქიტექტურამ ცხადყო, რომ ნაციონალური ფორმის ძიების უარყოფას მოჰყვება განყენებული კლასიკური სქემები და არსებითად ისეთივე მარცხი, როგორც მოჰყვება ნაციონალური შემკვიდრების უკრიტიკო გამოყენებას.

ერთ შემთხვევაში მარცხის მიზეზი იმაშია, რომ თანამედროვე საცხოვრებელი სახლის არქიტექტურაში ცდილობდნენ უკრიტიკოდ დაენერგათ მხოლოდ ძველი ქართული მონუმენტური ხუროთმოძღვრების ფორმები, მეორე შემთხვევაში კი მარცხის მიზეზია არქიტექტურულ კლასიკის კანონების მუდმივობის რწმენა, მზა ნიმუშებისა და უვრაცების უკრიტიკოდ გამოყენება.

საცხოვრებელი სახლის თემის შემდგომ გახვითარებას ჩვენ ვხედავთ ეგრეთ წოდებულ ასბინიან სახლში გმირთა მოედანზე, ეს საყურადღებო შენობა წამყვანია ახალი მოედნის ანსამბლში, საქალაქო მოძრაობის მნიშვნელოვან კვანძზე. არქიტექტორებმა მ. კალაშნიკოვმა და ნ. სევეროვმა დიდი ოსტატობა გამოიჩინეს გრძელ და მოედნისაკენ გამოხნივით ფასადის კომპოზიციაში. ავტორებმა მოედნის შემოსასვლელს ხაზი გაუსვეს თერთმეტსართულიანი კოშკით და შეიღსართულიანი ნაწილის გრძელი ფრონტი დაანაწევრეს ისე, რომ შეჰქმნეს ერთიანი კომპოზიციის ურთიერთდაკავშირებული და ამავდროს სხვადასხვანაირად გადაწყვეტილი ნაწილები. ამ შენობაშიც უხვად არის გამოყენებული კლასიკური ფორმები, მაგრამ ამასთან ერთად გადაწყვეტაში ისეთი ახალი მოტივებია შეტანილი, რომლებმაც სულ სხვა ელფერი მისცა მთელ არქიტექტურას. ეს სიახლე განსაკუთრებით საგრძნობია კოშკისა და მისი მოსაზღვრე ფასადის გადაწყვეტაში. მსუბუქი, სამსართულიანი დაკიდებული აივნები, რომლებიც ამკობენ შეიღსართულიანი კედლის სადა, გლუვ ზედაპირს, და ამ აივნების ვიწრო და მაღალი სვეტების ორდერი ძველი თბილისის საცხოვრებელი სახლების მოტივებით არიან ნაკარნახევი. ეს ელემენტები კარგად ეგუებიან დიდი საზეიმო შენობის არქიტექტურას. კოშკის მკვეთრი დანაწევრება ვერტიკალური მიმართულებით ფართო და ღრმა აივ-

ნებით აგრეთვე ანარეკლია თბილისური სახლების ეზოს ფასადების მრავალბარუსიან დანაწევრებისა. ამ შემთხვევაში ხუროთმოძღვარმა (მართალია) არ გამოიყენა ძველი ქართული მონუმენტური ხუროთმოძღვრების ფორმები, მაგრამ მიმართა სხვა წყაროს — ხალხურ შემოქმედებას, რომელმაც უთუოდ შეინახა ქართული სამოქალაქო არქიტექტურის გარკვეული ტრადიციები.

ამ წყაროს შემოქმედებითა გამოყენებამ, კლასიკური და ნაციონალური ხერხების ოსტატურმა შეხამებამ საშუალება მისცა ავტორებს საყურადღებო ნაბიჯი გადაედგათ საბჭოთა საქართველოს თანამედროვე საცხოვრებელი სახლის სახის შექმნის გზაზე.

მეორე საცხოვრებელი სახლი, რომელიც აგრეთვე აღნიშნავს მნიშვნელოვან ეტაპს ქართული არქიტექტურის განვითარებაში, აგებულია არქიტექტორების — გ. ჯანდიერის, ა. ქურდიანის და ს. დემინელის პროექტით ბარათაშვილის ქუჩაზე. ამ შენობის მოცულობების კომპოზიცია შესდგება ხაზგასმულ და ამალღებულ ცენტრისაგან, რომელიც ოდნავ დაწეულია განაშენიანების წითელი ხაზიდან, და გვერდის გრძელი ნაწილებისაგან, რომელთა დიდი სიბრტყეები მორთულია პატარა, დაკიდებული აივნებით. ცენტრალური თაღის თავისებური ფორმა და დამუშავება, დეკორაციული მოტივი ამ თაღის ზემოთ, აივნების წვრილი სვეტების პროპორციები, კარნიზის გადაწყვეტა ყველაფერი ეს მკვეთრად გამოვლინებულ ნაციონალურ ხასიათს ანიჭებს ამ სახლს. ავტორებმა თამამად გამოიყენეს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ორნამენტული მოტივებიც და ხალხური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურის დეკორაციული ელემენტებიც. ამ ელემენტების შემოქმედებითა გადამუშავებამ, საცხოვრებელი სახლის თემის სწორმა გაგებამ, ტრადიციულ

ფორმათა გაბედულმა გარდაქმნამ საშუალება მისცა ავტორებს შეექმნათ საცხოვრებელი თანამედროვე საცხოვრებელი სახლი პარადული და საზეიმო, გარკვეულად ნაციონალური სახის მქონე და, ამავე დროს, არქაიზმის რაიმე ნიშნებისაგან თავისუფალი.

თუ ამ ორ სახლს შევადარებთ, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ პირველში არქიტექტურული კლასიკა სწარბობს, ნაციონალური მოტივები მოცემულია მსუბუქი, შესაძლებელია, მეტისმეტად გაუბედავი შტრიხებით. მაგრამ თბილისის ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობით შთაგონებული ეს შტრიხები საქმარისი იყო, რომ სახლს დაეკარგა ცივი ოფიციალურობა და თბილისური იერი მონიჭებოდა. პირიქით, ბრაზთაშვილის ქუჩაზე კლასიკური ხუროთმოძღვრება გამოყენებულია მხოლოდ. როგორც საერთო კომპოზიციის საფუძველი, ეროვნული მოტივები კი ძლიერ არის ხაზგასმული, როგორც დეტალების დამუშავებაში, ისე ცალკეულ კომპოზიციურ კვანძების გადაწყვეტაში, რამაც შენობის არქიტექტურას ოდნავ ეგზოტიკური ელფერი მისცა.

ომისშემდგომი ბინათმშენებლობა საქართველოში ორი მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა: არქიტექტორ ა. მიმინოშვილის მიერ აშენებული სახლი მარტის ქუჩაზე და არქიტექტორ მელიას მერ შექმნილი საცხოვრებელი სახლების ანსამბლი პლენხანოვის პროსპექტზე სტალინური პრემიებით იქნა დაჯილდოვებული. სტალინური ხუთწლეულების მშენებლობის გამოცდილებამ, საბჭოთა აქიტექტურის განვითარების განვლილმა გზამ, ჩვენი პარტიის სახელმძღვანელო მითითებებმა ხელოვნების საკითხებში შექმნეს მტკიცე საფუძველი საბჭოთა საქართველოს ხუროთმოძღვრების შემდგომი განვითარებისა და აყვავებისათვის. ამ დროისათვის საგრძნობი ნაბიჯები გადაიდგა ქართული ხუროთმოძღვრების ისტო-

რიის შესწავლის საქმეში და გაიორკვა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ევოლუციის ამა თუ იმ მსგავსებების დამახასიათებელი სტილისტიკური თავისებურებანი; რამდენიმე საყურადღებო გამოკვლევა იქნა ჩატარებული ხალხური ხუროთმოძღვრების შესასწავლად.

სოციალისტური რეალიზმის მეთოდი ჩვენი არქიტექტორების ძირითადი მეთოდი გახდა.

საცხოვრებელი სახლი მარტის ქუჩაზე არცთუ დიდი შენობაა, მის ხუთსართულში სულ ათი ბინაა მოთავსებული. მაგრამ, მიუხედავად მცირე ზომებისა, ეს შენობა იძლევა საცხოვრებელი სახლის მშვიდსა და მთლიან სურათს. კლასიკური და ქართული ნაციონალური ფორმების ჰარმონიულმა შეთანხმებამ, ავტორის მიერ ყოველი დეტალის სიყვარულით დამუშავებამ, შესანიშნავმა მასალამ, რომელიც კედლების მოსაპირკეთებლად არის გამოყენებული ამ ნაწარმოებს დამსახურებული გამარჯვება მოუპოვა. საცხოვრებელი სახლის აქიტექტურის განვითარების იმ სწორმა ხაზმა, რომელიც ჯერ კიდევ სამამულო ომის წინა პერიოდში ჩაისახა, და რომელიც მდგომარეობს არქიტექტურული კლასიკის საუკეთესო ტრადიციებისა და ეროვნული ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის მთელი სიმდიდრის შეთანხმებულ გამოყენებაში, ქართული საბჭოთა არქიტექტურის ამ ქმნილებაში კარგი გამოხატულება პოვა.

არქიტექტორ მელიას პროექტით აშენებული სახლები საყურადღებო ანსამბლს ქმნიან თბილისის მნიშვნელოვან მაგისტრალზე. ორი საცხოვრებელი სახლის, ერთი შეხედვით მკაცრი სიმეტრია გაცხოველებულია ფაქიზი, ნიუანსური ცვლილებებით დაპირისპირებულ ფასადებში. სიმეტრიული კომპოზიციის სიმკაცრის ასეთი ცხოველხატული დარღვევა ხშირად გვხვდება

ძველ ქართულ მონუმენტურ ხუროთ-  
მოდღერებაში.

შენობების დეკორაციული მორთუ-  
ლობა ორიგინალურად გადაწყვეტილ  
კარნიზიდან დაწყებული, ფანჯრების  
ნატიფი საპირეებისა და აივნების რკი-  
ნის მოაჯირებით დამთავრებული, თბი-  
ლისური არქიტექტურის თავისებურე-  
ბის გრძნობით არის გამსჭვალული.  
მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი  
გამოყენებული მოტივი არ იმეორებს  
რაიმე ცნობილ კლასიკურ, ან ძველი  
ქართული ხუროთმოდღერების მოტი-  
ვებს, იგრძნობა, რომ ავტორისათვის  
ერთიცა და მეორეც კარგად არის ცნო-  
ბილი.

არქიტექტორების მელისა და მიმი-  
ნოშვილის წარმატება აიხსნება იმით,  
რომ მათ კარგად შეითვისეს ქართული  
საბჭოთა არქიტექტურის განვლილი  
ეტაპების გაკვეთილები და მოსკოვისა  
და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების  
ხუროთმოდღერათა გამოცდილება.

შემოთმომყვანილი მაგალითები, რასა-  
კვირეელია, არ ამოსწურავენ ჩვენი  
საცხოვრებელი სახლების არქიტექტუ-  
რის მიღწევებს. არქიტექტურის საყუ-  
რადლებო ნიშნუები გვაქვს აგრეთვე  
ახალ საცხოვრებელ სახლებში ლენინის,  
უნივერსიტეტისა და ჩელუსკინელთა  
ქუჩებზე, მაგრამ განსაკუთრებით აღსა-  
ნიშნავია არქიტექტორ ი. ჩხენკელის  
პროექტით აშენებული სახლი პლენა-  
ნოვის პროსპექტზე, რომელიც გამოი-  
ყოფა ნაციონალური მოტივების ორი-  
გინალური და გაბედული ინტერპრეტა-  
ციით. დიდი, ფერადოვანი, მოჩუქურთ-  
მებული ლაქა ფასადზე, მთელი კომპო-  
ზიციის ხალისიანობა და სასიამოვნო  
პროპორციები, სიახლის — გრძნობა  
ის თვისებებია, რომლებიც აუცილებ-  
ლად იზიდავენ ყურადღებას ამ სახლი-  
საყენ.

ქართველმა არქიტექტორებმა უარ-  
ყვეს ის ორი უკიდურესობა, რომელიც  
ახასიათებდა ქართული საბჭოთა არქი-

ტექტურის გახვითარების პირველ ეტა-  
პებს — ერთი მხრით ძველ, ქართული  
ხუროთმოდღერების ფერმებისა და ფარ-  
ნამენტული მოტივების უკრიტიკო გად-  
მოღება, ნაციონალურ ფორმათა შეზღუ-  
დულ წრეში ჩაკეტვა, რასაც ჩვენი ეპო-  
ქისათვის უცხო არქაიზმისაკენ მიყუ-  
ვართ, და მეორე მხრივ — „უერაყული“  
პროექტირება კლასიკის „ურყევ“ კანო-  
ნების მიხედვით, რასაც თავისი გარეგ-  
ნული გამოხატულებით უთვისტომო  
არქიტექტურისაკენ მიყუევართ.

მაგრამ ახლაც ხანდახან შევხვდებით  
ხუროთმოდღერული მემკვიდრეობის  
როლის შეუფასებლობას. ამ მემკვიდ-  
რეობის გამოყენება ჩვენ უნდა გვესმო-  
დეს, როგორც შემოქმედებითი გადა-  
მუშავება, როგორც ნაციონალური ხუ-  
როთმოდღერების ტრადიციების შემდგო-  
ში განვითარება, მსოფლიო არქიტექტო-  
რული კლასიკის საუკეთესო მიღწეე-  
ბის შეთვისება.

ჩვენი არქიტექტორები ჯერ კიდევ  
გაურბიან კარკასულ გადაწყვეტას, ორ-  
დერის შექმნის პრობლემაც მათი ძიე-  
ბის სფეროს გარეშეა დარჩენილი. თალი  
ნაციონალური ფორმის სავალდებულო  
ატრიბუტად გადაიქცა, არქიტრაციული  
გადახურვის გამოყენებას კი იშვიათად  
ეხვდებით. კომპოზიციურ შესაძლებლო-  
ბათა ასეთ შეზღუდვას შეუძლია მხო-  
ლოდ ზიანი მიაყენოს ქართული არქი-  
ტექტურის შემდგომ პროგრესს.

არქიტექტორები დიდი ყურადღებით  
უნდა აკვირდებოდნენ იმ ცვლილებებს  
ჩვენი ხალხური საცხოვრებელი სახლის  
არქიტექტურაში, რომლებიც გამოხატა-  
ვენ ხალხის ახალ მოთხოვნილებებს,  
ცვლილებებს მის გემოვნებასა და ესთე-  
ტიკურ შეხედულებებში.

ბევრი რამ არის კიდევ გასაკეთებელი  
პროფესიული ოსტატობის ასამაღლებ-  
ლად, რის გარეშეც შეუძლებელია ჩვე-  
ნი ხუროთმოდღერების ღრმა შინაარსია-  
ნობის შედღელება ხუროთმოდღერული  
ფორმის სრულყოფილობასთან. არქი-

ტიქტურულ ანსამბლის საკითხები ჯერ კიდევ ვერ იპყრობენ სათანადო ყურადღებას. ზოგიერთი საცხოვრებელი სახლის უარყოფითი მხარე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის აგებულია ისე, რომ ანგარიში არ აქვს გაწეული გარემოცვას და ქუჩის შემდგომი განაშენიანების ამოცანას; სრულყოფილი არქიტექტურის შექმნა კი შეუძლებელია

ანსამბლის გარეშე, რომელშიც უნდა გამოვეყოთ მთავარი მეორეხარისხოვანი-სგან, ცალკე შენობის არქიტექტურა უნდა დავუმორჩილოთ საერთო საქალაქთმშენებლო ამოცანას.

საბჭოთა საქართველოს არქიტექტორებმა უფრო უნდა აამაღლონ თავიანთი ოსტატობა და დაეუფლონ ზუროთ-მოძღვრების ხელოვნების მწვერვალებს.

# ბიბლიოგრაფია



## სიმღერები საზოგადოებაში, მშვიდობაში და მშვიდობაში



გასულ წელს გამოცემულმა „საბჭოთა მუ-  
რალმა“ გამოცემა გიორგი ლეონიძის ლექსებს  
ერთობილი. პოეტი თავის პირველ სიმღე-  
რას უძღვნის დიდ სტალინს. იგი საბჭოთა  
ხალხის გულსთქმას გამოხატავს, როდესაც ამ-  
ბობს:

ბომლის მთა, ბომლის ვარსკვლავის. —  
ახე ამბობენ, სწორია,  
შენი თავსმდგომი ვარსკვლავი  
თვალთ ვის განუწონია.  
შენებარ ვარსკვლავი, ბელადო,  
ცამ როგორ ააფერადოს!  
შენვე ხარ სწორი შენივე,  
შენთვის სხივ-მოსაფენადი,  
შენი სადარა ვარსკვლავი  
ცაში არ არის, ბელადო.

პოეტი მღელვარე ველითა და დიდი სიყვარ-  
რულით აღიღებს იმ ადგილს, სადაც დაიბადა,  
აყვანი დაერწა და აღიზარდა დიდი სტალინი.  
მალაშხატერულად გვიხატავს იგი უკვდავ  
ლენინის შარად დღეფიქარ სახეს. [„ლენინის  
საქართველოში“].

პოეტს არა სწამს სხვა ნეტარება და სხვა  
ბედნიერება თუ არა ის, რომ იზრძოლოს და  
იხსოვროს სტალინური საშობლოს აყვავები-  
სათვის, კომუნისტების გამარჯვებისათვის. ამ-  
ტომ წედება მკითხველს გულის სიღრმეში პო-  
ეტის სიტყვები:

მე შევარებია ლურჯ ყანებში ყაყაოები,  
მე ვარდიც მიყვარს,  
უფრო მიყვარს ქარიშხლის შეხლა,  
მაგრამ უმეტეს ოცნებებზე მე მიყვარს  
ვხლა  
საქართველოში კომუნისტების ხარაოები.

გ. ლეონიძე ღრმად არის დარწმუნებული იმაში.  
რომ ჩვენს ნათელსა და შიან დღეს ვერაი-  
თარი ბნელი ძალა ვერ ჩამოაღიმებს, საბჭოთა  
ხალხის თავდადებულ ბრძოლასა და შრომას

ქვეყნის აღორძინების საქმეში მტარვლი ვერ  
შეაჩერებს. ამ მალალი შეგნებოდან გამოდის  
გ. ლეონიძე, როცა პოეტური შთაგონებით უზ-  
ღერის ჩვენს საყვარელ თბილისს. პოეტს შე-  
მოქმედებით ძალასა და სიხარულს მატებს  
ყველაფერი, რაც ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის  
წინსვლის საქმეს. ამიტომ უმეტეს იგი გულ-  
მართლად რაიკომის მდივანს, რომელშიაც პო-  
ეტი სამართლიანად ხედავს ლენინ-სტალინის  
პარტიის იდეების განხორციელებისათვის  
მტკიცე მებრძოლს.

ლექსში „რაიკომის მდივანი“ პოეტს შხატე-  
რული სიმართლით აქვს გამოყვებითი რაიკო-  
მის მდივანს მტკიცე მიზიდველი და ტიპური  
სახე.

დემოკრატიული უნგრეთის ცხოვრებასა და  
შვიდობაზე დაწერილი ლექსებით პოეტმა კი-  
დნე უფრო გამაღიძრა ქართული ლიტერატუ-  
რა და ვაღარმავა მისი ინტერნაციონალური  
შინაარსი. ამის შესახებ ნათლად შევხველ-  
ბენ ლექსები: „ელიენ სტალინი“, „ქერამის  
წყალი“, „რომ გამზდარიყო ვარსკვლავად“,  
„ელიოშო“, „დიულა“, „ბუდაპეტის პიონერ-  
თა ბანაკში“, „ვენახი ბალიონში“, „ბუდა-  
პეტის პიროდრომზე, წამოსვლისას“, „შენს  
სადღევრძელით, ვასამარჯვებლად“, „ხორტის  
სასახლე ბუდაპეტში“, „ჩებელის მეშა“, „სი-  
ტყეას ამბობს იანოში“ და სხვ. ამ პოეტურ  
წარამოგებებში ავტორმა მხატვრული სიმართ-  
ლით გამოხატა დღევანდელი დემოკრატიული  
უნგრეთის მეშათა კლასის, მშრომელი გლეხო-  
ბის, ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის  
ბრძოლა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

პოეტი ნათლად გამოხატავს უნგრელი ხალ-  
ხის უდალეს სიყვარულს დიდი სტალინისადმი.  
ყოველი მხრიდან გაისმის დიდი ბელადის საღ-  
დებელი ხმები: „ელიენ სტალინი“. ავტორი  
ორიგინალურად გადმოვეცემს ახალი უნგრე-  
თის მშრომელთა ცხოვრებაში მომზდარ დიდ  
სოციალურ-პოლიტიკურ გარდატეხას.

გლებთა ყრილობა მიწას იყოფდა  
 ბედნიერებით ის იყო მთვრალი  
 მე მიველოცე, ქედებს ისროდნენ,  
 შემომპაზოდნენ: — ელიენ სტალინი!

სხარტად, მკვეთრად არის ამ სტრიქონებში  
 გამოხატული ახალი უნგრეთის გლებობის  
 მძლავრი ლტოლვა სოციალური წყობილების  
 დამკვიდრებისათვის.

უნგრელი ხალხის მთელს ცხოვრებაში  
 დღემდე არის შესული დიდი სტალინის სახელი.  
 ყველგან. — ჩეხელის მეშუბში, გლებთა ფარ-  
 თო მასებში, ახალგაზრდობაში და პიონერებ-  
 ში სიცოცხლის წყაროსავით გაისმის „ელიენ  
 სტალინი“. უნგრელი ხალხის საყვარელი შუა-  
 ლის, დიდი რევოლუციონერი შვერლის პეტე-  
 ფის შექმნილი ნარი ძველი, გულერტის მთა,  
 დენაის ზვირთი და უნგრეთის მთლიანად  
 ცა თითქოს ერთად გაიძახიან „ელიენ სტალინი“.  
 მთებისა და ველების ხმას უნგრელი ხალხის  
 ხმა შეერთებია და ყოველმხრივ გაისმის  
 „ელიენ სტალინი“.

პოეტმა ამ ლექსის თვითველ სტროფში  
 მთელი სისასით აღბეჭდა და შკაფიოდ, ცხო-  
 ველმოყოფად გამოყვითა დიდი სტალინის სა-  
 ყვარელი სახე.

ბრწყინვალედ გამოაქანდაცა გ. ლეონიქმ  
 აგრეთვე დიდი რევოლუციონერი შემომკმე-  
 დის პეტეფის მხატვრული სახე:

სულს ფრთად აძლედა სამშობლოს,  
 გულს — ბრძოლის ველის საყრავად-  
 სადღაც ჩაკირეს სულმობრძოლი,  
 რომ გამხდარიყო ვარსკვლავად..

უნგრელი მეშის ტიპური სახეა მოცემული  
 ლექსებში: „იელიშკო“ და „ჩეხელის მეშა“.

შენ რა გქონდა, იელიშკო,  
 ვაზი, ხე, თუ ძნა?  
 — მე სამშობლოს გული მქონდა,  
 მშობლიური ცა!  
 — ახლა რა გაქვს, იელიშკო,  
 სად რა დავირავს?  
 — მთლად უნგრეთი ჩემი არის,  
 ყველა ვაზის რქა!

ეს უბრალოდ ნათქვამი სიტყვები შვერ-  
 მარტველოვრად მარტველოვრად დემოკრატიული  
 უნგრეთის მეშათა კლასის ახალ მწვეფარე  
 ცხოვრებაზე. უნგრელი მეშა ნატარობს მის-

კოვი ნახოს, რომ მისმა შექმნილიმა ძალამ  
 კიდევ უფრო მძლავრად გაუნათოს გზა კოშე-  
 ნიზმის ელვარე მომავლისაკენ, ისევე რომელ  
 აქვს განცდილი გ. ლეონიქის უნგრული მშრო-  
 შელი გლების წარსული, დღევანდელი და ხე-  
 ლინდელი დღე. ლექსში „იელიშკო“ ასახულია  
 ბედნიერების პიონერთა ცხოვრება. პოეტი  
 ეკითხება სლოვაკ გოგონას: „სად გაიზარდე?  
 ვინ გაყავს მამა?“ გულშემაზრავი იყო სლოვა-  
 კი გოგონას ბედი ფაშისტის პორტის დროს:

— მე ფაშისტებმა მომიკლეს მამა,  
 მე ვიზრდებოდი წვიმასთან, ქართან...  
 ვინ იყო მამა? ე, როდი მახსოვს  
 მამა არ ვიცი, სტალინის გარდა.

საგულისხმოა, რომ სლოვაკი გოგონას ამ  
 ოპტიმისტურ ხმაში მთელი დემოკრატიული  
 ქვეყნების ახალგაზრდობის ხმა ისმის. დიდი  
 სტალინისადმი მათი ეს დაუშრეტელი სიყვარ-  
 ული ზედმიწევნით ემოციურად გვატყობო-  
 ნა პოეტმა უნგრეთზე დაწერილ ლექსებში.

გ. ლეონიქ ნათლად ხედავს და გრძნობს,  
 რომ დემოკრატიულ ქვეყნებში კლასობრივი  
 მტერი ცოფმორველი იბრძვის ძველი წყობი-  
 ლების აღდგენისათვის, მაგრამ მისი ბედი გან-  
 წირულია. ასეთ კლასობრივ მტერს პოეტი ნი-  
 ლაბს ხდის და გვიჩვენებს მის მტრულ სახეს  
 ლექსში „ნაზნაურალი“.

როგორც დიდი სოციალისტური სამშობლოს  
 მოქალაქე, პოეტის მისწრაფება და შინაგანი  
 განცდა გულწრფელი და ამყაია. ხალხთა  
 სტალინური შეგობრობის გრძნობით გამსჭე-  
 ვილი პოეტის ალტაცებას საზღვარი არა  
 აქვს:

ვადეფარე, ვარშავის, პრაღის,  
 კარპატის ნისლეებს ამოფეფარე...  
 სტუმრად მოვქროდი იმ ქვეყანაში,  
 ლურჯი დენაი სადღაც მწვეფარებს.  
 სტუმრად მივქროდი ახალ ხალხისკენ,  
 მე ყველა ხალხი მიყვარს უცუბლად:  
 მე შევხაროდი ბრძოლაში ნაძველ  
 მდიარების თავისუფლებას!

შვილობის შენარჩუნებისა და მისი დაცვის  
 თემაზე დაწერილ ლექსთა შორის განსაკუთ-  
 რებით აღსანიშნავია ლექსი „ბიძინა ბეჭე-  
 რაელი“. იგი ერთ-ერთი თელსანიონი პოეტუ-  
 რი ნაწარმოებია სამამული ომში დაღუპულ  
 ქართველ გმირებზე. ქართველი მეომრის გვი-

რელი სული, მისი გაუტყველი ნებისყოფა და ტიტანური ძალა ამ ლექსში ისეა გამოხატული, რომ ვინდა მას მიბაძო; მაგრამ ეს როდია მთავარი, ეს ბალადა გმირული, რომანტიკული სიმღერაა უკვდავებაზე და სიცოცხლეზე; იგი თავიდან ბოლომდე ოპტიმისტური ნაწარმოებია.

დიდი პატრიოტული განწყობილებითა და ძლიერი პოეტური სახეებით არის გამოქანდაკებული საბჭოთა მებრძოლის სახე ბუდაპეშტში, გელერტის მთაზე აღმართულ ძეგლისადმი მიძღვნილ ლექსში:

გრგვინავდით ომში ბრძოლის ნალარით,  
 დღეს მილიონებს უხმოდ აფიცებთ!  
 და თავზე ქარცეცხლგადაწყარით  
 თუმც წიგნებით, ისევე წინ მიიბიჯებთ!

ლექსში „ენაზე ლიდიცე“ ავტორი გვიხატავს ფანსტიემისაგან აობრებული ჩეხოსლოვაქიის ერთ-ერთ სოფლის შემადარწუნებელ სურათს.

მკვეთრად დახატა გ. ლეონიძემ უნგრეთის დედაქალაქის ბუდაპეშტის სახით მთელი უნგრეთის ცხოვრება ომისა და ომისშემდგომ პერიოდში: „მე ბუდაპეშტში ვიყავი სტუმრად, მას გამარჯვება ჩემი ეუთხარო! ტყვიით დაცხრილულ სახლების კედლებს თითქმის ეხვია შივად ფუტყარი“. ამ ლექსში ნათლად ვგრძნობთ თუ როგორ ხდება ფანსტიემის მყარ დანგრეული ბუდაპეშტის აღდგენა. ხატავს რა პოეტი მშვიდობისათვის ბრძოლის ცალკეულ სურათებს, იგი ამავე დროს ბრწყინვალე პოეტურ ნაწარმოებს ქმნის ახალი გერმანიის ახალგაზრდობის შესახებ. გერმანიის ახალგაზრდობა აბლა ავტორი ბრძოლის გზას აღვია ფანსტიემის აღდგენის წინააღმდეგ. გერმანიის ახალგაზრდობას ესმის, რომ ფანსტიემის აღდგენა, რასაც ვამალებით აშხადებს ინგლის-ამერიკელ იმპერიალისტთა ბროვა, დამღუპველია მთელი გერმანული ხალხისათვის და მშვიდობის საქმისათვის მთელ ევროპაში. ამიტომ გერმანიის ახალგაზრდობა დაშორებებს და დიდ დემონსტრაციებს აწყობს ბონის მთავრობისა და უოლსტრეიტის წინააღმდეგ. ეს მომენტი შესანიშნავად გამოვესახა გ. ლეონიძემ ლექსში „ახალგაზრდობა გერმანიისა“.

მე ერთი დილა მახსოვს ლამაზი,  
 მახსოვს ბერლინი ზღუბულის დარში,  
 მე ვაივინე, ხმა ნალარისა,  
 ვით ხმა მოხეთქილ ნიაღვარისა,  
 და შემომესმა ქენაში ტაში,

ლურჯი დროშებით, ბიორალმის  
 მღერადქცეული ფეხმტაცე სულაში  
 ახალგაზრდობა გერმანიისა  
 მზად მიდიოდა დაშორებულ ქვეყნებში

გერმანულ ახალგაზრდობას, ისე როგორც მთელი მსოფლიოს მშრომელ ახალგაზრდობას უსაზღვროდ უყვარს საბჭოთა ქვეყანა და დიდი სტალინი. მთელი ცივილიზებული მსოფლიო სტალინიში ხედავს მშვიდობის დიდ ბურჯსა და იმედს. ამიტომ ასე დამაჯერებლად ეღერს პოეტის სიტყვები გერმანული ახალგაზრდობის მღელვარე გრძობების გადმოცემისას:

ახალგაზრდობა გერმანიისა  
 უმღერდა სტალინს, მის დროშას  
 გაშლილს  
 ქვეყნიერების მშვიდობის იმედს  
 და ჰაბუე მნათობს — საბჭოთა კავშირს!

დამახასიათებელია, რომ გ. ლეონიძე მშვიდობისათვის ბრძოლის იდეას ორგანულად უკავშირებს ხალხთა სტალინური მეგობრობის იდეას. ამის ყველაზე თვალსაჩინო მხატვრულ ფაქტს წარმოადგენს ლექსი „ხიდი“. პოეტს ხალხთა მეგობრობის გრძობის გამოხატვისათვის ოსტატურად გამოუყენებია ის აშხავი, რომ ხიდს უნგრულადაც „ხიდი“ რქმევია. ამ დეტალში გ. ლეონიძეს შთაავრანა გამოეხატა უნგრულ და ქართულ ხალხს შორის მეგობრობის გრძობა.

როდესაც ღრმად ვუფიქრდებით ამ ლექსების აზრს მათი ანალიზის შემდეგ ერთი მთავარი დასკვნა გამოგვაქვს: გ. ლეონიძემ ამ ლექსებით გამარავალფეროვანა ქართული საბჭოთა პოეზია, გააღრმავა მისი ინტერნაციონალური ხასიათი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ციკლიდან ზოგიერთი ლექსი და ლექსის ზოგიერთი სტრიქონი ეფერ დგას გ. ლეონიძის პოეზიისათვის შესაფერ მალ დონეზე. ზოგიერთი ლექსი ნაკლებად ემოციურია. სქემატიზმის ელფერი დაჰკრავს.

გ. ლეონიძე ამ წიგნში მოთავსებულ დანართს ლექსებში ღრმა იდეურობითა და ძლიერი პოეტური ექსპრესიით გამოხატავს კომუნისმის დიად მშენებლობას. მისი პოეზიის ორგანული ნაწილია ლექსები და პოემები საზგორის შესახებ. პოეტი ისე შესისხლობრეობია საზგორის წარსულს, მისი დღევანდელი დღი-

სა და ზეალინდელი დღის ცხოვრების თემას, რომ ძნელი წარმოედგინოთ მისი პოეზია ამ თემის გამოსახვის გარეშე. თუმცა, სიმათლევ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ლექსი ამ ციკლიდანაც სუსტია.

გ. ლეონიძის ეს წიგნი მთლიანი სიმღე-

რია სამშობლოზე, მშობლიურ სტალინზე, საბჭოთა ხალხების გამარჯვლ შრომისა და ბრძოლაზე, კომუნისმის ხარაზოებზე, მშვიდობაზე და ხალხთა ურღვევ მეგობრობაზე.

სიბ. წმინაწა

მ. ლეხანიძე. საბავშვო ლექსები. საბლიტბაში. 1962.



ქართული ახალგაზრდა მწერლები აქტიურად მოღვაწეობენ საბავშვო ლიტერატურის დიდმნიშვნელოვან დარგში. მათგან უწინარეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ შერმან ლეხანიძე, რომელიც სისტემატურად აქვეყნებს ნაწარმოებებს ჩვენს საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში. მას ნორჩი მკითხველები იცნობენ როგორც კარგი საბავშვო მოთხრობის „ზაზა მესხის“ ავტორს.

გ. ლეხანიძის საბავშვო ლექსთა თემატიკა მეტად მრავალფეროვანია. პოეტი გვიჩვენებს საბჭოთა ბავშვს სკოლაში, ოჯახში, სოფლად საკოლმეურნეო მინდვრებზე, პიონერთა ბანაკებში, ვარდა ამისა ზოგიერთ ლექსში ასახულია კაპიტალისტური ქვეყნების ნორჩი თაობის დუღჭირი ცხოვრება.

პირველ ლექსში „ზღვად ვადიქცეს“ ავტორი ნორჩ მკითხველს შთაუწერს სიყვარულს სწავლისადმი, წიგნებისადმი, მშობლიური სკოლისადმი:

„წერიალებდეს ჩემი ლექსი  
და სკოლის ზარს გასვენებდეს...  
ველს — ყაყაო სიწითლითა,  
უმაწეილს სწავლა გამაწვენებდეს!“

პოეტი უმღერის საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქს მოსკოვს, სადაც კრემლის მარადმწერობელი ვარსკვლავი ელვარებს, სადაც განისვენებს დიდი ლენინი, სადაც ცხოვრობს და კაცობრიობის ბედნიერებას სუფლს მშვიდობის მედროზე, კომუნისმის დიდი ხეროთომოდღვარი სტალინი.

მთელი მსოფლიოს ადამიანთა გულს იზიდავს პატარა სახლი ვორში, სადაც დაიბადა კაცობრიობის დიდი ბელადი სტალინი. შორეული ჩილიდან, თავისუფალი ჩინეთიდან, მებრძოლი კორეიდან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან მსოფლიოს პატროსანი ადამიანები 10. „მნათობი“ № 10.

ისწრაფვიან ამ პატარა სახლისაკენ. ნორჩი თაობის ფიქრიც ამ სათაყვანებელ იდეალს დასტრიალებს; პოეტი უმღერის ნათელ სახლს, სადაც „სოსო გულაშვილის ამობრწყინდა შექნათელი“. ლიაჭვის პირას აყვავებულ ვალებზე იზრდებოდა ბრძენი ბავშვი, აქ შეიყვარა მან მშობელი ქვეყანა, მშობლიური დედაენა. მისი ყრმობის ხანა სამაგალითო პატარებისათვის:

„და თუ გინდა, მზარში უღვე  
ჩვენს მშობლიურ ძია სტალინს,  
ღე გახსოვდეს —  
ის წიგნისკენ,  
სინათლისკენ  
მეგავსაწელის!“

„აიყვარდეთ წიგნი — ცოდნის წყარო“ — მიზართა ქვეყნის ბავშვებს დიდმა მწერალმა მატ სიმ ვორკიმ. წიგნი ნორჩი თაობის საყვარელი და განუშორებელი მეგობარია. იგი შთაუწერს ბავშვებს სიყვარულს დიდი საბჭოთა სამშობლოსადმი, უღვიძებს მისწრაფებას შრომისადმი, ზრდის მას კომუნისტური სულისკეთებით დიადი კომუნისმის მშენებლად. არსად, არცერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში წიგნი ისეთი საყვარელით არ სარგებლობს, როგორც საბჭოთა კავშირში.

სამაშულო ომში დილემა ნიჭიერი საბჭოთა მწერალი არკადი გაიდარი — ავტორი ქართული მკითხველისათვის კარგად ცნობილი წიგნისა „თემური და მისი რაზმი“. პოეტი პატარა გულიკოს დამადების დღის აღსანიშნავად უგზავნის არკადი გაიდარის წიგნს, რომელიც სამშობლოსადმი სიყვარულის შთაყონების წყაროა და მკითხველს კომუნისმის დროშისადმი ერთგულებისაკენ მოუწოდებს.

საბჭოთა ქვეყნის ბავშვებს ბედნიერი და საამერი ცხოვრება აქვთ შექმნილი. უოველ ზაფხულზე არდადეგების დროს მათი ერთადერთი

ახლისებს ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეს — ამწანებელი ზღვისპირეთიდან შორეულ ტუნდრებამდე. საღ არ შეხედებით პიონერთა ბანაკებს, საღ არ გაიფიქრებთ პიონერული საყვირის ზმას. ეს კომენტატორი პარტიისა და პირადად დიდი სტალინის მამობრივი მზრუნველობის გამოხატულებაა ნორჩი თაობისადმი. საზღუდელი ბანაკებში უოველწლიურად კადეტა და იწრთენება ათასობით ბედნიერი ბავშვი. მათ ნახათ, საკოლმეურნეო მინდვრებზე, ჩაის პლანტაციებზე და საზღუდელი საბოგრებზე. პიონერი პიონერს ეძახის კოლექტივის უანებისაყენ:

„ბიჭო წამო! პერის ძნები  
სერზე დვანან ასობითა,  
გამოეძღვეთ გზაზე ურმებს,  
დაეტებო ქვეყნის ნაშრომითა,  
გავახაროთ გლეზი-კაცი  
ჩვენი ყმაწვილკაცობითა!“

ბავშვისათვის მეტად საყვარელია ის ადამიანი, რომელიც მას წიენის მეგობრად გახდის, საბჭოთა მსწავლებელი ანბანთან ერთად ასწავლის დიდი სოციალისტური სამშობლოსადმი ერთგულებას. ამიტომაც, რომ მსწავლებელი სიყვარულითა და პატივისცემით ხარგებლობს ხალხში. ლექსში „მოგონება“ მ. ლუბანიძე ოსტატურად ხატავს მზრუნველი აღმზრდელის ტიპურ სახეს. პოეტი ივანებს შობილურ სკოლას, საყვარელ მსწავლებელს, — „ერთი შეილის შობილს, ათასების დედას“. ქართული მსწავლებლები მონდომებით სწავლობენ დიდი ოქტომბრის ენას, რუსულ ენას. საყვარელია ადამიანი, რომელიც წლების მანძილზე აღვივებს სიყვარულს ლენინისა და ლუშინის ენისადმი:

„დიდი ქვეყნის კარი  
გამოვიღე შენა,  
ჩავვაბარე ენა —  
დიდი რუსის ენა,  
მიღია ვასაფრენად  
და შირის ვასაფრენად“.

წიენში მოთავსებულია ლექსი „ნორჩ მიწრიანელია სიმღერა“. ამ ლექსში გადმოცემულია ნორჩი ბიოლოგების ზრუნვა, რომ სამშობლო ბაღად იქცეს.

ბუნების ვარდაქმნის სტალინურ გეგმაში ნორჩი თაობა აქტიურ მონაწილეობას ღებულობს. სკოლის ეზოში საცდელ ნაყეითებზე ბავშვები დიდი მზრუნველობით უფლიან

ნორჩ ნერგებს, აწარმოებენ დაკვირვებებს და გამოსყეით ახალი უნიშები. მათი ოცნებები და ემსგავსონ მიწრინს:

ჩვენ ყველგანა ვართ ჩვენი სასხლაეთ,  
გვესმის ფოთოლითა შრიალის ენა,  
ჩვენ ყველგანა ვართ ჩვენი სასხლაეთ  
და გული ერთი ოცნებით ღელავს —  
გადაიქციეთ სამშობლო ბაღად —  
ერთი ნერგებთან მძად შეფიცული,  
ევაგდეო ნორჩები ბუნების მამას  
და სათაყვანო ძია მიწრინს“.

ლექსში „ნანას წერილი“ გადმოცემულია სიხარული პატარა ბავშვისა, რომელიც პირველად სკოლაში წასასვლელად ემზადება. იგი წინდწინ სახლში სწავლობს ანბანს და წერილის დაწერასაც ახერხებს. ახლა მისი ოცნებაა „ღედაენა“.

მ. ლუბანიძეს ეხერხება ბავშვებისათვის გასაგები ენითა და მხატვრული საყვარლებით დაბატოს პეიზაჟი. ამის საუკეთესო ნიმუშია ლექსი „სტრათი“, რომელშიც მეტად ღამაზე ფერებითა და დამაჯერებლობით არის დახატული შემოღვომის სურათი სოფლად. კარგი იქნებოდა ავტორს გარდა ბუნების ნატურლისტური ასახვის ლექსში ეჩვენებინა საკოლმეურნეო სოფლისათვის დამახასიათებელი დეტალები.

ყურადღებას იბერობს „ბაწაწინა ბაღად“. ამ ლექსში პოეტი ბავშვებს მოუთხრობს წიწილის მოტაცების ამბავს.

წიენში მოთავსებულია პოემა „ქართული ავტომობილი“. იგი დაწერილია ჩვენი რესპუბლიკის სიამყვის ქეთიანის საავტომობილო ქარხნის მშენებლობის თემაზე. გადმოცემულია ის უდიდესი სიხარული, რომელიც ჩვენმა ხალხმა განიცადა პირველი ქართული ავტომობილის გამოშვების დღეს. ამ სახალხო სიხარულს იზარებდნენ პატარებიც. იქ, სადაც ამყამად დიდი საავტომობილო ქარხანაა, წინათ უცაცროელი ველი იყო. სამამული ომის ჩვენ ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრების შემდეგ პირადად დიდი სტალინის ინიციატივით ქუთაისის მახლობლად დაიწყო საავტომობილო ქარხნის მშენებლობა. აშენდა უდიდესი ქალაქი — ქარხანა. ნაწარმოებში აღწერილია ინიწინერ სანდროს დაუღალავი და ენერჯული შრომა ავტომობილის მშენებლობის საქმეში. აქვე პოეტი უპირისპირებს ერთმანეთს საბჭოთა და კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობისა და მეურნეობის ნიმუშებს და გვიჩვენებს საბჭოთა პროდუქციის უპირატესობას. ნაწარმოებში მოთხრობილია გერმანულ მანქანა

„ფურერის“ შესახებ, რომელიც საბჭოთა მანქანის ბექსით მიჰყავს. პოეტი აღწერს ამერიკელ ხალხს, რომელიც ვარეცხვის შემდეგ ჭაღალდად იქცა და ამით ბავშვებს აგრძნობინებს საბჭოთა მრეწველობის უპირატესობას.

1951 წელს საქართველოს ა.ლ.კ.კ. და საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ საუკეთესო საბავშვო ნაწარმოებებზე გამოცხადებულ კონკურსზე პრემირებული იქნა მ. ლებანიძის პოემა „ჩანდრა“. იგი შეტად აქტიურად თემასა დაწერილი. პოემაში გადმოცემულია ინდოელ ბავშვთა დღეობის ცხოვრება. აუტანელ პირობებში ცხოვრობს პატარა ჩანდრა და ათასობით მისი თანატოლი, ხოლო სიმღიდრით, მისი სპილოს ძელებით მდიდრდებიან ინგლისელი კაპიტალისტები. ჩანდრამ არ იცის წიგნი, ჩანდრას სწავლისათვის არა სცაღან, მისთვის ოცნებად გადაქცეულა ბალახებში ჭინჭარი გამოარჩიოს, რომ სარჩო იშოვნოს და მომავლადე ბაბუას სიციცლად გაუხანგრძლივოს. ბოლოს იგი იძულებულია სიყვდილის პირამდე მისული მოხუცი მღინარე განჯის ნაპირას მიიყვანოს და იქ დატოვოს.

პოემაში კარგად არის დახატული მოხუცი მგონის სახე, რომელიც ჩანდრას უამბობს დიად საბჭოთა ქვეყნის შესახებ და უნერგავს ზიზღს ბრიტანელი ბატონისადმი. დიდი ინტერესით იკითხება ის ადგილი, სადაც აღწერილია ნავსადგურში საბჭოთა ხორბლით დატვირთული გემების მოსვლა.

ავტორი გვაგრძნობინებს საბჭოთა ბავშვის ცხოვრების სიდიადეს. თუმცა პოემა ინდოელი ბავშვის ცხოვრებაზეა დაწერილი, მაგრამ პოეტი ხშირად მიმართავს ჩვენი ქვეყნის ნორმებს და მოგვითხრობს მათი ბედნიერი ბავშვობის შესახებ. არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ნაწარმოების გმირები არის ერთის მხრივ ჩანდრა და მეორეს მხრივ საბჭოთა ბავშვები. პოეტი მიმართავს ბედნიერი ქვეყნის ახალგაზრდებს და ავლებს მხატვრულ პარალელს:

„ჩემო პატარა ცვარემელებო,  
ჩემო კარგებო, ჩემო ანცებო,  
ჩიტუნებოვით უზრუნველებო,  
შხიურ საბჭოთა ქვეყნის ბავშვებო,  
თქვენი ტოლბა პატარა ჩანდრა,  
თქვენსავეთ ყვევილს უნდა ემბდეს,  
პებლებს დასდედეს თქვენსავეთ მარდად,

თქვენსავეთ თვალბს დაიციებდეს...  
მაგრამ ბილიყებს მიყუებრ, |  
და არაფერი არ უხარბდეს |  
ბალახებს სინჯავს —  
დაეძებს ჭინჭარს,  
ჭინჭარი უყვარს ბაბუს ძალიან“...

ავტორი გატაცებულია ბუნების დახატვით და უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ დიდ წარმატებასაც აღწევს, მაგრამ საბავშვო პოემაში შთაბრძნავს სიუჟეტის განვითარება, რადგან პატარა მკითხველს თბრობა უფრო იზიდავს. ამ მხრივ კი პოემა უნაყოფო არ არის.

მ. ლებანიძის წიგნში რამდენიმე გადმოქართულებული ლექსია შეტანილი. თარგმანის ასეთი ზერზი საბავშვო პოეზიაში მისაღებია, მაშინაც იმსახურებს „მეგობრები“ (ჩალიოდანი), „მოთხრობა უცნობ გმირზე“ (მარშაკოდანი), „მერხო“ (ტუენიმოდანი), „ბარათები სტალიანს“ (მარტოდანი) და სხვა.

მ. ლებანიძე სწერს ბავშვებისათვის გასაგებში, ხატოვანი ლიტერატურული ვნით. ლექსები მდიდარია ხალხური თქმებით, რაც ნაწარმოებს უფრო მიმზიდველსა ხდის. საბავშვო ლექსებში უნდა ვეროდოთ არქაიზმებსა და დიალექტებს ხმაარებას. მ. ლებანიძე იცავს ქართული სალიტერატურო ენის კანონებს. წიგნში მისი დარღვევის მხოლოდ რამოდენიმე შემთხვევაა: „მიხარის“, „ცხრაგზის“.

ლექსში „ვინ არ იცის“ ავტორი წერს:  
„ვინ არ იცის კრემლის კოშკი  
რა რიგ ცაშდის შალიდა  
ცა გემბათით გაუბია,  
ვარსკვლავები დახარაინ.  
რეაჯერ ასი წელიწადი  
ღვას და შაინც ახალია“...

ცნობილია, რომ კრემლის კოშკები აშენებულია მეთექვსმეტე საუკუნეში. ასე, რომ მას რეჟასი წლის ისტორია არა აქვს. ეჭვდობთ რამდენიმე სუსტ რითმასაც. შავალითაღ: ბანაკებო — ცაე ნათელო, ირევა — იქორება, ინეინრები — ბიქუნები, კარგი — ხალბი.

წიგნი მხატვრული გემოვნებით არის გაფორმებული მხატვარ გ. ფოცხიშვილის მიერ.

ბ. შაპარაძე



მ. შიკვლიშვილის საბავშვო ლექსები

მაყვალა შრეელიშვილის წიგნები — „დილა მშვიდობისა“ და „ჩვენი სათამაშოები“ სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის არის გათვალისწინებული.

საბჭოთა საბავშვო პოეტურ ნაწარმოებს მოვთხოვება აღძრას ბავშვებში ჯანსაღი ემოციები და შიარდოს მათ გარკვეული შედეგებით მასალა გასართობ ფორმაში. ამ მოთხოვნისას ძირითადად აკმაყოფილებს მ. შრეელიშვილის ლექსები. ისინი უძველესად ეხმარებიან ჩვენს ბავშვებს საშუაროს სწორად შეცნობაში, ჩვენს ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შესწავლაში. ამ შირიე განსაკუთრებით საყურადღებოა კრებული — „ჩვენი სათამაშოები“. პოეტი კარგად ახერხებს სათამაშოების, თუ შეიძლება ასე ითქვას, სიციხლორი ფუნქციის განსნას ბავშვებისათვის. აი, მაგალითად, ლექსი „არ გვიდა“. ამ ლექსში აღწერილია, თუ როგორი სათამაშოებით ართობენ ბავშვებს კაპიტალისტურ ამერიკაში.

„მამამ დისხა ბავშვები და წაუკითხა გახეთი: თურმე შორს ამერიკაში აქეთ სათამაშო ასეთი: ბავშვების ფებთან გაშლილი ბერი პატარა სახლია, ანგრევენ სახლებს ბავშვები, პატარა ბომბებს აყრიან“.

სრულიად საწინააღმდეგო კარეშოში იხრდებიან საბჭოთა ბავშვები. მათ უწერგავენ ომის საწინააღმდეგო განწყობილებებსა და მშვიდობისათვის ბრძოლის სულისცეუთებას. კაბიტალისტურ ქვეყნებში ბავშვებს თამაშის დროსაც ადამიანთა ხოცვა-ფლტის „ხელოვნებას“ ასწავლიან. ჩვენში კი ბავშვების გართობა და თამაში ღრმა ჰუმანისტური შინაარსით არის გამსჭვალული. მისი მიზანია აღზარდოს საბჭოთა ბავშვებში კარგი ქვეყნები, მოკლალკობრივი გრძინება. ამიტომ ჩვენი ბავშვები ზიზლით უყურებენ ამერიკულ „თამაშობას“. საბჭოთა ბავშვების ეს განწყობილება კარგადაა გადმოცემული ლექსის ენორე ნაწილში.

მ. გორკი თამაშს დიდ მნიშვნელობას ანიტება. თამაშში მას ბავშვის ხასიათის, მისი შეცნობის ჩამოყალიბების დასაწყისად მიაჩნდა. ის სწერდა: „თამაში — ბავშვთა გზა არის იმ სამყაროს შეცნობისაკენ, რომელიც ისინი ცხოვრობენ და რომლის შესაცვლელადაც მოწოდებული არიან“.

გორკის ამ მითითების ერთგვარ პოეტურ რეალიზაციას ეხედავთ მ. შრეელიშვილის ლექსებში.

პოეტი აღწერს ისეთ სათამაშოებს, რომლებიც ბავშვებში იწვევენ სხვადასხვა მანტანების აგებულებისა და გეტანისის შესწავლის ინტერესს. მაგალითად, ლექსი „ელმავალი“ უძველესად გამოიწვევს ელმავლის აგებულების შესწავლის სურვილს.

ბავშვების სულიერი ინტერესებისა და მათი გონებრივი ჰორიზონტის გაფართოების მთავარ საბიბლს შეადგენს შოროპის ჩვეების გამოშუშავება. ამ მიზანს ემსახურებიან ლექსები: „სახეიშო“, „ბაღში“, „სახლობანა“, „დალის ნაქარგი“, „აი!“ და სხვები. ამ ლექსებში შრეელის მნიშვნელობა გამოხატულია ბავშვისათვის გასაგებ ფორმაში. აეტორი შრომაზე თავის შეხედულებებს პატარა მკითხველს თავზე კი არ ახვევს, არამედ ღამახი სურათებით მიჰყავს იგი გარკვეულ წარმოდგენამდე. „ბაღში“ ცისია და ნოდარი მამას ხეილებს დარგვასა და ყვავილების თესვაში შეულოან. შრომის ეს პროცესი ისე კარგად არის ნაჩვენები, რომ პაწია მკითხველს აუცილებლად დებადება სურვილი გვერდში ამოუდგეს ცისიას და ნოდარს, დარგოს ზეხილი, ბილიტებზე დაყაროს დანაყილი ატური და გაალამახოს ბალი. მაგრამ ლექსის ღირება მარტო ამაში როდია. ნერგებმა რომ განზარონ ამისათვის წყალია საჭირო. პოეტი ბუნებრივად გადადის საიწყავი არბის აღწერაზე და ბავშვს უღვიძებს იმ პირობების შესწავლის ინტერესს, რაც აუცილებელია ნარგავის სიცოცხლისათვის. ამაშია ლექსის აღზრდელობითი მნიშვნელობა, მისი იდეურმატრული ღირსება. შრომისადმი მიდრეკილებასა და სიყვარულს აძლიერებს ატორივე ლექსი „აი!“. აქ ყველა გმირი სასარგებლო შრომას ეწევა. ღია კობტა და რბილ ფანქსს ქსოვს, სიკო ხურჯინს კვერავს, თინა ჰქარგავს, ერთი სიტყვით, უსაქმოდ არც ერთი ბავშვი არ არის დარჩენილი. აქაც აეტორი თავისი გმირების შრომაში წარმომობილ სიხარულს გადმოსცემს და ამით ახდენს გაეღწას მკითხველზე.

მზე და გაბედული ახალი თაობის აღზრდაში სორტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ამიტომ იგი თავიდანვე უნდა შევაცუაროთ ჩვენს ბავშვებს. ამ საქმეში მხატვრულ სიტყვას დიდი საარგებლობის მოტანა შეუძლია. პოეტი სადად, უბრალოდ ესაუბრება თავის პატარა მკითხველებს ვარჯიშობის შესახებ. იგი ურჩევს პაწიებს სშირად ივარჯიშონ.

ბავშვმა კარგად უნდა იცოდეს, რომ სისუფთოვე უანმრთელობის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. თავის პაწია მკითხველს რომ ეს კემ-მარიტება შთაგონოს, პოეტს ამისათვის მშრალ რჩევა-დარიგებას როდი მიმართავს. ის ბავშვს უყვება ისეთ ამბავს, რომელიც მას სისუფთოვეს აყვარებს.

„ამ მშვენიერ დედოფალს ბუზები რად ესევიან ან ბავშვები სად არიან, რად არ ვალერსებიან? იტი რატომ? მაგ საწყალმა დედოფალმა დაიბარა ჭეთინომ რომ ისაღუმა, ხელები არ დაიბანა, ტკბილი ფაფით მოთუბნულმა ააყენა, დააწვინა, დასაბანი ხელი ჰქონდა და იმ ხელით დააძინა ახლა აღარ ეკარება, თამაშს თავი მიანება, კუჭყიანი დედოფალა აბა, ვილას ეამება?“

პაწია მკითხველს ჭეთინოს საკვიცილი გან-კიბულის იმსახურებს. იგი იმსახურებს, რომ არ შეიძლება კუჭყიანი ხელებით სათამაშოს აღება, რომ თამაშისა და კამას შემდეგ ყოველთ-ვის საკირთა ხელ-პირის დაბანა. ამავე თემაზე დაწერილი ლექსები: „ვიბანავეთ“ და „გულმოდ-გინედ მანბანავს“.

ჭუნაში მოძრაობის წესების დაცვის საკითხი საბავშვო მწერლობისათვის ერთ-ერთი მნიშ-ნელოვანი საკითხთაგანია. ამ თემის მხატვრულ დამუშავებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. უნდა ითქვას, რომ მოძრაობის წესებს უშთაე-რებად ის ადამიანები არღვევენ, რომლებიც შინაგან დისციპლინას მოკლებული არიან. ამი-ტომ რაც ადრე შეეჩვევა ბავშვს დისციპლი-ნას, მით უკეთესია. ამ ამოცანის შესრულებას ემსახურება ლექსი „მანჭანები“. ამ ლექსში ლა-პარაკია იმაზე, თუ დაუდევრობით როგორ შეუ-ძლია ადამიანმა თავისი სიცოცხლე ჩააგდოს საფრთხეში.

ლექსები: „სანჯარისო“ და „ანბანი“ ბავშ-ვებს დეემარება ანბანისა და ანჯარიშის შეს-წავლაში. გასართობად მოწყობილი ზის რგო-ლებით ბავშვი თვლას იოლად სწავლობს.

თავის სტატიაში „სათამაშოს შესახებ“ მ. გორკი წერდა: „ჩვენ თანდათანობით და ნელა გადავიდეთ ბავშვთა აღზრდის საზოგადოებ-რივ ფორმებზე, და ჩვენ მოვეუბნობება შეგქმნათ ისეთი სათამაშოები, რომლებიც მათდამი, სა-თამაშოებისადმი უკუფურთხი დამოკიდებულების აუცილებლობას იწვევენ, ე. ი. მოითხოვენ ურთიერთობას და არა განკუთვნილობას, სხვა-გვარად რომ ვთქვათ: საკირთა ისეთი სათამაშოე-ბი, რომლებიც უკუფურთხი თამაშს მოითხოვენ... ბავშვში ბავშვობა ამა თუ იმ სათამაშოთი ერთ-პიროვნულად თამაშის უფლებისათვის ჩხუბობენ, სათამაშოების ერთგვარობა ნაყუს ვერ აგვაც-დენს, რგ მხოლოდ მოწყვნილობას შეგქმნის“.

მ. მრეულიშვილი ლექსში „ჩვილი“ სწორედ იმ კონფლიტს გამოხატავს, რომელიც თამაშის

უფლებისათვის ხდება. ლექსში, გარდა იმისა რომ ბავშვის ინდივიდუალისტური განწყობი-ლება დაგმობილი, ლაპარაკია: ჩხეთს სანჯარ-შის შექმნაზე, რომელიც უკუფურთხიშთაკიდებუ-ლებას მოითხოვს. ხოლოერთი ბავშვი როდეს-საც მის სათამაშოს სხვა ბავშვი შეებება გააჭვი-რის „ჩემია“ და თავის ტოლს არ აძლევს თა-მაშის ნებას. კარგად მოიქცა პოეტა, როდესაც მან პატარა ნუნუს ეგოისტური განწყობილება გამოამჟღავნა და პატარა მკითხველის თვალში დამიცირა იგი.

სულ სხვა ფონზე იშლება წიგნი — „დილა მშვიდობისა“. ჩვენს ბავშვებს სიკობტავე და სუფთად ჩაცმა უყვართ, შთ სანახაობებში სია-რულის დიდი მიდრეკილება აქვთ. ისინი ზო-ოპარკნი და თოჯინების თეატრში დადიან. აე-ტორი პაწიების ამ თემისებებს მხატვრულ სახეს აძლევს და თავის მხრივ ედილობს წიგნის კითხ-ვა, სწავლა და შრომა შეაყვაროს მათ. ლექსებში „ხატვა“ და „ჩემი წიგნი“ პოეტის მისწრაფებას გამოხატავენ გმირები. ამ ხერხით ის მეტ და-მაჯერებლობას აღწევს. პაწია მკითხველს მოს-წონის თავისი ტოლს განზრახვა, ისიც მზად არის მის მსგავსად ანბანი და ხატვა ისწავლოს, ააგოს კობტა სახლი, თავის დროზე დაიძინოს, კამის წინ ხელი დაიბანოს, დილაობით ივარჯი-შოს. მაგრამ პოეტა მარტო ამით როდი კმაყო-ფილდება, ის ისეთ საგნებსაც ებება, რომელიც აფართოებს ბავშვის გონებრივ ჰორიზონტს.

ჩვენი პაწიების მხურვალე სიყვარული დიდი სტალინისადმი შესანიშნავად არის გამოხატული ლექსში „ჩემი საყვარელი სტრათი“. ეს ლექსი ღრმა ლირიკული მგზნებარებით არის შესრუ-ლებული.

„ყოველ დილით სარმელში მზე როგორც კი ანათებს, ჩემს საწოლთან, ერთ სურათს მიადგება სინათლე“.

ეს არის ბელადის სურათი. რაოდენი გრძ-ნობა, რა ნათული განწყობილებაა გამჟღავნე-ბული ბელადის სურათის აღქმაში:

„ჩემოდენა გოგონა ხელში აუყვანია, და გოგონაც იცინის. — უხარიან ძალიან. გარშემო ბავშვები დგანან თაიფულებით, ბედნიერი თვლებით მზიარული გულებით იუპე არ ჭანვარ სურათზე მეც მათში ვარ, ცხადია, რადგან ძია სტალინის ნახვა მეცა მწადია“

ჩვენს ბავშვებს გაბედულად უნდა მივაწოდოთ სერიოზული და დიდ თემებზე დაწერილი ნაწარმოებები. უნდა გავაცნოთ მათ მშობლების შებოძებული მითითებით, მისი მანარსი და ახრი; მათ უნდა დაეანახათ ის მიღწევები, რომლებიც ჩვენ მოვუვლივთ ბუნების გარდაქმნისა და სოციალისტური მრეწველობის დარგში. არ კმარა მარტო საგნების ჩამოთვლა, მათი მშრალი აღწერა. მ. გოჯი წვდოდა:

„ბავშვის ბუნების დამახასიათებელია წარმტაცისადმი, უჩვეულისადმი მისწრაფება. უჩვეულო და წარმტაცი ჩვენს კავშირში არის ის ახალი რასაც მუშათა კლასის რევოლუციური ენერჯია ქმნის. აი ამას მტკიცედ უნდა მივაყ-

რათ ბავშვთა ყურადღება, ეს უნდა იყოს მათი სოციალური აღზრდის უმოკრესი მასალა. მაგრამ ამის შესახებ უნდა ვუთხროთ, ვუთხროთ ვაჩვენოთ ნიჭიერად, მოხერხებულად, ადვილად შესათვისებელი ფორმებით.“

დიდი მწერლის ამ სიტყვების თვალსაზრისით თუ მიუხედავებით მ. შრევილიშვილის წიგნებს, დავინახავთ, რომ ზოგიერთ მის ლექსს არსებითი ნაკლოვანება ახასიათებს, კერძოდ, აბსტრაქტულობა და ზოგადი მსჯელობა. მაგალითად, ლექსი „სტუმრობანა“ არაფრის მოქმედია. ის ბავშვის აღზრდაში აქტიურ როლს ვერ შეასრულებს.

პლ. ჯიჯუხი.

### 3. თორდუა. „ომგადახდილი სოციალიზმის სანდოზანი. 1952 წ.“

„ომგადახდილის თვალთ“, — ასე ეწოდება ვლადიმერ თორდუას ნოველებისა და ნარკვევების წიგნი. ავტორმა მართებულად მისცა თავის წიგნს ასეთი სათაური. ამ ყველაფერი დანახულია ფაქტობრივად და წინააღმდეგ ვებრუნებ მებრძოლი საბჭოთა ადამიანების თვალთ, ადამიანებისა, რომლებიც სოციალისტურ არ ზოგადდენ რათა სოციალისტური საშობლოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება დაეცათ.

ერთ-ერთ ნარკვევში ავტორს მოჰყავს ბელადის საბლ-მუხუდის შთაბეჭდილებათა წიგნი ჩაწერილი სიტყვები: „ფიცს ვღებ ამ სახლთან, სადაც დაიბადა ამხანაგი სტალინი, რომ ღირსეულად ვემსახურა ხალხს!“. ამ მხრედაც ფიცით იყო შემტყიცებული მრავალმილიონანი საბჭოთა ხალხი, როცა იგი თავდადებით იბრძოდა ფაქტობრივად წინააღმდეგ დიდ სამშელო ომში; ამ ფიცითა იგი შემტყიცებული ახლაც, როცა გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევს სოციალისტური საშობლოს კეთილდღეობისა და კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლას გზაზე.

ნარკვევში „თბილისის დღია“ ვ. თორდუა ამბობს, რომ ტრანშეის მიწით ამოგანგდულ შემოკრებს ხშირად მოგვანატრება მშობლიურ ადგილებში ყოფნა, მაგრამ „ყველა საბჭოთა მუშაობის უფრო ერთსა და იმავე უმოკლეს გზას პოულობდა თავის მშობლიურ დედაქალაქამდე — ეს გზა მხოლოდ ბერლინზე გადიოდა“. აი, ამ ოცნებებზე, ფიქრებსა და განცდებზე, სოციალისტური საშობლოს თავი-

სუფლებისათვის მებრძოლ საბჭოთა პატრიოტებზე მოგვიხატობს მწერალი ნოველების ციკლში „ჯარისკაცის ჩანაწერები“.

შატერული ნაწარმოები მხოლოდ მაშინ ახდენს მკითხველზე ემოციურ ზემოქმედებას, როცა მწერალი გულგრილი არაა იმის მიმართ, რაზედაც წერს. ვ. თორდუა არ არის გულგრილი აღმწერელი. იგი ორგანულად განიცდის სოციალისტური საშობლოს ტრეილებსა და სიხარულს; მის ღრმად და ძლიერად სძულს მშრომელი ხალხის მტრები, თავისუფალი ხალხის დამონებაზე მეოცნებე ჯალათები.

„უკნეთ ღამეში, სმოლენსკინის დაბურული ტყის პირად, ვარშავის გზატკეცილის მისადგომებთან“ დგას საბჭოთა მებრძოლი სანვარ. ში... აი, მეთაურმა მოუყვანა მას ამხანაგი, ციმბირელი მებრძოლი მჭკვევე მაქსიმე ტაჩოვი. მებრძოლი აღტაცებულია... აქამდე მას რაღაც აწუხებდა, შიში იყრობდა, ახლა კი... ახლა ორნი ვართ და სიყვდილიც კი საშინო არ არის — ერთთ მიანივ ზომ ცოცხალი დარჩება და ჩვენს საცეცხლ მტრზე მტერი ღერ გავდივლის“. („შინ საშობლოსათვის“). ისე უბრალოდ და გულთიდად, ყალბი პათოსის გარეშეა ნათქვამი ეს სიტყვები, რომ მკითხველს ეჭვი არ ეპარება მათ გულწრფელობაში.

საერთოდ ვ. თორდუას ნაწარმოებები გამოირჩევიან შატერული სისადავით, მწერალი ერიდება გარგნულ ვფაქტს, მყვარალა ფერებს. იგი ცდილობს, რომ მის მიერ დახატული სერათი იყოს ცოცხალი, რელიეფური, ფრაზა — დამტევი და ლაკონური. ასეთია

ნოველები: „სერათი“, „ლტოლა“, „მატროსე-ბი“, „ლამის სერენადა“, „ცალი ფეხსაცმელი“ და სხვები.

საინტერესოაა გააზრებული „ლატვიური ნოველები“. შვერალი მოგვითხრობს „სოციალისტური ლატვიის ცხოვრებაზე, ვეცინოს ლატვიელ გლეხთა წარმატებებს, საკოლმურნეო მშენებლობის ფრონტზე, რასაც ავტორი ორგანულად უკავშირებს სამამულო ომის ამბებს.

სამამულო ომის დროს, ლატვიის ერთ-ერთ რაიონში სახელგანთქმულ ლატვიურ დივიზიის მძიმე ბრძოლების გადატანა მოუხდა. შეტევის ბედი მალღობ 91-ს უნდა გადაეწყვიტა. ამ მალღობისათვის გმირულად იბრძოდნენ ქართველი და ლატვიელი მებრძოლები... ახლა კი განახლებული საკოლმურნეო სოფელია. „აღბრძანდი, ამხანაგო მეთაურო, გასინჯეთ უტრლანდიური პური“, — ეუბნება კოლმურნეობის თემგლეხობაზე, ლატვიური დივიზიის ყოფილი ჯარისკაცი თავის სტუმარს, ფრონტელ მეგობარს, ქართველ ლეიტენანტს, — „ხვალ დილით ჩვენ მალღობ 91-საქენ ვავივლით. ო, ხორბლის რა კარგი მოსავალი მწიფდება ამ მალღობზე, სტახანოვერი მოსავლის ჰექტარები გაქვს, სტალინური მოსავალი მოგვეკეთოს...“

გინდა მივეთითოთ ზოგიერთ არსებით ნაყოფანებაზე, რაც ვ. თორდესს როგორც ნოველისტს ახასიათებს. ზოგჯერ შვერალს ლატვიის მხატვრული ალბომი უწოდებდნენ რეალისტური ხედვის უნარი და ნატურალიზმისაკენ ინკრება. ავიღოთ, მაგალითად, მასი ნოველა „კორო თვალი“. ვაუგებარია რისი თქმა სერს შვერალს იმით, რომ შემთხვევით გასროლილმა ყუშმარამ „მისი სიკვდილის მომლოდინე კატა“ მოკლა? აშკარაა, რომ იგი აქ ვარკვეულ ეფექტს გამოედევნა და მხედველობიდან გაუშვა მხატვრული სიმარალე. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ნოველაზე „კანთიადი“.

უნდა ვუსაყვედუროთ შვერალს ისიც, რომ იგი, თითქმის, ვრდიდება კალმის ღალად მოქმედებს, თბრობის ვაჟლას, სინამდვილის ფართო სერათის მოკემას. ამ მოსაზრებას ვკვიდსტერებს ის ვარკვეობაც, რომ ვ. თორდესა ბშირად მინიატურით კმაყოფილდება.

წიგნში მოთავსებული ნოველების დიდი უმრავლესობა დაწერილია 1946 წლამდე. ომისშემდგომი სოციალისტური მშენებლობის თემზე კი შვერალი ძალზე ცოტას წერს.

წიგნის შეორე განყოფილებაში მოთავსებუ-

ლია ნარკვევები. შვერალი ვეცინოს ჩვენს ქვეყნის განახლებული ქალაქისა და სოფლის შინაარსიან ცხოვრებას, მოწინავე ადამიანთა საქმიანობასა და გმირულ ბრძოლას მშეიდობისათვის, საბჭოთა ქვეყნის ძლიერების განმტკიცებისათვის, კომუნისმის აშენებისათვის. ნარკვევების ერთი ცოლი „ხელადი აქაც ჩვენს ბედნიერ მომავალს სქედდა“ ეხება დიდი ბეღლის რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ისტორიულ ადგილებს. მაგრამ ეს არ არის უბრალო აღწერა ისტორიული ფაქტებისა და მოვლენებისა დოკუმენტური მასალა შერჩეულია დაკავრებულ მხატვრის თვალით და თანამედროვე სოციალისტური სინამდვილის კონკრეტული ამბები მოხდენილდა და კავშირებული რევოლუციური წარსულის მოვლენებთან (ნარკვევები „კორო — ჩენი სამაყე“ და „ნაქარიშხლარი ქალაქი“).

ვ. თორდესა არ გაუბრბის პებლიცისტკას. ასეთ შემთხვევაში შვერალი შევნიშნულად ანლიერებს თბრობის პოლიტიკურ ელერადობას. რუსთავის მოწინავე მშენებელზე, კომკავშირელ ჯებრბილ ბერიშვილზე ასე წერს ავტორი:

„მე ვნახე იგი რევოლუციურ დაზავსთან მუშაობის დროს. მთელი ვატყებით რანდავლითონის დეტალს; მისი დაზავის ხან გამსკვლავი სტევენა, ხან მონოტონური ვრავანი, ახალგაზრდა ისტატის ვნთუნაზმით დაზარა დაზავზე მე მვიინწინე ველიყო ლუეთან გმირულად დაღებული კომკავშირელი შეტყვიამფრქვევის კოლკა სმირნოვის საქმის ვაგრძელებად. მტრის ტყვიამ ვანგმობა სმირნოვის მკერდი დიდების ორდენისა და კომკავშირულ ბილეთში ვავლით. ბილეთი რომ ამოვუღეთ, შიდა ფურცელზე ასეთი სიტყვები ამოვიკითხეთ: „მოკვლევი, მაგრამ უკან არ დავიხვეცი“.

მწელი საქმე იყო უთუოდ, მაგრამ არც კომკავშირულ ბერიშვილს დაუხვეია უკან იმ დღეს შრომის ფრონტზე — ათასი ცალი ჰანკიტი ზაბარა თბოელექტროცენტრალის მშენებლებზე“.

ვ. თორდესს ზოგიერთ ნარკვევს ერთგვარი სახეობო ვანწყობილებების დიდი ანიია. ნარკვევი ფაქტიურ მასალაზე, ნამდვილ ამბებისა და ადამიანებზე იწერება და შვერალი არ უნდა აღამაზებდეს მათ. მიღწევებთან ერთად ნაქლებადც ვაბედულად უნდა წერდეს, რეალისტი მხატვრის თვალთ აფასებდეს ამ ადამიანებსა და მათ საქმიანობას და ამით, როგორც ამხანაგი ედაროვი ამბობდა, „ზრდიდეს და იღვტრად აიარალებდეს მათ“.

ვ. თორღუს ნარკვევებს სხვა ნაყლიც ახასიათებს. ზოგ მათგანში ცოტაა ფაქტურის მასალა. ზოგჯერ ავტორი ვერ ახერხებს ფაქტების სათანადოდ შერჩევასაც; მის მიერ გამოყენებული ზოგი ფაქტი არაარსებითი და ნაკლებ მნიშვნელოვანია. აღნიშნული ნაკლოვანებები

უნდა გაითვალისწინოს ავტორმა თავის შემდგომ მუშაობაში. საჭიროა ევ. თორღუემ განაგრძოს ამ თანში მუშაობა უფრო მაღალმხატვრული და მაღალი დეგრი ნარკვევები.

შ. სულაბერიძე

### აღ. ბარამიძე ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან ბ. III

პროფ. აღ. ბარამიძეს „ნარკვევების“ ამ ტომში გაღრმობიანება ქართული ლიტერატურის შესანიშნავი ძეგლების („ეფესოსტყაოსანი“ და „თამარაინის“) შესახებ სხვადასხვა გამოცემაში აღწერე დაბეჭდილი გამოკვლევები, ამავე წიგნში განხილული ბესიკის, დ. გურამიშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების საკითხები. აქვე რეკენიები პროფ. ნუტუბიძის (Руставели и Восточный ренессанс). დოქ. თ. ბეგიაშვილის (история древней грузинской литературы) ტრ. რუბაძის. (ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია) ნაშრომებზე.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ნარკვევების წინა წიგნების მსგავსად, მესამე წიგნსაც კრებულის ხასიათი შერჩაო“ (გვ. 464), „ნარკვევების“ პირველი წიგნი ქართული ლიტერატურის კლასიკურ ხანას შეეხება, მეორეში კი აღორძინების პერიოდის ლიტერატურული საკითხები იყო განიხილული. თავისთავად ცხადია, მკითხველი „ნარკვევების“ მესამე წიგნში ქართული ლიტერატურის შემდეგი პერიოდის, ე. წ. „გარდაამავალი ხანის“ მწერლობის, მიმოხილვას მოელოდა. მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა. მესამე წიგნი წინა წიგნების გაგრძელებას კი არ წარმოადგენს, არამედ მათი დამატებაა. ამ შრომასაც ბევრი საინტერესო საკითხია აღქრული ჩვენი ლიტერატურისა და კულტურის ისტორიიდან, ბევრი საყურადღებო მასალა გამოვლინებული. იგი დიდ დახმარებას გაუწევს ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლით დაინტერესებულთ.

ჩვენი შენიშვნებია:

1. ცნობილია, რომ სპარსელები და თურქები ასეველი წლების განმავლობაში აწამებდნენ და ჭლებდნენ ქართველებს. ქართული კულტურის ბევრი შესანიშნავი ძეგლი მოკვს და განადგურეს უცხო დამპყრობელებმა; მათ სურდათ ქართული მ. ლის მოსაპობა, მაგრამ მიხანს ვერ მიაღწიეს. მიუხედავად იმ მძიმე პირობებისა, რომელშიაც სპარსელი და თურქი ასიმილაციონები აყენებდნენ ქართველებს, ქართული ენა

მანც განაგრძობდა არსებობას და ლიტერატურული მუშაობაც წარმოებდა.

საქმე ის არის, რომ ქართულ ენას :მ დროისათვის გააჩნდა დიდი ტრადიციები, ის იყო უკვე დიდი ისტორიული წარსულის მქონე ენა, რომელზედაც შექმნილი იყო კლასიკური ხანის შესანიშნავი ძეგლები („ეფესოსტყაოსანი“, „ამირანდარეჯიანი“ და სხვა). ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ უცხო გამოთქმებისა და უცხო ლექსიკური ელემენტების დამკვიდრების თვალსაზრისით, წინააღმდეგ ბარამიძის მტკიცებისა, ქართული ენის ნიადაგო არ აღმოჩნდა მანცდამანც ნოყიერი, ქართული ენის ძირითად ლექსიკურ ფონდს არ განუძლია ცვლილებები. სპარსულმა და თურქმა ასიმილაციონებმა ვერ შეძლეს ჩვენი ლიტერატურულ-შემოქმედებითი კერის ჩაქრობა. პროფ. აღ. ბარამიძე აღნიშნავს, რომ „ქართული მწერლობა შეივსო მხოფლიო მნიშვნელობის მქონე ბევრი ნათარგმნი თხზულებით“, რომ „XVI—XVIII საუკუნეებში დამუშავდა ისეთი პირველხარისხოვანი ლიტერატურული ძეგლები, როგორცაა, მაგალითად, „როსტომიანი“ („შაჰნამე“) და „ქილილა და დამანა“, მაგრამ რით უნდა აიხსნას ყოფილივე ეს, ამ.ზე „ნარკვევების“ ავტორი სდუმს. წინააღმდეგობათა თავიდან აცილების მიზნით ავტორმა წიგნის ამ ნაწილში გამოთქმულ მოსახრებათა ზოგი მხარე უნდა გადასინჯოს.

აქვე შევნიშნავთ, რომ ქართული ლიტერატურის ზოგ მკვლევარს მთელი თავისი სიღრმით არა აქვს გააზრებული აღორძინების პერიოდის მრავალმხრივ საყურადღებო პოეტის თეიმურაზ პირველის განცხადება „ქართული ენის სიმძიმის შესახებ“ და ჰგონიათ, თითქოს თეიმურაზი „იწუნებდა მშობლიურ ქართულს“.

„ლეილ—მავრენიანის“ შესავალში ვკითხულობთ:

„სიბრძნე ხანს მარგედ სულისა,  
განქარდეს ზორცთა შევბანი,  
უკლებიე წერს მამათა  
იგი წმინდანი მცენებანი

არეინ იკითხავს წიგნებსა,  
შესწინდეს ცუხად დებანი,  
მას არეინ ისმენს, ვაჩივე  
სოფლისა მად—მოუდებანი.  
სპარსთა ენისა სიტყვობანი  
მასურეა მუსიკობანი,  
მძიმეა ენა ქართულთა  
ვერ ძალშიც მისებრ თბრობანი,  
მათ შეწმინდეთა სიტყვათა  
მინდა მარტივად მბობანი“.

ეს ნიშნავს, რომ თეიმურაზის დროს აღარა-  
ვინ კითხულობდა წიგნად მამათა მიერ დაწე-  
რილ, სულის მარგა, რელიგიური ხასიათის წიგ-  
ნებს და პოეტს აურჩევია ანსოფლიურ თემებ-  
ზე წერა („ვაჩივე სოფლისა მიდ-მოუდებანი“).  
ერთ-ერთ ასეთ თემად მას ჩაუთვლია ლეილისა  
და მაჯუნის ამბავი. თეიმურაზის ხანაში (მე-  
16—17 საუკ.) აღმოსავლეთის ხალხთა თითქმის  
ყველა ცნობილი პოეტი გატაცებული იყო სატ-  
რთილ-სამიწურთო თემებით. ამ დროს სპარ-  
სულ, ტურკურ, უზბეკურ, თურქულ ენებზე წარ-  
მოიშვა „იოსებ-ზილიზანიას“, „ბარამ-ფურია-  
ნის“, „ხოსროვ—შირინიანისა“ და „ლეილ—მაჯ-  
უნისა“ ახალი ვერსიები. თეიმურაზიც ჩაება  
ამ საერთო ფეხბედაში. ეს არ ნიშნავს სპარსულ-  
ლიტერატურის გავლენას თეიმურაზის შემ-  
ოქმედებაზე. თეიმურაზი გამაოდის არა როგორც  
მიმბაძველი, არამედ როგორც მეტოქე სპარსულ-  
ლიტერატურისა („ლეილ—მაჯუნის ამბავსა მის-  
სადს დავეცილები“). თეიმურაზს, როგორც  
ჩანს, სპარსულ ენასთან შედარებით, საერთო  
თემების დაწესებების თვალსაზრისით უმძიმე  
რელიგიური წიგნების ქართული ენა. სპარსთა  
მიერ შეწმინდული (ლამ.ხად შეწმინდული) სიტყვა-  
თა (ამბ.ვსა) მარტივად მბობანი მინდაო. სტრი-  
ქონში—„მძიმეა ენა ქართველთა—ვერ ძალშიც  
მისებრ თბრობანი“, მე ვფიქრობ, თეიმურაზი  
თავისი პოეტური ნიჭის საყვედურს გამოხატავს  
და არა საზოგადოდ ქართული ენის სიმწველილ-  
სყოველშემთხვევაში ძველია ეფიქროთ, რომ  
თეიმურაზი, რომელიც, როგორც მართებულად  
აღნიშნავს ალ. ბარამიძე, „ქართული კულტურის  
გულწრფელი მოყვარული და მოამბავა“ (გვ. 1),  
იწუნებდეს იმ ენას, რომელზედაც მან საყუ-  
რადღებო ნაწარმოებები შექმნა. პროფ. ალ.  
ბარამიძე წერს: „ყოველგვარი მოლოდინის წი-  
ნაად დღე თეიმურაზი იწუნებდა მშობლიურ  
ქართულს: „მძიმეა ენა ქართულიო“. აღბათა  
პირთა აიხსნება, რომ თეიმურაზმა დახერგა ქარ-  
თული სალიტერატურო ენა უცხო სიტყვებითა  
და გამოთქმებით. თეიმურაზის ენა საცხა ბარ-  
ბარისმებით, განსაკუთრებით სპარსისმებით  
ნაწილობრივ თურქისმებითაც კი“ (გვ. 4). ამ  
მსჯელობიდან ისე გამოდის, თითქოს ქართული

ენის მუსიკალობის გაძლიერებისა და მისი გამ-  
სუბუქების მიზნით თეიმურაზს, „დაუზურავს  
ქართული სალიტერატურო ენა უცხო სიტყვებ-  
ითა და გამოთქმებით“. უცნაური მსჯელობაა.  
სად გაგონილა, პოეტი ენას იწუნებდეს, მისი  
გალამაზება სურდეს და ამედე დროს მას უცხო  
სიტყვებითა და გამოთქმებით ხერგადდეს? ისიც  
შეიძლება ითქვას, რომ ბევრი (არაბული, სპარ-  
სული და თურქული) სიტყვა, რომელიც თე-  
იმურაზის ნაწარმებში გვხვდება, თეიმურაზამდე  
ჩვენი წინამორბედი იყო. თუ პოეტის ნაწარმებში  
ამ თვალსაზრისით გადავსინჯავთ, ისინი სპარ-  
სულ-თურქული სიტყვებითა და გამოთქმებით  
არც ისე აწებული თუ დახერგული, როგორც  
ამას ნარკვევების“ ავტორი ფიქრობს.

2. „ნარკვევებში“ უზრადღებას იპრობს ვრცე-  
ლი გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის“ პოეტის  
საკითხებზე. ამჯერად ავტორს მიხნად დაუსა-  
ხავს „ვეფხისტყაოსნის“ პოეტის პრინციპული  
საკითხებისა და წამყვანი ტენდენციების ძიება.  
შემდეგი საღებური—მისივე განცხადებით—უნდა  
გახდეს მონოგრაფიული დამუშავება ისეთი თე-  
მებისა, როგორცაა, მაგალითად, მეტაფორა  
„ვეფხისტყაოსანში“, შედარება, ეპითეტი, განმე-  
ორებანი, აღორისმები და ა. შ. (გვ. 128).

ამ განცხადების მიუხედავად, ავტორი მაინც  
ებება „ვეფხისტყაოსნის“ მეტაფორებისა და გა-  
ნმეორებათა საკითხებზე (გვ. 183—194). ყვე-  
ლაფერი ის, რაც ამ საკითხებზე აქ ნათქვა-  
ში, საქმისათვის არ არის და გაღრმავებას მოით-  
ხოვს. გაფართოებას მოითხოვს გამოყენებული  
ლიტერატურის სიაც. რუსთაველს მეტაფორებ-  
სა და პოეტურ საბეჭებზე ბევრ მკვლევარს აქვს  
ნამუშვარი. ქართულ სამეცნიერო ლიტერატუ-  
რაში მრავალგზის ყოფილა აღნიშნული, რომ  
„ვეფხისტყაოსანში“ ვარდი ბავუს ნიშნავს, მარ-  
გალიტი კბილს, ნარგისი თვალს და ა. შ. მკვლევ-  
ვარს სხვა ნაწარმებთან ერთად მხედველბი-  
დნ გამოჩინვა დოი. ელ. მეტრეველის გამოყ-  
ვლევა („რამდენიმე საკითხი ნიხამისა და რუს-  
თაველის ლიტერატურული ურთიერთობიდან“—  
1946 წ. საკანდიდატო დისერტაცია) და, აგრეთ-  
ვე, „ლიტერატურული ძიებანი“ III ტომში და-  
ბეჭდილი მასალები. სამაგიეროდ ალ. ბარამიძის  
არ დაეიწებია დანდეროვი—ავტორი სამინე-  
ლი უმეცრებთ საცხე წიგნისა რუსთაველზე და ის  
ჩვენი ცნობილი რუსთველოვების კ. კვეცილიძისა  
და პ. ინგოროყვას გვერდით დაუყენებია (გვ. 30).

პროფ. ალ. ბარამიძე საცხებით მართალია,  
როცა მას რთული მეტაფორების შემკველ  
სტროფად მიანია „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგი  
სტროფა (1542):

„ავთანდილ დაჯდა ტირილად, ტირის ხმითა  
შვენიერთა,

ყორანმა გააგლეჯეს ხშირ-ხშირად. აერთობს ბროლისა კერითა, გახეტქა ლალი, გათლილი ანდამატისა კვერითა, მუწით წყარონი გამოჩნდეს, ძოწა ვამსგავსე ფერთა“.


მგლევარი (გვ. 189) ასე ხსნის აქ წარმოდგენილ მეტაფორებს: „ყორანი თმა (მაგი თმა), ბროლის კერი—ხელი თითები. ტაქას შინა-არსი ასეთია: აეთანთილ მწარედ, ხმაილლა მოთქვით ტაროდა, ხელების თითებით ხშირ-ხშირად იგლეჯდა თხას და ბლუგებს იჭით-აჭით ყრიდა. სახე დაიჯაწრა (ლალი ლაწვი, ანდამატის კვერისაგან გათლილი, გახეტქა), იჭი-დან წამოვიდა (სისხლის) წყაროები, რომელნიც ფერთი ემსგ. ვსებოდა ძოწა (წითელ მარჯანს)“. რუსეთელიოლოგებმა კარგად იციან, რომ „მეფ-ხისტკასნის“ ზოგიერთი სიტყვისა და მეტაფორის მნიშვნელობის გამოცნობა ზოგჯერ მთელ გამოკვლევას უდრის. წარმოდგენილ სტროფში გამოყენებულ მეტაფორებს შორის ძველი ასახანლია, რას უნდა ანშინავდეს „ბროლის კერი“. ხომ შეიძლება ყორანი თვალნებად იქნეს გაგებული და ბროლის კერი ცრემლებით აბრწყინებულ წაწმენბად? ასე გაგებას თავის დროზე მე მზარი არ დავუჭირებ და ერთ ჩემს ნარკვევში, რომელიც 1947 წელს „ლიტერატურული ძიებნის“ III ტომში დაიბეჭდა, „მეფ-ხისტკასნის“ ამ სტროფის მეტაფორები ასეა ახსნილი (გვ. 209—210): „აქ ყორანი თმა, ბროლის კერი — თითები, ლალი — სახე, ანდამატის კერი მუჭი, ხოლო ძაწისფერი წყარონი კი მუჭით ხებუთქილი სახიდან მოვენილი სისხლი“.

როგორც ჩანს, პროფ. ალ. ბარამიძეს ჩვენს მიერ გაგებული ზოგიერთი მეტაფორის მნიშვნელობა (ბროლის კერი-თითები და სხვა) საკამათოდ არ მიაჩნია.

3 პროფ. ალ. ბარამიძე მკაცრი ტონით აკრიტიკებს ყველას, ვისი აზრიც ამა თუ იმ ლიტერატურულ საკითხზე მისთვის მიუღებელია. გაკვირვებას ის იწვევს, რომ, ზოგჯერ ის არ აკრიტიკებს უცხო, დუმილით უელის გვერდს ამა თუ იმ წიგნში გამოთქმულ მკადარ მოსაზრებებს. ასე მაგალითად, დავით გურამიშვილისადმი მიძღვნილ ნარკვევში (გვ. 351) პროფ. ალ. ბარამიძე წერს: „ქაცვია მწყემსის“ პერსონაჟები, კერძოდ მწყემსები, უკრაინული უოფის ნიშნებს ამტკიცებენ. გ. ნატროშვილმა სამართლიანად შენიშნა რომ, ყვეაილების გვიარვიენებით თავს შეწყობა არ არის ქართული მოვლენა, ის უკრაინულია“. „ნარკვევების“ ავტორს უნდა მივითვებინა, თუ სად, რომელ წყაროში მსჯელობს გ. ნატროშვილი დავით გურამიშვი-

ლის შესახებ („ნარკვევების“ ამ წიგნში წყაროს მიუთითებლობის შემთხვევებს სხვაგანაც ვხვდებით. ერთგან მოტანილია სტრუქტურები პროფ. ბლაგოს ნაშრომიდან და პარკის მითითებული თვით ნაშრომი) ალ ბარამიძეს გ. ნატროშვილის აზრი მოაქვს წიგნიდან „ლიტერატურული ეტიუდები“ (თბილისი, 1947 წ.) და სახელგებულ წიგნში კი გურამიშვილის შესახებ უცნაურ მსჯელობას აქვს ადგილი. „ეტიუდების“ ავტორის აზრით, გურამიშვილის პოემაში აღწერილი „ხამთრისა და ზაფხულის ბრძოლა, არც გვირგვინის სიმბოლიცა ქართული ყოფის რეალები არ არიან“ (გვ. 40) გ. ნატროშვილის მას ევროპის ხალხთა ტრადიციებს უკვეთობს. ის გუბელ გრძელ ადგილებს იწერს გეგოლვის ნაშრომებიდან და უკრაინელ ხალხში ძველიდანვე გავრცელებული ჩვეულებანი გერმანულ ჩვეულებათა პარალელებად მიჩნია, რასაც მისი აზრით, გურამიშვილს პოემა „საოკრად ვიპოვე“ (გვ. 43), ნათუფ დასაშვებია, რომ გურამიშვილი მოეწყვიტათ მშობლიურ ნიად გს და მისი შემოქმედების წყაროები ევროპ.ში (გვ. 40—43), ანტიურ მოთხოვნიში (გვ. 47—52) ექითთ, როგორც ამას „ლიტერატურული ეტიუდების“ ავტორც სწამს?

დავით გურამიშვილი მთელი თავისი შემოქმედებით ქართულ ხალხთანაა დაკავშირებული. მის შემოქმედებას „რავათარი საერთო არა აქვს დასავლეთ ევროპის ხალხთა“ ზნე-ჩვეულებთან და არც ანტიურ მოთხოვნითან. იგი ჩვენს მშობლიურ მიწა-წყალზე დგას. იგი ქართული ლიტერატურის ტრადიციებზეა აღზარდილი, მისი მატერული ფორმები და თემატიკა, მთელ ა მისი პოეტური შემოქმედების ქართული ლიტერატურის განვითარების გრძელი ჯაჭვის ბუნებრივი, მეტად მნიშვნელოვანი, რგოლთაგანია. ქართული ლიტერატურა და ფოლკლორი, რომელთაც ზემოწინებით იცნობდა გურამიშვილი, მიღიარია გაკავშირება-გაბაასების სახის თხზულებებით. ჩვენს ლიტერატურაში და ფოლკლორში ცნობილია გაბაასებანი „გახაფხულისა და შემოდგომისა“, „ლეინისა და ბაგისა“, „ცისა და მიწისა“ „სიყვდილისა და სიციცხლისა“, „ხამთრისა და გახაფხულისა“. საინტერესოა ამ მხრე „მზეთნაბავისა და თორშეტი თვის“ ზღაპარი, რომლის შინაარსი, ჩვენი ფოლკლორის ტიპების აზრით, „ორი ნაყადის შემყვლია; ერთია ხამთრისა და გახაფხულის ბრძოლა, ხოლო მეორე გერ-დედინაცვლის ურთიერთობა“. (მის. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, თბილისი, 1946, 358). განა ქართულ ფოლკლორში, თუნდაც ამ ზღაპარში, არ გვხვდება ყვეაილების გვირგვინისა და თიგოლის ეპიზოდები, რომლებსაც დასავლეთ ევროპის ხალხებში დამკებს ზოგი ლიტერატორი? პროფ. ალ. ბარამიძის



მართებული აზრით, „გურამიშვილი ემყარებოდა ქართველი ხალხის ეროვნული კულტურის ორ ცხოველმყოფელ სათავეს: რუსთაფელსა და ფოლკლორს“. (გვ. 22). გასათვარია, რომ ამ სტრიქონების ავტორსავე ვერ შეეძინა „ლიტერატურულ ვტუდებში“ გურამიშვილის შესახებ გამოთქმული მიუღებელი აზრები, როცა მას სხვა შემთხვევაში შეუძინებელი არ რჩება თ. ბეგიაშვილისა და ტარ რუხაძის ნაშრომებში დაშვებული წვრილმანი მასაღის შეცდომებიც კი.

4 პიროვ. აღ. ბარამიძე წერს: „დაკით აო უნდა ყოფილაყო კარის მებოტბე პოეტი, როგორც იუწყება შ. ნუტუბიძე (გვ. 305), ყოველშემთხვევაში, ამის თაობაზე ლიტერატურის ისტორიამ არაფერი იცის. როგორც ჩანს, აქ ერთმანეთში არეულია დაკითა და რუდვიკი“ (გვ. 419-420) ჩვენი აზრით, „რუნელანის“ ავტორი პ.ოვ. შ. ნუტუბიძე სამართლიანად უწოდებს დაყუყის „კარის მებოტბე პოეტს“. ტაჯიყურ — სპარსული ლიტერატურის მკვლევართათვის ეს ისეთი თვალსაჩინო ფაქტია, რომ ამის აღნიშვნისას საჭიროდ არ თვლიან რომელიმე წყაროს მითითებას. ქართულად გამოცემულ წიგნში („სპარსული ლიტერატურა“, II, გვ. 8) ამის თაობაზე ვკითხულობთ: „ფირდოუსის უაღა წინამორბედი. ეს იყო დაყუყი, საზოტბო ოფებით განთქმული პოეტი“, თუ ქართულ წყაროს ვერ ვენდობოდით, რუსულისათვის მიგვეპოათა. 5. დიკონოვის ნაშრომში („ფირდოუსი. ცხოვრება და შემოქმედება“, გვ. 22-23,) იგივე იკითხება. აქ დასახლებულ წყაროებზე მალა დგას თავისი მნიშვნელობით მოსამედ ოფის თებქერე (XIII სუჟ.), რომელსაც ტაჯიყურ-სპარსული ლიტერატურის მკვლევარები დიდ ანგარიშს უწყევს და რომელშიც დაყუყი დასასათებულია როგორც კარის მებოტბე პოეტი; მის მიერ დაწერილი ზოტბებიდან ნიმუშებიცაა წარმოდგენილი (II, გვ. 11, ბრაუნის გამოცემის მიხედვით).

ამის შემდეგ, ვუიქობ, შეუძლებელია თქვას, „ამის თაობაზე ლიტერატურის ისტორიამ არაფერი იცის და დაყუყი და რუდვიკი ერთმანეთში არეული“.

5. უუიროდაა შედგენილი წიგნის საძიებელი. პირთა საძიებელში შეტანილი გამოყვანებულ წყაროთა ავტორების, ისტორიული პირებისა და ლიტერატურული ნაწარმოებების გმირთა სახელები. მაგრამ ყველაფერი ეს ერთმანეთშია არეული. ზოგი ავტორი დასახლებულია მისი სამეცნიერო წოდებით, ზოგი კი არა. სამეცნიერო წოდებათა დასახლებებაში შეცდომებია დაშეებული. მაგალითად, ს. ჯანაშია აკადემიკოსი იყო და პოფესორადაა წარმოდგენილი. გამოჩენილი არაბისტი კრაქკოუსკი აკადემიკოსი იყო და პროფესორობის ღირსადაც არ უყენიათ. ზოგი ავტორი (მაგ. გ. ჯიბლაძე, გვ. 142) წიგნში იხსენიება და საძიებელში არაა შეტანილი. „ვისრამიანის“ გმირის-გულის სახელი საძიებელში შეტანილია, როგორც წყაროს ავტორის სახელი, და სხვა.

ასეთი სახის შენიშვნები შეიძლება გამარადდეს, მაგრამ მათ არ შეუძლიათ დაამცირონ ამ წიგნის დიდი ღირებულება. „ნარკვევების“ ეს წიგნიც, წინა წიგნების მსგავსად, ქართული მწერლობის ღრმა სიყვარულითაა დაწერილი; ჩვენი მკვლევარი პ.ოვ. აღ. ბარამიძე დიდი მონდომებითა და გატაცებით განაგრძობს მუშაობას დიდი ქართული პოეტების რუსთაფელის, ჩახრუბაძის, შავთელის, გურამიშვილისა და ბესიკის შემოქმედების საკითხებზე. „ნარკვევების“ მესამე წიგნი აფართოებს და ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას ძველი ქართული ლიტერატურის საყენათო საკითხებზე.

პ.ოვ. დავითი კობიძე

საქართველოს ხელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობანი, ტომი III, IV და V.



საქართველოს ხელმწიფო მუზეუმში უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში წამოიწყო მეცნიერულად აღწერილი ერთი ფონდის (ყოფ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების) ხელნაწერების აღწერა. აღწერილობის ტომების გამოშვება მოითხოვს დიდ შრომას, დიდ ცოდნას, გამოცდილებასა და შემსრულებელთა მაღალ კვალიფიკაციას. ამასთან ერთად, ეს არის წასა-

ბაძი საქმე. სხვა მუზეუმებში, თბილისში თუ რაიონებში, საქართველოს მუზეუმს მსგავსად ხელშემატები უნდა გახადონ ის მასალა, რომელთაც მკვლევარის ზელი არ მიჰკარებია. სამწუხაროდ, ზოგიერთი მუზეუმი ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს გულგრილად ეტყობა. საქართველოს მუზეუმის მიერ გამოცემულ ნაშრომებს დოკუმენტის ღირებულება აქვს, ამ-

დენად, საჭიროა, ხელნაწერის აღწერისას ერთი პრინციპი იყოს გამოყენებული.

ხელნაწერების აღწერილობის ამ ტომებში შეიმჩნევა ხელნაწერებისადმი სხვადასხვა დამოკიდებულება. ჩანს, აღმწერელი ფიქრობს, რომ არის მ.დ.ალი და დაბალი რანგის ხელნაწერი, ერთს უნდა სათუთი დამოკიდებულება, მეორეს შეიადლება ნაკლები ყურადღება მიექცეს. ერთი, რადგან იგი X საუკუნის ძეგლია, განსაკუთრებული დამოკიდებულების ღირსია, მის შესახებ მოცემული უნდა იყოს ყოველგვარი ცნობა, უნდა აღინიშნოს ყველა მინაწერი, ყველა ფურცლის მდგომარეობა, ჩამოთვლილი უნდა იყოს ყველა გამოცემა, რომელშიც ამ ხელნაწერის ტექსტია დაბეჭდილი, ზოლო მეორე, რადგან იგი ნ. ბარათაშვილის, ან აკაკი წერეთლის ხელნაწერია, ახალია, შეიძლება არ იყოს დახასიათებული, არ აღინიშნოს მისი გამოცემები, არც ის, თუ ხელნაწერ ავტოგრაფთა კონაში რა და რა თხზულებებია... ხელნაწერისადმი ასეთი დამოკიდებულება, თუ, ერთი მხრით, აღმწერელის შეზღუდულობას ამკლავებს, მეორე მხრით, მეცნიერულ აღწერილობას ზრდისა აყვებს. აღწერილობის ტომებში დაწერილებით არის ლაპარაკი იმის შესახებ, თუ დაბადების წიგნში (აღწ. № 1284) რამდენი გადაწერილი იღებდა მონაწილეობას, ხელნაწერის რა ნაწილებია გაღვივებული როგორც ხელითა დაწერილი (გამართულია თუ არა ხელი), რამდენი ნაწილისაგან შედგება კურთხევანი (აღწ. №№ 1352, 1664.), როდის აკურთხეს კათოლიკების ეკლესია გორში, როდის სწირა პატრმა იოსებმა და როდის გარდაიკვალა პატრი მაროზხ, თხოფრიოს და სხვანი (აღწ. № 1554, მინაწერები), რომელთაც ნაწილები მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ არაა ლაპარაკი იმაზე, თუ აკაკი წერეთლის უბის წიგნაკში (აღწ. № 1468), 31-ე გვერდზე რა უწერია პოეტს, არაა დახასიათებული ეს მასალა, არაა მითითებული ავტოგრაფთა თუ გადაწერული აკაკის თხზულებათა კრებული (აღწ. № 1506) მიუხედავად იმისა, რომ აკაკის ხელწერა საკამათო ცნობილია.

აღმწერლები ხელმძღვანელობენ ინსტრუქციით, რომელიც ფეტრზეა ქვეყნისა და რომელიც კურთხევის მოსდევს. ქართული დამწერლობის ისტორია კარგადაც რომ არ იყოს შესწავლილი, ყველასათვის ცხადია, რომ XIX საუკუნის ქართული მწერლები მხოლოდ მხედრულ დამწერლობას იყენებდნენ, რომ აღ. კავკასიაში, ნ. ბარათაშვილი, აკაკი წერეთელი და სხვანი არც ასომთავრულით და არც ნუსხურულით არ წერდნენ, რომ ზალზურის შემოქმედების ნიმუშებიც არ არის ჩაწერილი ასომთავრულით. ხელნაწერთა აღმწერლები საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ გიორგი წერეთლის „ლომეცი“,

აკაკი წერეთლის ლექსები და სხვა მრავალი მხედრულითაა დაწერილი. ეს არის ხელნაწერისადმი ფორმალისტური მიდგომა. შედეგად, „მედაკითხური“ დამოკიდებულება.

მრავალი ხელნაწერი დათარიღებულია, თვით ტექსტში, მინაწერებსა თუ ანდერძებში ხშირად. მოიპოვება ცნობა ხელნაწერის შექმნის დროს, ადგილის, ავტორისა თუ გადაწერის შესახებ. ბევრი ხელნაწერი მეცნიერულად გამოცემულია და დადგენილია მისი ასაკი, მაგრამ თარიღი ყველას არა აქვს. დათარიღებისას არსებობს რამდენიმე საშუალება, რომელთა მოხმარება აღმწერლის მიერ აუცილებელია, რადგან დათარიღება, ზუსტი თუ მიახლოებული, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია აღწერილობისა. ხშირად მიმართავენ დათარიღებისათვის საწერი მასალის ხასიათს, პალეოგრაფიას, ქალაქის კვირინიშანს... ამ მხრივ ხელნაწერთა აღწერილობის ტომებში ყველაფერი რიგზე არ არის. არის შემთხვევები, როცა სათაურში ერთი თარიღი წერია, ხოლო ხელნაწერის ტექსტში აღწერილობაში მეორე. მაგ. აღწ. № 1467-ის სათაურშია: „წერეთელი აკაკი. თხზულებათა კრებული (მე-20 საუკ.)“, მომდევნო სტრიქონში ეს თარიღი ორ საუკუნეზეა გადაკომიული და წერია: მე-19—20 საუკუნე. მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერი იძლევა დათარიღების საშუალებას, აღმწერილი ქრ. შარაშიც მას უგულებელყოფს. ასე, მაგ. აღწ. № 1471 შეეხება აკაკი წერეთლის მიერ თარგმნილ იგავ-არაკთა კრებულს. უფრო ერთი ტექსტური აღწერილობაში არაა ნათქვამი, რომ ეს თხზულებები თარგმნილია, მეორეც მეცნიერულ ლიტერატურაში ცნობილია, რომ აკაკი იგავ-არაკთა თარგმანზე მუშაობდა 1901—1902 წლებში, ზოგიერთი იგავი თარგმნა უფრო შემდეგ. სათაურში და აღწერილობაში ზოგადად არის მითითებული: მე-19—20 საუკ. ცხადია, მარტივი ძიების შედეგად შეიძლება თარიღის ზუსტი განსაზღვრა. ასეთივე ზოგადია მითითება „ქმი თეგადასავალის“ მეორე ნაწილის მიმართ (აღწ. № 1472). აკაკის ამ ბრწყინვალე ნაწარმოების დაწერისა და დაბეჭდვის ისტორია. ცნობილია, მაგრამ ხელნაწერის აღმწერილი აქვს ორი საუკუნის მანძილზე კიმაძის მისი შექმნის თარიღს. არის შემთხვევები, როცა XIX საუკუნის 60-ან წლებში ან შემდეგ დაწერილი თხზულება აკაკი წერეთლისა, მაგ., ბატონყობაზე დაწერილი ლექსები, „უნების გასამართლება“, „პატრიოტის აღსარება“ — ავტოგრაფები, რომელთა დაწერის თარიღი დადგინილია, გადმოტანილია მე-20 საუკუნეში.

ტრაფარეტი იმდენად იტაცებს ზოგიერთ აღმწერელს, რომ აკაკის თხზულებებს ნუსხურად დაწერილად აცხადებს (აღწ. № 1501). ეს ხელნაწერი დათარიღებულია 1914 წლით, ნამდვი-

ლად კი მასში, აკაკის წერილებში, რომელშიც 100 ფურცელია, სხვადასხვა დროს დაწერილი თხზულებებია თავმოყრილი. იმ სიტყვის ტექსტი, რომელიც აკაკიმ წაიკითხა მარიამ საფაროვანაშვილის თხოვრებზე 1912 წელს, 1914 წელსაა გადატანილი. ერთ-ერთ წერილში აკაკი იხსენიებს „სახალხო გაზეთის“ № 858-ს. გაზეთის ეს ნომერი კი 1913 წელს გამოვიდა. აღწ. № 1505 აკაკის თხზულებათა სრულ კრებულს ეყრდნობის, აღწერილია 41 თხზულება და შენიშვნაში წერია, რომ გარდა ამისა, კრებულში შესულია სხვა თხზულებებიც, და ჩამოთვლილია 8 თხზულება, რომელთაც აღმწერელი ვლ. მეტრეველი არ შეეხებია. ამდენად ეს 8 თხზულება „უკანონო ნაწარმოებებად“ არის მიჩნეული. თავად გერარდიშვილის „საყვარელო მამულა“ (აღწ. № 1517) დაკავშირებულია კონკრეტულ ფაქტთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1832 წლის იანვრიდან მარტამდე. „საყვარელო მამულა“ არის გამოცხადი კამათისა, რომელსაც ცნობილი სოლომონ დოდაშვილი აწარმოებდა გრიგოლ გორდევთან სწორედ 1832 წელს. აღწერილობის შენიშვნაში წერია, რომ ტექსტი გამოკვეთებულია, და მიწერილიყა ს. დოდაშვილის ძვრნალის სახელი და ნომერი, მაგრამ აღმწერელს ამ ძვრნალში ვერ უნახავს მასალა თხზულების თარიღისათვის, ამიტომ ხელნაწერი ზოგადად არის დათარიღებული — მეცხრამეტე საუკუნით. გვ. გაბაშვილის ავტობიოგრაფია (აღწ. № 1546) აგრეთვე დათარიღებულია ორი საუკუნით, მე-19—20 საუკუნით მაგრამ თუ აღმწერელი ამ ავტობიოგრაფიას გაეცნობოდა, იქ მონახავდა ისეთ ფაქტებს, რომელიც შესახებ მწერალი ქალი მე-19 საუკუნეში ვერ ილაპარაკებდა.

აღწერილობას დართულ შენიშვნებში აღმწერლები ხელნაწერის ზოგიერთ ცნობებს იძლევიან. ეს ცნობები უხედადა ძველ ხელნაწერთა აღწერილობებში, მაგრამ ასეთი არ არის მოცემული ყველა ხელნაწერის მიმართ, რომლის ტექსტიც გამოკვეთებულია, ან არის ცნობები ერთის შესახებ და მეორე მნიშვნელოვანი უყურადღებოდა დაჩინილი. მაგ., მ. თამარაშვილის საგაზეთო წერალები (აღწ. № 1529) მითითებულია, რომ იგი გამოკვეთებულია, ასევე იმავე მ. თამარაშვილის მიერ ჩაწერილ ზღაპრებზე (აღწ. № 1501 გ), ან, კათოლიკეთა შესახებ სხვადასხვა ცნობები დაბეჭდილია სოხურ გაზეთებში (აღწ. № 1618 ა-ე), მაგრამ არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ ძვირფასი მასალა დიმიტრი ყიფიანისა — „კახარობა“ გამოკვეთებულია რუსულად და ქართულად, რომ დ. ყიფიანის ამ თხზულების შესახებ საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობს, თანაც, თხზულების დასათურებაში მე-20 საუკუნე წერია, ტექნიკურ აღ-

წერილობაში მე-19 - 20 საუკ., სოლო ნაშთილად დ. ყიფიანის რუსულად დაწერილი თხზულება კოტე ყიფიანმა ქართულად თარგმნა 90-ან წლებში „მოამბისათვის“. ამრიგად, კათოლიკეთა შესახებ ცნობები უფრო საყურადღებოდ არის მიჩნეული, ვიდრე დ. ყიფიანის მოგონება 1832 წლის შესახებ. აღწ. № 1636, „სიტყვები და ქადაგებები“ დათარიღებულია 1900 წლით, ტექნიკურ აღწერილობაში კი წერია 1899—1900. მაგრამ, საკითხავია, რატომ აიღო ვლ. მეტრეველმა ეს თარიღები, როცა ხელნაწერის შემადგენელ ნაწილებს უწერია შენიშვნაში 1899, 1900, 1902, 1903, 1904 და 1905 წელიც კი. ხელნაწერის ცნობები თანახმად, ხელნაწერი № 1636 რომ 1899—1905 წლებით დათარიღებულიყო, ეს იქნებოდა ფაქტობრივი თარიღი გამოგონილის ნაცვლად.

აღწ. № 2047 ოთხი სტრიქონი წერილია დაბეჭდილი, მხოლოდ ტექნიკური აღწერილობა, მაგრამ რას შეიცავს ხელნაწერი, აღნიშნული არაა. აღწ. № 2226 შეეხება მტრად საყურადღებო კრებულს, მაგრამ ყველა მასალა თანასწორუფლებიანად არაა მიჩნეული. აურაცხელი მასალიდან გამოყოფილია 21 სტატია, დანარჩენის შესახებ პეტიტით დაბეჭდილი ჩამოთვლია. ეს დანარჩენი არის ს. დოდაშვილის, იონა ხელაშვილის, თეიმურაზ ბაგრატიონისა და სხვათა წერილები. ცხადია, ეს დანარჩენი თავისი ღირებულებით არ ჩამოუყვარდება პირველ 21-ს. აღწ. № 2301 შეეხება პლ. იოსელიანის თხზულებას „ცხოვრება მეფისა გიორგი მეოთხე ტისა“. ხელნაწერის აღმწერელი ლ. მეფარიშვილი ავ. გაწერულიასთან გვეხვევის, იმას აქვს აღწერილი თავის გამოცემაში. მაგრამ ეს ხომ მეტეხმის ხელნაწერთა აღწერილობაა, რომელშიც თავისი რიგით უნდა ადგილი დათმობოდა პლ. იოსელიანის ნაშრომსაც. აღწ. № 2398 ლექსთა კრებულს შეეხება. ნ. ბარათაშვილის ლექსს „ზვირთები ნოდედუნებენ“ ავტორის გვარი არ უწერია, ასევე აღ. კვაკავაძის ლექსი „ესა ჭეშოცხებზე“ უავტოროდა. 1922 წელს დაწერილი პრაგმა (აღწ. № 2400) გამოცხადებულია მხედრულად დაწერილად.

თითოეულ ტომს რამდენიმე საძიებელი აბლავს. ერთადერთი მიზანი საძიებლისა არის მასალის მოძებნის გადავილება. მაშასადამე, საძიებელში უნდა შეტანილი იყოს ყველაფერი ის რაც ტექსტშია, მაგრამ აქაც ბევრი რამ რიგზე არაა. აღწ. № 1196:6 მოხსენებული არიან კლეონა, ცინეა, ავალოვი. პირთა საძიებელში მხოლოდ ავალოვი გატანილი. აღწ. № 1705 მინაწერებში მოხსენებული პირებიც არ არიან მოხვედრილი საძიებელში. ავტორის მქონე თხზულებები გატანილია საძიებელში, ხოლო ფავტორობები ამ სხვა მასალაში უპატრონოდაა

მეტყველებლი, მათ თემატიკურ საძიებელში ადგილი არ მისცემიათ. მაგ., აღწ. № 1430 ბევრია უაქროლო ლექსი, დარგობრივ საძიებელში ისინა არ იხსენება: აკაკის „უნების გასაშართლება“ (აღწ. № 1508:33) დარგობრივ საძიებელში გადასროლილია პუბლიცისტიკაში, პირთა საძიებელში შეტანილია სახელი, რომელიც ტექსტში არაა ნახსენები, მაგ., აღწ. № 1926:48 ლაპარაკია ელფრსამელზე, საძიებელში აბესალომია შეტანილი, ელფრსამელი სულ არაა ნახსენები. მხატვრული ლიტერატურის საძიებელში ზოგ მწერალთან დასახელებულია თხზულება. ზოგან არა. ზოგა კოწიას ლექსები მითითებულა, თვითურა I ანბანითკება არა. აღწ. № 1515-ის შენიშვნაში წერია — ყველა ფსევდონიმი ერთ პიროვნებას უნდა ეკუთვნოდეს, საძიებელში ფსევდონიმები გაერთიანებული არაა, საძიებელში კოწია მჭურნალია მითითებული № 1516 ხელნაწერზე, იქ კი დავით მიტროპოლიტზეა ლაპარაკი, ათაბაგი გვარადაა შეტანილი პირთსაძიებელში, არაა დაცული ერთგვარობა ბაგრატიონებისა და ბატონიშვილების დასახელებასა და სხვ.

აღწერილობებში ხშირია შემდგენელის აღტაცება გადამწერის ხელის გამო, დასურათებითა თუ შენახულობით, ან აღმფრთხილება რომელიმე მწერლის „ბარბაროსული“ ხელის გამო. ხშირია რომელიმე კონკრეტული მასალის საფუძველზე დასკვნები, რაც ყოველთვის არ უპასუ-

ხებს ფაქტურ მდგომარეობას. მაგ., აღწ. № 1216 ლაპარაკია ვენერა-ლუიტენანო, სენ ტორ გიორჯი იასეს ძე ერისთავის შესახებ და შენიშვნაში წერია: გ ერისთავი ანტიორუსული განწყობილებისათ. ასეთი დასკვნისათვის სკირო იყო გ. ერისთავის როგორც დაბეჭდული, ისე იმავე მუხებში დაცულა ხელნაწერი თხზულებების შესწავლა, რაც წინააღმდეგში დაარწმუნებდა ქრ. შარაშიძეს.

აღწერილობის თითოეულ ტომს ერთვის „შემჩნეულ“ შეკდომათა გასწორების საკმაროდ მონარილი სია. ეს ამ წიგნების დიდი ნაკლია. მიუხედავად რედაქტორთა და შემდგენელთა დიდი არმიისა, განიღულ ტომებში ბევრი რამ „გაპარულა“.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა სათანადო ზომები უნდა მიიღოს, რომ მ-მდგენო ტომები უფრო დაწმენდილი იყოს. საჭიროა სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ჩაბმა ამ დიდმნიშვნელოვან საქმიანობაში. მათი მონაწილეობა შეაძვირებს იმ ხასიათის ნაკლს, რომლის შემწვევა აღწერილობათა ტომების ზერეულ გადათვალერებითაც კი შესაძლებელია.

ასეთი გამოცემები ათეული წლებით ვმსახურებიან მომხმარებელს. ეს გარემოება ბევრს რამეა ავალებს ხელნაწერთა აღწერილობაზე მომუშავეებს.

ბ. ხუციშვილი

## „პათოლოგიურ-ანატომიური სექციის ტექნიკა“




სამედიცინო გამოცემლობამ გამოსცა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფ. ვლ. ელენტიის ნაშრომი „პათოლოგიურ-ანატომიური სექციის ტექნიკა“ (რედაქტორი საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფ. კ. ერისთავი, 1951 წ.).

პათოლოგია წარმოადგენს მედიცინის თეორიულ საფუძველს, რომელიც შეისწავლის სხვადასხვა პათოლოგიურ პროცესთა დაავადებათა წარმოშობის, მიმდინარეობისა და გამოსავლის ზოგად კანონზომიერებებს და რომელსაც მედიცინის შემდგომი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. დაავადების არსის გაგებაში, მის ყოველმხრივ, სრულყოფილ შესწავლაში კლინიკის დიდ დახმარებას უწევს პათოლოგიური ანატომია. დაავადებათა გამოვლენის პათოლოგიური-ანატო-

მიური მეთოდები უკერძოობით უფრო სანდოა, ვიდრე კლინიკური და ამიტომ კლინიკისთვის და პათოანატომიის მეცნიერული და შეცნიერულ-პრაქტიკული თანამშრომლობა, დაავადების გაღრმავებული შესწავლისათვის, მისი არსის სრულყოფილად გაგებისათვის, აუცილებელია.

აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დიალექტიკურ-მატერიალისტური ბიოლოგიისა და ფიზიოლოგიის მონაცემებზე დაყრდნობით შედგენილ სახელმძღვანელოებს პათოლოგიურ ანატომიასა და პათოლოგოანატომიური სექციის ტექნიკაში.

სარევენოთ ნაშრომი დაწერილია მიზრით ნული ბიოლოგიისა და პელოფური ფიზიოლოგიის მონაცემების საფუძველზე. წიგნს დართული აქვს 67 გვერდიანი შესავალი და ორი ნაწილისაგან შედგება.



მედიცინის ყველა დარგის სპეციალისტიკათვის მეტად მნიშვნელოვანია ნაწარმის შესავალი, მასში ავტორის განმარტებული აქვს მოწინავე საბჭოთა პათოლოგიური ანატომიის ამოცანები, მისი მნიშვნელობა ჯანმრთელობის დაცვის საბჭოთა სისტემაში და საბჭოთა პათოანატომიის მოვალეობანი, აქვე მოცემულია ეუისმანიზმ-მორგანიზმისა და ვირბოვის უჯრედული პათოლოგიის კრიტიკა.

ავტორი დიალექტიკურ-მატერიალისტური პოზიციებიდან აკრიტიკებს დაავადების არსის ვირბოვისეულ გაგებას, მისი უჯრედული პათოლოგიის მექანიკურ თეორიას და იძლევა დიალექტიკურ-მატერიალისტურ გაგებას ბიოლოგიისა და მედიცინის მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემებისას.

ცნობილია, რომ ვირბოვა შექმნა ე. წ. უჯრედული პათოლოგია, რომლის მიხედვით ყველა დაავადება ადგილობრივი ხასიათისაა. ვირბოვის უჯრედული პათოლოგიის არსის შესახებ ვლ. ელენტი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „უჯრედულმა პათოლოგიამ მეტად დაამარკოლა პათოლოგიის და მედიცინის წინსვლა-განვითარება, რადგანაც მას მთელი პათოლოგია დაწყადა უჯრედის პათოლოგიამდე, ორგანიზმის თითოეულ უჯრედს აწერდა დამოუკიდებლობას, რთული ორგანიზმი წარმოდგენილი ჰქონდა როგორც უჯრედთა ფედერაციების ჯამი, როგორც უჯრედთა სახელმწიფო, უარყოფდა ორგანიზმის მთლიანობას, არ აღდებდა ანგარიშში ორგანიზმის და გარემოს ერთიანობას და უარყოფდა ნერვების სისტემის წამყვან მნიშვნელობას ნორმისა და პათოლოგიის დროს“ (გვ. 13).

ვლ. ელენტი დამაჯერებლად განიხილავს საერთოდ სიმსივნეების წარმოშობის შესახებ არსებულ თეორიებს და აგრეთვე ვირბოვის ე. წ. „ირიტაციულ თეორიას“, რომლის მიხედვით სიმსივნეების წარმოშობის მიზეზი სხვადასხვა აგენტებით გამოწვეული ირიტაციაა, გალანიანება, უარყოფლია აგრეთვე ვირბოვის მექანიკური და მეტაფიზიკური წარმოდგენა საერთოდ სიმსივნეებზე, რადგან ის სიმსივნეს თელის ადგილობრივი პროცესად.

ვირბოვის თეორიისა და სიმსივნეებზე მის წარმოდგენათა კრიტიკისთან ერთად ავტორი იძლევა სიმსივნეთა კვლამარტ გაგებას, რომ სიმსივნე არ არის ადგილობრივი დაავადება, ადგილობრივი პროცესი, არამედ მთელი ორგანიზმის დაავადებაა. აქვე განმარტებულია, რომ სიმსივნე არის არა უჯრედთა ავტონომიური გამარჯვების შედეგი, არამედ სიმსივნის

წარმოშობა, მიმდინარეობა და გამოსავალი განუტრუდლად არის დაკავშირებული ორგანიზმთან, მის ნივთიერებათა ცვლამ-მარჯვებულებთან, ნერვების სისტემასთან და ორგანიზმის გარემო პირობებთან.

შემდეგ ავტორი იხილავს უჯრედის წარმოშობის საკითხს და აკრიტიკებს ვირბოვის იდეალისტურ თეორიას ამ საკითხზე, რომ „ყოველი უჯრედი უჯრედიდანაა“, რომ „უჯრედის გარეშე სიცოცხლე არ არის“ და მის უპირისპირებს საბჭოთა მეცნიერის ო. ლებეშინსკიას მონაცემებს, რომელმაც უჯრედული თეორია აიყვანა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე.

ო. ლებეშინსკიას გამოკვლევებით, წინააღმდეგ ვირბოვისა, უჯრედი წარმოიშობა არა მხოლოდ უჯრედის გამარჯვებით, არამედ ცოცხალი არაუჯრედოვანი ნივთიერებისაგანაც. ამ გამოკვლევათა ცოდნა აუცილებელია არა მარტო ბიოლოგებისათვის, არამედ მედიკოსისათვისაც.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ ვლ. ელენტი დიალექტიკურ-მატერიალისტური პოზიციებიდან აკრიტიკებს ვირბოვის უჯრედულ პათოლოგიას და პათოლოგიის მთელი რიგი საკითხების ვირბოვისეულ განმარტებას და ამავე პოზიციებიდან იძლევა ბიოლოგიისა და მედიცინის ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების გაგებას როგორცაა: უჯრედის წარმოშობა, მექანიკურება, მიდრეკილება დაავადებისადმი, შექნილ ნიშანთვისებათა მექანიკურება, სიმსივნეებისა და ანთების არსი, პელოფერი ნეკროზი და მისი მნიშვნელობა საბჭოთა მედიცინაში და სხვ.

ნაშრომის ზოგად და ყერბო ნაწილში საქმარისად დეტალურად მოცემულია პათოლოგ-ანატომიური სექციის ტექნიკა, სხვადასხვა პათოლოგიური დაწესებულებათა და მათ სთავსოთა სტრუქტურა და მოწყობილობა, სსაქციო ხელსაწყოთა აღწერილობა და მათი ხმარების წესები, მითითებანი უსათოდ დასათვლიერებელ და გასაკვეთ ნაწილებზე და წარმოაქმნებზე, ნამოთელა და განმარტება იმ შედმიწვენით სხვადასხვა მაკროცელოლებათა, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვადასხვა ორგანოში, მაკროგეპარატთა და გვამის შემერვის სხვადასხვა თანამედროვე წესები.

ნაშრომის ბოლოს დართულია პათოლოგ-ანატომიური სექციის დოკუმენტაცია, პათოლოგ-ანატომიური საქმის და კლინიკურ-პათანატომიური კონფერენციების ჩატარების და სსამართ.

ლომედიკური გაკვეთის ამჟამად მოქმედი წესები.

ნაშრომი დაწერილია გასაგები ენით და დასურათებულია სათანადოდ. ფართო მკითხველის მიერ ტექსტის გაგების გაადვილების მიზნით კარგი იქნებოდა ნაშრომის ბოლოს ავ-

ტორს დაერთო ტექსტში ნახვარი ტერმინების სიტყვარი.

ნაშრომი მეტად სასარგებლო წიგნია და ის სამედიცინო ლიტერატურის ფონდში შევა, როგორც მნიშვნელოვანი ნაწარმოები.

ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

**ბ. უსიაშვილი**

